

# გორაკი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათუმი

1

2017

ISSN 0134-3459



9 770134 345001

17 001



# ჭოროხი

გამოცემის 59-ე წელი

იანვარი-თებერვალი

№1

2017 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**სანდრო ბერიძე**

სარედაქციო კოლეგია  
**როინ აბუსელიძე**  
**ცისანა ანთაძე**  
**გენრი დოლიძე**  
**შოთა ზოიძე**  
**დავით თედორაძე**  
**ლალი კონცელიძე**  
**რამაზ სურმანიძე**  
**ბელა ქაჯურია**  
**ვახტანგ ლლონტი**  
**თინა შიოშვილი**

ტექნიკური რედაქტორი და  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**მალხაზ ფაღავა**

დაარსებულია 1958 წელს  
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2017

რედაქციის მისამართი:  
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21  
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი  
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა  
სტამბა კოლორში



## ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)). ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

## შინაარსი

### აქოუნია, აქოუნა

როინ აგუნალიქი – ლექსები .....	3
ღავით თეღორაქი – წიგნიდან „ხსოვნის ჩირალდნები“ .....	13
გეძა ახალაია – ლექსები .....	25
ნათია როსტიაშვილი – მოთხრობები .....	39

### თარგმანი

რომან კისიოვი – ლექსები (ბულგარულიდან თარგმნა გენრიდოლიქი) .....	53
სერგეი დოვლატოვი, მარინა ვოლკოვა – არა მხოლოდ ბროდსკი. რუსული კულტურა პორტრეტებსა და ანეკდოტებში (რუსულიდან თარგმნა ლალიკონცაიქი) .....	57

### ქართული, ქალისტიკა

როსტომ ჩხეიძე – ციკლიდან „დროის იეროგლიფები“ .....	79
--	----

### უს

დენიზა სუზუაქი – ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ქრილში) (გაგრძელება) .....	92
--	----

### წერილი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ლაზეთის თემა რამაზ სურმანიძის შემოქმედებაში .....	107
გურამ ყორანაშვილი – ალექსეი თარია – აფხაზი ჩაადაევი .....	114
ღიანა ზოიძე – შოთა ზოიძის „ქართული მუხამბაზები“ .....	117

### კილოსა

ჟემალ ინჯია – 80 .....	120
------------------------	-----

# ჯონია, ჯონია



## როინ უბუსაღიძე

### წერილი პასახს

სიყვარული განშორებაზე ძლიერია, მაგრამ  
განშორება სიყვარულზე ხანგრძლივია.

ი. პროდსკი

რაც შენ წახვედი, შვიდი თოვლი გადაიტანა  
ბათუმმა და მეც ლექსის წერა ამომეჩემა,  
დღეს ჩაფუარე, ჩემო კახა, სახლს, საიდანაც –  
ქრიზანთემები გამოჰქონდა კაბით ჩეჩენ ქალს,

ჩვენ მივყვებოდით ქურა-ქურა, ეზო-ეზო და  
ვტკბებოდით მისი სილამაზით... მახსოვს, ასევე,  
იმ პირტიტველა ჯარისკაცს რომ ჩუმად ხვდებოდა,  
ორ თვის შემდეგ გალიდან რომ ჩამოასვენეს

და მაშინ მივხვდით, თუ რა იყო ომი, სიკვდილი  
და მაშინ დავრჩით მარტოდმარტო მრავალ ნიღაბთან  
და ის წავიდა ქალაქიდან სწორედ იმ დილით,  
როდესაც მისი სიყვარული ჩვენ შეგვიყვარდა

და გამახსენდა სიყვარულშიც როგორ მოგვბაძეს,  
როგორ გვეძახდნენ ძმადნაფიცებს ძმობაუკვდავებს!...  
(წელან კი მტვერი – დადებული მეგობრობაზე  
შენს ფოტოებთან ჭიქა ღვინით მოვასუფთავე)

ვიგონებ, როგორ ვიზრდებოდით ფრანტად, დენდებად,  
როგორ ვეჭვროდით ჭკვიან ქალებს, ლალებს, გამომწვევს...

დღეს იმ კაცს ვგავარ, არავის რომ არ ახსენდება,  
თუმც ყოველ დღით საფოსტო ყუთს მაინც ამოწმებს.

მე შევიცვალე! დაჟინებით, გაუბედავად!  
და აღარ მიკვირს, დამიჯერე, რაც კი მიკვირდა,  
ბოლო წუთამდე ფაქტია, რომ ყველა ერთად ვართ,  
ბოლოს კი მაინც მარტო ვრჩებით თურმე სიკვდილთან...

რაც შენ წახვედი შვიდი თოვლი გადაიტანა  
ბათუმმა და მეც ლექსის წერა ამომეჩემა,  
დღეს ჩავუარე, ჩემო კახა, სახლს, საიდანაც, –  
ქრიზანთემები გამოჰქონდა ერთ დროს ჩეჩენ ქალს.

\* \* \*

ჩვენი სანოლი, სამოვარი, ძველი მრიცხველი,  
აკვარიუმი, კენტი თევზი, – ცისფერლაცხურა.  
მე მაგ თვალების უფსკრულებში გადავიმსხვრევი,  
თუ არ დახუჭავ.  
გახსოვს თამაში? რომ ვუძლებდით თვალის ხამხამებს,  
ოთახიდან რომ მივფრინავდით ფიქრის ჩემოდნით,  
რომ მოვდიოდი შენს ხელებთან, თმებთან, ღამ-ღამე,  
და ვთენდებოდით...  
მე მომენატრა წვიმისფერი შენი თითებიც,  
სანთლებივით რომ ლიცლიცებდნენ უნინ ხატებთან,  
რას ვიფიქრებდი, – სამუდამო ცეცხლს თუ მინთებდი,  
მაშინ არ მწვავდა, გზას მინათებდა.  
ახლა, თუ ხედავ, ჩემს სიზმრებში როგორ შემოდიხ, –  
მოგონებები, ტკივილები ბოლო ღამიდან?  
შენ ჩაიფიქრე – სამუდამოდ რომ გყვარებოდი...  
და... მე ამიხდა...

## სიზმარი

წუხელის სიზმარს სოფელში ვახლდი  
და მთელი ღამე ასე გავიდა,  
ისევ იქ დამხვდა ჩვენი ხის სახლი,  
ონინარი და ელო მამიდა.

მდინარეს ბოთლი ჩაჰქონდა დაბლა,  
ვიდაც ელოდა წერილს დაბლავე,

ისევ იქ დამხვდა მსხლის ხეც და დაფნაც,  
შემდეგ მამა რომ დავასაფლავეთ.

შემდეგ ჰაერი მეჩვენა ხისტი,  
მეზობლის ბიჭი კვიცებს ხედნიდა,  
მამიდამ თმებში დამალა ქრისტე,  
გადმოგდებული მინარეთიდან

და იგრძნო რამდენ ტკივილს ვითმენდით,  
ჩემი და მტრედებს საკენკს უყრიდა,  
მე ლექსებს ვწერდი, ხოლო რითმები,  
ამოდიოდა კვამლად ბუხრიდან.

მერე შენც გნახე მინდორში ტიალ,  
მურა მოგვდევედა კუდის ქიცინით  
ზვინში დილამდე ვიკოტრიალეთ  
და ცას ესმოდა ჩვენი სიცილი.

რომ გამეღვიძა, იდგა ცისმარე,  
მზე დაჰყურებდა ქალაქს ზემოდან  
და მე მომინდა, რომ ეს სიზმარი  
ნუხელის შენაც დაგსიზმრებოდა...

### პალატა არტისტული ყვავილებისთვის

წამლების სუნით გაჟღენთილი ხვნეშის პალატა,  
წევხარ, გასცქერი მოთავსებულ შენს წინ ყვავილებს,  
რას იზამ უკვე სტრიქონებმაც დაგაღალატა,  
ცისფერ ჩარჩოში ამჟღერეული მოჩანს ნახატი –  
გიკვირს, ასეთ დროს იმას ამჩნევ, რასაც ზოგადად  
აქ შემოსვლამდე ვერ ხედავდი და ვერც ნახავდი,  
ანუ ცივ ფილტვებს სანამ ჭლექი დაგიბლოკავდა. –  
(ხანდახან ფიქრობ, მომხდარიყო ესეც მეტადრე)  
თუ მსგავს სიყვარულს გაჩვენებდნენ, თუ ამნაირი  
თბილი მზერით და სიბრალულით შემოგხედავდნენ.  
გიკვირს, რომ ადრე ვერ ამჩნევდი, რომ ცა უფრორე,  
მოსანონიც კი არ ყოფილა, ვიდრე ეს ჭერი,  
რომ ამ ჭერს წნევის ვარსკვლავები შემოუგროვე,  
მცირე სამოთხე მოიშენე ისე, უშიშრად...  
და დაასკვენი – შენი ღმერთი ცაში კი არა,  
მართლა შენშია, მართლა ფიქრში, მართლა გულშია.

გიკვირს, რამდენი ცარიელი გრჩება ქალაქი,  
 დღეს, რასაც ამჩნევ, ყველაფერი რომ დაგენერა –  
 მტრებს და მეგობრებს სულ სხვა თვალთ დანახავდი,  
 (ყველას უსმენ და გულით გინდა ყველამ იყუჩოს)  
 და ხუჭავ თვალებს, რადგან უკვე არვის ენდობი,  
 სიკვდილის შემდეგ სიბრალულით რომ დაგიხუჭოს.

გიკვირს, რომ მოკვდი, არ ყოფილა გამოსავალი,  
 აღარ განაღვლებს ვინ ატირდა, ვინ არ ატირდა  
 და გრჩება კითხვა – ნეტავ, შენს გვამს თუ ამ ყვავილებს,  
 პირველად რომელს გაიტანენ ამ პალატიდან?

### გაუზგავნელი ნაწილები (მე, შენ, ღმერთი)

როცა ქუჩები ხმაურისგან ველარ გფიქრობენ,  
 სახელდახელოდ,  
 სანუგეშოდ,  
 როცა ქუჩები  
 დაიცლებიან სიმშვიდით და  
 სუსხის მიკრობებს,  
 ძრწოლის მიკრობებს გაფეთებენ  
 და ეურჩები –  
 ქალაქს,  
 რომელმაც შეინირა შენი ლირიკა  
 დაუკითხავად,  
 უსაფუძვლოდ,  
 ამავე ქალაქს –  
 ვგონებ, არ ახსოვს,  
 სიკვდილიც რომ მან გაგირიგა,  
 ან, იქნებ, ახსოვს  
 და მეძავი ქალივით მალავს –  
 წარსულს, პასუხებს,  
 იმ კითხვებზე, რომლებსაც სვამენ,  
 სულ ერთნაირად,  
 სულ იგივედ,  
 და სულ აგდებით,  
 მეც ჩემს პოეტში დიდი ხანი ვეძებდი  
 სხვა მე-ს,  
 ახლა არ ვეძებ,  
 მაგრამ ვერა და ვერ ვლაგდები

თიხაში, სადაც ჩაეტია ნაზარეველი,  
 მაშინ, როდესაც დაათენდა  
 ბოლო პროზელიტს,  
 იდგა ბოსელი სინათლეში  
 და სარეველას  
 იცლიდა ზეცა,  
 დედამინა,  
 ღამე,  
 ბოსელი...  
 და ზედმინევენით დაიხვენა  
 ზიზლის ეთიკა,  
 ცოდვის ეთიკაც ზედმინევენით,  
 (თუმცა ხარაკირს,  
 როგორც გმირობის უტყუარ და ბოლო ეტიკეტს) –  
 ისე ვხედავდი,  
 ისე ვგრძნობდი,  
 მნამდა,  
 ახლა კი  
 გათელილია ყველა მთა და  
 ყველა ფერდობი,  
 სიზმრებით,  
 ხოხვით,  
 ოცნებებით,  
 ჭენებ-ჭენებებით,  
 ვიცი, რთულია, დაიჯერო  
 კაცის ღმერთობა,  
 მაგრამ ჩვენ ღმერთის კაცობასაც  
 არ ვიჯერებდით...

## II

და იმ დროს, როცა ხმაურისგან ვეღარ გფიქრობენ  
 ქუჩები და შენ ამ ხმაურში  
 მარტივად ფიქრობ  
 ხალხზე,  
 რომელიც ნოესავით შემოიგროვე  
 ირგვლივ და მიკროკოდობანიც არა გაქვს,  
 მიკრო –  
 იმედს რომ თავი დავანებოთ,  
 იმედს. არადა –  
 პასუხს ელოდნენ (ბავშვებით)  
 იმ დღეს კითხვები.  
 უფლის ენაზე გვესაუბრა, დაგვეზარა და



თუ ვლოცულობდით,  
 ვლოცულობდით,  
 ჩვენი სიტყვებით.  
 ასე შევცვალეთ უნებლიეთ  
 მთელი ბიბლიაც,  
 ეს იგივეა, დავივიწყეთ,  
 არანაკლები –  
 ხელით დანერილ სტრიქონებს რომ  
 მეტი ხიბლი აქვთ,  
 ვიდრე სტრიქონებს –  
 ძირითადად ვორდში აკრეფილთ.  
 აქ იკამათო, ეს იმდენად სისულელეა,  
 რომ ეკამათო მიცვალებულს,  
 საფლავს,  
 სახელებს  
 და სანამ სიტყვით დასერილი სასულები,  
 ხატებთან ბოლო „მაპატიეს“ ამოახველებს,  
 დავრჩები მზესთან,  
 რომლის სხივიც იქცა პრიზმებად,  
 (ერთ დროს თბილები, კეთილები და გულუხვები)  
 ჩვენც ამ ბოლო დროს  
 არაფერი არ გვესიზმრება,  
 თუ გვესიზმრება,  
 შიში გვიპყრობს და წყალს ვუყვებით...

### III

და ეს ნერილიც იზრდებოდა თურმე შიშივით,  
 შემდეგ ეს შიში მაგ თვალეშიც  
 მარტივად იშვა,  
 შენ შეგიძლია რადიოთი ჩართო შიშინი,  
 რომ არ შეგიპყროს  
 მარტოდმარტო დარჩენის შიშმაც.  
 ჩვენ ვთამაშობდით დიდობანას,  
 შემდეგ სრულიად  
 აუღელვებლად ვაჯავრებდით  
 მკვდრებსა თუ მკვიდრებს  
 და რაც დრო გადის ვრწმუნდები, რომ უფრო რთულია,  
 ჩვენი ბავშვობა ვითამაშოთ, ძვირფასო,  
 ვიდრე –  
 ცხოვრებაში რომ არასოდეს  
 არ ვითამაშოთ!...  
 რომ არასოდეს არ მოვირგოთ

ერთი ნილაბიც,  
 მაგრამ კაცი ხომ ვერ გაუძლებს  
 ამდენ ქარაშოტს,  
 ამდენ ტკივილს და  
 თუ ოდესმე ერთად ვიყავით, –  
 ველარ ვიჯერებ,  
 როცა ვხედავ როგორ ფატრავენ,  
 დღეები დღეებს,  
 როცა ვხედავ...  
 (უბრალოდ, როცა  
 ლექსების წერა ავიჩემე) წერაც ადრეულ  
 წარსულში უფრო მაგონებდა,  
 ძვირფასო, ლოცვებს,  
 ლოცვებს, რომლებიც ერთიანად  
 გავიზეპირეთ,  
 ველარ გავიგე, ვის რა ვუთხრა,  
 ვის რა ვედავო,  
 ჩვენ ამოვგმანეთ ის კედელი  
 და ის ჯებირი,  
 რომლის გადაღმაც ქრისტე იყო საყოველთაო.  
 ასე სრულდება ეს ბარათი,  
 არ ვეურჩები  
 და რა ხანია შევეჩვიე სუსხის  
 მიკრობებს,  
 თუმცა ყოველ დილით მახსენდები,  
 როცა ქუჩები,  
 როცა ქუჩები,  
 ხმაურისგან ველარ გფიქრობენ.

## მამა და თოვლი

ისმოდა მხოლოდ – „ღმერთო მოჰმადლე“  
 და ცრემლიანი იჯდა ლოგინთან  
 ჩემი და...  
 როცა თეთრი ხომალდით,  
 მამისთვის ბოლო თოვლი მოვიდა.

მახსოვს, ყველანი სახლში ვიყავით,  
 გარეთ ბრწყინავდა ბროლის ლამქარი  
 და გული მწყდება, მამი,

იმ ღამით, –  
სიკვდილს თოვლში რომ ვერ შეასწარი,

სიკვდილს ცივსა და საშიშს ესოდენ...  
როცა რიჟრაჟმაც თოვლი აისხა  
მამის ოთახში  
აღარ ისმოდა  
აღარც ლოცვა და აღარც მამის ხმა.

სეზონიც ამინდს ველარ დაჯერდა  
და ირწეოდა თოვლი სავსებით,  
თუმცა ყოველ ღამე ვხსნიდი  
ფანჯრებს და  
შენს ოთახს, მამი, მთვარით ვავსებდი.

ისმოდა მხოლოდ – „ღმერთო მოჰმადლე“  
და ცრემლიანი იჯდა ლოგინთან  
ჩემი და...  
როცა თეთრი ხომალდით,  
მამისთვის ბოლო თოვლი მოვიდა.

### აჭარული ბალადა (სახუმარო)

შემხედა და ვერ მიცნა,  
შევხედე და ვიცანი,  
ციცამ გულზე დამასო  
სიყვარულის ფინალი,  
სიყვარული? – ჰემ იცით  
ყველამ, – რაფერიც არი,  
(კარში კატა კნაოდა,  
კაკანებდა ციცარი)  
ციცაი, ზოვლი ლამაზი,  
გახდა დასაფიცარი.

ბაბამ მითხრა – გაგცვეთო,  
მაგ თავს გიგიტკლიცავო,  
რა დროს შენი ქალია,  
რა დროს შენი ციცავო?!  
ოჯალიდან გაგადებ,  
პურის მადლმა, ვფიცავო,  
საკუთარი ხელებით,

გათხაროდა მინავო,  
ახლა მივხდი, დილაზე  
იმ წყაროსთან ვის ცავო.

ნენემ მითხრა: – ამ პროხ ბერს,  
ნუ მუუსმენ, ნენიო,  
რაფერც შენს გულს ენადოს,  
ნენი, ისე ქენიო,  
აგერ ყაბალახი და  
იგერ კიდვენ – ცხენიო,  
ოქრო რგოლის ბეჭედი,  
მზითევი და ძღვენიო,  
ციცას ყურში მუუყევ,  
ქმრობა მინდა შენიო.

ავდექი და ვეახელ!  
ციცამ მითხრა – ვერაო...  
გალმა დურსუნს ფარა აქ,  
შენ კი ლექსებს წერავო,  
მასე ვერ წამოგყვები,  
ჩემო ისკენდერავო!

ციცას ვუთხარ, – მიდინგლე,  
ცავ, ტყვილადა ამრიო,  
შეშურდება დუნიას,  
ჩემნაირი ქმარიო,  
დურსუნს ფარა თუ კი აქვს,  
ქი გავს სუპერ მარიოს  
და თუ ის გირჩევნია –  
შენი ქეჩაც მკარიო.

ევფუნგეთ და ევშალეთ,  
არ დიმიტმო ციცამაც,  
თუმცა ტყვილი ხებერი,  
ციცამ მალე იწამა.  
ზვინი გახდა „ჰოსტელიც“,  
ოდაცა და კარავიც,  
გზაზე არ ჭაჭანებდა  
იმ მომენტჩი არავინ.  
გამეყყენე საქმეში  
ჩემი შნო და მარილი,  
ოიპეეეე, გემო ქონია

თლად სასელა სხალივით.  
დამავინყა ლექსები,  
დამავინყა წიგნები,  
ჰოდა, რა მენალღება,  
ამ სხალს ვკრეფ და ვიქნები...

### საშბრები გამთენიისას

ისევ ღვივდება მთვარის  
მარცვალი  
და ღამის ორთქლი გააქვს  
სამოვარს,  
მე ვამბობ – ერთ დღეს ქოლგებს  
დანვავენ,  
შენ ამბობ – წვიმა მაინც წამოვა.  
შემდეგ კამათი ლაპარაკს მალავს,  
ოთახში წყენა დგება ირიბი,  
მე ვამბობ – გრანელს ჯობია გალა,  
და შენ იგივეს ამბობ პირიქით.  
ასე მივყვებით ფიქრის ობობებს  
და იზღანდება მრავალი ქორი,  
შემდეგ შენ მიხსნი, რა სხვაობაა,  
ღმერთის და ნიცშეს სიკვდილებს შორის  
და სულს მიბრუებს შენი ცხელი ხმა,  
ჩურჩულთ ყვები ამბებს, იგავებს,  
მე კიდევ ვფიქრობ, რა სულელი ხარ,  
და შენ პირიქით ფიქრობ იმავეს.  
ასე იხსნება ყველა  
ნილაბი,  
ფანჯრიდან მოჩანს დილის  
ბილიკი,  
შემდეგ მე ვამბობ – „მე შენ  
მიყვარხარს“  
და შენ იგივეს სტყუი  
პირიქით...



# დავით თოდორაშვილი

## *წიგნიდან „ხსოვნის ჩიხაღდებები“*

### ხაბაძე

1974 წელია. ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა მხატვრის – ზურაბ ხაბაძის გამოფენაა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის დარბაზში. ხომ არ წამობრძანდებითო, – მკითხა რობერტ ლომაძემ, თან შემეძლო – კარგი მხატვარია, არ ინანებთ მისი შემოქმედების გაცნობასო.

ვნახე და მომეწონა. აღფრთოვანებას ვერ ვფარავდი, თან ნაცნობ მხატვრებს ვაქილიკებდი: – აი, მხატვარი, ამასთან „მალიარები“ ხართ და მეტი არაფერი-მეთქი.

აქედან დაიწყო ზურაბ ხაბაძისა და ჩემი მეგობრობა.

როგორც მხატვარი, ის მართლაც დიდია და ჩემი შესაფასებელი არ არის – ამის უფლებას თავს ვერასდროს მივცემ. მე ის მიყვარს, მისი ნახატები მომწონს, მის შემოქმედებას თავყვანს ვცემ.

მაგრამ მასზე, როგორც მეგობარზე, ბევრი რამის თქმა შემიძლია. პირველი გაცნობიდან მოყოლებული, ჩვენი მეგობრობა კურიოზებით იყო სავსე და ერთი დღეც არ გვიცხოვრია ერთმანეთის გარეშე.

ცხოვრებაში არ შემხვედრია ზურაბ ხაბაძეზე უფრო რთული და შეუცნობელი პიროვნება. მასთან ერთად დღეები და ღამეები გალეულა ქეიფსა და დროს ტარებაში. მისი უბადლო თამადობით სხვებთან ერთად არაერთგზის მოვხიბლულვარ მეც.

გაოცებული ვიყავი, ვარ და ვრჩები მისი შრომისმოყვარეობით – უდელში შებმულ ნიშახარევით ეზიდება ხელოვანის უმძიმეს ჭაპანს. არც დალღას უჩივის; წუნწუნი არ სჩვევია ხელოვანს. ამ თავდაუზოგავი შრომისა და ნიჭის შედეგია მისი დიდებული ნახატები, გაოცებაში რომ მოჰყავს მნახველი.

ზურაბს საზღვაო ნავსადგურთან, გოგებაშვილის ქუჩაზე, სახელოსნო ჰქონდა, რომლის მიღებაში მეც მიმიძლოდა ბენვისოდენა წვლილი. მამამისის – ოსმან ხაბაძის რუდუნებით და ხელშეწყობით ნამდვილ სახელოსნოს დაემსგავსა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიერ გამოყოფილი მინგრეულ-მონგრეული შენობა.

ზურაბი ამ სახელოსნოში სულით ხორცამდე იხარჯებოდა და ქმნიდა შესანიშნავ ტილოებს.

ერთი სიამოვნება იყო იქ ყოფნა. სამსახურის შემდეგ თითქმის ყოველდღე მასთან მივდიოდი, ვჯდებოდი ჩუმად, ვუცქეროდი ჩემთვის ამოუცნობ სამყაროში ჩაძირულ მეგობარს და ყოველდღიური პროზით დაღლილ სულს ვიმშვენებდი. ამ ესთეტიკურ პროცესს ხშირად ორგები და შემოქმედთათვის დამახასიათებელი სუფრები მოჰყვებოდა ხოლმე. სახლში მისულს მეუღლის შეკითხვაზე – სად ვბრძანდებოდი – პასუხი მუდამ ერთი მქონდა: – ხაბაძის სახელოსნოში.

...

ერთხელაც, ხაბაძისთან მორიგი სტუმრობის შემდეგ, დაღლილი მხატვარი ოჯახში მივიწვიე თაფლის არაყზე. შემთვრალ ზურაბს ჩემი მეუღლე მორიდებით სთხოვს: – ბავშვებს მოვიყვან შენთან, სახელოსნო და ნახატები გვაჩვენეო.

– შენ იქ არ მოხვალ, – მოკლედ და უხეშად იცილებს თხოვნას ხაბაძე.

მადონა შეცბა: – რატომ, ზურაბ, ბავშვები იქ არაფერს დააშავებენ! ზურაბი ჩვეული არაორაზროვნებით პასუხობს: – ბავშვები რა შუაშია?! თუ აუცილებლად უნდა მოხვიდე, წინა დღით გამაფრთხილე, შენს ქმარს იქ ქალები დაჰყავს და არ მინდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდოო.

მე, რა თქმა უნდა, საუბარი ხუმრობაში და ლაზღანდარობაში გადამყავს, მაგრამ ხაბაძის წასვლის შემდეგ მეუღლის მიერ გამოცხადებული დაუნდობელი ომის გამო იძულებული გავხდი თანამეცხედრისთვის განმეცხადებინა: – თუ მაგ აბდლის ბჟუტურს ყურს უგდებ, ყველა გზა ხსნილია, რომელიც გინდა აირჩიე-მეთქი.

მეორე დღეს, სამუშაო დღის ბოლოს, დაბარებულივით გამომეცხადა ზურაბი.

– დაგრჩა თაფლის არაყი? – მეკითხება ირონიაშეპარებული გულუბრყვილობით.

– დარჩა, მაგრამ შენნაირი თახსირების დასალევი არ ყოფილა ეგ! სად რა უნდა თქვა, ვერ უნდა ხვდებოდე ამოდენა კაცი? – წინა დღიდან გამოყოლილი ბრაზი მჭამს ისევ.

– გამოუსწორებელი არაფერიაო, – გულმშვიდად მეუბნება, მერე დაუკითხავად ჯდება ჩემს „ჟი-გულში“ და ისევ ჩემთან მივდივართ. ოთხი-ხუთი ჭიქის შემდეგ ცრემლები „ჩამოყარა“ ჩვენმა პიკასომ და თავი შეაცოცდა მადონას, – მეგობრებს არ ვუყვარვარო.

– როგორ თუ არ უყვარხარ?! – გაიკვირვა მადონამ, – ნუგზარი გაღმერთებს, ალექო ჯიბლაძე დღედაღამ შენს ქებაშია, დათოს ხომ უყვარხარ და უყვარხარ...

– რას ჰქვია, ვუყვარვარ?! სანამ ცოდვებს ვუნახავ, მეფერებიან, ბენვისოდენაც რომ გავამხილო, ჯვარს მაცვამენ!.. რა ვთქვი გუშინ შენთან მე ისეთი? დღეს დედა არ უგინებია შენს ქმარს, თორემ არაფერი დამაკლო... ეგ არის სიყვარული?! – უკვე ცხარობს ზურაბი, – მე რომ ყველაფერი ვთქვა, რასაც ეგენი სჩადიან ჩემს სახელოსნოში, სახლში შემომიშვებენ კი არა, გვერდზე აღარ გამიკარებენ!...

გაოგნებული მადონა ხმას ველარ იღებს. „გათავდა თაფლის არაყიც და თაფლივით ტკბილი ჩემი ოჯახიც“, – ვფიქრობ გამშრალი...

ისევ ქალს ეყო გონიერება – ხაბაძის „ბჟუტური“ არაყს დააბრალა და ამ თემას აღარ გაკარებია.

...

ქალებს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ზურაბ ხაბაძის ცხოვრებაში. მუდამ სიყვარულის მაძიებელ მხატვარს არასდროს კლებია საცოლეები.

...ამჯერად ჟონელიზეა შეყვარებული.

...ვექვიფობთ თავდაუზოგავად მე და ზურაბი. ქეიფის დასასრულს მიმხელს – დღეს დილით ჟონელისთან ვიჩხუბე და შემარიგე როგორმეო. მე ვიცი, რომ ჟონელის ერთი სიძე ჩემი გვარისაა და იმის იმედით ვპირდები, რომ ყველაფერი მოგვარდება და არ გამიჭირდება მათთან საერთო ენის გამონახვა.

წვიმს. ზურაბი გარეთ დავტოვე ბედისა და კოკისპირული წვიმის ანაბარა, მე კი შევდივარ სახლში, ვეცნობი ერგელი თედორაძეების სახელით და სასიდედროს დიდის ამბით ვამცნობ – ზურაბმა გამომგზავნა შერიგების ნიშნად-მეთქი. გაჭრა გვარმაც, ერგემაც და ალბათ, ჩემმა მოურიდე-

ლმა პირდაპირობამაც. სულ მალე საერთო ენა გამოვნახეთ, საერთო ახლობლები მივიკითხ-მოვიკითხეთ. განწყობა კარგი შეიქმნა. რომ მეგონა, ყველაფერი ჩინებულად აენყო, ოთახში ხმაურით შემოიჭრა ჟონელი და სასიძოს ქებით გართულ დედას – შენ გაყევი, თუ ასე მოგნონსო – მიაძახა...

გაირკვა! – იმ დილით შეყვარებულისთვის ხაბაძეს – ვირი ხარო, უთქვამს. ახლა რომ ამას მკადრებს, მერე რას იზამსო, – ისტერიკულად გაკვივის ზურაბის საცოლეს...

გარეთ გამოვედი. დგას ზურაბი წვიმის ქვეშ...

მანც არ გამემეტა მეგობარი ასეთი ქალისთვის.

...ორ კვირაში ხუთასკაციანი ქორნილი შედგა. ნუგზარ ჯაფარიძე თამადაობდა, ზურაბი ნეფობას იმშვენებდა, ჟონელი – პატარძლობას.

ქორნილიდან ერთი კვირის შემდეგ კი მათი გზები სამუდამოდ გაიყარა...

...

ზურაბი მორიგი საცოლის ძებნაშია.

ერთხელაც მოდის ჩემთან სამსახურში და მიცხადებს: შენს ბიძაშვილს კარგი მეზობელი გოგო ჰყოლია, დამპირდა, უნდა გამაცნოს და შენც ნამყევი, ეგებ საშველი დამადგესო. გამოცდილება თავშეკავებას მკარნახობს: ვნახულობ ბიძაშვილს და სასტიკად ვუკრძალავ ხაბაძის პირად საქმეში ჩარევას. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ისევ მოდის ხაბაძე: რევაზი ოჯახში წვეულებას მართავს და მიპატიჟებული ვართო.

მივედი. შესანიშნავი სუფრაა. ერთმანეთს ვეფერებით ძველი მეგობრები. თამადაობს ალექო ჯიბლაძე – თითქოს, ყველაფერი რიგზეა. მალე აქამდე იდუმალებით მოცული მეზობელი გოგონა შემოჰყავთ. მართლაც საოცარი გარეგნობისაა – მშვენიერი, ტანადი, მიმზიდველი...

თამადა მონინებით ამბობს მის სადღეგრძელოს და ალავერდს ჩემთან გადმოდის. არც მე ვიშურებ სიტყვებს მისი მშვენიერების შესამკობად.

ხაბაძის რიგიც დადგა.

მოულოდნელად სუფრა მისი უცნაური „მონოლოგის“ მომსწრე გახდა:

– მეზობელი მყავს ერთი, შინაბერა, ასე ორმოცი-ორმოცდახუთი წლის იქნება. თქვენ რომ შემოხვედით, ვიფიქრე – ისაა? იმას აქ რა უნდა-მეთქი? გასაკვირია ასეთი მსგავსება!..

ოცი წლის ულამაზესი გოგოს ორმოცდახუთი წლის შინაბერასთან შედარებამ დიდი „ეფექტი“ მოახდინა – გოგონა წამოხტა და ატირებული გავარდა გარეთ...

სუფრა აიშალა. მეგობრები ხაბაძეს საქმეს ვურჩევთ.

– თქვე აბდლებო, აქ რომ მომიყვანეთ, რა გეგონათ, ეს ანგელოზივით გოგო მე გამომყვებოდა? დავასწარი, მე თვითონ დავინუნეო...

ვერაფერს იტყვი, ხაბაძისეული ლოგიკააა, თანაც წყალი რომ არ გაუვა, – ისეთი.

...

ხაბაძეს დანიშნული ჰყავს – ტანადი, თვალადი, პირმშვენიერი გოგონა. ეამაყება ზურაბს და დაჰყავს მეგობრებთან, ნათესავებთან ოჯახებში. ორ-სამჯერ მეც მასტუმრა. ყველაფერი კარგად მიდის.

ერთხელაც გამომიცხადა – გადავიფიქრე, არ ვარ მაგაზე დამქორწინებელი, რალაც არ მოვიდა გულთანო.

ზურაბისგან ასეთ გადანყვეტილებებს ჩვეული, მის გადარწმუნებას უშედეგოდ ვცდილობ, მერე კი, „პრაქტიკული“ ვხდები და მეგობარს ვუხსნი, რომ ის გოგო ოფიციალურადაა მასზე დანიშნული, თანაც ხაბაძეებს საკმაოდ დიდი ძვირფასეულობა აქვთ მისთვის მიტანილი.

ზურაბისთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. – მაგას თვითონვე დამიბრუნებენ, თუ არა და არც ეგ მადარდებსო, – მპასუხობს დაარხინებით.

ორიოდე კვირის შემდეგ საპატარძლოს მამა მოკრძალებით მიდის სასიძოს მამასთან და დიდი ბოდიშებით ნიშანს უბრუნებს, – ჩემი შვილი ვერ გაჰყვება თქვენსას და ერთმანეთს კაცურად გავუგოთო...



მანც რა მოხდა?

ხაბაძე თავის რჩეულს სისტემატურად პატიჟებდა კინოში ინდური ფილმების სანახავად. ჟურნალის დამთავრებისთანავე საცოლის გვერდით მჯდომი ზურაბი ხვრინვას იწყებდა, ირგვლივ მყოფთა აღშფოთებას კი საზღვარი არ ჰქონდა.

მეხუთე თუ მეექვსე ასეთი „სეანსის“ შემდეგ ნერვებდანყვეტილმა საპატარძლომ მშობლებს კატეგორიულად განუცხადა: მეხუთე სართულიდან გადავხტები, თუ კიდევ მისხენებთ მაგ დამთხვეულის სახელსო...

...

გერმანია-ჩეხოსლოვაკიაში მიმავალი ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელად დამნიშნეს. ჯგუფის ფულის გადასახურდავებლად თბილისში წასვლა იყო საჭირო. თანხა საკმაოდ დიდია – ორმოცი ათასი მანეთი. სარისკოდ ჩავთვალე ამხელა ფულით მარტო მგზავრობა და „დაცვა“ უსაქმურად მყოფ ხაბაძეს ვთხოვე. სიამოვნებით დამთანხმდა.

ჩავედით თბილისში. უტრანსპორტობით შენუხებულები ხალხით გაჭედულ ტროლეიბუსში ავედით – მე წინა ასასვლელიდან, ზურაბი – უკანა კარიდან. განძრევის საშუალება არაა. ფულით გატენილ ხელჩანთას მაგრად ვუჭერ ხელს. უცებ ზურაბი მეძახის – დათო, დათოო!.. „– რა გინდა მეტეი“, ვანიშნებ თვალებით. რომ იცოდნენ, მაგ ჩანთაში ორმოცი ათასი მანეთი გაქვს, ხომ წაგართვა ვილაცამ და გადახტა ტროლეიბუსიდან, მე შენ გეტყვი, დაენევი და დაიჭერო...

სისხლი მეყინება. პირველსავე გაჩერებაზე ჩავდივარ. ხაბაძე უკან მომდევს და მსაყვედურობს: – აქ რა გვინდა, კაცო, ლენინის მოედანზე არ უნდა ჩავსულიყავით?

– რანაირი ხუმრობა იცი, შე აბდალო-მეთეი? – ვტუქსავ.

– მაინტერესებდა, რა სახეს მიიღებდიო, – მპასუხობს შეძრწუნებული სახის ძიებაში ჩაყურყუმალებული მხატვარი...

...

ზამთარია. ნუგზარ ჯაფარიძე, ალეკო ჯიბლაძე და ზურაბ ხაბაძე მახინჯაურში, რესტორანში დავპატიჟე. დიდებულად ვიქეიფეთ. უკან დაბრუნებულები მანქანაში ზურაბს ვაქილიკებთ. ბარცხანაში მხატვარი მთხოვს, მანქანა გააჩერეო. ვაჩერებ. გადმოვიდა. კარგად იყავითო, – გვემშვიდობება, – სულ თქვენ ხომ არ შეგანუხებთ, ტაქსის დავიჭერ და გავყვებიო.

ვხვდები, რომ ნაწყენია და ვეფერები: – ოღონდ ახლა მანქანაში ჩაჯექი და ურეხში, შენს მშენებარე სახელოსნოში წამოვალთ-მეთეი.

დავიყოლიეთ. ავდივართ ურეხში.

ზამთარია, როგორც მოგახსენეთ. ზურაბი ჩამოდის მანქანიდან. უცებ რალაცამ გაახალისა: თავისი „დუბლიონკით“ სახელოსნოს გვერდით წყლით სავსე აუზში ჩახტა, მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და – ვინც არ ჩამოვიდესო... ალეკო ჯიბლაძეც მთელი „ალკაზმულობით“ მძიმედ ხტება წყალში. ნუგზარი შედარებით „ფრთხილია“ – იხდის პალტოს, მერე შარვალ-კოსტიუმს და ნიფხავ-პერანგის ამარა ხტება ყინულივით ცივ წყალში. მანიშნებენ – ჩამოხტეო. „თავაზიანად“ ვუჩვენებ სამი თითის კომბინაციას და მივძახი: – მანამ ნუ გათბებით, სანამ მანდ ჩამოვალ, თქვენ კი ჩემს მანქანაში როგორ ჩასხდებით, იმასაც ვნახავ-მეთეი...

ერთი კვირა არ გაშრა მანქანის სალონი.

ნუგზარ ჯაფარიძეს ვუთხარი, – ბარემ მთლად გაგეხადა და ისე ჩამხტარიყავი წყალში-მეთეი.

– ცივი იყო წყალი, შემცივდებოდაო, – ჭკვიანი სახით ამიხსნა.

ზურაბთან დაკავშირებულ თემას, ალბათ, ისევ მივუბრუნდები.

## შოშია

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტში წინასაბიურო თათბირია. სანევრო ანარიცხების აკრეფა-ჩაბარების საკითხი იხილება. დრამატურგ ალექსანდრე ჩხაიძეს დიდი დავალიანება აქვს. ინსტრუქტორი ნუგზარ მალულარია კითხულობს დადგენილების პროექტს, რომლის ფინალშიც დრამატურგის პარტიის რიგებიდან გარიცხვაა გათვალისწინებული.

მდივანს ვთხოვ, დამართოს ნება შეკითხვა დაუფსვა ინსტრუქტორს. ვლებულობ ნებართვას და ვეკითხები, თვითონ რამდენ მანეთს იხდის პარტიის სანევროს. სამ მანეთსო, – ამაყად მპასუხობს ინსტრუქტორი. შემდეგ მდივანს მივმართავ: – ბატონი ალექსანდრეს სანევრო ქალაქკომის სამი ინსტრუქტორის ხელფასს უდრის თვეში, გამოდის, რომ სანევროთი ის სამ ინსტრუქტორს ინახავს. სირცხვილი არ იქნება, ნუგზარ მალულარია დავტოვოთ პარტიაში და ალექსანდრე ჩხაიძე გავრიცხოთ?

მდივანი სიცილით მეთანხმება და ინსტრუქტორს სთხოვს, შესწორება შეიტანოს პროექტში...

ასე დავტოვე შოშია ლენინის იდეების მხარდამხარ. ამის გამო ბევრჯერ მომისმენია საყვედური მისგან: სხვა რომ არაფერი, ეროვნულ მოძრაობას უმანდატოდ შევხვდებოდი, ამას აუცილებლად დამიფასებდა ახალი ხელისუფლებამ...

ახალმა ხელისუფლებამ გამომცემლობის დირექტორად დამინიშნა. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოური რუბლი ხმარებიდან ამოიღეს და აღებ-მიცემობა ეროვნული ვალუტით – კუპონით გაჩაღდა. ერთხელაც მოდის ჩემთან შოშია და მთავაზობს, მისგან შევისყიდო სამი ტონა საბეჭდი ქაღალდი, 1800 კუპონად.

მისი ენაკვიმატობის ამბავი რომ ვიცი, თავაზიან უარს ვეუბნები, არ ვურჩევ კუპონზე ქაღალდის გაყიდვას, ერთი სიტყვით, უნდობლობას ვუცხადებ ეროვნულ ფულს.

– ტი შტო! ეროვნული ვალუტაა, თანაც ერთი ერთზე დოლართან მიმართებაში! შენ თუ უარის თქმა გინდა, ზღაპრებს შეეშვი და პირდაპირ მითხარი!

მე მაინც ვერიდები შოშიას და მიზეზად ხელზე ფულის გაუცემლობა მომყავს.

ჩემს ანგარიშზე ჩამომირიცხეო, – ყველა გზას მიჭრის დრამატურგი. რაკი უკან დასახევი გზა აღარ მაქვს, ერთ კვირას ვაძლევ მოფიქრებისთვის.

ერთი კვირის შემდეგ შოშია მოდის გამომცემლობაში, – არაფერი მოსაფიქრებელი არა მაქვს, თუ კაი ბიჭი ხარ, ხელი გამიმართე და ეს ქაღალდი მომაშორეო.

ვეძახი ბულალტერს და ვაძლევ დავალებას: – ბატონი ალექსანდრე სამ ტონა ქაღალდში გვთხოვს 1800 კუპონს, მაგრამ ჩვენ გამოვიჩინოთ მის მიმართ დიდი პატივისცემა და ნაცვლად 1800-სა, მივცეთ 3000, ე.ი. სამ ტონა ქაღალდში 3000 კუპონს ვურიცხავთ ბატონ ალექსანდრეს პირად ანგარიშზე-მეთქი.

შოშიას თვალეები უფართოვდება, სიხარულით სახე უბრწყინდება, მეხვევა, მკოცნის და მეუბნება: შენზე ხომ ამბობენ, კარგი ბიჭიაო, კარგი კი არა, შენი ბადალი მეორე არ დადის ამ ქალაქში! მიპატიებია, პარტიიდან გარიცხვას რომ გადამარჩინე და ის ზარალიც, შენი წყალობით რომ მივიღე!

შოშიას სახელზე ბანკში მოთავსებულ მილიონ მანეთს, ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ მილიონ კუპონად ქცეულს, გამომცემლობიდან ჩარიცხული 3 ათასი კუპონიც შეემატა, გამომცემლობას კი 3 ტონა ქაღალდი დარჩა.

შვიდ კვირაში სამ კოლოფ სიგარეტს ძლივს ყიდულობდა 3 ათასი კუპონი.

ესეც შოშიას ეროვნული ვალუტა! ყველაფრის მცოდნე დრამატურგმა, მთელი ცხოვრება სხვისი საქმეების გარჩევა-მოგვარებას რომ შეაღია, ფულს ვერც ალლო აულო და ვერც გემო გაუსინჯა.

## ბალათერი

ახალგაზრდა მწერალთა საკავშირო ყრილობაზე ვართ მოსკოვში. სასტუმრო „იუნოსტში“ დაგვაბინავენ. ჩემს მეგობართან, უფრო ძმადნაფიცთან – ბალათერ არაბულთან ვარჩიე ნომერში ყოფნა. ასეთ დიდ ფორუმზე მიმავალი ლექსების ბნკარედებით დატვირთული ახალგაზრდა პოეტი ვოცნებობ ნარმატივასა და აღიარებაზე, და კიდევ მთარგმნელზე, რომელიც უთუოდ ძალიან ლამაზი პოეტესა ან ლიტერატორი ქალი იქნება...

მოსკოვში ჩასული სასტუმროშივე ვეცნობი ყრილობის მუშაობის განრიგს და თვალებს არ ვუჯერებ: ყველა მთარგმნელი მამაკაცია, ერთის გარდა, და ეს ერთი მოსკოველი პოეტესაც სწორედ ჩემთვის, უფრო სწორად, ჩემი ლექსებისთვის „შეურჩევიათ“!

ის ღამე ოცნებებში გავატარე, თუმცა ამოდ – მეორე დღეს შეხვედრა არ შედგა. ოცნებაში გათენდა კიდევ ერთი გრძელი და ლამაზი ღამე. ბოლოს, როგორც იქნა, „საშველი დამადგა“ – ყრილობის ორგანიზატორებმა მომძებნეს, წამიყვანეს და ფოიეში ჩემთვის უცნობ ახალგაზრდა ქალს წარმადგინეს, – თქვენ რომ ეძებთ, ეს არის ის ყმანვილიო.

გოგონამ ხელი გამომინოდა, – მე თქვენი ლექსების მთარგმნელი ვარო.

ელდისგან გავშრი და ენა დამება: ამდენი ხნის ნალოლიაგები ოცნებების სანაცვლოდ, ჩემს წინაშე იდგა ქალი, რომლისთვისაც მამაკაცი ქათინაურსაც ვერ გაიმეტებდა.

უცებ ავჩქარდი: პნკარედები სასტუმროში მაქვს, ხვალ გაახლებთ-მეთქი, – მოვუბოდიშე. ნუ წუხხართ, მე თვითონ გეახლებით სასტუმროშიო, – დამამშვიდა მთარგმნელმა.

ესლა მაკლდა! რაკი ბედს ვერსად გავექეცი, საქმეები მოვიმიზეზე და მთარგმნელ ქალთან საქმიანი შეხვედრა გაურკვეველი მომავლისთვის გადავდე.

იმედგაცრუებული და ოცნებადამსხვრეული სასტუმროში დავბრუნდი. დარდი ბიჭებს გავუმხილე. მთარგმნელი ქალის გვარის ხსენებაზე ბალათერი აწრიალდა: – რას ამბობ, ბიჭო, ეგ სხვა მთარგმნელებით არ გეგონოს, აქაური ჟურნალ-გაზეთები სულ მაგისი თარგმანებითაა სავსე, შენ თუ უარს ამბობ, მოდი, მე გამაცანო.

მეორე დღესვე წარვუდგინე ჩემთვის ღვთისგან ბოძებულ მთარგმნელს ბალათერ არაბული და ვთხოვე, ჩემს ლექსებთან ერთად, იქნებ, ამისიც გეთარგმნათ-მეთქი. „მძევლად“ ჩემი ლექსები გადავეცი და დავტოვე ბალათერთან ერთად.

დარბაზიდან გასვლისას მეგობარს თანაგრძნობით მოვუხედე. მოჭუტუჭუტე წყვილი ხელკავით მიმოდიოდა და ამკარა იყო, ძალიან ამაღლებულზე საუბრობდნენ.

სასტუმროში დაბრუნებულს მთარგმნელი ბალათერთან ერთად ნომერში დამხვდა. ხელში პნკარედები ეჭირათ და აზარტში შესულები ერთმანეთს რალაცას უმტკიცებდნენ. მყუდროების დარღვევისთვის მოვიბოდიშე და ის იყო, ნომრიდან გამოსვლას ვაპირებდი, რომ მთარგმნელმა ჩემს მონადინებას ცივი წყალი გადაასხა, – Я занята произведениями Багатера и не обещаю перевести больше двух-трех Ваших стихотворений! – და ლექსების უმრავლესობა უკან დამიბრუნა.

ჩავედი რესტორანში. ბადრი ჭოხონელიძესთან, თამაზ ბაძალუასთან და ავთო ჩხიკვიშვილთან ერთად მოვილხინე. შიგადაშიგ ბალათერის დაკარგვას ვდარდობდით. გვიან ღამით ნომერში ასულს ქალი ისევ დამხვდა. ერთი მომხედა – „მნე ნეკავდაო“ – და ის ორი სათუო ლექსიც უკან დამიბრუნა...

მივხვდი – ქართულ ხასიათს, მოსკოვეურ ჰავას და ოთახის სიმყუდროვეს თავისი ექნა.

ბალათერის ემბაკური გამოხედვა რომ დავიჭირე, გესლიანად ჩავუქართულე: თბილისში რომ ჩამოგაკითხავს, იმასაც ვნახავ, მაგასთან ერთად ქუჩაში როგორ გაივლი-მეთქი...

მთელი კვირა იბეჭდებოდა ბალათერ არაბულის ლექსები მოსკოვურ პრესაში. მთელმა საბჭოეთმა გაიცნო „ნილბიანი შემოდგომისა“ და „თაიას“ ავტორი. გამოხმაურება დიდი იყო, ჰონორარი – შესაბამისი.

ბალათერის ჩრდილში მოქცეულ ბიჭებს სათქმელი არაფერი გვქონდა – ჰონორარი მთლიანად იხარჯებოდა რესტორანში...

...

ყრილობა გრძელდება. ბიჭები ტრადიციას არ ვარღვევთ და თავისუფალ დროს სასტუმროს რესტორანში ვატარებთ.

ბალათერი ისევ დაგვეკარგა სადღაც. ვწუხვართ, მასზე ვსაუბრობთ. უცებ იღება რესტორნის კარები და თვალებს არ ვუჯერებთ: შემოდის ბალათერი და გვერდით მოჰყვება რუსული ზღაპრებიდან და ბილინებიდან გადმოფრენილი რუსი გოგონა.

უსიტყვოდ ვუთავისუფლებთ ადგილებს. სხდებიან. ბალათერმა წინდანინ დაიჭირა თადარიგი: ეს გოგონა ჩემი მეგობრის მეუღლეა და თვალი აუგად არ დაადგათო, – გვაფრთხილებს.

ჩემი მეგობრის ხომ არაა, მე ნუ მიკრძალავთ ყურადღების გამოჩენასო, – გააპროტესტა ბალათერის არგუმენტი ავთომ.

მე გვერდით მჯდომ ხევსურ ძმაკაცს ვეჩურჩულები და ვურჩევ, გამენდოს – რაც არ უნდა იყოს, ერთ ნომერში ვცხოვრობთ, უჩემოდ მაინც არაფერი გამოუვა და მერე ხვეწნა-მუდარა გვიანი იქნება.

მადლიერი თვალებით შემომხედა ბალათერმა – შენი იმედი მაქვს, თუ დამჭირდა, კიდეც გამიგებო...

აენყო ქეიფი. ლექსმა, ქათინაურმა და შამპანურმა თავისი ქნა, გოგონა საკმაოდ გაშინაურდა და მხიარული კისკისით აუბა მხარი ჩვენს პურობას.

საკმაოდ შემთვრალები საკუთარი ნომრებისკენ გავეშურეთ. ლიფტში ჩვენი ბიჭების სართულეებს რომ ავცდით, ბალათერმა შემომღრინა – მე რას მომდევო! პირობა მივეცი, რომ ნომერში ასვლისთანავე დიდი ჭიქით დაფურტყამდი ავთოს ჩამოტანილ გურულ ჭაჭას, ზედ ბოთლ ლუდსაც დავაყოლებდი და დილამდე მკვდარივით დავიძინებდი.

ასეც მოხდა. „თვითლიკვიდაციათ“ შედეგი არ დააყოვნა და სულ მალე მონყვევით დავეცი საწოლზე.

დილით კი რას ვხედავ:

წევს ბალათერის საბანში გახვეული ანგელოზი საწოლში, გვერდით კი სიცივით მოზუზული ხევსური მისწოლია და ზედ თავისი და ჩემი პალტოები ახურავს. სძინავთ ასე, ერთ საწოლში, ერთმანეთთან მიუკარებლად!

ხარხარი ამიტყდა.

– მოსკოვში ხარ, ბიჭო, მოსკოვში, ხევსურეთში კი არა! რა წაწლობა აგიტყდა, აქაც არ უნდა მიიშალო შენი ფეოდალური ადათი? – ვსაყვედურობ და თან სულს ძლივს ვითქვამ სიცილით.

დარცხვენილი ბალათერი დიდხანს მემუდარებოდა, კაცურად შემენახა მისთვის წამუსი.

ამაოდ:

ნახევარ საათში სასაუზმედ შეკრებილი ბიჭები ერთხმად ეკითხებოდნენ დაგვიანებით მოსულ ბალათერს მოსკოვური წაწლობის ამბავს...

## პრახი

5 მაისია – ზურაბ გორგილაძის დაბადების დღე. ვურეკავ მეგობარს, ვესალმები, ვულოცავ და ერთხელ კიდევ ვუდასტურებ მისდამი ჩემს დიდ სიყვარულსა და პატივისცემას.

სალამოს ჩემთან სახლში მოდის ნუგზარ ჯაფარიძე და მეუბნება: დღეს ბუღბუღას დაბადების დღეა, ჯემალ ბასილია რესტორან „ხიხანში“ უხდის იუბილეს, ქვევით გელოდებიან, უნდა წამოხვიდეო.

ვიკრიბებით რესტორანში – აზიზ ახვლედიანი, ნუგზარ ჯაფარიძე, ჯემალ ბასილია, ზურაბ გორგილაძე და მე. თამადა ნუგზარია – ოქროპირობს, ეფერება იუბილარ ძმაკაცს და სუფრის წევრებს.

შუალამე კარგა ხნის გადასულია. შევთვერით. არ მავინყდება, დილის 9 საათზე სამსახურში რომ უნდა ვიყო და ნუგზარს გამომცდელად ვეკითხები, ღვინო გვითავდება, ხომ არ მოვიტანო-მეთქი. არ არის საჭირო, მალე მივდივართო, – მშვიდად მპასუხობს ნუგზარი. სწორედ ამ დროს შემოდის ჩემთვის უცნობი მილიციელი და 22-ლიტრიან ბოცას მაგიდაზე დებს. ვიცანი ჯაფარიძის ემპაკობა, თან ჩვენი მდგომარეობა „მაფიქრებს“ და მომავალი დილის სცენარს წინასწარ ვჭვრეტ: ბატონი აზიზი დარეკავს სამსახურში პირად მდივანთან, წნევა მანუხებსო, ეტყვის, კარგად გამოიძინებს და ნაშუადღევს თუ მივა გამომცემლობაში. ზურაბი საერთოდ არ დადის „ჭოროხის“ რედაქციაში, არც ნუგზარი იკლავს სამსახურისთვის თავს. მე კი რა უნდა ვუთხრა საოლქო კომიტეტის მდივნებს, სალ-სალამათი წამოვედი სამსახურიდან და რა მიზეზი უნდა შევთხზა, ვინ რას დამიჯერებს?

– შენ პირდაპირ აქედან წახვალ სამსახურში, – ქილიკობენ ჩემზე, – ტყუილად ნერვულობ, სანამ სუფრა არ აიშლება, ფეხს ვერ მოიცვლიო...

ქეიფი დილის 7 საათზე დამთავრდა. სახლში მისულმა ცივი შხაპით გამოვიფხიზლე თავი, მოვწესრიგე და ზუსტად ცხრა საათზე, როგორც ყოველთვის, სამსახურში ვიყავი.

ვრეკავ გამომცემლობაში. მდივანი – ნუნუ გულიაშვილი საქმიანად მპასუხობს: ბატონ აზიზს წნევა ანუხებს, სპეცპოლიკლინიკაში გამოივლის, წამლებს მიიღებს და მოგვიანებით მოვა სამსახურშიო.

ახლა გუშინდელ იუბილარს ვურეკავ. – რას მალვძებო?! – ლომივით ბღღვინავს ბუღბუღი. მასთან საუბარს აზრი არ აქვს.

სამსახურში არც ნუგზარი მისულა.

ველარ ვისვენებ, ვრეკავ ნური ვერძაძესთან და დანვრილებით ვუყვები წინა დღის ამბებს. ორივეს განსაკუთრებით ის გვაცინებს, რომ ჩემი „წინასწარმეტყველება“ ასეთი სიზუსტით ახდა. უცებ თავში გენიალური იდეა მომდის. ნურის ვუმხელ. ვიცი მისი ხასიათი, ასეთ დიდებულ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებს...

რამდენიმე წუთის შემდეგ რედაქციაში რეკავს ნური ვერძაძე და ნუგზარის კორესპონდენტს ეკითხება: – ნუგზარი ხომ არ გამოჯანმრთელდება? თუ შეძლო სამსახურში მოსვლა, მალაპარაკეთო.

– ნუგზარი ავად არისო?! – აფორიაქებული ნაზიბროლა შერბის რედაქტორთან: – ბატონო ვახტანგ, ნუგზარი ცუდად ყოფილა, რამე ვიღონოთო!

ყოველთვის დინჯი ვახტანგ ნულუკიძე შენუხებული რეკავს სპეცპოლიკლინიკაში ნუნუ პერტიასთან: – ქალბატონო ნუნუ, ნუგზარ ჯაფარიძე ცუდად გვყავს, სახლშია, რამე გვიშველეთო!

– ნუგზარი ცუდად არისო? – შეიცხადა ახლა ექიმმა ნონა ჯაფარიძემ, ნუგზარის ბიძაშვილმა, ჯანდაცვის მინისტრის მეუღლემ და საავადმყოფოს ხალათითა და ფლოსტებით გავარდა ნუგზარის სანახავად. ნონას, ბუნებრივია, სპეცპოლიკლინიკის მთელი მედპერსონალი გაჰყვა უკან.

იმხანად ნუგზარი თავისი ცოლ-შვილით საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბარაკული ტიპის ქოხში ცხოვრობდა. შეცვივდნენ შიგ დაუპატიჟებელი სტუმრები და რას ხედავენ: ღვინის ოხშივარავარდნილ ოთახში მშვიდად წევს ნუგზარი მეუღლის გვერდით და სძინავს! ხმაურზე თვალი გაახილა, მაგრამ ვერ გაარკვია, რა ხდებოდა ირგვლივ, ან რა უნდოდა ამდენ თეთრხალათიანს მისგან და გვერდი იცვალა.

დაბნეულმა ნონამ რაკი ჯანმრთელად დაიგულა ბიძაშვილი, დაუმშვიდობებლად დატოვა იქაურობა. უკან მიყვა ასევე დაბნეული მედპერსონალი.

იმ დღეს პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან თათბირი ტარდებოდა ბათუმქალაქობასთან დაკავშირებით. ნუგზარი სამსახურებრივად იმ თათბირს უნდა დასწრებოდა. რედაქტორი იძულებული გახდა ჩაენაცვლებინა ვინმეთი და მის მაგიერ თათბირზე სერგო კაკაურიძე გაგზავნა. ბატონმა სერგომ მოუბოდიშა ქალაქკომის მდივანს – ნუგზარი ძალიან ავადაა, მის მაგიერ მე მოვედი, საქმე არ გაფუჭდება, ყველაფერი ისე გაანალიზდება, როგორაც საჭირო არისო.

...ჯაფარიძეს რაკი ძილი დაუფრთხეს, თათბირზე მივიდა. კარი რომ შეაღო, ბატონი სერგო უკვე ამთავრებდა თავის სათქმელს.

გაოცდა მდივანი. არ იყო აუცილებელი, ასეთი ავადმყოფი აქ მოსულიყავიო, – თანაგრძნობით უთხრა ნუგზარს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მდივანის კაბინეტში ბახუსის გაზებმა ამხილა ნუგზარის „ავადმყოფობის“ მიზეზი.

ფათერაკგამოვლილმა ჯაფარიძემ ისევ მე მომძებნა, თავისი „უმნიკვლო“ მეგობარი: – თედორე, წურიმ იბრეთობა დამმართა, წამო, გული მინდა გადავაცოლოო.

ერთხანს მანქანით ვისეირნეთ, მერე კაფეში რამდენიმე კათხა ლუდს ვეზიარეთ.

საკუთარი ნამოქმედართ ბოლომდე რომ დავტკბე, ვთხოვ, – ინსტიტუტში ავიდეთ წურისთან-მეთქი.

– დღეს არა, ნამეტანი ფინთათ ვარ, რაცხა წამომცდება და ვანყენინებო.

„ესეც შენ, დათო თედორაძე! კიდევ ერთხელ ხომ დარწმუნდი, რამოდენა გული ჰქონია შენს მეგობარს, შენს ძმას – ნუგზარ ჯაფარიძეს!“

რამდენიმე დღეში ამ ამბავზე მთელი ქალაქი იცინოდა. ჩემი ბრალეულობაც მალე გამჟღავნდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ნუგზარის ვნებათაღელვა უკვე დამცხრალი იყო. ამ და სხვა „დიდი“ ამბების გმირი ახალ ფათერაკებს ეძებდა.

## პარიზება

კომკავშირის აღზევების პერიოდია. ხულოს რაიონში საოლქო კომიტეტის ბრიგადა გაიგზავნა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესასწავლად. საკითხი ბიუროსთვის მომზადდა, განხილვის დროც დაინიშნა და კომკავშირის ხულოს რაიკომის პირველი მდივანი – თემურ აბაშიძე ოლქის პირველ მდივანს ურეკავს: – ორ მეტრამდე თოვლი მოვიდა, გზები ჩაკეტილია და პირველადი ორგანიზაციების მდივნები ბიუროზე ვერ ჩამომყავსო.

– რას ჰქვია ვერ ჩამომყავსო?! – ავარდა ოლქის პირველი მდივანი, – ბიუროს სხდომას ხომ ვერ ჩავშლიო, ხალხს თუ ვერ ჩამოიყვან, გაგათავისუფლებო!..

ხიჭაურამდე ფეხით იარა შეშინებულმა რაიკომის მდივანმა. ხიჭაურში ბათუმისკენ მომავალ სამხედრო მანქანას შეესწრო ბედად და რის ვაი-ვაგლახით ბათუმში ჩამოაღწია. ერთიანად სველმა და შეციებულმა შეალო პირველი მდივნის კარები. მაინც არ მოუღება გული პირველს, – ხომ შესაძლებელი ყოფილა ჩამოსვლაო, – დატუქსა და აღმზრდელობითი მუშაობა ისე ჩაუტარა ხელქვეითს, სიტყვაც არ ათქმევინა.

პირველის კაბინეტიდან გამოსული რაიონის ახალგაზრდობის თავკაცი საგონებელში ჩავარდა. რა ქნას, რა ცეცხლში გადავარდეს, წყალში როგორ ჩაყაროს ამდენი წვალემა კომკავშირული წინსვლისთვის. არადა, თოვაც არ კლებულობს...

ღამით გონება გაუნათდა. „ეს რა კარგი აზრი მომივიდა, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრეო“, – გაუკვირდა. „მე მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა ხალხის ჩამოყვანა ამ ყიამეთშიო!..“

დილით საკოლმეურნეო ბაზარში შეიარა. იქ ხულოელი ბიჭები კარტოფილს ყიდდნენ. გაუშინაურდა – რამდენს ვაჭრობთო, როდის ამთავრებთო? – მზრუნველის სიტბოთი გამოჰკითხა ყველაფერი. მერე სათქმელიც შეაპარა – თქვენ ამბობთ, ოცდაათ მანეთამდე ვვაჭრობთო. ხვალ ათი ბიჭი მჭირდება, ერთი-ორი საათით ბიუროზე წაგიყვანთ, თითოეულს ოცდაათ მანეთს გადაგიხდით, თქვენი კარტოფილი სად წავა, დაბრუნდებით და გაყიდით, ოღონდ წვერი გაიპარსეთ და ცოტა კობხტად ჩაიცვითო.

– ბიურო რა არისო, – იკითხეს გახარებულმა ბიჭებმა.

– ხალხის შეკრებაა პატარა დარბაზში, რალაცებს წაიკითხავენ, რალაცებს იტყვიან, გისაყვედურებენ, რასაც გეტყვიან, ყველაფერზე თავი უნდა დაუქნიოთო.

– მასე გავაკეთებთ, ეგ იოლიაო! – დათანხმდნენ.

მეორე დღეს წვერგაპარსული, გამოკობტავებული ბიჭები თავმონონებით წარუდგინა ბიუროს რაიკომის სტაჟიანმა პირველმა მდივანმა.

გაუხარდა ოლქის პირველს – დამოძღვრამ, შიშმა და აღმზრდელობითმა მუშაობამ გაჭრაო! შეაქო ხელქვეითი, ასე უნდა მუშაობაო.

მომხსენებელი რიხით კითხულობს დადგენილების პროექტს.

ბიუროს წევრები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უკეთ ისაუბრებს პროექტის გარშემო.

თავების ქნევით ეთანხმებიან კარტოფილით მოვაჭრეები.

„მაინც როგორ მოვიფიქრე, რა ჭკვიანი ვარო!“ – გულში ფიქრობს თემური და სახე უბრწყინავს.

საკითხის განხილვა ამოიწურა. ჯერი ოლქის ლიდერზეა – მან უნდა შეაჯამოს...

საშინელი სიჩუმეა.

უცებ – რას ჰგავს ესო! – მაგიდას მუშტი დაჰკრა ოლქის პირველმა, – რვა თვე ზამთარია ციმბირში, აბა ერთი წუთით თუ წყდება მუშაობა, რალაც ორი მეტრი თოვლი მოსულა და აწუნუნდით, ბათუმში ვერ ჩამოვალთო!.. ბათუმში ჩამოუსვლელობას გაჩვენებთ მე თქვენ, გამოუნერეთ ამათ ციმბირის საგზურები და ყველანი გაგზავნეთ ბამზე! ჭკუასაც ისწავლიან და მუშაობასაცო!

დარბაზი გასუსულია. რაიკომის პირველ მდივანს მკვდრის ფერი ადევს. სიჩუმეს ისევ მოვაჭრე ბიჭები არღვევენ: – არა, უფროსო, ჩვენ მასე მოლაპარაკებულები არ ვართო! აგერ თქვენი ფული, მოსატყუილებელი სხვა მოძებნეთო, ხულები რომ ვართ, თქვენზე ნაკლები რითი ვართო, თქვენი ბიურო-მიურო არ ვიცითო!.. – ფულები იატაკზე დაყარეს და აღშფოთებულები გავარდნენ გარეთ.

წარმოდგენელი მდუმარება ჩამოვარდა დარბაზში. ოლქის პირველი გაოგნებულია, ბიუროს წევრები მაგიდას ჩაშტერებიან. რაიკომის მდივანი ჩქარი ბატიფეხურით რალაცას წერს, მერე მდივანთან მიდის, აწვდის და ეუბნება: ნუ მომხსნით, განცხადებაა განთავისუფლებაზე, დანარჩენს მოგვიანებით აგისხნითო...

## მაილო

ზაფხულია, მგონი, ათას ცხრაას ოთხმოცდაორი წლის.

სტუმრები მყავს თბილისიდან – კოლეგები, მეგობრები, მეგობრების მეგობრები... ბევრი ვართ. რის ვაი-ვაგლახით დურსუნ დიასამიძის დახმარებით სარფში გასასვლელი საშვები გავუკეთე სტუმრების ერთ ნაწილს (ყველასი არ მოხერხდა) და იქითკენ გავემგზავრეთ.

ვინც ის დროება არ იცის, იმათთვის მინდა აღვნიშნო, რომ მაშინ სარფში გასვლა უფრო ძნელი იყო, ვიდრე დღეს, დავუშვათ, გერმანიაში ან შვეიცარიაში.

სარფის სევდით ნაჩხვლეტები და სილამაზით აღტაცებულები დავბრუნდით ბათუმში. ქალაქში დარჩენილი მეგობრებიც შემოვიერთეთ და მივადექით ზღვისპირა პარკში მდებარე ულამაზეს რესტორან „სალხინოს“, რომლის დირექტორი მაილო ჯაში და ადმინისტრატორები ჩემი მეგობრები იყვნენ და არიან. ამ პრესტიჟულ რესტორანს არ დავეჯერდი და უფრო პრესტიჟულ „ფაცხაში“ მოვინდომე ქეიფის გაგრძელება.

– არ შემიძლია, დაკავებულია, მაილოს გარეშე ვერ შევიშვებთო, – უარს მეუბნება სკოლის მეგობარი სულიკო კომახიძე.

საუბარში გართულებს მაილო მოგვიახლოვდა, – რაშია საქმე, რა პრობლემა გაქვთო? რა პრობლემა და სულიკო არ მიშვებს დამირის „ფაცხაში“-მეთქი (დამირი ქალაქკომის პირველი მდივანი იყო და „ფაცხის“ ყველაზე ხშირი სტუმარი). – როგორ თუ არ გიშვებს, შებრძანდით, თქვენზე უკეთესს ვის ვუმასპინძლებთო!

სტუმრები „ფაცხაში“ დავსვი და შეკვეთის მისაცემად გავედი. – რამდენი ხართო, – მაჩერებს მაილო. ცხრამეტი-მეთქი. კიდევ შემოიმატეთ ვინმეო, – იცინის, – შეკვეთა რა საჭიროა, რაცა გვაქვს, მოგართმევთო.

სუფრა თანდათან ივსება ხორაგით. სალათები, წითელი და შავი ხიზილალა, ზუთხი, კამბალა, ორაგული – ზოგი ბაჟეში ჩანყობილი, ზოგი – ნიორწყალში, ლანგრებით ორი გოჭი და თიკანი შემოაქვთ, წინილები, დედლები... შემოაქვთ და შემოაქვთ... საუკეთესო ღვინო – თეთრი, წითელი, შავი... ლამისაა ვიყვირო – „გაჩერდით, ეყოფა, ვის უნდა ამდენი, ვინაა ამის შემჭმელი-მეთქი!..“

ოფიციალტი დავიმართოხელე და ვთხოვ, აღარაფერი მოიტანოს. – მაილო პრიკაზალ, „უბიოტო“, – ჯიბეში ჩემს ხუთას მანეთს ვჭმუჭნი მაილოზე გაბრაზებული – რას მიკეთებს ეს კაცი-მეთქი! ვეძებ მაილოს – სადღაც წასულა. ვერც სულიკო მშველის: – ხომ გინდოდა დამირის „ფაცხა“, მე რა უნდა გიშველოო... უხასიათოდ ვბრუნდები სუფრასთან, უკან სამი ოფიციალტი მომყვება ლანგრებზე დანყობილი ხორაგით...

„ფაცხაში“ მხიარულებაა. მისთვის ჩვეული ექსტაზით თამადაობს ზურაბ გორგილაძე, ხოცავს ხალხს სიცილით დურსუნ დიასამიძე, მე კი ისევ ვჭმუჭნი ჯიბეში ჩემს ხუთას მანეთს და თავს ვიმტვრევ – სად ვიშოვო დანარჩენი...

ლხინი გრძელდება. ეს ოხერი ღვინოც რომ არ მეკიდება! ამაზეც ვბრაზობ და თან თავს ვიმშვიდებ – არაფერია, ხვალ თუ არა, ზეგ გადავიხდი, სამაგიეროდ, ჭკუას ვისწავლი, რა მინდოდა აქ, შევსულიყავი ინტურისტის კაფეში – ქაბაბი, ლანგეტი, მწვადი, მჭადი, ყველი, სალათი, მეტი რომც ინატრო და ითხოვო, ვინაა მომტანი!

ხილი შემოაქვთ. მარწყვი, ბალი, ქლიავი, ყურძენი, ვაშლი, ნესვი, საზამთრო...

მაილო უბერავს...

ოფიციალტთან გავდივარ, ანგარიშს ვითხოვ, – არ ვიცო. – როგორ თუ არ იცი, იანგარიშე-მეთქი. მაილო პრიკაზალ, უბიოტო, – დაზეპირებულივით იმეორებს...



„ფაცხაში“ ვბრუნდები. ახლა სხვა ეჭვი მჭამს: „ნეტა, რა უნდა მაილოს, რაში ვჭირდები... ყოველ საღამოს „სალხინოს“ ეზოში ვატარებ, ამაზე სასურველი ადგილი ბათუმში არ არის, არასდროს არაფერი უთხოვია, ნეტა, რა ხდება-მეთქი“, – ვფიქრობ და ვფიქრობ...

არ შემერგო ქეიფი.


დილით, სამსახურში წასვლამდე, „სალხინოში“ შევიარე. ოფიციალტმა არც ახლა მომცა ანგარიში – მაილოსთან შებრძანდითო. ღიმილით მხვდება დირექტორი: – მაგრად შეუბერეთო? ჩვენ კი არა, შენ შეუბერე, რა იყო ის? – რამდენი მაქვს გადასახდელი-მეთქი. – არაფერიო.

– როგორ თუ არაფერი, აბა ვინ გადაიხდის? – ვცდილობ დავაზუსტო. – არავინო, მთელი ზაფხული სხვისი სტუმრები დაგყავს აქ და ერთხელაც არ გითხოვია რამე შელავათი, არადა, ჩემგან წელიწადში ორი დაპატიჟება როგორ არ გეკუთვნისო!..

დირექტორის კაბინეტიდან გამოსულს სულიკო შემხვდა. – ჩემგან არ გენყინოსო, – მომიბოდიშა, – გუშინდელი პურმარილი დამირისთვის იყო შეკვეთილი, თბილისიდან სტუმრები ჰყავდა, აქ უნდა მოეყვანა, გეგმა შეიცვალა და შენ გაგიმართლა, ხომ იცი, მაილოს როგორ უყვარხარო!..

– გუშინ გეთქვათ ეგ, თქვე დალოცვილებო, ნერვულობაში სული რომ ამომხადეთ!.. არა, მაინც რა დამიჯდებოდა, გადახდა რომ მომწეოდა-მეთქი? – ბევრი არაფერი, ათას შეიდას ორმოცდათვრამეტი მანეთი და სამოცი კაპიკიო, – დამამშვიდა სკოლის მეგობარმა.

...ბათუმის ზღვისპირა პარკში აღარ დგას „სალხინო“. იგი მაილოს წაართვეს განსხვავებული აზრებისა და შეხედულებების გამო. თანდათან ოხრდებოდა პარკის მშენება, ხოლო ერთხელ, როცა მისმა ყოფილმა მფლობელმა სამი-ოთხი კაცის თანდასწრებით განაცხადა: ასი წელიც რომ გავიდეს, მაინც დავიბრუნებო, „სალხინოს“, ბედი გადაწყდა – შენობა მესამე დღეს აღიგავა პირისაგან მიწისა...



# ბიძუ ახადარი

## ბედის მკლავი

„ქვისგან ნაშობ თირთეს და ირმებზე მონადირე შოშეს  
ეყოლათ გოგონა და დაარქვეს მას ლილ“.

კლდეებს – ისრები, რაც სითბოსთვის დამიშენია,  
გამწირავ ხელებს სიცოცხლით ვივსებ,  
კედელზე – მინის კისკისი და სველი ღარები,  
რომელთა მხრიდან უსაშველოდ შეიყვარები,  
და გეტყვი: სული აიყოლე, მკლავი შენია,  
და ჩემი მკერდიც,  
მე გეტყვი: სული აიყოლე, მკლავი შენია,  
ცისკრის ღიმილი ტივტივებს ძილზე.

თითები მხოლოდ ახალშობილ სიკვდილს უვლიდა,  
და მხოლოდ მისთვის ვიყავი სარგო,  
შენ მოიტანე მომავალი ახალ მღვიმეში,  
თან მოიყოლე ცეცხლის ორთქლი, ღამის წვიმებში,  
წამოგიდუღდეს ყველა ფიქრი მამის გულიდან,  
პატარა გულში,  
წამოგიფოთლდეს ყველა ლოცვა დედის გულიდან,  
მისი ტოტები ბალებში დარგო.

და ცხრა ზღაპარი შენს ღამეებს ცაზე უნთია,  
სულისმომჭრელად კაშკაშებს ცხრავე,  
დამფრთხალ გაზაფხულს მხოლოდ შენი თვალი მოიყვანს,  
ცარცის გოგონას ლილისფერი თვალი მოიყვანს,  
ზამთრის ბოლოში რომ დააფრთხო ყინვების მეხმა,  
და ზეცას უშვერს ჩამომჭკნარ მკლავებს.  
ფრჩხილისოდენა კვირტებიც კი მგონია შენ ხარ,

და ვეფერები,  
ნეკისოდენა გირჩებიც კი მგონია შენ ხარ.

მინა მიშველის სიყვარულით, როგორც მშველოდა,  
ამონყდებიან ჩემი სიტყვები,  
რომლებიც წუხდნენ, იცინოდნენ, მუდამ ზრუნავდნენ.  
ზამთრების შემდეგ, ხელმეორე გაზაფხულამდე  
შენ ხელოვნური ყვავილებით მორთავ კენოტაფს,  
რიჟრაჟის ნისლში,  
შენ არტისტული ყვავილებით მორთავ კენოტაფს,  
მე რომ ვინვები და არ ვინვები.

კვაზარს ჩაბმული თეთრი ძაფის გორგალს მივათრევ,  
მთელი სინათლის წლების სიშორის,  
ძაფზე გედები, დაკიდული, ყელებს იწვდიან,  
მთვარის სიბნელეს იტირებენ, მქრალი მზის წყვილადს,  
როცა მოძებნი ჩემი გულის ყოფილ ბინადრებს,  
რიჟრაჟის ნისლში,  
რომ ჩამოუვლი ჩემი გულის ყოფილ ბინადრებს,  
და მათ ფუტურო ცრემლებს მიშოვი.

ბროლი წკრიალით დაიმსხვრევა ქვაზე თორმეტი,  
ლაყე დუმილს რომ ჯობდეს სიყალბე,  
გაიხსენებ, რომ მამა იყო ზღვის წვეთის წვეთი,  
ვით სიტყვა „სიტყვა“, თავის თავზე არაფრით მეტი,  
რადგან დათქმულ დროს მე მოვედი და არ მოვედი,  
და სანამ მოვალ, დროა, იქამდე.  
ათი ზღაპარი ამღერდება, მაინც – მეათე,  
გედების ფრთებქვეშ,

ათი ზღაპარი აცეკვდება, მაინც – მეათე,  
ვერც ერთ წიგნში და გონებაში რომ ვერ შეატევ.

### მაბრძნობინებელი

ქვა მომაქვს, რომ შენს დიდ ეზოში ხის ძირას დავფლა,  
მხოლოდ იმისთვის, რაც უნდა გითხრა,  
გავიზიარო ამ ტკივილის მეათასედი.  
თვალი ვერც ერთი, ვერც – ხელი და სიტყვა არც ერთი  
ამ დროს არაფრის მაქნისია, და ამათ ნაცვლად  
ქვამ თქვას თვალები, ხელები, სიტყვა.  
შენი ფრჩხილები, დახოკილი ლოყებით სავსე –  
შავი ღრუბელი ჭადრების თავზე.

მომაქვს ნახშირი, რომ დირეზე შიშველი ქუსლით  
დავფშვნა და ირგვლივ გაფანტოს ქარმა,  
რომ მე ვარ, და ვარ მონანილე ამ მწუხარების,  
და სადღაც შენთვის ჩამორეკეს გლოვის ზარები,  
როცა მტვერი ვარ და მტვრობითლა ვამბობ და ვუხსნი  
ტკივილს, რომელიც ცოტაც კი არ მაქვს.  
შენი ფრჩხილები, დახოკილი ცრემლებით სავსე –  
თეთრი ყვავები მუხების თავზე.

ნაცარი მომაქვს, რომ ჭიშკართან ჭალარა თმები  
გადავიფიფქო, ცალ მუხლზე დავდგე,  
რომ თანაგიგრძნო მცირედით და არ ჟღერდეს ყალბად,  
რადგან, ასეთ დროს, ეს ყველაფერს სჯობია, ალბათ,  
რადგან, თქვენ, როცა სამუდამო სიკვდილში წვებით,  
მე სწორედ მაშინ მიჩნდება საქმე.  
შენი ფრჩხილები, დახოკილი სინითლით სავსე –  
შავი გედები გორაკის თავზე.

მომაქვს ხანჯალი, რომ ნახევრად ამომშრალ ჭაში  
ჩავაგდო, რათა დაფაროს შლამმა,  
და რომ ეს არის სამძიმარი, რთულად სათქმელი.  
მე ვარ პირველად შენს თვალეში ცრემლის დამთვლელი,  
და რომ ხსოვნიდან, რომც ეცადო, ვერაფრით ნამშლი,  
დამიმახსოვრებ გულცივად ამაყს.  
შენი ფრჩხილები, დახოკილი სიკვდილით სავსე –  
თეთრი ყორნები ნეკერჩხლის თავზე.

მომაქვს ხანჯალი, რომ ნახევრად ამომშრალ ჭაში...  
ნაცარი მომაქვს, რომ ჭიშკართან ჭალარა თმები...  
მომაქვს ნახშირი, რომ დირეზე შიშველი ქუსლით...  
ქვა მომაქვს, რომ შენს დიდ ეზოში ხის ძირას დავფლა.

## პლანეტოს ეფექტი

მამას

ამ ლექსის დანერა  
ერთიოდე კვირის წინ გადავწყვიტე, მამაჩემო,  
შენი გამოგზავნილი, გაძეძგილი თურქული ჩანთა  
რომ ამქონდა სახლში და მესამე სართულზე,  
შესვენებისას, წიხლი რომ ჩავარტყი გაბრაზებულმა, – აი, მაშინ  
გადავწყვიტე, რადგან ისე მეტკინა,

თითქოს შენთვის ჩამერტყას,  
 რა უფლება მქონდა მე – ზარმაცს და უქნარას,  
 ჩამერტყა შენი ნაჯაფით სავსე ჩანთისთვის?!  
 მინდა გელაპარაკო, რადგან, მგონი, მე და შენ  
 გულახდილად არასდროს გვისაუბრია.  
 მერე რა, რომ ასეთი „ნაწერი“ შენთვის ლექსი არ არის,  
 ის კი არა, ერთხელ დედამ რომელიღაცა  
 ლიტ. ჟურნალი გამოგიგზავნა ჩემი ლექსების პუბლიკაციით –  
 გაუხარდებო. შენ, ალბათ, გაგიხარდა,  
 მაგრამ სალამოს მაინც დამირეკე და ჩემი ლექსები მიწასთან გაასწორე.  
 მე, ღიმილით, ამოდ გარკვევდი არაზუსტი რითმის სპეციფიკაში...  
 შენ ასეთი ლექსი მოგწონს:  
 „შატილს მინდია ც მოიდა,  
 ზერდაგით რვალიანითა,  
 ნელზე ნარტყამის ფრანგულით,  
 მკლავითა ფარიანითა,  
 თორმეტის ქისტის მამკლავი  
 შუბითა ტარიანითა.  
 ირემს ჰგავ მინდის წითლაი  
 შუბლითა მთვარიანითა.  
 ალუდას აუგს ეტყოდენ  
 სიტყვითა შხამიანითა.  
 ინყინა, შუბლი დაკეცა  
 ნაოჭით ზარიანითა...“  
 ან, ასეთი:  
 „საქართველოში იბადებოდნენ  
 და შემდეგ მუდამ ნუხდნენ ამაზე:  
 ეჰ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს  
 ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.  
 თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,  
 ის შეიძლება, ბრძოლაში მოკვდეს  
 ერთი იმედით: სიცოცხლე მარად  
 გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს...“  
 მეც მომწონს, მაგრამ, ვინაიდან, ეს „ლოგი“  
 „მონო“ უფროა, ვიდრე „დია“, – ნება მომეცი,  
 თვითონ გადავწყვიტო, რა ფორმის იქნება...  
 ვიცი, გიჭირს მარტო ცხოვრება,  
 მაგრამ შენ ქალაქში ვერ ძლებ დიდი ხნით,  
 მე კი – სოფელში.  
 ამას დედას და თათიას მოუცლელობას თუ დაუფმატებთ,  
 ერთადერთი გზა რჩება – დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც არის.  
 არა უშავს, ბოლოს და ბოლოს ყველანი ხომ ადრე თუ გვიან მოგვკვდებით,

და რა მნიშვნელობა აქვს ეს ურბანისტულად მოხდება თუ პასტორალურად,  
 მარტო, თუ სხვების თანდასწრებით,  
 რა მნიშვნელობა აქვს, სად გაგვითხრიან სამარეს...  
 ის ოქროსფერი ჩარჩო ხომ გახსოვს,  
 მამიდას სამსახურიდან რომ წამოვიღე ბავშვობაში?  
 თავიდან, თურმე, ლენინის სურათი იყო ჩასმული,  
 მერე გამსახურდიასი, მერე შევარდნაძის (ეს უკვე მეც მახსოვს),  
 მერე, მე ჩემი აკვარელის პეიზაჟი ჩავსვი,  
 მერე კი, ისევ წაულია მამიდას და მიშას სურათი ჩაუსვამს.  
 აი, ამ ჩარჩოსავითაა საფლავიც,  
 ის სტანდარტულია, უბრალოდ, სხვადასხვა ადგილებში დააქვთ,  
 რომ შიგნით სხვადასხვა მიცვალებული მოათავსონ...  
 აი, ცხოვრობ შენთვის, ანყობ გეგმებს, აპირებ დიდხანს სიცოცხლეს  
 და მოვა უცებ ვიღაც არამკითხე და ამოგიშლის სხეულიდან სულს,  
 როგორც მობილურიდან უკანასკნელ  
 მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, თუმცა შენ ეს სულაც არ გინდა...  
 მამაჩემო, შენ არ იცი,  
 რომ მე არ ვაპირებ, გავრისკო და მამა გავხდე,  
 რადგან, შეიძლება, ერთ დღესაც ზემოთ ხსენებულმა  
 არამკითხემ წამართვას შვილი...  
 მამები შვილთან ერთად კვებიან და მერე მხოლოდ მოსიარულე გვამები არიან,  
 დედებს კი შვილის სიკვდილი აკაჟებთ  
 და მერე დადიან საავდროლრუბელჩამონოლილი ციხე-სიმაგრეებით,  
 მე მინახავს ასეთი ციხე-სიმაგრეები,  
 მოსიარულე გვამებიც მინახავს...  
 ამბობენ, შვილის სიკვდილი ყველაზე დიდი ტკივილიაო,  
 წინასწარ გთხოვ პატიებას,  
 ამ ტკივილს ოდესმე თუ განგაცდევინებ...  
 მახსოვს, როგორ გარდაიცვალა ბაბუა „კუჩხა“ ღამით,  
 არც მანამდე და არც მერე შენი ტირილი არ მინახავს.  
 მახსოვს უშუქობა; მახსოვს, ერთ გაზაფხულს მერცხლების მაგივრად  
 როგორ მოფრინდნენ ვერტმფრენები;  
 მახსოვს, სკოლის ფანჯრიდან, როგორ ვუყურებდით  
 მესამეკლასელები სატვირთო მანქანის ძარაზე  
 მდგარ წვერიან, თავწაკრულ, მთვრალ ბიძებს, –  
 რომელიღაც ქურდულ სიმღერას რომ მღეროდნენ  
 და ჰაერში ისროდნენ.  
 მახსოვს ოთხზე მდგარი ნარგიზა მასწავლებელი  
 რომ გვიყვიროდა, დანექითო.  
 როგორ ვიფიქრებდით, რომ მასაც შეეძლო შიში.  
 მახსოვს, ჩვენს სოფელში მოსული დევნილები,  
 რატომღაც ყველა ერთმანეთს რომ ჰგავდა, –

მოშიებულები, შემცივნებულები...  
 დავდიოდით მე და მამიდა უბან-უბან,  
 ნათხოვარი ცხენით და ურიკით  
 (აკვარელით წითელი ჯვრები რომ მივახატე ორივე მხარეს),  
 გვაძლევდა კეთილი ხალხი სიმინდს, ლობიოს, მუხუდოს,  
 რომ მიგვეტანა ბაგა-ბაღში ჩასახლებული დევნილებისთვის...  
 მახსოვს, როგორ ვერ ვიტანდით ბავშვები „მჭად-პურას“,  
 მახსოვს, თამაშისას ბურჭებში, როგორ ვპოულობდით  
 უცნაურ ასაფეთქებელ მონყობილობებს და მასრებს.  
 კიდევ ბევრი რამე მახსოვს, თუმცა ცუდი კაცი მაინც არ გამოვედი...  
 რა მნიშვნელობა აქვს, არსებობს თუ არა ღმერთი,  
 მე მაინც, ყოველ კვირა დღეს სეფისკვერის სახით  
 ვყლაპავ მას, რომ დაგროვილი ბოროტებისგან  
 განვიკურნო და... ვიკურნები!  
 მამაჩემო, შენ არასოდეს გჭერია ხელში ავტომატი, –  
 მხოლოდ თოხი და ბარი გეჭირა,  
 და ამიტომ უფრო გაფასებ,  
 რადგან, ომში ადამიანებს ებრძვიან,  
 შენ კი მუდამ სტიქიას – მიწას ეომებოდი!

## ლინდა

მაშინაც ბარდნიდა,  
 კოჭამდე იდო თოვლი და წვებოდა ყრუ ბინდი,  
 ძროხები სუნთქვით ათბობდნენ  
 ჩვრებით ღრიჭოებამოქოლილ ბოსლებს  
 და არაფერი იყო რიგზე.

ეზოებში შედიოდნენ ნაფეხურები,  
 და იმავე ნაფეხურებით  
 ეზოებიდან გამოდიოდნენ ნაფეხურები,  
 თეთრფეროვნებით თავბრუდახვეული ქათმები  
 ქანდარებზე ისხდნენ და დუმდნენ  
 და არაფერი იყო რიგზე.

სახლებიდან კვამლი ამოდიოდა,  
 შობის წინა საღამო იყო,  
 სოფელში სისხლიანი თოვლის სუნი იდგა,  
 საღორეებთან ნაქცეული წითელი სიკვდილი,  
 თეთრ თოვლზე ნაქცეული წითელი სიკვდილი  
 ფერმკრთალდებოდა, თითქოს, არც ყოფილა  
 და არაფერი იყო რიგზე.

გრძნობდა ლინდა,  
 რალაცას გრძნობდა ნაგაზი ლინდა,  
 რალაცას ხვდებოდა გერმანული ნაგაზი ლინდა,  
 თავისი უშველებელი სახლიდან გამოყოფილი თათები  
 თოვლზე ელაგა,  
 თოვლზე დალაგებულ თათებზე უშველებელი თავი ედო,  
 თვალები მიელულა და ხვდებოდა,  
 რომ არაფერი იყო რიგზე.

მე ბავშვი ვიყავი  
 და მხოლოდ იმას ვგრძნობდი,  
 რომ ლინდა რალაცას გრძნობდა,  
 ჩემი უშველებელი ლინდა,  
 ჩემი პატარა ლინდა,  
 ჩემი ცხენი ლინდა,  
 ჩემი ძმაკაცი ლინდა  
 და მეგონა,  
 რომ ყველაფერი იყო რიგზე.

ლინდამ არ იცოდა მეგრული,  
 არც მე ვიცოდი გერმანული,  
 მაგრამ ჩვენ ჩვენი ენა გვქონდა,  
 ჩვენ მხოლოდ თვალებით ვსაუბრობდით,  
 ჩვენ მხოლოდ ხელებით ვსაუბრობდით,  
 ჩვენ მხოლოდ გულებით ვსაუბრობდით  
 და ყველაფერი იყო რიგზე.

ლინდას ჯაჭვი  
 ლობემდე გაჭიმულ  
 უდრეკ მავთულზე იყო მობმული  
 და ლინდა დადიოდა წინ და უკან,  
 მე და ლინდა დავდიოდით წინ და უკან,  
 ეს ოცმეტრიანი მარშრუტი იყო ჩვენი სამყარო,  
 რომელიც არასდროს იყო მოსაწყენი,  
 რადგან ხან ჩემი ცხენი იყო,  
 (ვემჩატებოდი ლინდას  
 და ვგრძნობდი, რომ უხაროდა ჩემი ტარება),  
 ხან – ხარი იყო,  
 რომელსაც კუსტარულ ურემ-ურიკას  
 თუ პატარა გუთანს გამოვაბამდი,  
 ხან მფრინავი დრაკონი იყო,  
 უფრო ხშირად ძმაკაცი იყო ლინდა  
 და ყველაფერი იყო რიგზე.



დიახ, სულ დაბმული იყო,  
 რადგან, როგორც ამბობდნენ,  
 სანდო არ იყო ლინდა,  
 არადა, კეთილი იყო ლინდა,  
 არასდროს არავისთვის დაუღრენია,  
 არასდროს არავისთვის დაუყეფია,  
 უბრალოდ, მე ვუყვარდი  
 და უბრალოდ, მე მიყვარდა  
 და ბედნიერები ვიყავით  
 და სხვა არაფერი გვინდოდა,  
 გარდა იმისა, რომ სულ ყოფილიყო  
 ჩვენი ოცმეტრიანი უდრეკი ბედნიერება  
 და ყველაფერი იყო რიგზე.

ტანსაცმელზე სულ ლინდას სუნი ამდიოდა,  
 ტანსაცმლიდან სულ ლინდას ბალანი მცვიოდა  
 და პირიც სულ ლინდას ბალნით მქონდა სავსე  
 და ყველაფერი იყო რიგზე.

მე ეს ჩვეულებრივი ამბავი მეგონა,  
 მაგრამ უფროსები, თურმე,  
 სხვანაირად ფიქრობდნენ  
 და არაფერი იყო რიგზე.

და როცა სახლებიდან კვამლი ამოდიოდა,  
 და როცა, შობის წინა საღამოს,  
 მთელ სოფელში სიკვდილიანი თოვლის სუნი იდგა,  
 მოვიდა კაცი, გამხდარი, უშნო და მაღალი,  
 ოცმეტრიან უდრეკ ბედნიერებას  
 ჩახსნა ჯაჭვი და წაიყვანა ლინდა  
 და რა უნდა ყოფილიყო რიგზე?!

მე მაკავებდნენ და კიდევ მაკავებდნენ,  
 ვტიროდი და კიდევ ვტიროდი,  
 ვბლაოდი და კიდევ ვბლაოდი  
 და რა უნდა ყოფილიყო რიგზე?!

ლინდამ მომხედა  
 და მხოლოდ ერთხელ დამიყეფა  
 თბილად და სევდიანად,  
 ადამიანივით დამემშვიდობა ლინდა  
 და მე მივხვდი,

რომ ლინდამ მეგრული ყოველთვის იცოდა,  
 უბრალოდ, დროს ელოდა,  
 რომ დამლაპარაკებოდა  
 და ახლა დრო იყო... იმასაც მივხვდი,  
 რომ ლინდა ამ დღესაც ყოველთვის ელოდა.  
 ჭკვიანი იყო ლინდა,  
 მე კი სულელი ბავშვი ვიყავი  
 და რა უნდა ყოფილიყო რიგზე?!..

კარგა ხნის შემდეგ,  
 როცა ძლივს გავიგე იმ კაცის მისამართი,  
 მივედი და გავიხედე  
 ცოცხალი ეკლის ლობეში,  
 იწვა აშვებული ლინდა პატარა ლინდებს შორის  
 და არც ისე ბედნიერი ჩანდა  
 და მე გავბრაზდი და ვიეჭვიანე პატარა ლინდებზე,  
 მე რა ვიცოდი, რომ „ლინდა“ გოგოს სახელი იყო,  
 რომ ლინდა გოგო იყო,  
 რომ ლინდას შვილების გაჩენა შეეძლო  
 და რომ გოგოებს შეუძლიათ ბიჭებზე უკეთესი ძმაკაცობა?!

მალევე მოკვდა ლინდა,  
 დაუკითხავად და უმიზეზოდ, ადგა და მოკვდა,  
 იცოდა,  
 რომ შვილებს წაართმევდნენ და გაუყიდდნენ,  
 ამიტომ ადგა და მანამდე მოკვდა,  
 ჭკვიანი იყო-მეთქი ლინდა.

და როცა მოკვდა ლინდა,  
 ავდექი დილაუთენია,  
 ჩამოვხსენი შუაღმოსავლეთის ჭვარტლიანი ჯაჭვი,  
 ერთი ბოლოთი მავთულზე ჩავაბი,  
 მეორე ბოლო წელზე შემოვიხვიე  
 და დავინყე წინ და უკან სიარული,  
 მეც ვიყავი და ლინდაც,  
 „მეც“ ვიყავი და „ლინდაც“,  
 „ლინდაც“ ვიყავი და „მეც“,  
 და არ იყო არაფერი რიგზე,  
 მაგრამ იყო ყველაფერი რიგზე,  
 რადგან ისევ ცოცხლობდა  
 ოცმეტრიანი უდრეკი ბედნიერება.

### ამ ვალგოსდელი ფოთლებისტვის

თუმცა ამითი არაფერი დამთავრებულა,  
და მე ეს ვიცი,  
რომ ამჯერადაც არაფერი დამთავრებულა,  
მაგრამ სხვაგვარად ხდებოდა ადრე,  
ქარი სამხრეთით ჩემი ზეცის ღრუბლებს მიდენის,  
და ფიქრით მიმაქვს სტრიქონები, ზუსტად იმდენი,  
შესამოსელად რომ ეყოთ ჭადრებს.

რა მსუბუქი ხარ – რა გიშველო – და რა დღემოკლე,  
პეპელასავით,  
რაც მსუბუქია, ყველაფერი არის დღემოკლე,  
და სხვის ჭკუაზეც ადვილად დადის,  
ნუ ჩავარდები მდინარეში, თორემ გალღვები,  
გამხმარ სხეულზე დაწყვეტილი შენი ძარღვები  
მტკივა, ლანჩებქვეშ – ხრაშუნი მათი.

იქ, წყალზე, თევზი ეგონები, ალბათ, თოლიას,  
და დაგაცხრება,  
რადგანაც თევზი ეგონები, ალბათ, თოლიას,  
აქ შენნაირთა გაყრია გროვა,  
შენი დანერა ძნელი საქმე სულაც არ არი,  
მაგრამ დაწყება რთულია და მუდამ მთავარი,  
ხოლო ფინალი თავისით მოვა.

ეს ცივი ქარი, ეს ოხერი, ზურგზე შეგისვამს,  
და მე გილოცავ,  
რომ ცივი ქარი, ეს ოხერი, ზურგზე შეგისვამს,  
და მოგატარებს მოლუშულ კორდებს,  
მეც დავესწრები გაფრენაში შენს ამ ნათლობას,  
ხოლო მანამდე გადაგიხდი გულით მადლობას,  
რომ ამჯერადაც ჩემი ხე მორთე.

დაგელოდები, ვიცი, ეს დროც მალე გაივლის,  
შენც კარგად იცი,  
დაგელოდები, ვიცი, ეს დროც მალე გაივლის  
და შენს მშობელშიც ჩადგება წვენი.  
სანამ მოათრევს ციმბირული ზამთარს ლაიკა,  
მოშიებული მიწა შეგჭამს, – სულს კი დაიბამს,  
მაგრამ ვერასდროს გაძლება შენით.

ჩემი გული ხარ ერთ-ერთი და ხელში მიჭკნები,  
და ამას ვხედავ,  
ჩემი გული ხარ ერთ-ერთი და ხელში მიჭკნები,  
ვერ მემსახურე – და გმადლობ – მეტხანს,  
ყველგან, ყველასთან და ყოველთვის ვამბობ სულ იმას,  
რომ, ყოველ ზაფხულს, ათასობით მწვანე გული მაქვს,  
ათასობითვე ერთბაშად ფეთქავს.

და სათითაოდ მწყდება გული, როცა დრო მოვა,  
და ამას ვხედავ,  
რომ სათითაოდ მწყდება გული, როცა დრო მოვა,  
ამ უკანასკნელს თავისი მიაქვს,  
მე, დაკნეტილი ტუჩებით და სველი ღანვებით,  
ვერაფერს ვიზამ, ამჯერადაც ყურზე დავწვები  
და ვერ გავიგებ შენს ბოლო შრიალს.

თუმცა ამითი არაფერი დამთავრებულა,  
და მე ეს ვიცი,  
რომ ამჯერადაც არაფერი დამთავრებულა,  
და უნდა შევხვდე ყველაფერს მშვიდად,  
ერთხელაც წავალ სანადიროდ, როგორც ესავი,  
როცა დაღლილი წამოვწვები, ვნახავ, შენსავით  
ბოლო ღმერთი რომ მოწყდება ციდან!

## სენსლისა

ცარცისგან არის ჩემი გოგო, ლილის თვალებით,  
ფოთლებში სძინავს,  
ხო, ცარცისაა ჩემი გოგო, ლილის თვალებით,  
სურვილებს, თითით, ლოყაზე მანერს,  
მან იცის, როცა ჩამოკრავენ წასვლის ზარები,  
1. მამაც გაჰყვება ქარგეზა კაცებს.

ნახშირის არის შენი ბიჭი და ღამით დგება,  
არც არის დღისით,  
ის მხოლოდ ღამის სიბნელეში ნაცრიდან დგება,  
როცა ჯერ კიდევ შორსაა დილა,  
ცეცხლის ორ ნახევს გამოიბამს მცხუნვარე ფრთებად  
2. და თავის ნაცრით ჩემს მინდვრებს თრთვილავს.

ჩემს ნაფეხურებს აღარ აწვიმს, აღარც ბალახი,  
დავრბივარ ისე,  
აღარ ამოდის, რა ხანია, მათზე ბალახი,  
რამდენ წვეთს ვაქრობ და ღეროს რამდენს,  
შენი ეშმაკი, ცეცხლისდედავ, წყევლით და ლახვრით,  
3. ვგრძნობ, რომ, ყოველთვის, ფეხდაფეხ დამდევს.

ეს უსარგებლო ნაფოტები, დე, იყოს მისი,  
მე არ მჭირდება,  
ჩემი ცულიდან ასხლეტილი, დე, იყოს მისი,  
რადგან რწმენით და იმედით მავსებს.  
განა იმდენი კაცი არის ზედ გაკვრის ღირსი,  
4. რამდენი ჯვარიც აღემართე გზაზე.

თავთუხის ყანა, ამალამაც, საოცრად ღელავს,  
დალპობის შიშით,  
თავთუხის ყანა, ამალამაც, ძალიან ღელავს,  
და გამორიყავს უამრავ ავსულს,  
და გაუყვება ჩემი თვალის ცეცხლი და ელვა  
5. ჯვრებს შორის გაბმულ ეკლიან მავთულს.

ლოლუა პურით ვიკერავდი გარღვეულ ნიავს,  
რომ მეცვა ტანზე,  
ლოლუა პურით ვიკერავდი გარღვეულ ნიავს,  
და პირში ძარღვის ნაკუნნი მედო,  
ყვავებს მიჰქონდათ მოსავალი, ვით ახლა მიაქვთ,  
6. მე კი გულმშვიდად გავცქერი ფერდობს.

ჩემი ხარები, ზარმაცები, ტალახში წვანან,  
და ლანდი გასდით,  
ჩემი მშიერი ხარ-ძროხები ტალახში წვანან,  
თვლებდამპალ ურემს, აბა, რა დაძრავს,  
შენ შეგაბერდეს ეგ მარჯვენა, რომ ჩემი ყანა  
7. ორიოდ წუთში აქციე ნაცრად.

განა ვერ ვხვდები რა მოხდება ყველაფრის მერე,  
მზეს ისევ ვნახავთ,  
განა არ ვიცი, რა იქნება ყველაფრის მერე,  
თუ ჩემს ბელელში შემიგდე ქუდი,  
იქ შიმშილისგან საცოდავად დახოცილ მღრღნელებს  
8. ლელვის ტოტებზე დავკიდებ კუდიტ...

ჩემი გოგონა გაფრინდება მთებს მიღმა წელსაც,  
ფოთლების ფრთებით,  
ცარცის გოგონა გაფრინდება ზღვებს მიღმა წელსაც  
და თან წაიღებს ბზის მომცრო არგანს,  
გარდამოხსნილთან დაიჩოქებს, მოინმენდს ცრემლს და  
9. ნალურსმნალებში ყვავილებს ჩარგავს.

მათი ფოთლები მოარჩენენ ყველა იარას,  
თუკი დააფენ,  
მათი ფოთლები მოარჩენენ ყველა იარას,  
მათი ტანებით დაგინნავ გვირგვინს,  
მათი წვენიტ კი, ეს უბრალო ლექსი კი არა,  
10. დაინერება წიგნების წიგნი.

ხელჯოხიანი, მოღუშული ჩამივლის კაცი,  
თვალს გავაყოლებ,  
ხურჯინიანი, მოღუშული ჩამივლის კაცი,  
გადაგვიკითხავს ორივეს, მიდის,  
მე ვწერ სიცოცხლეს, გაქვავებულ მინაზე, ცარცით,  
11. შენ კი, ნახშირით, თოვლზე წერ სიკვდილს.

ქარს გამოვუსვი გამშრალ ყელში ყინულის დანა,  
და ტბაზე გდია,  
ქარს გამოვუსვი გამშრალ ყელში ყინულის დანა,  
და მასთან ერთად სიკვდილს შევები,  
მუხლამდე თოვლში გასუსული სიტყვები დგანან,  
12. როგორც დატბორილ ტყეში ხეები.

მარტის ყვავილებს ვაგროვებ და ძნებივით ვკონავ,  
და ჩრდილში ვანყობ,  
აპრილის ლექსებს ვაგროვებ და ძნებივით ვკონავ,  
და აწი ჩემთან ერთად ივლიან,  
რადგან მე ვიცი, რომ აზრია სიტყვების წონა,  
13. მნიშვნელობა კი მათი ჩრდილია.

სიტყვებმა მხოლოდ ის იციან, რაც ჩვენ არ ვიცით,  
სხვა არაფერი,  
დიახ, მათ მხოლოდ ის იციან, რაც ჩვენ არ ვიცით,  
ჩვენ არაფერი არ ვიცით თითქმის,  
იყუჩებიან ყურის ძირში ჩუმად, თავისთვის,  
14. ჩვენ კი ძებნაში გადაგვდის ხვითქი...

თვალის ფარდიდან ვიყურები, მთელი სამყარო.  
 ფოტოებივით  
 ჩემი თვალიდან შავ-თეთრი ჩანს მთელი სამყარო,  
 გათენებული დღეების მჯერა,  
 მე გთხოვ, რომ ერთხელ, ცადაწვდილო, თავი დახარო,  
 15. დატკეპნილ მიწას შეავლო მზერა.

გადმოვაბიჯე, ჩემს წინკართან ლეკვივით, აწმყოს,  
 და აქ მოვედი,  
 გადმოვაბიჯე ჩემს წინკართან განოლილ აწმყოს,  
 და გადმოვახტი დრო-ჟამის ლელეს,  
 დამრეც ფერდობზე, მუხლჩახრილი, ტირილად ვაწყობ  
 16. ქვებს – ისტორიის მდუმარე ცრემლებს.

გამოგიტირე, ცეცხლისქალო, შავ-თეთრი ქვებით,  
 ვამწკრივე ბევრი,  
 გამოგიგლოვე, ცეცხლისქალო, შავ-თეთრი ქვებით,  
 სიკომორები არიან მონმე,  
 არც ეს კლდეები, არც შვილი და არც ჩემი ძმები,  
 17. ცრემლებს, მარტოდენ, მენყერი მომწმენდს...

ვამბობდი: „ხეხილს ძველისძველი წყევლა შემოყვა,  
 და მე მიწია“.  
 ვფიქრობდი: „აპრილს უჩვეულო წყევლა შემოყვა,  
 ხავსმოდებული ამიტომ ვდგავარ,  
 ბაყაყსაც კბილი ამოუვა, სანამ შენ მოხვალ,  
 18. და ეს მდინარეც თავალმა წავა“.

სახეს ვუშვერდი დაუნდობელ მზეს და ქარ-წვიმებს,  
 ვიდექი დიდხანს,  
 კეფას ვუშვერდი გამმეტებელ მზეს და ქარ-წვიმებს,  
 ცრემლი მდიოდა დასჯილ ბავშვივით,  
 ბევრი გეძახე, როგორც იქნა, ხმა მოგაწვდინე  
 19. და შენც მოხვედი, მიწას ცარცი და თოვლს ნახშირი!



# ნათია როსტიაშვილი

## კვამლის ღმერთი

„შილილნიი... ში-ლა... შილილნიი... ში-ლა...“ – უკბილო, მუდამ გასტერილებულ პირში, უცნაურ ნოტებს ალბობს ლოთიჟორა. ახალგამომცხვარ მელოდიას, ღვინოში ჩანობილი პურის ლუკმასავით ლოლნის და ზემოდანაც, ბოთლში მორჩენილ წყალ-წყალა არაყს ყლუპ-ყლუპ აყოლებს.

საკუთარ თავთან ქეიფობს ლოთიჟორა, დროს ატარებს. მარტოკაცია, ერთი კოცონი უნთია, კინკილა სიმღერას ატრიალებს ჩახვეული „პლასტინკასავით“. თვითონ მღერის, თვითონ უსმენს და შიგადაშიგ, ტაშსაც არ ამადლის ამ თავის კენტად მოქეიფე თავს.

– შილილნი... ბავშო, – მამჩნევს, – მე ჩემ შვილიშვილსაც არ მაკარებენ და... შენ რა გინდა აქა?

– რავი... – ვამბობ და რატომღაც, ვახშმისთვის ნაყიდი ორივე პური ლოთიჟორასთან მიმაქვს, გვერდით, ბრტყელ ქვაზე ვუღაგებ. თითქოს შესანირი იყოს, ან – შესატანი – ჰე-ჰეი! გესმის, როგორ მღერის? – კოცონის ალს შესცივინებს, – კარქა მოუსმინე, ბავშო, ეგაა კვამლის სიმღერა. ეგაა მაგის თავისუფლების ხიმნი! ზოგი იტყვის, ვაიმე, საწყალი შეშა დაინვა... არა! შეშაზე არ იდარდო. მთავარი არი კვამლი! გაიგე? კვამ-ლი! შეშები არის

ციხე. მე კიდე ციხეს ვწვავ და კვამლს თავისუფლებაში ვუშვებ. მაგ კვამლის ღმერთი მე ვარ. აგე, ადის თავის ჭკუაზე ზემოთკენ თუ ვერა?! თავისუფლება ყველას უხარია, აბა, მამ როგორ?.. ჩემგან იცოდე, რასაც შუბლზე დაგანერენ – ეგა ხარ, ბავშო. მაგას შეშაში ჩაჯდომა დაანერეს. აი, ჩემს ირას ეგრე მალე წასვლა დაანერეს. იქით ვიმუშავეთ, აქეთ... ორი ბიჭი გზაზე დავაყენეთ და მორჩა. ირას ღმერთი მე არ ვიყავი, თორე არ გავუშვებდი. თუ რალაცა, მაინდამაინც... მე წავიდოდი, მაგას ეცოცხლა. მე წავიდოდი, ამის დედაც ვატირე. სუ შიშში მაინც არ ვიქნებოდი. ირაც იდარდებდა ჩემზე, განა არა... მარა ეგ ჩემსავით ალკაგოლზე არ შეჯდებოდა. ჩემსავით შიშშიც არ იქნებოდა – ჩვენი ბიჭები მაგას ხელს არ დაარტყავდნენ... გაჩუმდა. ცეცხლის ალს თვალი ააყოლა, მიაყურა და უცებ წამოხტა. ალგზნებულმა შესძახა: – მიდი, მიდი! აეგრე! შენი ღმერთი მე ვარ! გიშვებ! შილილნიი-ში-ლა!.. შილილნიი-ში-ლა!..

\* \* \*

წლები, ლოთიჟორას სახელდახელოდ გაჩაღებული კოცონებივით, უცებ ჩანაცრდნენ. სამსახურიდან ვბრუნდებოდი, მეზობელმა ჭუტალამ (მუდამ მოჭუტული თვალების გამო შეარქვეს) ცრემლშეკავებული ხმით რომ მითხრა:

– ჩვენს ბავშვობაში ლოთი ჟორა რომ იყო გახსოვს? „ლოთიჟორა“. აი, შვილებმა რომ სახლიდან გააგდეს, გვარცხვენო... წელან მოასვენეს... თავისივე დანთებულ ცეცხლში ჩავარდნილა, სულ დანახშირებულა საწყალი...

მთელი ღამე, ბავშვობაში ნანახი კადრი – ცოცხალი ჟორას ცეცხლისფრად განათებული პროფილი მედგა თვალწინ, ვერ დავიძინე. ვერც მისი, თუ კვამლის სიმღერის ტექსტი გავიხსენე. განთიადისკენ, როცა, ძილ-ღვიძილის საზღვარს იქით, როგორც იქნა, ნაბიჯი გადამიცდა, ვიგრძენი,



როგორ გაიჟღინთა ჰაერი კვამლის სუნით, როგორ გამოიშალნენ ლოთიჟორას ფანჯრებიდან, ჰაერში მოტივტივე უცნაური სიტყვები, როგორ აფრასავით აუშვეს იაფფასიანი არყის ოხშივარი და გალადდნენ: „ში-ლილ-ნიიი... ში-ლააა...“ ჰე-ჰეი, გიცანი! შენი „ხიმნიც“ ვიცანი, „შეშებიდან“ კი არადა, შიშებიდან ამოკვამლებულ კვამლის ღმერთო! ჰე-ჰეი, ლოთიჟორაააა!..

დილით დარდგაყურებული, გულმოცემული გამოვედი სახლიდან. ისევ ჭუტალა შემხვდა.

– სულ დანახშირებულა საწყალი... – ახლა უკვე, ნამტირალევი ხმით მითხრა.

– მაგაზე არ იდარდო, – მშვიდად გავუღიმე, – მთავარი არის კვამლი! კვამ-ლი. ვინ იფიქრებდა, თვალების ასე ფართოდ დაჭყეტა თუ შეეძლო ჭუტალას...

### საით ნავიდა ლოლა?

– როგორ მიხარია, ასეთს რომ გხედავ. – ჰენრი ზურგიდან მომეხვია. – ასეთს, როგორს? – გამეღიმა. ღია ფანჯარასთან ვზივარ. დაბერილი ნესტოებით შემოდგომის სურნელოვან ჰაერს დიდ ულუფებად „ვყლაპავ“, თან ჰენრის რიტმულად ვკოცნი მაჯაზე, ყოველი ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვისას. მგონია, ჰენრი ჩემთან ერთად დაიბადა და თავიდანვე ისევე ბუნებრივად ჩემი იყო, როგორც, ვთქვათ, ჩემი ხმაა. წარსული საერთოდ არ მახსოვს, – როგორ გავიცანი, რა თავგადასავლები გვქონდა?.. ყოველთვის ვარსებობდი მხოლოდ ანმყოში, – ახლა, ამ წამს, და თუ ვარ მე, ესე იგი, არის ჰენრიც. ჰენრის, სინამდვილეში, ვიქტორი ჰქვია. სახელი რომ გადავარქვი, მგონი, მხოლოდ ეს მახსოვს საკუთარი წარსულიდან. ჩემი დაკვირვებით, სახელები გავლენას ახდენენ ადამიანის გარეგნობაზე. სანამ ჰენრის ვიქტორი ერქვა, მაშინ მხოლოდ მიყვარდა. ახლა მომწონს კიდევ.

– მშვიდი დილაა, კარგ განწყობაზე ვარ. – ლოყა ხელისგულზე გავუხახუნე. კოცნა შევწყვიტე, სუნთქვა – არა.

– მიხარია, ძალიან მიხარია. – მკლავზე ხელი მომითათუნა. დიდი და თბილი ხელები აქვს. ზოგჯერ უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს ჰენრის ხელები და თვალეები მხოლოდ სხეულის ნაწილები კი არა, დამოუკიდებელი პიროვნებებია. ჰენრი – ეს მისი თვალებისა და ხელების ერთობლიობაა. მიყვარს ჰენრი. ერთიანობაშიც და ცალ-ცალკეც.

– სანამ მიხაილოვნა კატლეტს შეწვავს, ნავალ, ტელევიზორს ჩავრთავ. არაფერზე იფიქრო და არ მოიწყინო. შემპირდი, რომ არ მოიწყენ. – თავზე მაკოცა, სავარძელს შემოუარა, ჩემ წინ, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და გამიღიმა. ნიავმა ჯერ გამხმარი ფოთლები ააფარფატა ჰენრის ზურგს უკან, მერე ოქროსფერ ფოთლებნაქარგი ფარდა ააფრიალა, თან ერთი ხმელი ფოთოლი ოთახში შემოგვიგდო, ბზრიალით ჩამოსვა ჩვენს ფეხებთან. გავიფიქრე, თუ ჰენრი ჩემზე ადრე მოკვდება, ამ კადრით გავისხენებ ხოლმე: ფოთლებისა და ფარდის ფარფატში ჰენრის უძრავი, ოდნავ დაშვებული მხრები. ერთმანეთში ჩახვეული მეტყველი ხელები და დიდი, თბილი თვალეები. რაც დრო გადის, მის მზისფერობამდე ღია თაფლისფერ თვალეებს ხმელი ფოთლის ფერი ედება. მზისფერი თვალეებიდან თოვლისფერი თმებისკენ მიჰყავს დროს. შემოდგომაა ახლა ჰენრიში

– არ მოვიწყენ, გპირდები. – გავუღიმე. ადგა, იატაკიდან ფოთოლი აიღო, ნაწნავში ჩამიბნია. – ამას გიტოვებ. იცოდე, თუ სიტყვას გატეხ, აუცილებლად მეტყვის. – საჩვენებელი თითი ცხვირის წვერზე ჩამომისვა. ჰენრი გავიდა. ქარი ჩადგა. მე ისევ ვზივარ... ღია ფანჯრიდან მობუზული ადამიანების წყება მოჩანს. მხრებ და ყურებჩამოყრილები მიდიან, საფიქრალს ზურგით მიათრევენ. „ჩემი ცხოვრება ნაცრისფერია...“ – ტელევიზორში ცნობილი შოუს უცნობი სტუმარი მოსთქვამს. გავიფიქრე, – ადამიანები, რომლებსაც ფანჯრიდან ვხედავდი, ალბათ, ძალიან ჰგავდნენ ადამიანს, რომელსაც ჰენრი ტელევიზორში უყურებდა. კაცმა რომ თქვას, მე, ჰენრი და დედაც, დიდად არ განვსხვავდებოდით ამ ერთმანეთის მსგავსი ადამიანებისგან. ამოვიოხრე.

როგორ გინდა, ამ განწყობით პირობა შეასრულო?...იმ ვილაც(ებ)ის ცხოვრებისფერი პლედი მოვიხურე. გრილოდა.

\* \* \*

ლოლას ფანჯრიდანაც ასეთივე სევდისმომგვრელი ხედი იშლებოდა. მაღალ, მონყენილ შენობას ტანზე დაყრილი ალერგიასავით ადგილადგილ აჩნდა ამძვრალი ბათქაში. შენობის წინ ირიბად გადახრილ ხეს ძელსკამზე შემოელაგებინა ტოტები. მძიმე ჩანთებით დატვირთულ, დაღლილ ქალს ჰგავდა, – ნუთით რომ ჩამოჯდა სულის მოსათქმელად. ხეს ვერ ამჩნევდნენ ფიქრში გართული, მობუზული ადამიანები, მიწას ჩასჩერებოდნენ. ყველა თავისას ფიქრობდა. პატარა ვიყავი, ლოლას სახლის კარს შიშით რომ მივანეჭი. ეს ჩემი პირველი საიდუმლო იყო... ბებო მაფრთხილებდა, ჩვენი კორპუსის ბოლო სადარბაზოს მოვრიდებოდი, რადგან იქ, მესამე სართულზე, გიჟი ლოლა ცხოვრობდა. ამ სადარბაზოსთან გავლას მართლაც ყველა ერიდებოდა. მესამე სართულის ფანჯრიდან ხომ ხან თეფშები მოფრინავდნენ, ხან – ჭიქები, ხანაც – ხილი... ბებომ მშვენივრად იცოდა – ბავშვები იქით არასდროს მივდიოდით სათამაშოდ, მაგრამ დევიზს – „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ – არ ღალატობდა. ჩვევად ექცა, ყოველდღე დაუზარელად, ერთგვარი ნამღერებითაც კი მიმეორებდა: – სტასიი... იცოდე, ბოლო სადარბაზოში შესვლა კატეგორიულად გეკრძალებააა!.. საბოლოოდ იმას მიაღწია, რომ „აკრძალული ხილის დაგემოვნების“ დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა. ერთხელაც, ვერ მოვერიე დაუოკებელ ინტერესს, რომელმაც ჩემში ჩაბუდებულ შიშსაც კი სძლია... ერთ საღამოს, ბებომ პურის საყიდლად გამგზავნა. ქუჩაში გამოვედი თუ არა, მარცხნივ გაუხვიე. პურის მაღაზია მარჯვნივ იყო. მომეჩვენა, თითქოს ამ სადარბაზოში ნესტის სუნი გაცილებით მძაფრად იდგა, ვიდრე ჩვენსაში. ლიფტის თავზე ჩამოკონწიალებული დამტვერილი ნათურა, როგორღაც, ნერვულად ციმციმებდა. ინთებოდა-ქრებოდა. ინთებოდა-ქრებოდა... ჩვენი მეზობლის დაკლული მამალი გამახსენდა,

დაცალკავებული თავი და ტანი საზარლად რომ უფართხალებდა. რიგრიგობით ფეთქავდნენ: თავი-ტანი, თავი-ტანი... დავიზაფრე. უცებ, – ტკაც! – და ჩამოხნულა. – ააა!.. – წამოვიკვივლე და პირზე ხელი ავიფარე. იმის ნაცვლად, რომ გარეთ გავვარდნილიყავი, გიჟვით ავირბინე კიბის საფეხურები. თან გულში სართულებს ვითვლიდი: ერთი... ორი... სამი... სახლის კარი ოდნავ შეღებული დაეტოვებინათ. რაღაც ძალა, რომელსაც წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი, მიხმობდა, შიგნით მექაჩებოდა. კარს ვუყურებდი, თან შიშისგან ვკანკალებდი. ცალკე ლოლასთან შეხვედრის მეშინოდა და ცალკე იმის, რომ ჩემი ლამის საგულედან ამომხტარი გულის ბაგაბუგი ბებიაჩემის ყურამდე მიაღწევდა. ისიც ფანჯარას გამოაღებდა და გაბრაზებული დამიძახებდა: – სტააა-სიიიიი!.. მოჯადოებულებით ვიდექი ლოლას სახლის ზღურბლთან. ვნატრობდი, შიგნიდან ვინმეს კარი მიეჯახუნებინა, ჩაერაზა და ჩემთვის დაეყვირა, – აქაურობას მოსწყდი, შე წვლინტიანოო! მხოლოდ ასე თუ შევძლებდი ამ საშინელ ადგილს მოვშორებოდი და მისკენ აღარასდროს გამომეხედა. სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარი კი კვლავ მაცდურად იყო შეღებული... ზღურბლს გადავაბიჯე, სიბნელეში სამიოდე ნაბიჯი გადავდგი და კედელს ავეკარი. არ ვიცე, როგორ მოხდა, უცებ საკუთარი თავი წინიდან შევათვალე. „მოვკვდი, სული ვარ.“ – გავიფიქრე. ხელის თითები გაუბედავად ავამოძრავე, თავი მივატრიალ-მოვატრიალე. „მკვდარი ვერ შევძლებდი“. – თავი დავიმშვიდე, მაგრამ უბედურება ის იყო, მხოლოდ თითების ამოძრავება კი არა, მათი დანახვაც შემეძლო ისე, რომ ქვევით კი არა (ხელები ჩამოშვებული მქონდა), პირდაპირ მეყურა. გაუბედავად გავინოდე ხელი ჩემკენ. რაღაც ცივს შევხე. შიშისგან ტუჩი მოვიკვნიტე. უცებ გონება გამინათდა, – ჩემ პირდაპირ სარკე ეკიდა. ამ ამბავმა ისე გამახარა, ლამის ტაში შემოვკარი. ფეხაკრებით გავყევი ვინრო, ბნელ დერეფანს, რომელმაც ოთახამდე მიმიყვანა. ოთახში ნათურა არ ენთო, მაგრამ ისე არ ბნელოდა, როგორც დერეფანში. სარკმლის გისოსებს წრეებად დაეჭრათ მთვა-

რის შუქი – ჭიამაიასავით დაკოპლილიყო სინათლით იატაკი. ისეთი ლამაზი იყო, თითქოს ზღაპარში შევაბიჯე. მე კი გულის სიღრმეში ობობის ქსელებს და ღამურებს ველოდი... შვებით ამოვისუნთქე. როგორც ჩანს, – ხმამაღლა... რალაც შეირხა. დამფრთხალმა მხედველობა დავძაბე. ის იყო – ლოლა! ჩემკენ ზურგით იჯდა. თმას ინწავდა. არ შემოტრიალებულა. ხელით მანიშნა, მისგან მოშორებით მდგარ პატარა სკამზე ჩამოვმჯდარიყავი. დაძაბული ჩამოვჯექი. ხელები ისე მაგრად მოვმუჭე, ხელისგულებში ფრჩხილების ჩასობა ვიგრძენი. თავდახრილი, ქვემოდან მალულად ამოვცქეროდი. ლამაზი იყო. მის დახვეწილ პროფილში ვერც გაცემა ამოვიკითხე, ვერც გაბრაზება. მე, უცხო ბავშვი, მის ოთახში ვიჯექი. ნერვიულად ვძიძგნიდი ბეზოს შეკერილი კაბის არშიას და მის უგრძელეს ნაწნავს თვალს ვერ ვაცილებდი. მას კი არაფერი გაკვირვებია, არაფერი უკითხავს, თითქოს, ასეც უნდა ყოფილიყო.

– მთვარე ყოველთვის ნამგალა იბადება. მერე ადამიანები ჩვენს ფიქრს, დარდს, სევდას ვუგზავნი. ისიც იბერება, იბერება... ჩვენი სევდით ივსება... – სავსემთვარეობაა ამაღამ... – თქვა და გამაცია. კუდიანებისა და მთვარის კავშირზე, თითქოს, რალაც ვიცოდი, ბუნდოვნად მახსოვდა. წარმოვიდგინე, რომ ეს მშვიდი ქალი უცებ კუდიან დედაბრად გადაიქცა, მომვარდა, თმაში ხელი ჩამავლო და მთვარისკენ გამაქროლა. გულგახეთქილი წამოვხტი და სირბილით გამოვვარდი ჯერ ოთახიდან, მერე – სახლიდან, სართულიდან, სადარბაზოდან...

მეგონა, იმდენი ხანი გავიდა, სადაცაა გათენდებოდა, მაგრამ გარეთ ყველაფერი ისე დამხვდა, თითქოს აქ რამდენიმე წუთის წინ ვიყავი. განათებულ მაგიდასთან კაცები ისევ ნარდს თამაშობდნენ, თან რალაცაზე გულიანად იცინოდნენ. მეზობლის ქალი ისევ ბაფთიან ძაღლს ასეირნებდა. ვილაც პიანინოზე „ძაღლების ვალსს“ უკრავდა. მოკლედ, ყველაფერი ძველებურად იყო. შვებით ამოვისუნთქე. უცებ, ჩემი საქციელის შემრცხვა. რას იფიქრებდა ლოლა? ქალი მშვიდად იჯდა, თმას ინწავდა. მე კიდევ ნამდვილი შეშლი-

ლივით მოვიქეცი – გამოვიქეცი. პური ვიყიდე. რატომღაც ამაყად შევედი ჩემს გაჩახჩახებულ სადარბაზოში, სართულზე, სახლში, ოთახში. – გამაგიჟებ შენ მე, – მკაცრად მითხრა ბებომ, – რა გარბენინებდა? როგორ გაოფლილხარ!

იმ დღის შემდეგ ლოლასთან სტუმრობა ჩვეულებად მექცა. როგორც კი საშუალება მომეცემოდა, მის სადარბაზოში შევრბოდი.

– თმა ადამიანის სულია. გაშლილი თმით მხოლოდ თავისუფალი ადამიანები დადიან. მე ვინწავ, – მითხრა ლოლამ ერთ-ერთი სტუმრობისას. უფრო სწორად, კი არ მითხრა, – თქვა. ჩემკენ არც მაშინ გამოუხედავს. შემდეგი მისვლისთვის ბებოს დავანწევინე. ძალიან მინდოდა, ლოლას შეენიშნა. რამდენჯერმე ჩემი პატარა თოჯინაც კი „დამივარდა“. არ გასჭრა – არ გამოუხედავს. ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. ის ფანჯარას მისჩერებოდა, მე – მას. ორივენი საკუთარ ნაწნავს ვანვალბდით. მერე ავდექი, სანამ ოთახიდან გავიდოდი, თავი გააქნია, ღრმად ამოისუნთქა და თქვა: – ნუ შეეჩვევი... ყველა ნაწნავი თოკია... ყოველთვის მშვიდად, აუჩქარებლად საუბრობდა. ზოგჯერ ვერ ვუსმენდი. მის მუდამ ჰორიზონტს მიჯაჭვულ ხავსისფერ თვალებს მივჩერებოდი და შავ წინწკლებს ვუთვლიდი. სუნთქვისშემკვრელი, დამაბნეველ-გამაბრუებელი თვალეები ჰქონდა: მუქმწვანე გარსზე ჭორფლივით ეყარა შავი წერტილები. გამოგხედავდა და თითქოს ათ-ათი გუგით გათვალეირებდა. ბრრრ!.. კიდევ კარგი, თითქმის არასდროს მიყურებდა. გატრუნული ვისმენდი მის მონათხრობს. ეს ამბები ისევე ბუნებრივად და მარტივად შემოდიოდნენ ჩემში, როგორც სუნთქვისას ფილტვებში ჰაერი. ოღონდ ჰაერივით იოლად ველარ „ამოვისუნთქავდი“ ხოლმე. მრჩებოდნენ, ილექებოდნენ, და თუ რომელიმე აღარ მახსოვდა, არა იმიტომ, რომ დავივიწყე, უბრალოდ, სხვა ამბების სქელი ფენის ქვეშ იყვნენ მოყოლილები. გაგონილი მქონდა, რომ ლოლა დედასთან და ქმართან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ მე ისინი არასდროს მინახავს. მახსოვს მხოლოდ ლოლას პროფილი ღია ფანჯარასთან, რომლიდანაც მუდამ ერთი და იგივე მოსაწყენი ხედი მოჩანდა. მახსოვს ჩემი ერთმა-

ნეთზე მიტყუებული რეიტუზიანი მუხლები და ამ მუხლებზე მუშტად მოკუმული ჩემივე ხელები. კითხვებს არასოდეს ვუსვამდი. როგორ გავბედავდი?! რასაც მიყვებოდა, იმით ვკმაყოფილდებოდი. ოღონდ კი რამე მოეთხრო... ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გავბედე მეკითხა. გამშრალი, ერთმანეთს მინებებული ტუჩები ძლივს ავახლიჩე ერთმანეთს, შედედებული ნერწყვი გაჭირვებით გადავყლაპე და თვითონაც ვერ ვიცანი საკუთარი ხმა: – და... ქმარი?

– ჰო, ქმარი... – ოდნავ შესამჩნევად გაუღიშა ნელში მოკაკვულ ხეს, ან იქნებ შენობას, ხის უკან და სკამის საზურგეს მხრებით მიანვა. სავარძელი ზანტად ამოძრავდა: წინ... და უკან... წინ... და უკან... საათის ნიკნიკს ჰგავდა, უფრო სწორად, – ძველებური დიდი კედლის საათის ქანქარის მოძრაობას. აქამდე არასდროს შემინიშნავს, რომ ლოლა სარწველა სავარძელში იჯდა. მიჩვეული ვიყავი, ამ ოთახში ყველაფერი გაქვავებული უნდა ყოფილიყო, – სულიერიც და უსულოც. თუმცა „უსულო“ მხოლოდ პირობითი სიტყვა იყო ლოლას ოთახში...

– ჰო, ქმარი... – გაიმეორა და თვალები დახუჭა. სავარძელი გაჩერდა. აღარც ლოლას ფერმკრთალი ტუჩები მოძრაობდნენ. წამით ისევ მოჯადოებულივით გაშეშდა ირგვლივ ყველაფერი. უცნაური გრძნობა დამეუფლა, – თითქოს რეალურ ქალს კი არა, ნახატს მივჩერებოდი. – სულ თავიდან ძალიან მეშინოდა, – ტუჩები, თითქოს, არც შერხვია, ისე დაიწყო თხრობა. – მისი კი არა... ხომ ხვდები... როცა პირველად ერთ სანოლში დავნეჭით... – იმის მისახვედრად, თუ რა იგულისხმა, ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ იმდენად მომეწონა მისი „ხომ ხვდები“, რომ თავი დავუქნიე. მთელ ჩემს წარმოსახვის უნარს, ფანტაზიას მოვუხმე, შევეცადე ლოლა სავარძელში მჯდომი კი არა, ლოგინში მწოლიარე წარმომედგინა, თანაც მამაკაცთან ერთად. არაფერი გამომივიდა. – ...სანამ დავწვებოდი, შარვლიდან ქამარი გამოიძრო და ძირს მიაგდო. არ დაუნახავს, როგორ დაიკლაკნა მისი ქამარი, დაისისინა და სადღაც შესრიალდა... მერე ლილები გაიხსნა და მისი შარვლიდან ჩიტები ამოფრთხი-

აღდნენ. შავ, პრიალა ფრთებს ერთმანეთს უხახუნებდნენ და გამაყრუებლად ჟივჯივებდნენ. ათი ჩიტი მაინც იქნებოდა, შესაძლოა, ოციც... – გაჩუმდა. რამდენიმე წამით ისევ ნახატად იქცა. უცებ ძალიან შემეშინდა. აი, ჩაძინებულ ბებოს რომ ასე უძრავს ვხედავდი ხოლმე, მაშინაც ყოველთვის მეშინოდა. მეგონა – მოკვდა. მერე ჩავახველებდი ხოლმე, რომ გაღვიძებოდა. ლოლასთან ჩახველებას რას გავბედავდი?.. ის იყო წამოდგომა და გაპარვა დავაპირე, ამოიოხრა და თქვა:

– ვინ იცის, იქნებ ოცდახუთიც... შენ რას იზამდი, ჩემს ადგილას, პატარა?.. – სტასი. ანასტასია მქვია, მაგრამ ბებო სტასის მეძახის. – მივაყარე. აქამდე არ დავფიქრებულვარ იმაზე, რომ ლოლასთვის სახელი არ მითქვამს. რატომღაც მეგონა, ისედაც უნდა სცოდნოდა. იმდენად ჩუმად ვსაუბრობდით, თითქოს ხმას კი არ ვიღებდით, ტელეპათიურად გადავცემდით ერთმანეთს სათქმელს. – ჰო, კარგი სახელია სტასი. მეც ძალიან მომეწონდა „სტასი“, აბა, „ლოლა“ რა სახელია?.. საინტერესო ბებო გყოლია... – თქვა და „ათივე გუგით“ შემომხედა. გამაცია. – ყოველთვის მინდოდა, სხვებივით მეც მყოლოდა ბებია. ეს ჩემი ბავშვობის აუხდენელი ოცნებაა... ჰოდა, შენ რას იზამდი ჩემს ადგილას, სტასი? ძალიან დავიბენი. – ამდენი ხნის განმავლობაში ლოლამ პირველად შემომხედა თვალებში, თან ჩემი სახელითაც დაინტერესდა. ბებიაჩემის ხსენებისას კი გულმა ისეთივე ბაგაბუგი ატეხა, როგორც მაშინ, ლოლას სახლის კარს პირველად რომ მივაღეჭი. ძალიან დამაბნეველი შეკითხვა იყო: „შენ რას იზამდი ჩემს ადგილას, სტასი?“ მხრები ავიჩეჩე. ლოლა აღარ მიყურებდა. ისევ ჩემთვის უცნობ, შორეულ სამყაროს გაუშტერა თვალი და თხრობა განაგრძო.

– არ მინდოდა ჩემში ჩიტი ჩასახულიყო... არ მინდოდა ჩიტები მეშვა, ვერ ვიქნებოდი კარგი დედა. თან კერტებს ბასრი ნისკარტით დამიკენკავდნენ... არაფერი მიგრძვნიდა და დამინახავს. მხოლოდ ჩიტების გამაყრუებელი ჟივჯივი მესმოდა. თვალები დახუჭული მქონდა. თან ისე ძლიერად, რომ ქუთუთოებიდან სისხლი მდი-

ოდა. მეშინოდა, სისხლის სუნზე დაგეშილებს, ჩემთვის თვალეები არ ამოეკორტნათ და სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, უფრო ძლიერად დავხუჭე... როცა გავახილე, ჟივჯივი ჯერ ისევ მესმოდა, ოღონდ ჩიტებს ველარ ვხედავდი. იყო მხოლოდ თვალისმომჭრელი ნათება. ჩემი ქმრის თვალეები ანათებდნენ. მიღიმოდა, თან შარვალს იკრავდა. შეიკრა და ჟივჯივიც შეწყდა... არ მიწოდოდა ჩიტები მეშვა... რა უნდა მექნა? ავდექი და, მუცელი სამართლებლით დავისერე.

\* \* \*

წყლის დასალევად ვდგები. ჰენრის ჩემი ქოშების წკაპუნი ესმის და შემოდის.

– სად მიდიხარ, საყვარელო?

– დედამინას უნდა შემოვუარო ფეხით. უფრო სწორად, შენი ნაყიდი კაკუნა ქოშებით შემოვუკაკუნო. – ვხუმრობსავით. მკლავებს წელზე ვხვევ, თავს მკერდზე ვადებ, თვალდახუჭული ვეხუტები. თავზე მკოცნის. – წყალს დავლევ და მოვალ. – თვალდახუჭულივე ვეუბნები, თან ადგილიდან არ ვიძვრი. ჰენრისთან ჩახუტება ერთგვარი თერაპიაა. მამშვიდებს, მთენთავს, მავსებს.

– კი მაგრამ, ქმარი რისთვის გყავს? – თავს ჩემი მკლავებისგან ითავისუფლებს. – იმისთვის, რომ წყალი მომიტანოს. გვეცინება. ლოყაზე მკოცნის და სამზარეულოსკენ მიდის. ჩემს ადგილს ვუბრუნდები. ხეს ვათვალეირებ, აღარც ერთი ფოთოლი აღარ შერჩენია. იქნებ, სულ ბოლო ესაა, ჰენრიმ მეთვალყურედ რომ მომიჩინა... ხის ტოტზე წვიმისგან დამბალი, გათხლეხული, წვიპზე შეკავებული თოკი კონწიალობს. მარყუჟითაა გამონასკული. არა მგონია, ვინმეს სუიციდური მიზნებისთვის ჩამოეკიდა. ყოველ შემთხვევაში, მასში თავის გაყოფის მსურველი არასდროს დამინახავს. ალბათ, ბავშვებმა იმაიმუნეს. უცნაურად ერთობიან ახლანდელი ბავშვები... წლებია, ვაკვირდები – გაზაფხულობით, მარყუჟი, თითქოს, უხერხულად ტოკავს კვირტებამოყრილ ტოტებს შორის. ზაფხულში ფოთლებში იმალება, ზამთარში – არ ვიცი, ფანჯრიდან არ ვიყურები ხოლმე... აი, შემოდგომით კი – მთელი თავისი სისასტიკით

მოჩანს. მე ხატოვნად ვფიქრობ, რომ ეს ბებერი მარყუჟი ნიშნის მოგებით გადმოყურებს ჩამოცვენილ ფოთლებს და რომ ფოთოლცვენა მისი გამარჯვებაა. სულელური ჩვევა მაქვს. ვთქვათ, ხილს მივირთმევ, კურკას დიდი მონდომებით ვუმიზნებ ამ მარყუჟს. ჩაფიქრებული მაქვს, თუ შიგ გავატარებ, მე და ჰენრი ბედნიერები ვიქნებით. ჯერჯერობით არ გამომდის. ჰენრის წყალი მოაქვს. სველი ჭიქის ძირს ხელისგულით ამშრალეებს და მანვდის. სანამ ვსვამ, თავისი თბილი, სვედიანი თვალეებით მომჩერებია.

– მისტერ ჰენრი, თქვენ თქვენი ქმრული ვალი უკვე მოიხადეთ. ასე რომ, შეგიძლიათ ტელევიზორს მიუბრუნდეთ. – დედოფლური შესტით კარებისკენ ვუთითებ, თან სმას განვაგრძობ.

– არა, დაგელოდები, ჭიქას ნავილებ. მსიამოვნებს იმის ყურება, ყოველი ყლუპის შემდეგ თვალეებს როგორ ნაბავ. – ჭიქას რაფაზე ვდებ, ჰენრი იღებს.

– იდოს, იქნებ ისევ მომწყურდეს.

– ისევ მოგიტან, რა პრობლემაა? მე ხომ ქმარი ვარ... – მერე რა, რომ მიზანში მსროლელად არ ვვარგვივარ? მთავარია, ჰენრი ჩემი ქმარია. პლედში ვეხვევი. ვფიქრობ, ჩემს „დედამინას შემოვუკაკუნოზე“ წესით, რამე უნდა ეპასუხა ჰენრის, თუნდაც ასეთი: „აზრი არ აქვს, მაინც არ გაგიღებენ, სახლში არ არიან“. ეს ქოშები ჰენრიმ რომელიღაც დღესასწაულზე მაჩუქა. ზუსტად არ მახსოვს, – დაბადების დღესთან, პირველი თოვლის მოსვლასთან თუ რაგბში რუსეთის ნაკრებთან საქართველოს გამარჯვებასთან დაკავშირებით. რა მნიშვნელობა აქვს... ამ ამბავში მთავარი ესაა: ჰენრიმ მთელი ქალაქი მოიარა, რომ მაინცდამაინც ხმაურიანი ჩუსტებით დავესაჩუქრებინე. ჩემი რეაქცია არ მახსოვს, დედასი კი დამამახსოვრდა. ამ არცთუ ძვირფასი კაკუნა ქოშებით გულწრფელად აღფრთოვანდა.

– რა კარგად მოგიფიქრებია, შვილო. – ისეთი მადლიერებით უთხრა ჰენრის, დავეჭვდი, ქოშის ცერებზე დასკუპებული ოქროსფერი პეპლები მართლა ოქროსები ხომ არ არიან-მეთქი. ხმაურიან ქოშებს ვიხდი. გრძელ ფეხებს განიერი კაბის ქვეშ უხმაუროდ ვიკეცავ. მთბილა.

\* \* \*

იმ დღეს ლოლას სახლის კარი ჩვეულებრივზე მეტად დამხვდა შეღებული. მომესმა, თითქოს, სახლის სიღრმეში მამაკაცმა ჩაახველა. დავიძაბე. უკან გაბრუნებაც კი დავაპირე, მაგრამ ეს სახლი ხომ უხილავი ძალით მიზიდავდა, მიხმობდა?! გამბედაობა მოვიკრიბე და ზღურბლს ფრთხილად გადავაბიჯე. მივაყურადე. სასტუმრო ოთახიდან ქალისა და მამაკაცის ჩურჩული ისმოდა. შევკრთი, ნაცნობი ოთახისკენ აჩქარებული ნაბიჯით გავემართე. ფეხი შევდგი თუ არა, ვიგრძენი – რაღაც ისე არ იყო. ძირს პლედი ეგდო. ავიღე და ლოლას მივანოდე. ხელი გავინოდე და უცებ დენდარტყმულივით განზე გავხტი. პლედი ისევ იქ დავარდა, საიდანაც ავიღე. სავარძელი გულდასმით შევათვალე. ერთი პირობა ვიფიქრე, რომ მეჩვენებოდა. რაიმე არარსებულს კი არ ვხედავდი, პირიქით, შესაძლოა, არსებულს ვერ ვხედავდი. სავარძელში ლოლა არ იჯდა. მხოლოდ მისი ფეხსაცმელი ენყო. თითქოს სავარძელზე შედგა და გაქრა. „გიჟია, კუდიანია“, – ყურში ბებოს ხმა ჩამესმა. „სავსემთვარეობაა ამაღამ“. – გამახსენდა ლოლას სიტყვები. – გიჟია, კუდიანია!.. სავსემთვარეობაა ამაღამ... გიჟია!.. სავსემთვარეობაა... კუდიანია!.. – კედლები ბუტბუტით დაიძრნენ ჩემკენ. ნაცრისფერი პლედი უზარმაზარი ცხოველის კუდივით ეგდო ჩემს ფეხებთან. უცებ ხელ-ფეხი დამიბუჟდა, გამეყინა და მზე ჩამექცა თავში.

\* \* \*

ქარმა ფანჯარა მსუბუქად მიაჯახა კედელს. – კარგად ხარ, საყვარელო? – გამომძახა ჰენრიმ მეორე ოთახიდან. ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ფოთლები გიგანტური მოლეკულებივით ქოტურად მოძრაობენ ჰაერში, ერთმანეთში ირევიან და ბევრდებიან. მტვერი თითქოს მიწიდან კი არ აიშალა, თოვლივით წამოვიდა მაღლიდან. ჰაერი ჩამუქდა. ფანჯრის გადაღმა სამყაროში ადამიანები შეჩოქოლდნენ. თვალმოჭუტულ ქალებს თმები და კაბები უფრიალებთ. კაცები ლაბადების საყელოში მაღავენ აფრიალებული

კაბებისთვის ვერშეველებულ მზერას. ელვა და ქუხილი ჯერ არაა. სამაგიეროდ, ვხედავ, როგორ გარბიან ქალები, როგორ ეფარებიან თვალს და როცა უკვე აღარ ჩანან, მაშინლა აღწევს ჩემამდე მათი ფეხსაცმლის წკაპუნის ხმა. ვერაფრით იფიქრებ, რომ ეს მღელვარე დღე იმ მშვიდი დილის გაგრძელებაა. ქარმა ერთხელ კიდევ მოაჯახუნა ფანჯარა. ფარდა აფრიალდა. ქუჩამ და ოთახმა ერთმანეთს თავიანთი ამონასუნთქი ჰაერი შეასუნთქეს: პირველმა – გრილი, მშრალი და მსუბუქი; მეორემ – ტაფაში ადუღებული ზეთის ოხშივრით დამძიმებული, მსუყე. ოთახის კარი გამოუღია ჰენრის. ორპირია.

– კარგად ხარ, საყვარელო? – ჰო. – თავი ოდნავ შესამჩნევად დავუქნიე. – უჰ, როგორი ქარი ამოვარდა, განვიმდება... – ჰო. – თავი ოდნავ შესამჩნევად დავუქნიე და გავუღიმიე. – არა უშავს, შენ ხომ გიყვარს წვიმა? მგონი ქმარზე მეტადაც, არა?

– ჰო. – თავი ოდნავ შესამჩნევად დავუქნიე, გავუღიმიე და თვალი ჩავუკარი. – ხომ იცი, წვიმაა თუ სეტყვაა, სიტყვა სიტყვაა: ნაკლები ფიქრი და მეტი სიმშვიდე. „ნაკლები ფიქრი და მეტი სიმშვიდე“ – ეს თითქმის არასდროს გამომდის, ამიტომ მხოლოდ გავუღიმიე, რა თქმა უნდა, ოდნავ შესამჩნევად.

\* \* \*

– მაღალი სიცხე აქვს... – თვალეები გავახილე. ბებო ტელეფონზე საუბრობდა, თან ცხვირსახოცით უპეებს იმშრალეობა. ლოლას გაქვავებული, ნახატად ქცეული პროფილი დამიდგა თვალწინ. წარმოვიდგინე, როგორ ავიდა სავარძელზე, ხელები მთვარისკენ გაიწოდა და ფანჯრიდან ფეხშიშველი გაფრინდა. გამაჟრჟოლა. ლოლა... არსებობდა კი საერთოდ? იქნებ ზმანება იყო? არსებობდა თუ დამესიზმრა? არსებობდა თუ დამესიზმრა?! მისუსტებულსა და სიცხისგან გათანგულს აზრის მოკრება, მეხსიერების კონცენტრირება მიჭირდა. ბოლოს დავასკვენი, რომ ლოლა რეალურად არ არსებობდა. ყველაფერი მაღალი სიცხის ბრალი იყო.

– ...ჰო, მეც გავიგე, რომ გიჟი ლოლა სახლიდან გაპარულა. თმაგანწილი და ფეხშიშველი

მირბოდა თურმე წვიმაში. – ტელეფონზე საუბარს განაგრძობდა ბებო, – არავინ იცის, სად შეიძლება წასულიყო.

არ დამსიზმრებია... „გიჟი ლოლა“ – ეს იყო ყველაზე გულსაკლავი სიტყვათა შეთანხმება, რაც კი სამყაროში არსებობდა. საბანი თავზე წამოვიხურე და ავსლუკუნდი. ნეტავ მცოდნოდა, საით წავიდა... აუცილებლად დავედევნებოდი, აუცილებლად! დღემდე ვცდილობ, რაიმე ისეთი გავიხსენო მისი მონათხრობებიდან, რაც მიმანიშნებდა, სად შეიძლება წასულიყო, მაგრამ ამაოდ...

შუალამისას ბებომ ფრთხილად გამომიცურა ილლიდან თერმომეტრი და ექიმს ხელის კანკალით მიანოდა. გამელვიძა. – ნუ ლელავთ, – დაამშვიდა დალილსახიანმა ექიმმა და სათვალე გაიკეთა, – მდა... ორმოცდარამდენილაცაა... ცოტათი მეტი...

– ღმერთო!.. – აკანკალებული ხელები და ცრემლიანი თვალები მალლა ალაპყრო ბებომ. უცებ, ბებოს ზურგს უკან კაშკაშა სინათლე გაჩნდა. ნათებას ხმაც მოყვა:

– შენ მხოლოდ ნახევარი ხარ... ის, ვინც ორ ნაწილად მოვიდა, უნდა გამთლიანდეს. ის, ვინც გაყოფილია, ერთ სხეულად უნდა შეირწყას. გასაკვირია, მაგრამ არ შემშინებია. ის კი არა, ერთგვარი აღმაფრენაც კი დამეუფლა.

– უნდა გამთლიანდე... ნადი, დროა! – ციმციმებდა უცნაური ნათება. – საით წავიდე? – ვკითხე ჩუმად.

– რა თქვი, ბები? – ტუჩებზე ყური მომადო ბებომ.

– ბოდავს, – „აუხსნა“ ექიმმა. „გელოდება“. – მიპასუხა ნათებამ და გაქრა. თან გაიყოლა ბებოც, ექიმიც, ძვირად ღირებული ნამლებისა და ბებოს იაფფასიანი სუნამოს სუნიც, ნათურის სინათლაც... აღარაფერი არსებობდა ჩემი და სიბნელის გარდა.

\* \* \*

დაიქუხა. – ჰენრი, – გავძახე, – ასეთი ფოკუსის გაკეთება შეგიძლია? შარვალი გაიხსენი და ჩიტები ამოაფრთხიალე. მოდი, რა, ჩემთან! ოთახში შემოდის, ხელში პულტი უჭირავს. ვი-

ბროსიგნალზე დაყენებული ტელეფონით ცახცახებს პულტი.

– გაიხსენი, რაა, შარვალი და ქამარი ფანჯრიდან გადააგდე! – მომეჩვენა, რომ ჰენრი გაფითრდა. თვალის ფერი კი საბოლოოდ ამოევსო ხმელი ფოთლებით. – დამშვიდდი, ლოლა. – ამბობს და პულტს მაგიდაზე დებს. პულტი ჩერდება, ახლა მხოლოდ ჰენრის ხელი ცახცახებს. ფარდა ფრიალებს. გარეთ წვიმს. მე ჰენრის შევყურებ.

– ხმამალა ვფიქრობდი? კარგია, რომ ამყვივი... ჰო, მართლა, ჩიტები მოჟიფივე და არა მოჭიკჭიკე, ან მაგალობელი. პრიალა ფრთებით, თუ შეიძლება. ათი ან ოცი ცალი. – ვუღიმი და თეატრალურად ვაყოლებ, – ოცდახუთიც დასაშვებია... ოთახში დედაჩემი შემოდის. დამწვარი კატლეტის სუნი შემოაქვს. კი არ შემოდის, მოფარფატებს. ისეთი გამხდარი და გალეულია, ისეთი, ისეთი, რომ ტირილი მინდა. „მგონი ეწყება“, – ეჩურჩულება ჰენრი დედას.

– რას გულისხმობ? – მიკვირს. – ლოლა, ჩემო საბრალო გოგონა, – მიყვავებს დედა. შუბლი ნაოჭებით, თვალები უზომო სიბრაღულითა და, ალბათ, გული – ტკივილით აქვს სავსე. თან გამხდარია, ისეთი გამხდარი... გალეული. თავს ველარ ვიკავებ, ვლრიალებ. – დამშვიდდი. მე და ჰენრი ახლავე დავურეკავთ ექიმს. „ჰენრის“ ხაზგასმით ამბობს, თითქმის დამარცვლით. საბრალო დედა... ჰგონია, რომ ვერ ვამჩნევ, ჰენრის მხოლოდ ჩემს საამებლად რომ ეძახის. სინამდვილეში, ის მისთვის ისევ ვიქტორია. – ახლავე დავურეკავთ. – მიმეორებს და ჰენრის ეჩურჩულება, – წამოდი, ვიქტორ!

– რა ლოლა? მე ხომ სტასი ვარ. ორივე ერთდროულად გაგიჟდით?! – ნერვები მეჭიმება. ეს ყველაფერი თამაშს უკვე აღარ ჰგავს. ვუყურებ, როგორ ნერვულად უკიდებენ ჩემი ხელები სიგარეტს და მანვდიან. ტუჩებით ვართმევ, ღრმა ნაფაზს ვარტყამ და კვამლთან ერთად უკან ვუბრუნებ. ბოლი თვალს მიწვავს. კადრი იდლაბნება. ორ უფორმო სილუეტს ვარჩევ. ერთ-ერთის ხმა ექოდ ჩამესმის: „შეტევაა“. შემდეგ ორივე სილუეტი გვერდითა ოთახის კარისკენ იწელება. თვალებს ვიფშვნეტ. ვხუჭავ. ვახელ. ყველაფერი

რიგზეა. ყველა ნივთს თავის ფორმა დაუბრუნდა. ვცდილობ დავმშვიდდე და გავერკვიო, რა ხდება. „ახლა მარყუჟში თუ გავატარებ...“ – ვფიქრობ და ოთახს თვალს ვავლებ. რა ვისროლო? ხილის ლარნაკი ცარიელია. სხვას, მცირე ზომისას ვერაფერს ვპოულობ. ის ჭიქა მაინც დაეტოვებინა ჰენრის... პულტს ვიღებ და მარყუჟის ცენტრს ვუმიზნებ. მიზანს სცდება, მარყუჟსა და ტოტს შორის, გათხელებულ თოქს ხვდება. განყვეტილი თოკი მონყვეტილი ფოთოლივით შორდება ტოტს... ტელეფონთან დედა და ჰენრი ჩურჩულევენ. სიზმარში მგონია თავი. რა ხდება? მეორე ნაფაზამდე ჩემს თითებს ვაკვირდები. ღმერთო! ზუსტად, ზუსტად ისეთივე თითები...

– სარკეეეეე! სარკე მომიტანეეეეე! – ვკვივ. პლედს ძირს ვაგდებ, მერე კაბის კალთას ნიკაპამდე ვინევ. ღმერთო ჩემო... ღმერთო ჩემო! ჩემს ნაიარევ მუცელს გაოგნებული დავყურებ. „ღმერთო, ნუთუ... მე... ნუთუ...“ გვერდითა ოთახის კარს ფრთხილად კეტავენ, ალბათ იმიტომ, რომ არ გავიგო როგორ ეტყვიან ექიმს: „შეტევა განუახლდა“. თვალებს ისე მაგრად ვხუჭავ, ქუთუთოები მიბუჟდება. გონებაში სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს კადრები. კადრს ვერდამთხვეული ხმები მაგიჟებენ. უნიჭოდ გაკეთებულ მონტაჟს ჰგავს ეს ყველაფერი. უცნაური შეგრძნება მეუფლება, თითქოს, ორი კამერიდან ერთდროულად ვიყურები: ერთით – სავარძლიდან ფანჯრისკენ: ხეს, შენობასა და ადამიანების მწკრივს ვაფიქსირებ, მეორე – სავარძლისკენაა მიმართული. კადრში ჩემი პროფილი და ღია ფანჯრის ნაწილი ჩანს. ორივე კამერიდან დანახული ერთმანეთს ედება. ხმები ერთმანეთში ირევა, სადაცაა თავი გამისკდება! გონებას ძალას ვატან, ვძაბავ. გაორებული კადრების ფოკუსირებას გაჭირვებით, მაგრამ მაინც ვახერხებ. თვალებს ვახელ. დედა და ჰენრი ისევ ჩურჩულევენ. გარეთ წვიმს. ოთახში მარტო ვარ. ვმსუბუქდები. თითქოს, რაღაც ტვირთი ჩამომხსნეს გონებიდან, გულიდან, თვალებიდან. თითქოს, უნონო გავხდი. დავმშვიდდი. ახლა რომ დედა შემოვიდეს, ალბათ, აღარ მომეჩვენება გულის ტკივილამდე გამხდარი. ვდგები. ქოშებს ვიხდი, უხმაუროდ ვდებ სავარძელზე. სიგარეტს

ვიღებ, ბოლს ვიგუბებ. ძირს მიგდებულ ფუმფუ-ლა პლედს გვერდს ვუვლი და თითისწვერებზე გავდივარ ოთახიდან. შემოსასვლელის კარი ოდნავაა შეღებული. ხელის შეხებაზე ძლივს გასაგონად ჭრიალებს. სანამ კიბეზე დავემგები, ბოლს ვუშვებ, ნაწნავს ვიშლი, გულზე მეშვება: ახლა კი ნამდვილად გავიგებ, საით წავიდა ლოლა...

## ამალიას გარი

### შიშის ზარი

ამალია თქვენ ისეთი ქალი კი არ გეგონოთ, ზაფხულობით, მამიდაჩემივით, ლოლნომოს მურაბას ხარშავდეს, ზამთრობით – იმ წარუმატებლად მოხუფულ ქილებში ჩაშაქრულ მურაბას გულდანყვეტილი წამოადულებდეს და წელიწადის ოთხივე დროს, რეცხვისგან ქანცგანყვეტილ ხელებს, წინსაფრის ბოლოთი, დიდი მონდომებით იმშრალელებდეს.

არაა... სულ სხვანაირი ქალია ამალია. სულ სხვანაირი ხელები აქვს.

მამიდაჩემი ტასოს მეგობარი ამალია სიგარეტს ძვირად ღირებული მუნდშტუკით ეწევა და საუბრისას, წვრილ, გრძელ თითებს მარაოსავით შლის და კეცავს. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ თითო ხელზე მინიმუმ შვიდი-რვა თითი მაინც ექნებოდა. აბა, უფრო ნაკლებით, ხელებს ასე ლამაზად და თეატრალურად როგორ გადაშლიდა?...

– მკლავს, ტასენკა, მკლავს, მაგრამ ველარ ვემვები. ჯანდაბა... ეს ისეთი საძაგელი ვინმეა, შენ კიდევ არ იცი! – კაცებზე ხშირად მუნდშტუკის მისამართით იტყოდა ხოლმე. – აი, პირდაპირ, მეძახის, რომ ავილო და პირში გავიჭო. საზიზლარი.

თავის საამაყო, ძვირფას-ლამაზი (როგორც გვითხრა: ოქრო-ძვალე-ტიხრული მინანქარი) მუნდშტუკის „ვითომ-ვითომ“ გაჭორვა ხიბლავდა ამალიას. მე კიდევ – ამალია რომ მუნდშტუკს ვითომ-ვითომ ჭორავდა – ეგ.



– კლიანუს! აი იმ ჩემი ექსტრასენსულ-ჯადოქრული ზარივით რეკავს ეს ჩემის შმუნშტუკიც, თან პირდაპირ ტვინში: წკრნ-წკრნ... ამალი-ა!... ერთი ღერი გამირჭე და გააბოლე!.. ზრრრ! წკრრრ! ბრახ-ბრუხ! კაკ-კუკ! მო-ოდი ამალი-ა!..

იცინის ამალია, ლამაზ კბილებს ამზეურებს. ამალიას გემრიელი სიცილი, მამიდაჩემის ნელ-თბილი ღიმილი და ჩემი მშვიერი თვალები რალაცნაირ, მხოლოდ ჩვენი სამქალიანი ოჯახისთვის დამახასიათებელ სიმყუდროვეს ქმნის...

ამალია ისეთია, გინდა სულ უყურო და თვალები დაიძლო, მაგრამ დასანაყრებლად არასდროს გყოფნის. მაქსიმუმ „ნაიხემსო“ და ეგრევე სადღაც გარბის.

– მძულს. აი, მძულს-მძულს. მძუ-უ-ულს! – ერთხელაც, ჩვეულებისამებრ, მუნდშტუკის ლანძღვას მოჰყვა: – იცი, ტასიკ, ეს არის ჩემი გარანტია სამუდამო ჯოჯოხეთზე. მეკუთვნის, კი... გაგეცინება და ლამლამობით სულ „შიშის ზარს მცემს“ იმის გააზრება, რომ ღმერთების ატრიბუტი ზარი, ამ ეშმაკის სადილ (თუ როგორც ამბობენ) სიგარეტის ჯანდაბაზე გადავცვალე მხოლოდ იმიტომ, რომ იმ დამპალი კაცის ტკბილ ტუჩებში იყო ხოლმე გამოჩრილი...

უცებ მუნდშტუკი პირისკენ გაიქანა და ისე გემრიელად გამოქაჩა, ნერწყვი მომადგა.

### ლითონის ზარი

ერთხელ, კარზე ზარი დარეკეს. გავაღეთ და დგას ზღურბლზე ვიღაც მაღალი, ეშხიანი ქალი. ცალ ხელში ლითონის ულამაზესი ზარი უჭირავს (აი, ნაძვის ხის სათამაშოები რომაა, ეგეთი, ოღონდ ნამდვილი), მეორეში – ლითონისავე გრძელი ჯოხი.

– ექსტრასენსი ვარ! – თქვა და ჯოხი ზარს ისე თეატრალურად შემოჰკრა, თითქოს „ექსტრასენსი ვარ“ კი არა, „წარმოდგენა იწყება“ ეთქვას.

ასე გავიცანით ამალია.

მესამე სტუმრობისას ამალიამ (როგორც თავიდან გვითხრა, მამიდაჩემის გაკავებულ წელს 7-8 სეანსი მაინც დასჭირდებოდა) მამიდაჩემს უთხრა:

„გაკავებული წელით, ცხადია, ვერავინ გამაკვირვებს, მაგრამ თქვენი საუბრის კულტურით ნამდვილად გამაოცეთ. საუცხოო მოსაუბრე ხართ, ქალბატონო ტასო.“ ეს იყო ბოლო „ქალბატონო“ და სეანსიც, რატომღაც, ბოლო. მერე დამეგობრდნენ. მამიდაჩემი, ამალიას გაგებით, ბოლომდე „საუცხოო მოსაუბრედ“ დარჩა. იმიტომ, რომ ძირითადად ამალია ლაპარაკობდა და მამიდაჩემი უსმენდა. იშვიათად თუ ჩაურთავდა მოკლე, არაფრისმთქმელ ფრაზებს, ამალიას მონოლოგს მოჩვენებითი დიალოგის ფორმა რომ მისცემოდა.

ერთხელ, დაბადების დღეზე, რალაც შეფუთული მომიტანა ამალიამ. გავხსენი და... ზარი! ძალიან ჰგავდა იმას, სეანსებს რითიც ატარებდა. თვითონ ის სახელოვანი „ექსტრასენსული“ ზარი ერთი კლიენტისთვის გაუცვლია ამ სახელოვან მუნდშტუკში... მოკლედ, ამალიამ ნამდვილი, ლითონის ზარი მაჩუქა და ასეთი ნამდვილი ცხოვრებაში არასდროს ყოფილა ჩემი სიხარული, დაბადების დღის საჩუქრის გამო.

– იცოდე, ამ ზარზე ჯოხის შემოკვრის უფლება მხოლოდ სამჯერ გაქვს: როცა დიდი მწუხარება გენვევა, როცა რაიმეთი ძალიან გაცოდები და როცა ნამდვილ სიყვარულს შეხვდები. დაბადების დღეს გილოცავ, ძეკა!

### ბზარი

– მიყვარდა ამალიას სტუმრობა, მაგრამ ერთხელ ამ სიყვარულს ბზარი შეეპარა. ბზარიდან კიდევ, იქვე, ერთი გადაფურთხებაზეა (ამალიას ლექსიკონია) ნაპრალი. მალევე მოირღვა, ჩამოიშალა ეს ჩემი სიყვარული. მიწად და ტალახად იქცა. აქედან აწი მხოლოდ სიძულვილი თუ ამოიზილებოდა...

– ტასენკა, არჩილიკომ კრუჟაობიანი სარაფანჩიკი მიყიდა. სასწაული რამეა. ხვალ გამოდი, გაჩვენებ. იმ დროს უთხრა, მამიდაჩემი წინსაფარზე ხელებს რომ იმშრალედა. მომეჩვენა, რომ მამიდას ხელები ჩვეულზე დიდხანს შერჩნენ მაშინ წინსაფარს.

იმ წამიდან ვიგრძენი, რომ ბზარი დაიძრა. ნელ-ნელა და თანდათან კი არა, როგორც ბზა-

რების მოდემას სჩვევია, უცებ გავარდა ერთი კიდედან მეორემდე. არც იყო გასაკვირი. მე ხომ ერთბაშად სამი მიზეზი მომეცა ამალიას შესაძლებლობად: მამიდაჩემის ქმარს არასდროს უყივია „კრუჟაოიანი სარაფანჩიკი“ მამიდაჩემისთვის (არც მაგის ნახევარი, ანუ არც მარტო „კრუჟაო“ და არც მარტო „სარაფანჩიკი“), ტასოს, საერთოდაც, ამალიასგან განსხვავებით, ცოცხალი აღარ ჰყავდა ქმარი (ეგ მეორე მიზეზი) და როცა ჰყავდა, მაშინაც, არჩილიკო კი არა, ბეჟანა ერქვა (ეგეც – მესამე). ცოტაა?!

ბოლოს რომ მოვიდა, რალაცნაირად, ორ ხმაში ახველებდა. მე სულელური ასოციაცია გამიჩნდა, რომ ამალიას ერთი ფილტვი გოგოა და მეორე – ბიჭი. რომ ამალიას მუნდშტუკიდან გამოსრუტული ბოლის დანახვისას ერთდროულად იწყებენ ყვირილს „გვიშველეთ!..“ ადამიანურ ენაზე მოთარგმნილი კი ორ, წვრილ და ბოხ ხმაში ხველებაა და ვიზუალურად ასე გამოიყურება: „აახხმმ-აახხმმ!..“ ისე საშინლად ახველებდა, მზად ვიყავი შემბრალებოდა, მაგრამ ხველება რომ ჩაინმინდა თქვა:

– არჩილიკომ ფრანღული სუნამო მომართვა, ტასინკ. გამო ხვალ, დაგასხამ.

რალას შემბრალებოდა...

– ამალია ძალიან ავადაა... – თქვა ძილის წინ მამიდაჩემმა. მითხრა, ჩემს მუნდშტუკს კუბოში როგორ ჩავალპობ, შენს გოგოს ვუტოვებ, გამოშტერებული უყურებს ხოლმე, ისე მოსწონს, ვერ ამჩნევდიო? ოღონდ არ მოწიოს, ისე ჰქონდეს, რაც დიდხანს არ იხმარს, უფრო დიდხანს შემენახებაო.

გული მომეწურა. კიდეც კარგი, მამიდაჩემს ჩემი ცრემლების დანახვის თავი არ ჰქონდა, გულიანად მოსთქვამდა. გამიკვირდა კიდეც, ერთ ჯერზე ამდენი ლაპარაკი თუ შეეძლო, ვერასდროს ვიფიქრებდი. ამ დატირებიდან გავიგე, რომ ამალიას ქმარი არასდროს ჰყოლია. არჩილიკო კი, ყოფილი მუნდშტუკისა და ახლანდელი – ზარის პატრონს რქმევია. ოღონდ არანაირი „სარაფანჩიკი“ იმას ამალიასთვის არასდროს უყივია. არც „კრუჟაოთი“ და არც – „ბეზ“.

არ მეჯერა, რომ სამყაროში ოდესმე შეიძლებოდა მკვდარ ამალიას ეარსება, მაგრამ... ღმერთო, მაპატიე ამალიას ცოდვა. ისეთი რამეებისთვის რომ შევიძულე, რაშიც ბრალი არ მიუძლოდა, მაგისთვის კი არ გთხოვ პატიებას, ამალიას მუნდშტუკი ოდესმე ჩემი რომ გახდება, ეს რომ მიხარია... ეს სიხარული მაპატიე, ღმერთო.

### თავზარი

ერთ დღესაც, თითქოს, ვილაც ჩემთვის უცნობი მოხუცი ყოფილიყოს, ადგა და მოკვდა ამალია. ასე უპასუხისმგებლოდ ცხოვრებაში არ მოქცეულა. ჩემი ამალია მოკვდა, ხალხო!

რომ მივედით, ზღურბლზე დავდექი და ჩაველურსმნე, ველარ შევედი. ვუყურებდი კუბოში მწოლიარეს და ვფიქრობდი: თითქოს, შიგნიდან თავისი თავი გამოაცალეს ამალიას. ლამაზი სიცილი და ხელების გადაშლა, მხიარული ხმა და გრძელი ფეხების ერთმანეთზე გადადება-გადმოდება გამოაცალეს. გამოაცალეს და ჰა, რაც დარჩა – ესაა...

ტასოს მუდარის მიუხედავად, დასაფლავებას არ დავესწარი. მე ჩემი რიტუალი მქონდა შესასრულებელი.

სახლისკენ მოვრბოდი და ვფიქრობდი: „დაუჯერებელია, დაუჯერებელი! მაგრამ ჩემი თვალთ ვნახე: მხოლოდ ხუთ-ხუთი თითი ჰქონია თითო ხელზე, მეტი არა! წარმოუდგენელია!“

სახლში შემოვედი თუ არა – ამალიას ზარი ლენტებიანი ყუთიდან ამოვიღე და ლითონის ჯოხის ნაცვლად, ამალიას მუნდშტუკი ორჯერ მთელი ძალით შემოვკარი.

### არდასაპინეხელი დღე

– ჰერკულესი გაგიცივდა. ჭამე, რომ დიდი ბიჭი გაიზარდო, – ხელუხლებელ საუზმეზე ვუთითებ გიოს. – ჩაიც მიაყოლე. მიდი, მიდი...

ჩაისფერი თვალები აქვს ჩემს ბიჭს. ოღონდ მისთვის კი არა, ჩემთვის დასხმული ჩაის ფერის – მუქი. ისეთი სევდა აქვს ჩამდნარი მზერა-

ში, ისეთი... გული მეკუმშება. თვალს ვარიდებ. ვდგები, ჩემს მოპრიალეულ თეფშზე გაუცნობიერებლად ვიღებ ჰერკულესის მეორე ულუფას. არადა, მძულს ჰერკულესი. გიოს გამო თავს ვაძალებ ხოლმე, დიდი ძალისხმევით ვლექავ და ორი ვარიანტიდან ერთ-ერთ ფრაზას ვამბობ: „იფ, რა გემრიელიააა!“ ან „რა გემრიელია, იიიფ!“

– დე... ამდენს ნუ ჭამ. გეხვეწები. – ბზარგა-ჩენილი ხმით მეუბნება გიო. არ ვჭამოთ ხოლმე, რა, დე! არ მინდა, მოვკვდეთ.

გიოს თვალების ზღვა შრება. ცრემლს უკან იბრუნებს. ყლაპავს.

ის ყლაპავს და მე მეჩხირება ყელში – ჩემები, უკან ჩაბრუნებული და ვერგადაყლაპული.

– ჩვენ არ მოვკვდებით, ნუ გეშინია. – ტყუილის ღუზას ვუგდებ სიცოცხლის მარადიულობის იდეაზე მოსაჭიდებლად.

– მოვკვდებით, – მისხნის, – თუკი ძალიან გავიზრდებით... ვახო ძიას ვკითხე, პაპა რატომ მოკვდა-მეთქი და მოხუცი იყო, ძალიან დიდი გაიზარდაო... ჩვენც თუ ბევრს შევჭამთ – გავიზრდებით... მეტი აღარ გაიზარდო, რაა, დე!

ღმერთო, როგორი პატარაა ასეთი ფართოდ გახელილი თვალებისთვის!..

– დე... – ვამბობ, – დე... – ამის მეტს ველარაფერს ვეუბნები.

„ნამო!“ – ვანიშნებ, თქმა არ გამომდის – ყელში ჩაჩხერილი ბურთის ოინებია...

მომყვება. რაღაცნაირად, მძიმედ მომყვება. მხრებდამძიმებულად.

ოთახის ცენტრიდან მაგიდას კედლისკენ ვახოხებ. სკამებსაც. გარდერობის კარებს ბოლომდე ვაღებ. ანჯამები ღრჭიალებენ... უჯრიდან, წუხელ რომ ჩაცმა ავუკრძალებ, იმ ახალ ბოტასებს ვიღებ და ვუნვდი.

– ჩავიცვა, დე? ბალის დაწყებამდე აღარ შევინახოთ?

უხარია, უკვირს, უხარია... ისევ ბავშვად იქცა. მხრები ბუმბულივით აუმჩატდა. თვალები უკამკამებს, ტალღის ნასახიც აღარაა, გადაიდარა.

მზესავით გავარვარებული ბურთი ყელში მიდნება.

ყლაპავ. ვსუნთქავ. მლაშეა.

ჩემს ყველაზე ძვირფას კაბას საკიდიდან ვხსნი. ვირგებ. სუნამოს, ყელიდან კოჭებამდე უხვად ვიპკურებ. გამოზოგვას ნაჩვევ ფლაკონს უკვირს. ისე ძალიან უკვირს, რომ გაცუბისგან წარწერა თავსახურზე ასდის.

– გამოიქეცი, დე! – მკლავებს ვშლი.

– უნდა მაბზრიალო?! ვაშაააა!

ვულიმი და თავს დამნაშავედ ვგრძნობ, რომ „ვამას“ ნაცვლად, თანატოლებივით არ ამბობს: „იეეეს!“

ჯერ ნელა ვბზრიალებთ. ვბზრიიიიიიილებთ... მერე ტემპს ვუჩქარებთ: ვბზრიალებთ-ვბზრიალებთ...

და ბოლოს: ვბზრიალებთ-ვბზრიალებთ-ვბზრიალებთ!

იცინის, იცინის... ფერად კენჭებზე ფეხი უსხლტებათ ნაკადულებს.

ვფიქრობ: აი, მოზვირთდებიან წლები. გაიზრდება გიო დიდი ბიჭი. სასახელო კაცი დადგება. მოვა მასთან ჟურნალისტი და ბავშვობის ამბების გახსენებას სთხოვს.

– ახლა, რატომღაც, ერთი დილა გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან. ასე, ოთხი-ხუთი წლის ვიქნებოდი... – დაიწყებს გიო. მაშინ უკვე – ბატონი გიორგი. რიხით ჩაახველებს. ჟურნალისტს, სიფრიფანა გოგონას, ჩაის შესთავაზებს. გოგონასაც ჩაისფერი თვალები ექნება. ოლონდ, ისეთი, ახლა როგორ ჩაისაც ვუმზადებ ხოლმე გიოს – ბაცი, მზისფერი.

„ბატონი გიორგი“ მოყვება, რომ დანამდვილებით ვერ იხსენებს, რა ამბავს აღნიშნავდნენ, მაგრამ ზუსტად ახსოვს, რომ დედა კარგ ხასიათზე იყო. ბალისთვის ნაყიდი ახალი ფეხსაცმლის სახლში ჩაცმის უფლებაც კი მისცა. საუზმის ამბავი არ ეხსომება. პირდაპირ იქიდან დაიწყებს, მაგიდა რომ კედელს მივადგი. იტყვის, რომ ახლაც ახსოვს დედის სუნამოს სურნელი.

...რომ უცნაური კია, მაგრამ დედასთან ერთად ბზრიალს ქვეყნად არაფერი ერჩინა.

...რომ დედის იმ კაბის ღილების ფერი და ფორმაც კი ახსოვს – ოქროსფერი, ტრაპეცია.

...რომ ბზრიალისას დედის გრძელ, ცრემლის ფორმებად ჩამარცვლულ მძივს შემთხვევით ხელი გამოსდო და განყვიტა. იტყვის, რომ ძა-

ლიან შთამბეჭდავი კადრი იყო. „ეგებ, სულაც ამ კადრის გამო ჩამრჩა ეს დღე მეხსიერებაში: მთელ იატაკზე გაბნეული მძივის მარცვლები, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქზეზღაპრულად ბრჭყვიალებდნენ“.

...რომ დედა, საერთოდ, ძალიან მკაცრი იყო, მაგრამ იმ დღეს... როგორღაც...

...რომ დედა, იმ დღეს, გამაოგნებლად ლამაზი იყო...

გაიხსენებს, რომ დედა –

„ი – ყ – ო“ (!) ...

\* \* \*

– დე, ტირი?.. – თვალები უმუქდება გიოს.

– არა, დე, თვალში რაღაც ჩამივარდა...

სჯერა. ვბზრიალებთ.

„მთელი ცხოვრებაა იქამდე. მზისფერთვალე-ბა გოგონა, ალბათ, ჯერ არც დაბადებულა...“ – თავს ვიმშვიდებ. ჩემი მძივის ფორმის ცრემლებს საყლაპავი მილისკენ მივერეკები, მივანკარუნებ. მლაშეა.

– ხელი გამოგედო... არა უშავს. – ვუღიმი გიოს და ჩემს უსაყვარლეს მძივს, გიოსთვის შემჩნეულად, ვქაჩავ. არ მენანება.

მთელ იატაკზე გაბნეული მძივის მარცვლები, ფანჯრიდან შემოჭრილ მზის შუქზე ზღაპრულად ბრჭყვიალებენ.

## ფილმი ნიფის ბენერალზე

„კიუუ!“ – კივის მატარებელი. „ახრრ...“ – ჩაახველა, ძრავა-ფილტვებში ჩამდგარი ხრინნი ჩაინმინდა და დაიძრა. მაგრამ მანამდე:

– სიცხიანი ხარ, რა გებათუმება, დარჩი. – გეგა შუბლზე ტუჩებს მადებს და ცოტა ხანში „მპუს“ გარეშე მაცილებს. აქაოდა, მართლა სიცხის გასაზომად გავისარჯე, კოცნის საბაბი არ გეგონოსო. შეუმჩნეულად ოხრავს. მე მაინც ვამჩნევ, ოხერი ვარ.

– კინოში წავიდოდით... – მეუბნება და სადღაც სიღრმეში მიცურავს. – კარგი ფილმია.

– გეგას ხმა აქვეა, სახეზე ვგრძნობ ჰაერის მოკლე-მოკლე ნაკადის შეხებას. მაგრამ სახე – შორსაა. ასე მემართება ხოლმე, როცა მაღალი სიციხე მაქვს: ჩემი მზერა სიბრტყეს სამგანზომილებიან გამოსახულებებად შლის. თვალსა და რეალობას შორის ეკრანს „მიმონტაჟებს“ და ეკრანს იქით ვისაც სად მოეპრიანება, იქ მიუჩენს ადგილს.

– ხომ შევთანხმდით, განშორება გეჭირდება, ყველაფრის „გადასახარშად...“ თან, ხომ იცი, სიცხე როცა მაქვს, ისედაც სულ კინოს ვუყურებ. – ვუღიმი.

გეგამ შუბლზე მაკოცა. სწრაფად მაკოცა, უცებ მომაცილა ტუჩები. ალბათ, ხაზი გაუსვა, სიცხის გასინჯვა არაფერ შუაშია, ისე გკოცნით.

– კარგი, დღესაც ვნახავ და მერეც. აი, რომ ჩამოხვალ, მერე გამომყევი შენც. საინტერესო ფილმია, საჩვენო. – ახლა გეგას სახე აქვეა და ხმა სადგურის ბოლოდან მესმის. ვერ ვარ ჯანმრთელად.

\* \* \*

„კიუუ!“ – კივის მატარებელი. „ახრრ...“ – ჩაახველა, ძრავა-ფილტვებში ჩამდგარი ხრინნი ჩაინმინდა და დაიძრა. მატარებლის ჩახველება მახსოვს, ჩემი ჩაძინება – ალარ. თვალი რომ გავახილე, ფანჯრის ადგილას ეკრანი დამხვდა. ე.ი. ისევ სიცხე მაქვს.

თავქუდმოგლეჯილები, მწკრივად გარბიან ხეები. მიცოცავენ მთები, მიიზღაზნებიან. საიდანღაც გამოსხლტნენ ცხენი და კვიცი. ცხენი კვიცს ლოკავს. კვიცი – ბალახს. ადგილიდან არ იძვრიან. ადგილმა სამივე დაძრა და სადღაც გააქანა. ფილმისწინა ჟურნალივითაა: ნაწყვეტი კადრები ყველაფერზე და არაფერზე. მზერას ფეხი უცდება, ვერც ერთ ნაწყვეტზე ვერ ჩერდება, ვერ ეჭიდება. სიცხე მაქვს. ფანჯარა აღარაა. ეკრანია.

შენელებული კადრი: მატარებელი სადგურს უახლოვდება. ფანჯარა-ეკრანზე ფილმის სათაურივით იკვეთება წარწერა: „წ ი ფ ა“

გაბრუებულ გონებაში ვიმეორებ: „ნიფის სადგური“ „ნიფის გაჩერება“... არა, რაღაც სხვა,

გაცილებით ახლობლური, ნაცნობი სიტყვათა-შეთანხმების გახსენება მინდა და არ გამომდის.

მატარებელი გაჩერდა. ფანჯრის მართკუთხედში ფოტოგრაფიულად მიმზიდველი კადრი ჩაჯდა: ძველი შენობა, სევდიანი. აქა-იქ ადამიანის ხელით შეღებილი მზისფერი, და ადგილადგილ, უმზეობისა და ნესტის ერთობლივი ნახელავი: ობი. შენობის მეორე სართულზე – ერთკაციანი აივანი. მიწიდან აივნამდე აცოცებულ სისველის უფორმო ბილიკი, აივანზე – ხმელ-ხმელი კაცი, სადგურის უფროსი. მოხუცი, შეძლებისდაგვარად წელში გამართული. ამაყად ისწორებს თავზე ქუდს, გენერალივით. მის გვერდით – სკამი. უკან – ოთახი. ორივე ცარიელი.

„გენერალი“ ჩვენკენ ზურგით ტრიალდება და ოთახში შედის. სავარაუდოდ – მოკლე, მტკიცე ნაბიჯებით, მაგრამ მე ხომ სიცხე მაქვს, ასე უბრალოდ როგორ შევა... უცებ, ერთი შესუნთქვით ისრუტავს ოთახის სიღრმე და თავის ცარიელ ფაშვში აუჩინარებს.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სადგურის უფროსს დგომით დაღლილმა მუხლებმა უმტყუნა, მაგრამ ამ ფილმში გენერლის როლი აქვს და უბრალო მოკვდავების წინ სკამზე ვერ ჩამოჯდება, მუხლზე ხელს ვერ გადაისვამს დასაზელად.

იმავე აივანზე ახალგაზრდა, ღიპიანი კაცი გამოდის. ამთქნარებს. თითზე ქუდს ატრიალებს. სკამზე ეშვება.

„მემკვიდრეობითი აივანი“ – ვფიქრობ.

ერთი ხელი ჯიბეში, მეორეში – ქუდი. ვერც გაამტყუნებ, რომ პირზე ხელის აუფარებლად ამთქნარებს... თითქოს, კედლებზე ნესტი შრება, მის ზურგს უკან, აბაჟურით ძლივს გნათებული ოთახიდან აღარ ჰგავს მიტოვებულს. კადრის კომპოზიცია დარღვეულია. სრული სერიოზულობით ვფიქრობ, რომ კანონი უნდა კრძალავდეს სხვა ჟანრის ფილმიდან სხვაში პერსონაჟთა თვითნებურ გადაადგილებას!!!

სადგური ოხრავს. „კიუუ!“ გაჰყვირის მატარებელი.

ბიჭი გადის, სადგურის უფროსი ბრუნდება. „ხმმ...“ შვებით ამოიფშვინა მატარებელმა.

აივანზე მოხუცის სილუეტი. გვერდით – სკამი. არ დაჯდება, სანამ მატარებელი თვალს არ მიეფარება – არ დაჯდება. ნესტი თვისებებს იბრუნებს. კედელს ფერი უბრუნდება – ყვითლის სევდიანი ტონალობა. ოთახს – აბაჟურის ბაცი ყვითელი ნათება.

მემანქანეს ნიშანს აძლევს მოხუცი „გენერალი“. მემანქანე, ალბათ, ვერც ამჩნევს ამ ნიშანს, გრაფიკს მიჰყვება. მოხუცი ამ ვერშემჩნევას არ იმჩნევს და ათუხთუხებული მატარებლის ხმაზე ვალმოხდილი ბრუნდება ოთახში.

მიხარია, რომ სანამ მისი გზააბნეული შვილი სხვა ფილმიდან აქ შემოფრატუნდება და ყველაფერს გააფუჭებს, მანამდე მივდივარ.

„დგნ-დგნ...“ ძველმოდურ რითმს რთავენ მუსიკალური რედაქტორები – ბორბლები.

მძიმედ ეშვება ნისლის დაფლეთილი ფთილა – დაჩრჩილული ფარდა. წარმოდგენა დამთავრებულია.

ცისფერი ცა მწკრივ-მწკრივად გახაზეს ჩიტისფერმა ჩიტებმა – ტიტრებმა.

კადრი შავდება, გვირაბში შევდივართ.

„თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“ – ჩურჩულებს ჩემი მთვლემარე მეხსიერება. – „თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?“

\* \* \*

„კარგი ფილმი იყო“ – გეგა მირეკავს.

„აქაც კარგი ფილმი გაუშვეს: „ნიფის გვირაბი. სადგურის გენერალი“ – ვეუბნები.

„ნუ ხუმრობ. – იცინის გეგა. – ეგეთი მხატვრული ფილმი ბუნებაში არ არსებობს. აი, მე წაგიყვან მაგარ ფილმზე. რომ ჩამოხვალ, გამომყევი, მეორედაც სიამოვნებით ვნახავ.“

როცა ასეთ დროს ბიჭი „ნუ ხუმრობს“ ამბობს, ე.ი. „ნუ იტყუების“ არ გაკადრებს. თუ ბიჭი „ნუ იტყუების“ არ გაკადრებს, ე.ი. არ ხუმრობს, მართლა უყვარხარ.

გადავწყვიტე: როგორც კი ბათუმიდან დავბრუნდები, გეგას გავყვები... კინოს არ ვგულისხმობ. ისე გავყვები – სულ.

# შარკაიანი



## რომან კისკიძე

დაიბადა 1969 წელს ბულგარეთის ქალაქ კაზანლიკში, პოეტ ზდრაგო კისიოვის ოჯახში.

1991 წელს დაამთავრა სოფიას სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ფერწერის სპეციალობით.

1995 წელს მიენიჭა ბულგარეთის სახელმწიფო პრემია პოეტური კრებულისათვის „სამოთხის კარი“.

1995 წელს – ქალაქ რუსეს მუნიციპალური პრემია „ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“.

2014 წელს მაკედონიაში მიენიჭა ლიტერატურული პრემია „დედალოსი“.

მისი ლექსები თარგმნილია 23 ენაზე.

### POST SCRIPTUM

მე არ მოვკვდები, არ მოვკვდები წვიმიან დილით,  
მე არ მოვკვდები ოთხშაბათს და პარასკევს, შაბათს,  
ამ ასწლეულში არ ვაპირებ სიკვდილთან შამათს,  
და თუმცა არც ეს ცხოვრებაა ტკბილი და თბილი,

მე არ მოვკვდები, არც პარიზში და არც ლონდონში,  
არც ჩემს მშობლიურ სოფიაში და არც – ვენაში,  
მე არ მოვკვდები არც ქუჩაში, ყინვის ლოდინში,  
არც – თბილ ლოგინში, შემოდგომის სიზმართცვენაში,

მე არ მოვკვდები არც სიბერით, არც – ვინმეს ხელით,  
ვერც სიზმრით რასმე შეიტყობენ ძველი მოგვები,  
არც – სიცილისგან, არც – შიშისგან, არც – ტყვიით ცხელით,  
არც – სადმე გზაში...

და საერთოდ,  
მე არ მოვკვდები!

როგორ აჯავრებს ეს თამამი, ეს სამი სიტყვა  
მთვლემარე მკვდრების სმენას დალუქულს.

და მაინც, მაინც, ეს ის არის, რაც უნდა მეტქვა,  
 არ ემღერება ჩემს საფლავზე ყვავების ოქტეტს.  
 მე არ მოვკვდები, თუნდაც ჩემი სხეული მოკვდეს,  
 მე არ მოვკვდები, თუნდაც გულმა შეწყვიტოს ფეთქვა.

მე არ მოვკვდები, მე ვიცხოვრებ ციურ კონტექსტში,  
 ჩიტის ფიქრებად, ფიფქის სევდად, წვიმის ქარიზმად...  
 და როცა ნავალ, მე მომიყვანს სიტყვის კორტეჟი,  
 უცნობი ლექსის პეიზაჟის ნაცნობ ქარის ხმად.

### ითაკა

მეც ვარ ოდისევსი,  
 უცნობი ოდისევსი,  
 და ჩემზე არასდროს არავის სმენია,  
 ჩემს გამჭრიახობას, ან როგორ მოისმენდით,  
 პოეტის ბედისწერამ სხვა მკლავით გამწურა,

რადგან ითაკიდან არასდროს გავსულვარ.

გამოქვაბულებში ციკლოპს არ შევეყრევარ,  
 და ლისტროგენებს – მითუმეტეს,  
 და სირინოზებს – მითუმეტეს,  
 არც ტროას ცხენი მომიგონებია,  
 არც ერთი გმირობა, სალაშქროდ გაცურვა,

რადგან ითაკიდან არასდროს გავსულვარ...

არავის აქვს ჩემი მშვილდ-ისრის ტვიფარი,  
 არც ჩემი შიში და მახვილის ნაშანთი,  
 თვით ჩემი პენელოპა გაცივდა ჩემ მიმართ,  
 და ძველი სიყვარული უხმოდ დანაცრულა...

მე ხომ ითაკიდან არასდროს გავსულვარ.

**ECCE POETA**

ესე არს პოეტი...  
ესე არს სიტყვა პოეტისა,  
ესე არს ხორცი სიტყვისა,  
ესე არს ხორცი, განტეხილი,  
მრავალთათვის განტეხილი  
ლექსებად და წიგნებად,  
მიიღეთ და სჭამეთ,  
ეზიარეთ ჭეშმარიტ სამყაროს,  
(რამეთუ, არა ინტერნეტითა ერთითა ცხონდების კაცი...)

**წიგნი**

ჩვენი ცხოვრების წიგნი...  
ავტორი – ჩვენ.  
რედაქტორი –  
ღმერთი.

**მე...**

მე ვარ ჩრდილში მდგარი შემოქმედი,  
მე ვარ ჩრდილი შემოქმედისა,  
რომელიც ჯერ კიდევ ჩრდილში დგას.

**წინასწარმეტყველება**

და დაბრუნდება პირველი ცრემლი,  
ცრემლი პირველი ადამიანის,  
დაღვრილი პირველ დღეს,  
პირველი ცოდვის გამო,

და დაბრუნდება პირველი ცრემლი,  
დედა – კაცობრიობის ყველა ცრემლისა,  
დაბრუნდება საშინელი სამსჯავროს დროს,



და დაბრუნდება პირველი ცრემლი,  
 ცრემლი დიდი და ცრემლი საშიში,  
 დატბორავს სამყაროს,

და ცრემლის წარღვნისგან იშვება ახალი  
 სამყარო ცრემლების გარეშე.

### მოვლენები

მაკურთხეველი ხელი  
 ქრისტეს ხატიდან,  
 უცებ გადმოდის და ჯვარს გვსახავს...  
 გვერდით ხატზე კი ტირილს იწყებს  
 ჩვილი იესო, მარიამის კალთაში...  
 ანგელოზები აფარფატებენ ფრთებს,  
 წმინდანები კი კედლებიდან გადმოდინან,

უძრავად ერთადერთი მე ვდგავარ, ვქვავდები.  
 ტაძარი ერთი სვეტით მეტია.

### სასვენი ნიშნები

ცხოვრება –  
 სასვენი ნიშნების მწკრივია;

ჯერ დგას ბავშვობა, –  
 კითხვის ნიშანი,

შემდეგ სიჭაბუკე –  
 ძახილის ნიშანი,

შემდეგ სიბერე –  
 მრავალწელტილი...

საბოლოოდ კი უხილავი ხელი სვამს წერტილს.

# სარბაი დოვდატოვი პარიანა ვოდკოვა

## არა მხოლოდ ბროდსკი. რუსული კულტურა კორტრეპეზა და ანეკდოტებში

არა მხოლოდ ბროდსკის – რუსული საზღვარგარეთული კულტურის ყველა მოღვაწეს უძღვნის ამ წიგნს ავტორი.

### წინათქმა

ეს წიგნი ასეთ ვითარებაში დაიბადა:

მარიანა ვოლკოვასთან სტუმრები ისხდნენ. მათ შორის იყო დოვდატოვიც. მარიანა სტუმრებს თავის ფოტონამუშევრებს აჩვენებდა.

- ეს ბარიშნიკოვია, - ამბობდა ის, - ევტუშენკო, როსტროპოვიჩი...

ყოველ ჯერზე დოვდატოვი მონოტონურად დასძენდა:

- მის შესახებ ერთი სულელოური ისტორია ვიცი...

უცებ ნათელი გახდა, რომ ეს დასრულებული წიგნი იყო. მეგობრებმა იკითხეს:

- გამოდის, იქ ჭორები იქნება? ათასგვარი მითქმა-მოთქმა?

- ჭორებიც, მათ შორის... მერე რა? ჭორი ისევე სრულად ახასიათებს პირს, როგორც ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტები. გაისხენეთ ჭორები დოსტოევსკის შესახებ. განა ტოლსტოისთვის მათი მიწერა შესაძლებელია? თუნდაც პირიქით...

მოკლედ, წიგნი მზადაა. მისი არსი მეგობრების ხასიათის აღბეჭდვის სურვილია.

ან, იქნებ, საკუთარი თავის... ტყუილად როდი ამბობს მარიანა:

- ადამიანები, როდესაც მათ ფოტოს ვუღებთ, თავადაც გვაკვირდებიან ობიექტივიდან.

ხსოვნა კი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ერთადერთი მდინარეა, რომელიც წლების მდინარების საპირისპიროდ მიედინება.

### ბელა ახმადულინა

ეს მოხდა პიროვნების კულტის გამოცხადების შემდეგ. ბანაკებიდან მრავალი მწერალი დაბრუნდა. მათ რიცხვში იყო უკვე ასაკში შესული გალინა სერებრიაკოვა. ერთ-ერთ ლიტერატურულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, გალინამ საკინძე შეიხსნა და ციხეში გადატანილი წამების კვალი დაანახა დარბაზს. ამის საპასუხოდ, ცინიკოსმა სიმონოვმა შენიშნა:



- ნეტა ახმადულინას გაეკეთებინა ეს...

ნეტა ახმადულინას გაეკეთებინა ეს...

მოგვიანებით, სერებრიაკოვამ დაწერა სქელი წიგნი მარქსის შესახებ. მაინც უერთგულა კომუნისტურ იდეალებს.

ახმადულინასთან კი ყველაფერი ასე მარტივად არ იყო.

### პასილი აკსიონოვი

აკსიონოვი ტაქსით მგზავრობდა ნიუ-იორკში. თან ლიტერატურული აგენტი ახლდა.



ამერიკელი ათას რამეს ეკითხება. მათ შორის:

– რატომ ცხოვრობს ამდენი რუსი ემიგრანტი მწერალი ნიუ-იორკში?

სწორედ ამ დროს ტაქსი კინალამ ავარიში მოჰყვა. ისმის მძღოლის შეძახილი და გულიდან აღმომ-

ხდარი რუსული „Мать твою!..“

ვასილი აგენტს მიუბრუნდა: „ახლა მიხვდი?“

### იუზ ალექსოვსკი და ვლადიმირ ვოინოვიჩი


ალექსევიჩის თანდასწრებით უთქვამს ერთ ძველ ბოლშევიკს:

– სამოქალაქო ომი მიდიოდა უკრაინაში. მივრეკეთ თეთრები დნებრთან. გადავწყვიტეთ დაგვესვენა. ავხსენით ცხენები. ვზივართ კონტონთან მე და შიკრიკი ვასია. ვეუბნები: „ეჰ, ვასია! აი, გავანადგურებთ თეთრებს, ავაშენებთ სოციალიზმს... ოც წელიწადში ნეტარი ცხოვრება დადგება! ნეტა მივაღწევდე...“

ალექსევიჩმა მის ნაცვლად დაასრულა:

– და დადგა ოცი წლის შემდეგ – ოცდაჩვიდმეტი წელი!

ვოინოვიჩი ყვება: „ექვსი წელია გერმანიაში ვცხოვრობ. ენა, ფაქტობრივად, არ ვიცი. ჩემს ასაკში ხომ ასიმილირება რთულია... ან რა საჭიროა. ისედაც ვეთვისები წელ-წელა. რაღაცებს ვხვდები. გერმანულ ენასთანაც სულ უფრო ნაკლები პრობლემა მაქვს... ერთხელ ქუჩას ვკვეთდი, ოცნებამ წამილო და კინალამ მანქანის ბო-




რბლებში აღმოვჩნდი! მძღოლმა მინა ჩამოსწია და დამიღრიალა: „Du bist ein Idiot!“ და მე, – დაასრულა ვოინოვიჩმა, – მოულოდნელად ზუსტად მივხვდი, რის თქმაც უნდოდა ამ ტიპს...“

### ვლადიმირ აშკენაზი

ამბობენ, რომ ხრუშჩოვი ჭკვიანი კაცი იყო. მაგრამ პიანისტი ვლადიმირ აშკენაზი უფრო ჭკვიანი გახლდათ.

ვლადიმირ აშკენაზს ბევრი „არდაბრუნებულად“ მიიჩნევს. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. აშკენაზი დასავლეთში წავიდა სრულიად ლეგალურად. ეს კი, აი, ასე მოხდა (თუ დავუჯერებთ ხრუშჩოვის მემუარებს, სხვათა შორის, საკმაოდ დამაჯერებელს):

აშკენაზს, როგორც იტყვიან, თავისუფალი მიმოსვლა ჰქონდა. ისლანდიელ ქალზე იქორწინა. გაუთავებლად მართავდა გასტროლებს



საზღვარგარეთ. და ყოველ ჯერზე უკან ბრუნდებოდა. მეტიც, ყოველი გასვლის წინ წინასწარ ყიდულობდა უკან დასაბრუნებელ ბილეთს.

ერთხელაც, ცოლთან ერთად ლონდონში

მყოფმა აშკენაზიმ საბჭოთა საელჩოს მიმართა. განაცხადა, რომ მის მეუღლეს აღარ უნდოდა მოსკოვში გამგზავრება. იკითხა, როგორ მოვიქცეო.

ელჩმა ყველაფერი მინისტრ გრომიკოს მოახსენა. გრომიკომ – ხრუშჩოვს. ხრუშჩოვმა კი, როგორც მისი მემუარებიდან ჩანს, ბრძანა:

– დავუშვათ, ვუბრძანეთ დაბრუნება. ის, ცხადია, არ დაბრუნდება. ამასთან ერთად, ანტი საბჭოურიც გახდება.

აქ ხრუშჩოვმა სიტყვასიტყვით წარმოთქვა:

„რატომ უნდა მოვამრავლოთ ანტი საბჭოთა ადამიანები?“

და გააგრძელა:

– მივცეთ საზღვარგარეთული პასპორტი. დაე, დარჩეს საბჭოთა მოქალაქედ. იაროს, საითაც მოეპრიანება. და როცა მოისურვებს, შინ დაბრუნდეს...

აშკენაზი აღარ დაბრუნებულა. სამაგიეროდ, შინ დარჩენილი ნათესავები დაიცვა შევიწროებისგან. ყველაფერი მშვიდობიანად და რიგიანად დასრულდა...

**ვაზირ ბახჩანიანი და ედუარდ ლიმონოვი**

ერთხელ ბახჩანიანს ვკითხე:

- შენ სომეხი ხარ?
- სომეხი.
- ასი პროცენტით?
- ასორმოცდაათითაც კი.
- ეს როგორ?
- დედინაცვალიც სომეხი მყავდა...



ეს ამბავი ერთ ლიტერატურულ კონფერენციაზე მოხდა. სხვებთან ერთად, მასში ლიმონოვი და კორჟავინი მონაწილეობდნენ. კონფერენციის ბოლოს კამათი გაიმართა. თითოეულ გამომსვლელს შვიდი წუთი ეთმობოდა.

დადგა კორჟავინის რიგი. შვიდი წუთი გაუჩერებლად ლანძღავდა ის ლიმონოვს ამორალიზმისთვის. ბოლოს თავმჯდომარემ შეაჩერა:


- დრო ამოიწურა.
- მე ჯერ არ დამისრულებია!
- თქვენი დრო ამოიწურა...
- აქ ლიმონოვი ჩაერთო:
- მეც მეთმობა დრო?
- შვიდი წუთი.
- შეიძლება ეს დრო ნაუმ კორჟავინს დავუთმო?
- თქვენი ნებაა.

და მომდევნო შვიდი წუთის განმავლობაშიც კრულავდა კორჟავინი ლიმონოვს ამორალიზმისათვის. ახლა უკვე მის ხარჯზე.

**ჯორჯ ბალანჩინი და სოლომონ ვოლკოვი**

ბალანჩინი ცხოვრობდა და გარდაიცვალა ამერიკაში. მისი ძმა, ანდრო, სამშობლოში დარჩა, საქართველოში.

მოხუცდა ბალანჩინი. დრო იყო, ანდერძზე ეფიქრა, მაგრამ მას არა და არ სურდა ანდერძის შედგენა. ამტკიცებდა:



– მე ქართველი ვარ. ას წელიწადს ვიცოცხლებ!..

ნაცნობმა იურისტმა აუხსნა:

– მაშინ თქვენი უფლებები თქვენს ძმას გადაეცემა. ანუ საბჭოთა სახელმწიფო მიითვისებს ყველა თქვენს ბალებს.

– მე ყველაფერს ვუანდერძებ ჩემს საყვარელ ქალებს ამერიკაში.

– ძმას?

– ძმას – არაფერი.

– ეს უცნაურად გამოჩნდება. საბჭოეთი ანდერძის ნამდვილობას სადავოს გახდის.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ბალანჩინმა დაწერა ანდერძი. ძმას ორიოდ ოქროს საათი დაუტოვა. თავის ბალებებზე ყველა უფლება კი საყვარელ თვრამეტ ქალს უანდერძა.

ვოლკოვმა მევიოლინეობით დაიწყო. სიმებიან კვარტეტსაც კი ხელმძღვანელობდა.

ერთხელაც, მწერალთა კავშირს მიმართა:

– გვინდა ჩვენი ხელოვნებით ახმატოვას წინაშე წარვსდგეთ. როგორ მოვახერხოთ ეს?

ჩინოვნიკებმა გაიოცეს:

– რატომ მაინცადამაინც ახმატოვა? არიან უფრო პატივსაცემი მწერლები – მიროშნიჩენკო, საიანოვი, კეტლინსკაია...

ვოლკოვმა გადანყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედა. ის და მისი მეგობრები ახმატოვას

აგარაკზე ეწვივნენ და მისთვის შოსტაკოვიჩის ახალი კვარტეტი შეასრულეს.

ახმატოვამ მოისმინა და თქვა:

– მეშინოდა, რომ ეს ოდესმე დასრულდებოდა...

გავიდა რამდენიმე თვე. ახმატოვა დასავლეთში გაემგზავრა. ინგლისში დოქტორის დიპლომი მიიღო. ჰქონდა შეხვედრები ადგილობრივ ინტელიგენციასთან.

ინგლისელები ათასგვარ შეკითხვას უსვამდნენ – ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის შესახებ.

ახმატოვამ თქვა:

– რამდენიმე თვის წინ შოსტაკოვიჩის გამაოგნებელი ოპუსი მოვისმინე. აგარაკზე საგანგებოდ მეწვია ინსტრუმენტული ანსამბლი.

გაოცდნენ ინგლისელები:


– ნუთუ საბჭოთა კავშირში ასე სცემენ პატივს მწერლებს?

ახმატოვა დაფიქრდა. მერე დასძინა:

– ზოგადად, კი...

## მიხაილ ბარიშნიკოვი

ენ-არბორში რუსული კულტურის ფორუმი გაიმართა. ის გამომცემელ კარლ პროფერის ორგანიზებით შედგა, მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე. სწორედ პროფერმა შეძლო ამ ფორუმზე მიხაილ ბარიშნიკოვის შემოტყუება.



რუსულ კულტურას ბარიშნიკოვთან ერთად ექვსი ადამიანი წარმოადგენდა. ბროდსკი – პოეზიას. სოკოლოვი და ალექსოვსკი – პროზას. მირეცკი – ფერწერას. მე, როდენ სანყენიც არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის, – ჟურნალისტიკას.

ორი ათასკაციანი დარბაზი გადაჭედილი იყო, თუმცა მაცურებელი მხოლოდ ბარიშნიკოვს შესცქეროდა. მის ყოველ სიტყვას მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდა. სხვები ჩრდილში აღმოჩნდნენ. თვით ბროდსკიც კი.

უცებ მესმის, როგორ გადაუჩურჩულა ალექსე-ვიჩმა სოკოლოვს:

– ნახე, ბებერო, როგორ გაიზარდა რუსული პროზისადმი ინტერესი დასავლეთში!


სოკოლოვი ღიმილით უქნევდა თავს:

– მართლაც ბებერო, მართლაც...

### ანდრეი ბიტოვი

ახალგაზრდობაში ბიტოვი აგრესიულობით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნისას. ერთხელ მან პოეტ ვოზნესენსკის დაარტყა.

ეს უკვე აღარ იყო ამ ტიპის პირველი შემთხვევა. ბიტოვი ამხანაგური სასამართლოს წინაშე წარსდგა. ცუდად იყო მისი საქმე.



და აქ ბიტოვმა სიტყვა წარმოთქვა:

– მომისმინეთ და ისე მიიღეთ ობიექტური გადაწყვეტილება. ოღონდ ჯერ მოისმინეთ, საქმე რაში იყო. თუ მომისმინეთ, გამიგებთ. შედეგად - მაპატიებთ. მე არ ვარ

დამნაშავე. და ეს ახლავე ყველასთვის ნათელი გახდება. მთავარია, მომისმინეთ. მე გეტყვით, როგორ იყო საქმე.

– მაინც, როგორ იყო საქმე? – დაინტერესდნენ „მოსამართლეები“.

– საქმე იყო შემდეგში: შევდივარ „კონტინენტალში“. ვხედავ, დგას ანდრეი ვოზნესენსკი... ახლა თქვენ მიპასუხეთ, – გაცხარდა ბიტოვი, – როგორ შემეძლო მისთვის არ მომედო ფიზიონომიაში?!

### ლილია ბრიკი

მაიაკოვსკის თვითმკვლელობა ჩვენთვის ტრაგიკულ გამოცანად რჩება. მის სიკვდილში ბევრი ლილია ბრიკს ადანაშაულებს: ის იყო, ასე ვთქვათ, ჰიპოტენუზა სასიყვარულო სამკუთხედისა, მან აავსო სახლი ჩეკას თანამშრომლებით, და ასე შემდეგ...


თავად ლილია ბრიკი სხვა ვერსიას ავრცელებდა. მისი თქმით, მაიაკოვსკის ახასიათებდა ღრმა მიდრეკილება თვითმკვლელობისკენ. რაღაც სიკვდილის მანიაკალური სურვილის მსგავსი.

მეტიც, მაიაკოვსკის ადრეც ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, მაგრამ რევოლვერის სავაზნეში მოთავსებულმა ერთადერთმა ტყვიამ უმტყუნა. ლილია ბრიკმა სახსოვრად გამოართვა მაიაკოვსკის ეს ტყვია. ის მისთვის უდანაშაულობის ერთგვარი მტკიცებულება თუ რაღაც ამის მსგავსი იყო.

ყოველივე ამას, სამწუხაროდ, უსიამოვნო დამლა აზის. და საერთოდ, ვილაცის სიკვდილის ფონზე კატასტროფულად ვლინდება ნებისმიერი უგემოვნება.


ტყუილად არ ამბობდა პოეტი-ფუტურისტი კრუჩინონი:

– გვეყოს ვაჟკაცობა, მოვკვდეთ გემოვნებით!



## იოსიფ ბროდსკი

ბროდსკიმ მძიმე ოპერაცია გადაიტანა გულზე. ჰოსპიტალში მივედი მის მოსანახულებლად. უნდა ვთქვა, რომ ბროდსკი, ზოგადად, ნორმალურ მდგომარეობაშიც მთრგუნავს. აქ კი სრულიად დავიბენი.



წევს იოსიფი – ფერდაკარგული, ცოცხალ-მკვდარი. ირგვლივ – აპარატურა, სადენები და ციფერბლატები. უცებ წარმოვთქვი რაღაც სრულიად უადგილო:

– აი, თქვენ აქ ავადმყოფობთ, და სულ ტყუილად... ამასობაში ევტუშენკო კოლმეურნეობების წინააღმდეგ ილაშქრებს.

რაღაც ამის მსგავსს მართლაც ჰქონდა ადგილი. საკმაოდ შეუპოვარი იყო ევტუშენკოს გამოსვლა მოსკოვის მწერალთა კავშირის ყრილობაზე. ჰოდა, მეც ვთქვი:

– ევტუშენკო კოლმეურნეობების წინააღმდეგ ილაშქრებს...

ბროდსკიმ ძლივს გასაგონად მიპასუხა:

– ის თუ წინააღმდეგია, მე – მომხრე ვარ...

## ალექსანდრა დანილოვა



ახალგაზრდა დანილოვა დასავლეთში აღმოჩნდა. მიუზიკოლოგებში გამოდიოდა. აქ მისით „ბალე-რუსის“ დამფუძნებელი, სერგეი დიაგილევი დაინტერესდა. დაუნიშნა რაღაც შემოწმების მსგავსი.

დანილოვა ამბობს:

– მე მარიინსკის თეატრს ვამშვენებდი. როგორმე თქვენთანაც ვივარგებ...

დიაგილევმა თავი დააქნია:

– მართალია...

და „შემოწმება“ გააუქმა. ერთ წელიწადში დანილოვა მისი დასის ვარსკვლავი გახდა.


## ალექსანდრ გოდუნოვი

ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, გოდუნოვმა თმები მოუშვა. მთელი ცხოვრება გაკრეჭას აიძულებდნენ. სკოლაში. დიდ თეატრში. გასტროლების წინ.

გოდუნოვი მარქსს, ენგელსს, ჩერნიშევსკის იშველიებდა.

– კი ბატონო! მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. აღარაა მოდაში, – არ ეშვებოდნენ ჩინოვნიკები, და მედიდურად ისვამდნენ ხელს ლაპლაპა მელოტ თავზე.

მერე გოდუნოვი დასავლეთში გაიქცა. აქ თავისი კულულებით ყველა მოხიბლა... შემელოტებული ბროდსკიც კი სიამოვნებით აღნიშნავდა ამას.



## ნატალია გორბანევსკაია და ანატოლი ნეიშანი

1968 წლის 20 აგვისტოს საბჭოთა ჯარებმა ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მოახდინეს. 25 აგვისტოს მოსკოვში შედგა ცნობილი საპროტესტო დემონსტრაცია. სხვებთან ერთად მასში გორბანევსკაიაც მონაწილეობდა. წითელ მოედანზე ჩვილი ბავშვით გავიდა.

დემონსტრაციის ყველა მონაწილე დააპატიმრეს. გორბანევსკაია ბავშვების გამო დაინდეს და მონმის სტატუსი მიანიჭეს.



დაიბარეს დაკითხვაზე. ვილაც მისი ჩვილი ბავშვით დაინტერესდა:

– ესეც მოწმეა?

– არა, –

უპასუხა გორბანევესკაიამ, – ეჭვმიტანილი...

ნეიმანი არა მხოლოდ შესანიშნავი პოეტი გახლდათ – ის ლენინგრადში ყველაზე გესლიან ადამიანად იყო ცნობილი. მისი მქირდავი სიტყვა ახმატოვასაც კი გადასწვდა.

ერთხელაც ჩემი ერთი ნაცნობი წარუდგინე ცენტრალური ლიტგაერთიანებიდან. ნეიმანი ეკითხება:

– პოეტი ხართ?

ჩემმა ნაცნობმა ამაყად დაუქნია თავი.

ნეიმანმა შესთავაზა:

– სამიოდ სტრიქონი მაინც წამიკითხეთ, თუ ასეთი გაქვთ...

### ვლადიმირ ბოროვიცინი

სოლომონ ვოლკოვმა დაწერა წიგნი – „ბალანჩინის ჩაიკოვსკი“. წიგნი ინგლისურად გამოიცა, წარმატებაც მოჰყვა. მასში ბევრი რამ საინტერესო იყო მოთხრობილი ჩაიკოვსკის შესახებ.

მუსიკისადმი უკიდურესი მისწრაფება პეტია ჩაიკოვსკიმ ადრეულ ბავშვობაში გამოავლინა.



ის მზად იყო დღედაღამ, დაუსრულებლად მჯდარიყო როიალთან. მშობლებს არ უნდოდათ, ბავშვი გადატვირთულიყო, და უკრძალავდნენ ძალიან დიდხანს ინსტრუმენტზე დაკვრას.

მამინ მან მინაზე დაიწყო თითებით თამაში. ერთხელ ისე გაერთო, რომ მინა გატყდა. ბიჭმა ხელი დაიზიანა...

თავისი წიგნის ერთი ეგზემპლარი ვოლკოვმა გოროვიცს წარუდგინა. სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მაესტრო მას არ წაიკითხავდა. რადგან გოროვიცი, სხვა დიდი ხელოვანების მსგავსად, მხოლოდ საკუთარი თავით იყო დაკავებული. ერთხელაც, ჟურნალისტებთან საუბრისას, გოროვიცმა თქვა:

„ბავშვობაში მზად ვიყავი დღე და ღამე გამეტარებინა როიალთან. მშობლებს არ უნდოდათ ჩემი გადატვირთვა და მიკრძალავდნენ ხანგრძლივად დაკვრას. მე მინაზე დავიწყე თითების ცემა, როგორც კლავიატურაზე. ამით ისე გავერთე, რომ ერთხელ ხელიც კი დავიზიანე...“

ამ ამბავს რომ ისმენდა, ვოლკოვი ზეიმობდა: – მაშასადამე, მას წაუკითხავს ჩემი წიგნი!

### რომან იაკობსონი

რომან იაკობსონი ელამი იყო. მარცხენა თვალზე აიფარებდა ხელს და უყვიროდა ნაცნობებს:


– მარჯვენაში მიყურეთ! მარცხენა დაივიწყეთ! მარჯვენაა ჩემთვის მთავარი! მარცხენა – ეს ისე, ხარკია ფორმალზმისთვის...

ადვილია სისულელეების როშვა, როცა უკვე მთელი ფილოლოგიური სკოლის დამფუძნებელი ხარ!

მხიარული კაცი იყო იაკობსონი.

თუმცა არც ძალიან კეთილი. ამაზე მეტყველებს ნაბოკოვთან დავკავშირებული ისტორია.

ნაბოკოვი ცდილობდა პროფესორის ადგილის მოპოვებას ჰარვარდში. სამეცნიერო საბჭოს ყველა წევრი მხარს უჭერდა, მხოლოდ ია-





კობსონი გახლდათ წინააღმდეგი. ის კი საბჭოს თავმჯდომარე იყო. შესაბამისად, მისი სიტყვა წყვეტდა ყველაფერს.

კოლეგებმა ბოლოს განუცხადეს:

– ვალდებული ვართ, ნაბოკოვი მოვიწვიოთ. ის ხომ დიდი მწერალია.

– მერე რა? – გაიკვირვა იაკობსონმა. – სპილოც დიდი ცხოველია. მაგრამ ჩვენ მას ხომ ვერ ჩავაბარებთ ზოოლოგიის კათედრას!

### არამ ხაჩატურიანი

ხაჩატურიანი კუბაში გაემგზავრა. იქ ჰემინგუეის შეხვდა. როგორმე უნდა ელაპარაკათ. ხაჩატურიანმა რალაც წარმოთქვა ინგლისურად. ჰემინგუეიმ ჰკითხა:

– თქვენ ინგლისურად ლაპარაკობთ?



– ცოტას, – უპასუხა ხაჩატურიანმა.

– ისევე, როგორც ჩვენ, – თქვა ჰემინგუეიმ.


ცოტა ხნის შემდეგ ჰემინგუეის ცოლი ეკითხება:

– ინგლისური აქცენტი როგორღა აითვისეთ?

– სმენა მაქვს რიგიანი... – უპასუხა ხაჩატურიანმა.

### ელემ კლიმოვი

კლიმოვის მამა ნომენკლატურული პირი იყო. ცეკას წვერი.



ჰოდა, კლიმოვის შესახებ ამბობდნენ:

– კარგია, იყო მემარცხენე, როცა გაქვს მხარდაჭერა მემარჯვენე...

### ვიტალი კომარი და ალექსანდრ მელამიდი

კომარმა და მელამიდმა სოცარტი მოიფიქრეს. აბუჩად იგდებდნენ სოციალიზმის გარდაცვლილ ბელადებს. მე კი მათ ადგილას უფრო




ფრთხილი ვიქნებოდი. ტყუილად ხომ არ გვარწმუნებს ბახჩანიანი:

– თუ გაცოცხლდა სტალინი, პირველი, რასაც დაინახავთ, ლიკვიდირებული კომარი და მელამიდი იქნებიან!

### პირილ და ნოლდა კონდრაშინები

კონდრაშინს ახალგაზრდა ჰოლანდიელი ქალი – ნოლდა შეუყვარდა. დასავლეთში დარჩა.



იქ ხელახლა დაიბადა, როგორც მუსიკოსი. ადამიანურადაც ბედნიერი იყო.

1981-ში გადაიკვალა გულის ინფარქტით. ამსტერდამთან ახლოს დაკრძალეს.

მოსკოვში კი მისი ყოფილი ცოლი ნაცნობებს ეუბნებოდა:

– უფრო ჭკვიანი რომ ყოფილიყო, ყველაფერი სხვაგვარად დასრულდებოდა. იწვებოდა ნოვოდევიჩზე, და ყველა შურით დახედავდა მის საფლავს...

**ნაშე კორჟავინი**

ერთ-ერთი ლიტერატურული კონფერენციის წინ გამაფრთხილეს:

- მთავარია, კორჟავინს არ აწყენინოთ.
- რატომ უნდა ვაწყენინო?
- იმიტომ, რომ კორჟავინი თავად განწყენინებთ თქვენ. თქვენ კი, ღმერთმა არ ქნას, გაბრაზდეთ და ის გაანაწყენოთ. ნუ იზამთ ამას.



– და კორჟავინმა რატომ უნდა მაწყენინოს?  
 – იმიტომ, რომ კორჟავინი ასეთია. თქვენ გამონაკლისი არ ხართ. ამიტომ ნუ მიაქცევთ ყურადღებას. კორჟავინი საშინლად მგრძნობიარეა.

- მეც მგრძნობიარე ვარ.
- კორჟავინი – განსაკუთრებით. ნუ აწყენინებთ...

კონფერენცია დაიწყო. კორჟავინის გამოსვლა ოთხ წუთს გაგრძელდა.

პირველი ფრაზით კორჟავინმა აწყენინა ყველა ამერიკელ სლავისტს. მან ბრძანა:

– მე არ ვწერ სლავისტებისთვის. მე ვწერ ნორმალური ადამიანებისთვის...

შემდეგ კორჟავინმა გაანაწყენა მთლიანად ქალაქი ლენინგრადი:

– ბროდსკი ნიჭიერი პოეტი, თუმცა ლენინგრადელი...

შემდეგ მან რამდენიმე გესლიანი სიტყვა წარმოთქვა ცვეტკოვის, ლიმონოვისა და სინიავსკის მისამართით. ბუნებრივია, მეც შემეხო.

არც მინდა გავიხსენო, როგორ. ერთი სიტყვით, გამოვიდა, რომ წამგლეჯი და საქმოსანი ვარ.

კიდევ კარგი, ვოინოვიჩი გამომესარჩლა:

– ბოდიში მოიხადოს ემკამ (კორჟავინის მეტსახელი). ოღონდ ისე, როგორც საჭიროა. თორემ მე კარგად ვიცნობ მას და ვიცი, როგორც იხდის ბოდიშს: „ყველანი, ბოდიში მომითხოვია და, ნაგვები ხართ“.

**გიდონ კრემერი**

ექსცენტრული კაცია კრემერი. დადგენილის წინააღმდეგ უყვარს მოძრაობა. ხშირად ასრულებს ავანგარდულ ნაწარმოებებს, ნაკლებად გასაგებს რიგითი შემფასებლებისთვის. ეს აცოფებს მის იმპრესარიოს.




და როცა იმპრესარიო ღელავს ბილეთების გაყიდვაზე, კრემერი მშვიდადაა:

– სანერვიულო რა არის? ცარიელ დარბაზში უკეთესი რეზონანსია!

**პასილი სუხარსკი**

დირიჟორ კონდრაშინს არაერთხელ ჰქონია შეხლა-შემოხლა სახელმწიფოსთან. ერთ-ხელაც, საზღვარგარეთ წასვლაზე უარი განუცხადეს. მოტივაცია – კონდრაშინის ავადმყოფი გული. ის კი თავისას არ იშლიდა, დადიოდა ინსტანციებ-




ში, ბოლოს მინისტრის მოადგილესთან შევიდა. სუხარსკი მას ეუბნება:

- თქვენ გული განუხებთ.
- არა უშავს, - პასუხობს კონდრაშინი, - იქ კარგი ექიმები არიან.
- და რამე რომ შეგემთხვათ? იცით, რამდენი დაჯდება ეს?
- რა დაჯდება?
- ტრანსპორტირება.
- რის ტრანსპორტირება?
- თქვენი გვამის...

### იური ლუბიმოვი

„ყუბანელი კაზაკების“ გადაღებები მიდიოდა. ფილმში ახალგაზრდა ლუბიმოვიც ასრულებდა მცირე როლს. ინსცენირებული იყო მდიდრული საკოლმეურნეო ბაზრობა: საჰაერო ბუშტებით, ხილით, ბოსტნეულით... მოკლედ, ყველანაირი დოვლათით.



მიუახლოვდა ლუბიმოვს ადგილობრივი დედაბერი და ეკითხება:

- მითხარი, შვილო, რომელი ცხოვრებიდანაა ეს ყველაფერი?

ლუბიმოვი ირწმუნება, რომ სწორედ

ამ მომენტმა ჩაუსახა მას იდეოლოგიური ეჭვები.

### ნათან მილშტეინი

მილშტეინმა და გოროვიცმა ჯერ კიდევ ოციან წლებში გაითქვეს სახელი. ლუნაჩარსკიმ ახალგაზრდა მუსიკოსებზე სტატია დაწერა: „საბჭოთა რევოლუციის ბავშვები“.

თუმცა, ამის შესახებ მილშტეინი ამბობდა:



ოლებზე არც უფიქრიათ.

ერთხელაც, ქალაქი გადასცეს ტროცკის მოადგილისგან, სადაც ნათქვამი იყო, რომ სამხედრო საბჭო საზღვარგარეთ გასტროლების ნებას რთავდა მათ. მიზანი - „სახელოვნებო სრულყოფა და კულტურული პროპაგანდა“.

ასე აღმოჩნდნენ მილშტეინი და გოროვიცი ევროპაში. ცხოვრობდნენ პარიზში. სშირად სტუმრობდნენ საბჭოთა სრულყოფლებიან წარმომადგენელს - ხრისტიან რაკოვსკის.

ბოლოს, შინ დაბრუნების დროც დადგა. მივიდნენ რაკოვსკისთან. რაკოვსკიმ უთხრა მათ:

- სისულელე არ ჩაიდინოთ... დაუკარით, სანამ შესაძლებლობა გაქვთ...

„რევოლუციის ბავშვებმა“ იფიქრეს და მოიფიქრეს - დასავლეთში დარჩნენ.

მოგვიანებით, რაკოვსკი სამშობლოში გაიწვიეს, რათა დაეხვრიტათ, როგორც ტროცკისტი...

მილშტეინი მადლიერებით იხსენებს რაკოვსკის. არც ტროცკის მიმართ ფარავს სიმპათიებს.

### ერნსტ ნეიზვესტინი

ნეიზვესტინის სტუმრები ჰყავდა. მასპინძელი საუბრობდა თავის როლზე ხელოვნებაში:

- ჰორიზონტალი - ეს ცხოვრებაა. ვერტიკალი - ღმერთია. გადაკვეთის წერტილში ვართ მე, შექსპირი და ლეონარდო!..



გაოცებული დუმდა ყველა. მხოლოდ კოლექციონერმა ნორტონ დოჯმა შენიშნა ხმადაბლა:

– როგორც ჩანს, ეს ასეცაა...

...სხვებზე ადრე ამას იური ლუბიმოვი მიხვდა. ცნობილია, რომ

მისი კაბინეტის კედლებზე, ტრადიციულად, მიწანწერებს ტოვებდნენ ცნობილი მოსკოველები. ლუბიმოვმა ნეიზვესტინის უთხრა:


– შენც დანერე. ან, უფრო უკეთესი – დახატე რამე. ოღონდ კარზე.

– კარზე რატომ?

– იმიტომ, რომ თეატრი შეიძლება დახურონ. კედლები შეიძლება დაინგრეს. კარს კი ყოველთვის მოვიკიდებ ზურგზე...

### ვიქტორ ნაპრასოვი

ბაბინ იარის\* ტრაგედიიდან რომელიღაც წლისთავის აღსანიშნავად, არაოფიციალური მიტინგი გაიმართა. მიტინგის მონაწილეებს შორის



იყო ვიქტორ პლაცონის ძე ნეკრასოვიც. ის მიკროფონთან მივიდა და ლაპარაკი დაიწყო.

მომიტინგეთაგან ხმები გაისმა:

– აქ მხოლოდ ებრაელები არ არიან დამარხული!

– მართალია, – უპასუხა ნეკრასოვმა, – სრული სიმა-

რთლეა. აქ მხოლოდ ებრაელები არ არიან დამარხული. მაგრამ მხოლოდ ებრაელები დახოცეს იმის გამო, რომ ებრაელები იყვნენ...

### ეპხენი ნესტერენკო და ირაკლი ანდრონიკოვი

ცნობილია, რომ ვოკალისტები გარკვეული უპირატესობით სარგებლობენ. მაგალითად, მათ სხვებზე ადრე ანიჭებენ ნოდებებს. აქაოდა, სხვებზე ადრე გადიან პენსიაზე და მისთანები.

ბევრს ეს უსამართლობად ეჩვენება. ამგვარი აზრი გამოთქვა ევგენი ნესტერენკოს ერთმა მევიოლინე მეგობარმაც.

ნესტერენკო ეკითხება მას:

– ზაფხულში ქურქით გივლია?

– არა, – გაკვირვებით იუარა მევიოლინემ.

– დაკიდულს გიმღერია?

– არა, – კიდევ უფრო გაოცდა მეგობარი.

– ჰოდა, – მოუჭრა ნესტერენკომ, – ასე მოიქეცი: ივლისში ქურქი ჩაიცვი. საყელოთი ჩამოეკიდე. მერე კი იმღერე რამე... მიხვდები, რას ნიშნავს საოპერო ხელოვნება.

მწერალ ოლგა ფორშს აგარაკი ჰქონდა. თუ არ მეშლება, ტიარლევი, ლენინგრადთან.

ერთხელაც ამ აგარაკზე ირაკლი ანდრონიკოვი ეწვია. გვიან ღამემდე ართობდა ოლგა ფორშს თავისი სახელგანთქმული ისტორიებით.

მეორე დღით მეზობელი ჩიოდა:




\* ადგილი კიევის ჩრდილო-აღმოსავლეთით; 1941 წელს ნაცისტების მიერ მოსახლეობის მასობრივ დახვრეტებს შეწირული ასიათასობით ადამიანის, უმეტესად, ებრაელების, საერთო საფლავი (მთარგმნ).

– ნუხელ ოლგა დმიტრიენასთან კაცები იყვნენ... ნახევარი დუჟინი! მოხუცი ეძახე შენ. როდის დაიშალნენ – ვერაფერი გავიგე. ერთი, მგონი, რკინიგზისკენ გაიქცა. დანარჩენები? ალბათ, დილისკენ შერცხვათ, ფანჯრიდან ისკუპეს და მოუსვეს...

### რუდოლფ ნურეევი

ნურეევის წინაშე ვალში ვარ. თუმცა ერთმანეთს არც ვიცნობთ. საქმე კი, აი, როგორ იყო.

მამაჩემს მტერი ჰყავდა, გვარად კორკინი, ნომენკლატურული ადმინისტრატორი. სხვადასხვა დროს ეს ტიპი განაგებდა რამდენიმე კულტურულ დაწესებულებას. და ყოველთვის საიდანღაც ათავისუფლებდა მამაჩემს. კორკინმა გაათავისუფლა ის პუშკინის თეატრიდან. შემდეგ – ფილარმონიიდან. შემდეგ



– საკონცერტო-საგასტროლო გაერთიანებიდან. ასე გრძელდებოდა დიდხანს.

მერე კი: რუდოლფ ნურეევი კიროვის ოპერისა და ბალეტის თეატრის ვარსკვლავი იყო. კორკინი – ამ თეატრის დირექტორი. პარიზში გასტროლების დროს ნურეევი „გაიქცა“, კორკინი კი სიფხიზლის მოდუნების გამო გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ის გალოთდა. მერე მოკვდა კიდევც და სწორადაც მოიქცა, როგორც ამბობდა ახმატოვა სხვა ასეთივე საზიზღარ ადამიანზე...

ასე იძია ნურეევმა შური მამაჩემისთვის.


### ბულატ ოკუჯავა

ეს მოხდა სამოცდაათიან წლებში. ბულატ ოკუჯავას ორმოცდაათი წელი შეუსრულდა. იმხანად ის „შერისხულად“ ითვლებოდა. „ლიტერატურნაია გაზეტამაც“ კი არ მიულოცა იუბილე.

გადავწყვიტე, უცნობი პოეტისთვის მისალოცი დეპეშა გამეგზავნა. მოვიფიქრე არასტანდარტული ტექსტი: „Будь здоров, школяр!“ – ასე ერქვა მის ერთ ადრეულ ნოველას.

ერთი წლის შემდეგ ოკუჯავას გაცნობის შესაძლებლობა მომეცა. გავახსენე ჩემი დეპეშა. დარწმუნებული ვიყავი, პოეტს ის აუცილებლად დაამახსოვრდებოდა არასტანდარტული ფორმის გამო.

გაირკვა, რომ ოკუჯავას საიუბილეო დღეებში ასზე მეტი დეპეშა მიუღია. ოთხმოცდახუთმათგანში ეწერა: „Будь здоров, школяр!“



### პალერი პანოვი

ლენინგრადელ ქორეოგრაფ იაკობსონს დასავლელი კრიტიკოსები ზოგჯერ პროვინციელს უწოდებდნენ. ეს აღაშფოთებდა პანოვს. ამის შესახებ ის ამბობდა:

– სისულელეა, ხელოვანს პროვინციელი უწოდო. ის ელექტრობატარეას ჰგავს. ნამდვილ მუხტს დედაქალაქში იძენს. განათლებას დედაქალაქში იღებს. ამის შემდეგ განმარტოება, საკუთარ თავში



ჩალრმავება სჭირდება... ეს უნიჭო კრიტიკოსებს ესაჭიროებათ ინფორმაციებით მუდმივი დატენვა. ის ადამიანები კი, ვისაც სათქმელი აქვთ, მარტოსულები არიან...

**ბაღინა პანოვა**

ერთმა ემიგრანტულმა ჟურნალმა გალინა პანოვასთან ინტერვიუ გამოაქვეყნა.

აი, რამდენიმე ფრაზა ინტერვიუდან:

„წარმატება – ეს ისეთი სიამოვნებაა!.. ვალერი – ისეთი შესანიშნავი ქმარია!.. მსოფლიოში ვინ დგამს ბალეტს მასზე უკეთ?! აბა, ვინ?.. მი-



თხარით, ვინ?! ჩემი წარმატება ვალერისთვის სიურპრიზს არასდროს წარმოადგენდა. მან იცის, რომ მე ყველაფერი შემიძლია... ჩემში იმდენი ენერჯიაა!.. და დიდებული ტექნიკა!.. მე ნიჭიერი სხეული მაქვს, ყველაფერს უც-

ებ ვიტაცებ... მე კარგი მეხსიერება მაქვს, სკოლაშიც ფრიადებზე ვსწავლობდი... ჩემი ტექნიკა განსაცვიფრებელია!.. მე ბედნიერი ვარ! მე ამერიკაში ვარ! ჩემს წინაშე ახალი ჰორიზონტები იშლება...“

...მახსენდება, მიხაილ ბარიშნიკოვს ჰკითხეს ერთხელ დეტროიტში:

– როგორ მიდის თქვენი შემოქმედებითი საქმეები?

ბარიშნიკოვმა უპასუხა:

– ვცეკვავ ცოტ-ცოტას...

**რიტა რაიტ-პოპალიოვა**

ოდესღაც ვერა პანოვას მდივანი ვიყავი. ერთხელაც, მეკითხება ვერა ფიოდოროვნა:

– თქვენი აზრით, ვინ ფლობს საუკეთესოდ რუსულ ენას?

„თქვენ“ – ალბათ, ასე უნდა მეპასუხა..

– რიტა კოვალიოვა, – ვუთხარი მე.

– ეს რომელი კოვალიოვაა?

– რაიტი.  
– ფოლკნერის მთარგმნელი?

– ფოლკნერის, სელინჯერის, ვონეგუტის.

– ანუ, ვონეგუტი რუსულად უკეთ ჟღერს, ვიდრე ფედინი?

– ასეა, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე.

პანოვა ჩაფიქრდა და ჩაილაპარაკა:

– რა საშინელებაა!..

სხვათა შორის, თუ არ ვცდები, გორ ვიდალს შეემთხვა ასეთი ისტორია მოსკოვში: მოსკოველები სტუმარს ვონეგუტის შესახებ ეკითხებოდნენ, მისი რომანებით აღტაცებას ვერ ფარავდნენ. გორ ვიდალმა შენიშნა:

– კურტის რომანების ორიგინალები ბევრად ჩამოუვარდება თარგმანებს...




**სვიატოსლავ რიხტერი**

კულტურის მინისტრი ფურცევა რიხტერს ესაუბრებოდა. როსტროპოვიჩზე დაიწყო საყვედურები:

– რატომ ცხოვრობს როსტროპოვიჩთან აგარაკზე ის საძაგელი სოლჟენიციანი? რა უმსგავსობაა!

– მართლაც, – კვერი დაუკრა რიხტერმა, – უმსგავსობაა! ისე ვინროდ არიან... აჯობებს, ჩემთან გადმოვიდეს სოლჟენიციანი საცხოვრებლად...



### მსტილავ როსტროპოვიჩი

როსტროპოვიჩი შვეციაში საგასტროლოდ ემზადებოდა. სურდა, მეუღლეს თან ხლებოდა. ხელმძღვანელობა უარზე იყო.



დაიწყო ინსტანციებში სიარული. რაღაც ეტაპზე ურჩიეს:

– მოხსენებითი დაწერეთ. „ცუდი ჯანმრთელობის გამო, მსურს, თან მახლდეს მეუღლე“. ან რაღაც ამის მსგავსი.

როსტროპოვიჩმა ფურცელი აიღო და დაწერა: „უზადო ჯანმრთელობის გამო, მსურს, თან მახლდეს მეუღლე“.

მეტი დამაჯერებლობისთვის დაამატა – „გაღიანა ვიშნევსკაია“.

ასეთმა არგუმენტმა საბჭოთა ჩინოვნიკებზეც კი გაჭრა.

### გენადი როჟდესტვენსკი

ოციან წლებში დიმიტრი შოსტაკოვიჩმა შექმნა ოპერა „ცხვირი“. მეიერჰოლდს უნდოდა მისი დადგმა, მაგრამ არ დასცალდა. ოცდაათი-



ან წლებში კი უკვე ამისთვის აღარავის ეცალა. დიდი თეატრის სარდაფში იმტვერებოდა ოპერის შოსტაკოვიჩისეული ხელნაწერი.

ორმოცდაათიან წლებში ის გენადი რო-

ჟდესტვენსკიმ აღმოაჩინა. გადაწყვიტა ხელში ჩაეგდო, რათა შთამომავლობისთვის შეენარჩუნებინა. არაფერი გამოვიდა – ფასდაუდებელი ხელნაწერი „საინვენტარო ერთეულად“ იყო მიჩნეული.

როჟდესტვენსკიმ ხერხს მიმართა. შოსტაკოვიჩის ხელნაწერი „ფაუსტის“ ლითოგრაფირებული ეგზემპლარით შეცვალა.

...1974 წელს ოპერა „ცხვირი“ დაიდგა. თუ არ მეშლება, კამერულ თეატრში. დირიჟორობდა როჟდესტვენსკი.

შემდეგ – იყო ტრიუმფი, გრამფირფიტები, საერთაშორისო პრემიები...

მართალი იყო შოსტაკოვიჩის მეგობარი, მუსიკათმცოდნე ივან სოლერტინსკი, რომელმაც მრავალტანჯულ ოპერას ჯერ კიდევ 1930 წელს მიუძღვნა ესეი: „ცხვირი – შორსმსროლი იარაღი!“

### მისაილ შემიაკინი

შემიაკინს ჯერ კიდევ ლენინგრადიდან ვიცნობდი. ათი წლის უნახავები, ამერიკაში შევხვდით ერთმანეთს. მეუბნება:

– რა ვეებერთელა ხარ!..

მე ვპასუხობ:


– სიმოვნებით გავცვლიდი ჩემს სიმაღლეს თქვენს შემოსავლებზე...

რამდენიმე დღის შემდეგ მეგობრულ წრეში შემიაკინი ჩვენი შეხვედრის შესახებ ყვებოდა:

„...მე ვეუბნები

– რა ვეებერთელა ხარ-მეთქი! დოვლატოვი კი მპასუხობს – სიმოვნებით გავცვლიდი ჩემს სიმაღლეს თქვენს... (აქ შემიაკინმა შეანელა) ნიჭზეო!“

მოკლედ, შემიაკინი, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი მხატვარია, ნიჭიერი რედაქტორიც აღმოჩნდა...



### ვიქტორ შკოლოვსკი

ერთხელ, როგორღაც, შკოლოვსკისთან გასაუბრება მომიხდა. ჩემი იდეური პრეტენზიების პასუხად, მან შენიშნა:

– დიახ, მე არ ვეუბნები მკითხველს სრულ სიმართლეს. და არა იმიტომ, რომ მეშინია. უკვე



მოხუცი ვარ. სამი ინფარქტი მაქვს გადატანილი. ასე რომ, საშიში აღარაფერია. და მაინც, არ ვამბობ სრულ სიმართლეს. იმიტომ, რომ ამას აზრი არ აქვს. ჰო, აზრი არ აქვს...

და შემდეგ დააყოლა:

– რა აზრი აქვს, ნესვის არომატზე ესაუბრო ადამიანს, რომელიც წლობით ღეჭავდა ჩექმის ყაითნებს...

### ალფრედ შნიტკე

წლების მანძილზე მიიჩნეოდა, სამამულო მუსიკალური ხელისუფალნი სათანადოდ არ აფასებდნენ ალფრედ შნიტკეს. ეს, ზოგადად, შეესაბამებოდა სინამდვილეს. მაგალითად, ის არ გაუშვეს ავსტრიაში თანამედროვე მუსიკის კურსის წასაკითხად.

შემდეგომში გიდონ კრემერი დასავლეთში გაემგზავრა. უფრო ზუსტად, გერმანიაში. იქ ის ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტს ასრულებ-


და, თანაც, ალფრედ შნიტკეს კადენციებით.

კადენცია რა არის, ყველამ როდი იცის. ეს ვირტუოზული მინიატიურებია, ფანტაზიები საკონცერტო თემაზე. რაღაც საერთის მსგავსი, ბეთჰოვენის ინტერპრეტაციების მიერ მინანერი.

ტრადიციულად, მათ მეცხრამეტე საუკუნის მანერით თხზავენ. შნიტკეს კი ტრადიციებთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. შედეგად, მისი კადენციები, ცოტა არ იყოს, ექსტრავაგანტურად უღერს. თვით გერმანელი კრიტიკოსებიც კი გაოგნებულები იყვნენ! საბჭოთა კრიტიკოსებზე რაღა ითქმის?!

ისტორია აქ არ მთავრდება. ვორონეჟის სიმფონიურ ორკესტრს უნდა შეესრულებინა შნიტკეს რომელიღაც ნაწარმოები. ხელისუფლებამ თანხმობა გასცა, მაგრამ რიგითი მუსიკოსები აბუნტდნენ. პარტიის ქალაქკომს მიმართეს. განაცხადეს, რომ ეს არის „აბდაუბდა და არა მუსიკა“. დასავლეთისადმი ქედის მოხრა... და ასე შემდეგ. შედეგად, შნიტკეს მუსიკის შესრულება აიკრძალა.

მოკლედ რომ ვთქვათ, არსებობს, ბუნებრივია, პრობლემა – „ხელოვანი და ხელისუფლება“. მაგრამ არსებობს სხვა, გაცილებით სერიოზული პრობლემაც – „ხელოვანი და ბრბო“.



### მაქსიმ შოსტაკოვიჩი

სტალინიზმის კოშმარი მხოლოდ ის არაა, რომ მილიონები შეიწირა. სტალინიზმის კოშმარია ის, რომ ზოგადად ერი გარყვნა. ცოლები ღალატობდნენ ქმრებს. შვილები წყევლიდნენ მშობლებს...

რეპრესირებული კომინტერნელი პიატნიცკის ღლაპი ამბობდა:





– დედა! მიყიდე იარალი! მამა უნდა დავხვრიტო – ხალხის მტერი!

ვინ დაუპირისპირდა ლიად სტალინიზმს? ვაი, რომ არა იაკირი, ტუხაჩევსკი, ეგოროვი ან ბლიუხერი. სტალინიზმს ლიად დაუპირისპირდა ცხრა წლის მაქსიმ შოსტაკოვიჩი.

სიმ შოსტაკოვიჩი.

1948 წელი იდგა. გამოქვეყნდა ცეკას ცნობილი დადგენილება. დიმიტრი შოსტაკოვიჩს საბოლოოდ მიაკრეს ფორმალისტის იარლიყი.

უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მასა გულწრფელად იყო ამით აღტაცებული. და, როგორც წესი, ხულიგნური გზით გამოხატავდა თავის აღტაცებას. უბრალოდ რომ ვთქვათ, მინებს ამსხვრევდნენ შოსტაკოვიჩის აგარაკზე.

და მაშინ ცხრა წლის მაქსიმ შოსტაკოვიჩი შურდულით შეიარაღდა. ხეზე აძვრა. იქიდან დაუნყო სროლა მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას.

### მარია და ანდრეი სინიაპსკები

მარია ვასილიევნა თავისებურად რეაგირებს წერილებზე. ის მათ არც კი ხსნის. მიიჩნევს, რომ ეს მისი ნაკლი კი არა, ხასიათის საინტერესო, შეიძლება ითქვას, მეტაფიზიკური თავისებურებაც კია. ამასთან, მარია ვასილიევნა სხვადასხვაგვარი საქმიანობითაა დაკავებული. მათ შორის, მენარმეობით. იდეურ ბრძოლასაც ეწევა. კავშირი აქვს უამრავ ადამიანთან...

მაგრამ წერილებს არ ხსნის. მეგობრები კონვერტზე აწერენ:

„ფული!“

ან:

„ჩეკი!“

ან:



„განსაცვიფრებული ჭორები მაქსიმოვზე!“ ზოგჯერ ესეც არაფერს ცვლის...

სინიავესკი ამბობდა:

– კარგია ნაბიჯის შენელება, როცა გაგვიანდება...

### ვლადიმირ სოლოუხინი


მსმენია ასეთი ფანტასტიკური ისტორია:

ეს ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში მოხდა.

მოსკოვს არმანდ ჰამერი ეწვია. გრანდიოზული შეხვედრა მოუწყვეს. რაღაც საპატიო ყარაულის მსგავსიც კი.

ჰამერმა ჩაიარა მწკრივში მდგარ კურსანტებს შორის. მიუახლოვდა ერთ-ერთ მათგანს. ნაბიჯი შეანელა. მის წინაშე იდგა მაღალი, ბეჭებგანიერი ჭაბუკი.

ჰამერი ნუთით უმზერდა მას. შესაძლოა, იდუმალ სლავურ სულზე ჩაფიქრდა.



ეს ყველაფერი კინოფირმა აღბეჭდა. ქრონიკები სალამოს ამხანაგ სტალინს აჩვენეს. ბელადი ამ სცენით დაინტერესდა – უმზერს ამერიკელი რუს გოლიათს... იკითხა:

– რა გვარია?

– კურსანტი სოლოუხინი, – დაუყოვნებლივ დაადგინეს და მოახსენეს ქვემდგომებმა.

ბელადი ჩაფიქრდა და თქვა:

– შემიძლია რამე გავაკეთო ამ კარგი ჭაბუკისთვის?

ოც წამში ყაზარმაში მიიღბინეს აქოშინებულმა გენერლებმა და მარშლებმა:

– სად არის კურსანტი სოლოუხინი?

მოიყვანეს ნამძინარევი ვალოდია.

– სოლოუხინ, – შესძახეს გენერლებმა, – გაქვს სანუკვარი ოცნება?

კურსანტი დაფიქრდა, მერე წარმოთქვა:

– ისე, ლექსებს ვწერ ხოლმე... მინდოდა მათი დაბეჭდვა.

სამ კვირაში მზად იყო მისი პირველი წიგნი – „წვიმა სტებში“.

### ვლადიმირ სპივაკოვი

სპივაკოვს დიდხანს ზღუდავდნენ ებრაელობის გამო. ლამაზი გვარიც ვერ იცავდა ანტიემიტიზმისგან. წოდებას არ ანიჭებდნენ. გასტროლებზე ძნელად უშვებდნენ. ათასგვარ უსიამოვნებაში ხვევდნენ.



„გაეთრიე აქედან, КГБ-ს აგენტო!“

და კიდევ:

ბოლოს, როგორც იქნა, ეღირსა გასტროლები ამერიკაში. ჩაფრინდა ნიუ-იორკში. მივიდა კარნეგი-ჰოლში.

შესასვლელში ბიჭები იდგნენ, ებრაელთა დაცვის ლიგოდან. თავს ზემოთ ტრანსპარანტი ეჭირათ:

„ვიბრძოლოთ საბჭოთა ებრაელთა უფლებებისათვის!“

კონცერტი დაიწყო. მუსიკოსს საღებავიანი ქილები დაუშინეს. ლაქებით მოისვარა მისი პერანგი.

სპივაკოვი ბოლომდე ვაჟკაცურად უკრავდა. ღამით სოლომონ ვოლკოვს დაურეკა. ვოლკოვი ეუბნება:

– იქნებ, ამის შემდეგ მაინც გაგხადონ „დამსახურებული არტისტი“...

– უკვე „სპორტის დამსახურებულ ოსტატზეც“ თანახმა ვარ... – უპასუხა სპივაკოვმა.

### ვერა სტრაჰინსკაია

ტომას მანი ამბობდა ვერა სტრაჰინსკაიას შესახებ:

– ეს არის ტიპური რუსი ლამაზმანი!..

სხვათა შორის, ვერას მამა ფრანგი იყო, დედა – შვედი.

ახალგაზრდობაში სტრაჰინსკაია ინგლისელი შილინგის ცოლი იყო. ტაიროვს მოეწონა, თავის თეატრში მიიწვია. დასს ახალგაზრდა მსახიობი ასე წარუდგინა:

– გროში არ გვებადა, და უცებ – შილინგი...

შემდეგ ვერა ცოლად გაყვა მხატვარ სუდეიკინს. როცა მეგობრებს წარუდგენდა, სუდეიკინი შესძახებდა ხოლმე:

– ყურადღება მიაქციეთ მის მხრებს! ყურადღება მიაქციეთ მის წელს!..

ერთხელ მხატვართან სტრაჰინსკიმ შეიარა. ესმის:

– ყურადღება მიაქციეთ მის ყელს!..

სტრაჰინსკიმ განსაკუთრებულად მიაქცია ყურადღება. ვერა არტურის ასული ჯერ მისი მეგობარი გახდა, შემდეგ – ცოლი.



## ოლეგ ცელკოვი

ოდესლაც ცელკოვი მოსკოვში ცხოვრობდა და ძალიან უჭირდა. ევტუშენკომ მასთან არტურ მილერი მიიყვანა. მილერი მოიხიბლა ცელკოვის ნამუშევრებით და უთხრა:

– აი, ეს ნახატი მინდა შევიძინო. ფასი მითხარით.



ცელკოვმა იქედნურად მონკურა თვალეზი და წინასწარ მომზადებული ტირადა წამოისროლა:

– თქვენ, როცა შავალს იკერავთ, ოც მანეთს იხდით მეტრ გაბარდინში. ეს კი, სხვათა შორის, გაბარდინი არ არის.

მილერმა ზრდილობიანად უპასუხა:

- და მე ამას სრულად ვაცნობიერებ.
- მერე გაიმეორა:
- დაასახელეთ ფასი.
- სამასი! – ამოიყვირა ცელკოვმა.
- სამასი? რა, მანეთი?

ევტუშენკო ძვირფასი სტუმრის ზურგს ამოეფარა და უსიტყვოდ, ნერვულად ანიშნებდა: „დოლარი! დოლარი!“

- მანეთი? – ჩაეძია მილერი.
- მანეთი, აბა, კაპიკი ხომ არა! – გაგულიხებით უპასუხა ცელკოვმა.

მილერმა ფული ჩაუთვალა, თავშეკავებულად დაემშვიდობა და გავიდა. ევტუშენკომ სულ კრეტინი ეძახა მხატვარს...

ამის შემდეგ ცელკოვი უფრო საზრიანად მოქმედებდა. აიღებდა ნახატს. გაზომავდა მის პარამეტრებს. გაამრავლებდა სიგრძეს სიგანეზე. დაიანგარიშებდა ამგვარად ფართობს და მერე აცხადებდა მყარ, ფეხმოუცვლელ ფასს:

- კვადრატული სანტიმეტრი – დოლარი!

## გალინა ვიშნევსკაია

ეს მოხდა ორმოცდაათიან წლებში. მამაჩემი მუშაობდა საესტრადო სპექტაკლზე – „მოკლედ და გარკვევით“. საოლქო ფილარმონიიდან ორი ახალგაზრდა მსახიობი ქალი მოინვია, საკმაოდ მოკრძალებულ როლებზე. უკანა პლანზე წასაცეკვებლად. საჭიროების შემთხვევაში – წასამღერებლადაც.

სამხატვრო საბჭომ ერთი მსახიობი დაამტკიცა, მეორე – დაინუნა. გერმუნი, ლენსახესტრადის სამხატვრო ხელმძღვანელი, ეუბნებოდა მამაჩემს:

– კარგი, ჩავრიცხავთ ამ თქვენს გალიას სასაუბრო ჟანრის მსახიობის შტატში. ამეცადინეთ. ათამაშეთ, რაც საჭიროა. მაგრამ სიმღერა... მერნმუნეთ, როგორც სპეციალისტს – სიმღერას ის ვერ შეძლებს...

„თქვენი გალია“ – გალინა ვიშნევსკაია იყო...



## ანდრეი ვოზნესენსკი

ერთი ჩემი ნაცნობი ქალი ვოზნესენსკების აგარაგზე გაემგზავრა.


შუა ზამთარი იდგა. ვოზნესენსკის მეუღლე, ზოია, გულითადად შეეგება მას. მასპინძელი კი არ ჩანდა.

– ანდრეი სადღაა?

– ზის საკუჭნაოში, შიშველი, ქურქში გახვეული.

– კი მაგრამ, რა ეტაკა?

– საკუჭნაოდან გზა კარგად მოჩანს. ჩვენთან კი დასავლელი ჟურნალისტები აპირებენ მოსვლას. ანდრეიშამ ასე გადანყვიტა: როგორც კი მათი მანქანა გამოჩნდება – ქურქს მოისვრის, გავა-



რდება უკანა ეზოში და თოვლში ჩაყვინთავს. ჟურნალისტები დაინახავენ – რუსი დათვი თოვლში კოტრიალებს. როგორი კოლორიტულია და შთამბეჭდავი! ამ დროს, ანდრიუშა შენიშნავს მათ, დაირცხვენს. მერე ხელეებს აიფარებს და გაიქცევა... დასავლურ გაზეთებში კი ასე დაიწყება სტატიები:


„გენიალურ რუს პოეტს თოვლში ბანაობისას შევუსწარიტ...“

ვინ იცის, იქნებ, ფოტოც გადაუღონ. წარმოიდგინე – მირბის უკანალმომიშველებული ანდრიუშა, ირგვლივ კი თოვლი, თოვლი...

### ვლადიმირ ვისოსკი

ვისოცკი გვიამბობდა:

„ვერაფრით დავიძინე მორიგი ლოთობის წინ. ქუჩაში გამოვედი. ლამპიონთან ვდგავარ. ვიღაც



ბიჭი მიახლოვდება. ისე მიყურებს, თითქოს ხატი ვიყო: „თქვენი ავტოგრაფი, თუ შეიძლება“. მე კი ხასიათზე ვარ, მტრისას! წადი შენი-მეთქი, ვეუბნები...“

...ცოტა ხნის წინ მონრეალში ვიყავი. სასტუმრო „ჰილტონში“ ვცხოვრობდი. ისევ არა და არ დამეძინა. აივანზე გავდივარ მოსანევად. ვხედავ, შორიახლოს ჩემი საყვარელი მსახიობი ჩარლზ ბრონსონი დგას. მისკენ გავეშურე. ფრა-


ნგულად ვუხსნი: „თქვენ ჩემი საყვარელი მსახიობი ხართ...“ და ასე შემდეგ... ის კი მპასუხობს: „გოუ!“ და უცებ ის ბიჭი გამახსენდა...“

ისტორიის ბოლოს, ვისოცკიმ დასძინა:

– ასეა, ღმერთი არსებობს!

### ვლადიმირ იაკოვლევი

ეს ფოტოსურათი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია გადაღებული. მასზე აღბეჭდილია მხატვარი ვლადიმირ იაკოვლევი. ბახჩინიანი თვლის, რომ იაკოვლევი საუკეთესოა მოსკოველ მხატვრებს შორის. უფრო



სწორად ყველაზე ნიჭიერი.

სხვათა შორის, გარკვეულ დრომდე ბახჩინიანი იაკოვლევს სრულიად ჯანმრთელად მიიჩნევდა. ერთხელ უთხრა:

– მოდით, თქვენი ტელეფონ-

ის ნომერს ჩავინერ.

– ჩაინერეთ. ერთი, ორი, სამი...

– მერე?


– ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა...

და იაკოვლევემა ორმოცდაათამდე დათვალა.

– საკმარისია, – შეანყვეტინა ბახჩინიანმა, – შეგეხმიანებით...

### ეპხანი ეპტუშენკო

ახალგაზრდა ევტუშენკო ახმატოვას წარუდგინეს. ევტუშენკოს მოდური სვიტერი და უცხოური პიჯაკი ეცვა. გულის ჯიბიდან ავტოკალამი ბრწყინავდა.



ახმატოვა ეკითხება:

– თქვენი კბილის ჯაგრისი სადღაა?

### სერბი იუტკევიჩი და გრიბოროი ალექსანდროვი

იუტკევიჩმა რამდენიმე სავიზიტო ფილმი გადაიღო ლენინზე.

და მაინც, მას ერთი მთავარი შემოქმედებითი აღმოჩენა აქვს – ეს არის ვისოცკი.

იუტკევიჩი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრს ხელმძღვანელობდა. ორმოცდაათიან წლებში საჭირო გახდა უცხოელი სტუდენტებისთვის კონცერტის მოწყობა. დახმარებისთვის იუტკევიჩს მიმართეს. მან თქვა:



– MXAT-ის სტუდიაში ერთი ნიჭიერი ბიჭი მეგულება. საკუთარ სიმღერებს ასრულებს. ვგონებ, მეოთხე კურსზეა, მასალსკისთან. გვარი დამავინწყდა...

იუტკევიჩს ბრწყინვალე მეხსიერება ჰქონდა, მაგრამ იტყოდა ხოლმე:

– როცა მსახიობს რეკომენდაციას უწევს, სჯობს, ეძებონ ის. ასე მეტი პატივისცემით მოეპყრობიან...

კონცერტი შედგა. დარბაზში ხელისუფლების წარმომადგენლები ისხდნენ. თვით ცეკას მდივანი პოსპელოვიც კი.

იმ დღეს ვისოცკიმ ისეთი ოვაციები დაიმსახურა, რომ ბოლოს ამხანაგმა პოსპელოვმა იყვირა:

– შეწყვიტეთ!

საბედნიეროდ, ამას მძიმე დასკვნები არ მოჰყოლია. დროება იყო შედარებით ლიბერალური.

ახალგაზრდა ალექსანდროვი ეიზენშტეინის მონაფე გახლდათ. შეყუჟული იყო მასთან, პროლეტკულტის საერთო საცხოვრებელში. იქვე ერთი საწოლი ახალგაზრდა ივან პირიევს ეკავა.

ეიზენშტეინს პრიმუსი ჰქონდა. ერთხელაც, დაიკარგა პრიმუსი. ეიზენშტეინმა ეჭვი პირიევსა და ალექსანდროვზე მიიტანა. შემდეგ განსავლეთე. ძველმოდური პრიმუსი მისთვის მორალურად მიუღებელი უნდა ყოფილიყო. პირიევი კი, როგორც იტყვიან, ხალხიდანაა გამოსული...

ასე გახდნენ მტრები ალექსანდროვი და პირიევი. და ასე ჩაისახა საბჭოთა მუსიკალური კინოკომედიის განვითარების ორი გზა. პირიევი სახალხო სულისკვეთების კინოს იღებდა („მდიდარი საპატარძლო“, „ტრაქტორისტები“). ალექსანდროვი კი ჰოლივუდის ტრადიციებზე მუშაობდა („მხიარული ახალგაზრდები“, „ცირკი“).


### ლევ ზბარსკი

პირადად ჩემთვის, სრულწიგისეული „დათბობა“ ზბარსკის ნახატებიდან დაიწყო. ჩემი აზრით, მისი ილუსტრაციები იური ოლეშას წიგნზე – სრულყოფილების მწვერვალია. მაგრამ აქ ამაზე არ ვსაუბრობთ.

ზბარსკის მამა პროფესორი იყო, აკადემიკოსიც კი. სახელგანთქმული ბიოქიმიკოსი.

1924 წელს მან თავისი ხელით მოახდინა ლენინის მუმიფიცირება.

დაიწყო ომი. გადანყდა წმინდანის ბარნაულში ევაკუირება. მუმიის თანხლება



აკადემიკოს ზბარსკის დაევალა. მას თან გაჰყვა მეუღლე და მცირეწლოვანი ლიოვა.

მათთვის ცალკე კუპე გამოიყო. ლიოვუშკას და მუმბას ქვედა თაროები ეკავათ.

მუმბის შესანახად ქიმიკატების განუსაზღვრელი რაოდენობა გაიცა. მათ შორის, სპირტიც, რომლის მარგარინზე გაცვლა ადვილად ხერხდებოდა...

ტყუილად როდი სცემს პატივს ლენინს ზბარსკი. მაღლიერია შედარებით ბედნიერი ბავშვობის გამო.

### სახელთა საძიებელი

- აქსიონოვი, ვასილი** (1932-2009), მწერალი. ემიგრაციაში წავიდა 1980 წელს.
- ალექსანდროვი, გრიგორი** (1903-1983), კინორეჟისორი.
- ალექსანდროვი, იუზ** (დ. 1929), მწერალი. ემიგრაციაში წავიდა 1978 წელს.
- ანდრონიკოვი, ირაკლი** (1908-1990), მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ზეპირსიტყვიერების ოსტატი.
- ახმადულინა, ბელა** (1937-2010), პოეტი.
- აშკენაზი, ვლადიმირ** (დ. 1937), პიანისტი, დირიჟორი. ემიგრაციაში წავიდა 1963 წელს.
- ბალანჩინი, გიორგი** (1904-1983), ქორეოგრაფი. ემიგრაციაში წავიდა 1924 წელს.
- ბარიშნიკოვი, მიხაილ** (დ. 1948), მოცეკვავე, ქორეოგრაფი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.
- ბახჩანიანი, ვაგრიჩ** (1938-2009), მხატვარი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.
- ბიტოვი, ანდრეი** (დ. 1937), მწერალი.
- ბრიკი, ლილია** (1891-1978), ლიტერატორი.
- ბროდსკი, იოსიფ** (1940-1996), პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. ემიგრაციაში წავიდა 1972 წელს.
- ვიშნევსკაია, გალინა** (1926-2012), მომღერალი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.
- ვოზნესენსკი, ანდრეი** (1933-2010), პოეტი.
- ვოინოვიჩი, ვლადიმირ** (დ. 1932), მწერალი. ემიგრაციაში წავიდა 1980 წელს.
- ვოლკოვი, სოლომონ** (დ. 1944), მუსიკათმცოდნე, ჟურნალისტი. ემიგრაციაში წავიდა 1971 წელს.
- ვისოცკი, ვლადიმირ** (1934-1980), პოეტი, მსახიობი.
- გოდუნოვი, ალექსანდრ** (1949-1995), მოცეკვავე, კინომსახიობი. ემიგრაციაში წავიდა 1979 წელს.
- გორბანევსკაია, ნატალია** (1936-2013), პოეტი. ემიგრაციაში წავიდა 1975 წელს.
- გოროვიცი, ვლადიმირ** (1904-1989), პიანისტი. ემიგრაციაში წავიდა 1925 წელს.
- დანილოვა, ალექსანდრა** (1904-1997), ბალერინა. ემიგრაციაში წავიდა 1924 წელს.
- ევტუშენკო, ევგენი** (დ. 1933), პოეტი.
- ზბარსკი, ლევ** (1931-2016), მხატვარი, მოქანდაკე. ემიგრაციაში წავიდა 1972 წელს.
- კლიმოვი, ელემ** (1937-2003), კინორეჟისორი.
- კომარი, ვიტალი** (დ. 1943), მხატვარი. ემიგრაციაში წავიდა 1977 წელს.
- კონდრაშინი, კირილ** (1914-1981), დირიჟორი. ემიგრაციაში წავიდა 1978 წელს.
- კონდრაშინა, ნოლდა** (დ. 1944), მუსიკის კრიტიკოსი.
- კორჟავინი, ნაუმ** (დ. 1925), პოეტი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.
- კრემერი, გიდონ** (დ. 1948), მევიოლინე. ემიგრაციაში წავიდა 1980 წელს.
- კუხარსკი, ვასილი** (1918-1996), კულტურის სამინისტროს თანამშრომელი.
- ლიმონოვი, ედუარდ** (დ. 1943), პროზაიკოსი, პოეტი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.
- ლუბიმოვი, იური** (1917-2014), თეატრის კრიტიკოსი, მსახიობი. ემიგრაციაში წავიდა 1983 წელს.
- მელამიდი, ალექსანდრე** (დ. 1945), მხატვარი. ემიგრაციაში წავიდა 1977 წელს.
- მილშტეინი, ნათან** (1904-1992), მევიოლინე. ემიგრაციაში წავიდა 1972 წელს.
- ნეიმანი, ანატოლი** (დ. 1936), პოეტი.
- ნეიზვესტნი, ერნსტ** (1925-2016), მოქანდაკე, მხატვარი. ემიგრაციაში წავიდა 1976 წელს.
- ნეკრასოვი, ვიქტორ** (1911-1987), მწერალი. ემიგრაციაში წავიდა 1975 წელს.

**ნესტერენკო, ევგენი** (დ. 1938), მომღერალი.

**ნურიევი, რუდოლფ** (1938-1993), მოცეკვავე, ქორეოგრაფი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.

**ოკუჯავა, ბულატ** (1924-1997), პოეტი, პროზაიკოსი.

**პანოვი, ვალერი** (დ. 1938), მოცეკვავე, ქორეოგრაფი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.

**პანოვა, გალინა** (დ. 1948), ბალერინა. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.

**რაიტ-კოვალიოვა, რიტა** (1898-1988), მთარგმნელი.

**რისტერი, სვიატოსლავ** (1915-1997), პიანისტი.

**როჟდესტვენსკი, გენადი** (დ. 1931), დირიჟორი.

**როსტროპოვიჩი, მსტისლავ** (1927-2007), ვიოლონჩლისტი, დირიჟორი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.

**სინიავსკაია, მარია** (დ. 1929), გამომცემელი, რედაქტორი. ემიგრაციაში წავიდა 1973 წელს.

**სინიავსკი, ანდრეი** (1925-1997), მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი. ემიგრაციაში წავიდა 1973 წელს.

**სოლოუხინი, ვლადიმირ** (1924-1997), მწერალი.

**სპივაკოვი, ვლადიმირ** (დ. 1944), მევიოლინე, დირიჟორი.

**სტრავინსკაია, ვერა** (1898-1982), მხატვარი. ემიგრაციაში წავიდა 1920 წელს.

**ხაჩატურიანი, არამ** (1903-1978), კომპოზიტორი.

**ცელკოვი, ოლეგ** (დ. 1937), მხატვარი. ემიგრაციაში წავიდა 1974 წელს.

**შემიაკინი, მიხაილ** (დ. 1943), მხატვარი. ემიგრაციაში წავიდა 1971 წელს.

**შკლოვსკი, ვიქტორ** (1893-1984), მწერალი, ლიტერატურათმცოდნე.

**შნიტკე, ალფრედ** (1934-1998), კომპოზიტორი.

**შოსტაკოვიჩი, მაქსიმ** (დ. 1938), დირიჟორი. ემიგრაციაში წავიდა 1981 წელს.

**იუტკევიჩი, სერგეი** (1904-1985), კინორეჟისორი.

**იაკობსონი, რომან** (1886-1982), ლინგვისტი, ლიტერატურათმცოდნე. ემიგრაციაში წავიდა 1921 წელს.

**იაკოვლევი, ვლადიმირ** (1934-1998), მხატვარი.

*რუსულიდან თარგმნა ლალი კონსტელიძემ*



## როსტომ ჩხეიძე

### ციკლიდან „დროის იერობლივები“

#### მწერლები და მათი მიმბაძველები

– არ არის მიღებული, პოეტი, რომელსაც გერმანელი მკითხველი მხოლოდ ორი თხზულებით იცნობს, მაშინვე გენიოსად გამოვაცხადოთ, მაგრამ გრიგოლ რობაქიძის შემთხვევაში გამონაკლისია დასაშვები.

ამას ლეო ნუსიმბაუმი იტყოდა, იგივე ესადაბეი, იგივე ყურბან საიდი, მისი ეს სიტყვები კი აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიულ რომანს – „კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვანლი“ – დაერთვოდა სარეკლამო ტექსტად, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით რომ გამოიცემოდა ორჯერ: 1999 და 2003 წლებში. პირველ გამოცემას გერმანულადვე მიედევნებოდა შტეფან ცვაიგის, ნიკოს კაზანძაკის, ჰანს იორსტისა და ნიკალაუს ზომბარტის აღმატებულ სტრიქონებთან ერთად, მეორე გამოცემისას კი ყველა ამ ამონარიდის ქართულ ვერსიებსაც გაეცნობოდა მკითხველი.

ყველა ციტატა სახოტბოა, მაგრამ ყურბან საიდის სიტყვები აშკარად აჭარბებს დანარჩენებს თავისი დითირამბულობით, დაწყებული განსჯა ასე რომ გრძელდება:

– დღევანდელი აღმოსავლეთი ილვიძებს ახალი ლიტერატურული ყოფიერებისათვის. რაბინდრანათ თავორი იყო პირველი სახელი, რომელმაც ამ დუმილის შემდეგ, საუკუნეებს რომ გასტანა, აღმოსავლეთიდან ევროპაში შემოაღწია. ახლა მას მოჰყვა გრიგოლ რობაქიძე. ოღონდ რობაქიძე უფრო ძირძველია, უფრო მეტად არის დაკავშირებული მინას, ვიდრე ინდოელი ნობელის პრემიის ლაურეატი. ცოცხალი დემონურობა აისახება რობაქიძის ნაკვეთებში. იგი ახლა ბერლინში ცხოვრობს და ვინც მას ქუჩაში გადაეყრება, ძალაუნებურად თვალს გააყოლებს. იგი სულიერების სუვერენია.

ხედავთ? ყურბან საიდი გრიგოლ რობაქიძეს თვით რაბინდრანათ თავორზეც მაღლა აყენებს ძირძველობითა და მინასთან უფრო მჭიდრო კავშირით.

უკანასკნელი ფრაზა ხომ ყველაზე მოხდენილად აჯამებს ამ პასაჟს, „გენიოსის“ ეპითეტით დაწყებულს, მარჯვედ მოძებნილ ფორმულაში რომ ჩატევს „გველის პერანგის“ შემოქმედის პიროვნებასა და ლიტერატურულ ღვანლს:



სულიერების სუვერენიო.

აღმოსავლეთიდან წამოსული კაცი ევროპული ცხოვრების დულილში სისხლხორცეულად გრძნობს თავს და ის სურნელიც მოაქვს, საუკუნეები რომ ჰყოფდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს.

თამამად, თავისუფლად შედის გრიგოლ რობაქიძე ევროპის კულტურულ წრეში და გზას უკაფავს თავის სამშობლოსაც იმ წრეში დასამკვიდრებლად. სულიერ დაახლოებას კი ადრე თუ გვიან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დაახლოებაც უნდა მოჰყვეს და ასეთ დროს, უამრავ მოღვაწესთან ერთად, ამ პიროვნების ღვანლიც უნდა გვეძვირფასებოდეს და კიდევ სათანადოდ აღვნიშნავდეთ.

თუმც ამჯერად მთავარი სწორედ ყურბან საიდის აღტაცებული დამოკიდებულებაა გრიგოლ რობაქიძისადმი, სულიერების ამ სუვერენს თავისებურად რომ დაემონაფებოდა კიდევ და „გველის პერანგში“ ჩართულ სიუჟეტს – ერთგვარ რომანს რომანში – გამოიყენებდა ვრცელი მოთხრობისათვის „ალი და ნინო“, მასკულტურის ტიპური ნიმუშისათვის, ბულვარულობის დონეს რომ არა სცილდება და... ამიტომაცაა, რომ უფრო პოპულარული გახდებოდა გერმანიაშიც, ვიდრე მისი ქართული პირველწყარო; და ქართულად თარგმნის მერე ჩვენშიც ისეთ სარეკორდო რიცხვს მიაღწევდა მისი მკითხველების რაოდენობა, არამცთუ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“ გადააჭარბებდა, ამ მხრივ ლამის ყველასა და ყველაფერსაც მოიტოვებდა უკან. ამას ხელს შეუწყობდა კარგად ორგანიზებული სატელევიზიო რეკლამა, და სწორედ იმიტომ, მასკულტურას რომ წარმოადგენდა და გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს საშუალება ეძლეოდათ, მისი მოშველიებითაც დაპირისპირებოდნენ ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებებს.

ნიშანდობლივია, რომ მას შემდეგ, რაც მასკულტურის პროპაგანდა გახელისუფლებული ნაციონალური მოძრაობის ხელში სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბდებოდა, ამ მოთხრობის პერსონაჟებს – ალისა და ნინოს – ძეგლსაც კი დაუდგამდნენ ბათუმში.

ქართველ მწერალთაგან ასეთი დაფასება გამეტებოდათ მხოლოდ და მხოლოდ ნოდარ დუმბაძისა და მისი რომანის – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ – გმირებისათვის.

ამ მოვლენას – ალისა და ნინოს ძეგლს – საგანგებო ყურადღებას მიაქცევს ყველა მკვლევარი – ლიტერატორი იქნება, ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი თუ ფსიქიატრი – როგორც კი ეპოქის აბსურდული რეალობის ანალიტიკური განსჯა და შეფასება დასჭირდებოთ. აქ კი მხოლოდ ის ითქვას, რომ არამცთუ სხვა დიდებულ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებს, გრიგოლ რობაქიძესაც კი არა რგებია ეს პატივი (პერსონაჟებს ვილა ჩივის!) – მისი ქანდაკებაც იყოს აღმართული: თბილისში თუ არა, საქართველოს ნებისმიერ ქალაქში, თუნდ იმავე ბათუმში, რომელიც, სხვათა შორის, ვალშია გიორგი მაზნიაშვილისა და პავლე ინგოროყვას წინაშეც.

ეს იმ შემთხვევათაგანია, მამა რომ დაგვინყებია და მამინაცვალს იფიცებ.

თუ რაიმე უბედურება გვჭირს, ეს ერთი უპირველესია.

„ალი და ნინო“ „გველის პერანგში“ ჩართული სიუჟეტის გადამღერება რომ არის, ეს უკვე დადგენილად ითვლება ჩვენს ლიტერატურის-მცოდნეობაში (თამარ ინჯია, ლევან ბრეგაძე) და აღარც მარინე ტურავას დასჭირდებოდა ბევრი ფიცი და მტკიცი ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ტელეარხ „იბერიის“ ეთერში, გადაცემაში „3-დან 5-მდე“, როდესაც გამოეხმაურებოდა აზერბაიჯანელების მიერ გადაღებულ კინოფილმს „ალი და ნინო“, და შეახსენებდა მაყურებელს ჩვენს, ქართველების წილს მის შექმნაში:

რომ არ დაწერილიყო „გველის პერანგი“, არ იარსებებდა „ალი და ნინო“ და მის ქარგაზე ველარც ფილმს გადაიღებდნენ.

როდესაც ესპანელ მსახიობს იწვევ ამ კინოფილმში მონაწილეობისათვის – ქართველი გოგონას როლის შესასრულებლად, ცხადია, სჯობდა და ეთიკურად გამართლებულიც იქნებოდა, ეს როლი ქართველ მსახიობს შეესრულებინა. რა, არ მოინახება ჩვენში შესაფერისი ნატურა?

თუ რამეს, ლამაზმანების ნაკლებობას არ ვუჩივით, მაგრამ... აზერბაიჯანელი კინემატოგრაფისტები მოერიდებოდნენ პირველწყაროს კვალზე მინიშნებას.

ისინი კი მოერიდებოდნენ, მაგრამ ჩვენ რატომღა მოვერიდოთ „გველის პერანგის“ აფრიალებას, როგორც აზერბაიჯანული წარმოშობის მწერლის მოთხრობის – და ან უკვე ფილმისაც – პირველწყაროსი?!

საავტორო უფლებებზე ტყუილუბრალოდ დავინწყებით ლაპარაკს, რაკილა ეს საქმე ჩვენში ჯერაც მოუწესრიგებელია, საერთაშორისო არბიტრაჟის იმედი კი ნაკლებ უნდა გვქონდეს, ვიდრე ჯეროვნად არ დააფასებენ ქართულ ლიტერატურას ევროპაში, ანუ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ჭეშმარიტ მხატვრულ მონაპოვარს შეუწყობს ხელს

დასავლეთში გასაღწევად და არა მაკულატურას, იმ მასკულტურას, რომელიც დასავლეთშიც უხვადაა, მაგრამ იქ მასაც თავისი სახელი ჰქვია და კულტურულ მიღწევებსაც.

ესეც კიდევ ერთი საჭირობოროტო საკითხავი ჩვენი მრავალტანჯული რეალობისა... ამ შემთხვევაში ამასღა რომ ვკმარობთ, „ალი და ნინოს“ პირველწყაროს არსებობა, სულიერების სუვერენის მიერ შექმნილისა და რაბინდრანათ თაგორზე უფრო აღმატებული გენიოსის, მივანვდინოთ დასავლეთის სალიტერატურო და კინემატოგრაფიულ წრეებსაც და... ჩვენს თავსაც, თორემ მამინაცვლის გაუთავებელი დაფიცება მამის მაგივრად სიკეთეს არ შეგვყრის.

ისე:

ნუთუ ესეღა გვრჩება სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა?!.

### რატომ ვკვირდებით მის საუკუნეს?!

გაიხარებ, აბა რა იქნება, როდესაც შეიტყობ: ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა იუნესკოს კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად უღიარებიაო.

და სავსებით გაიზიარებ დიალოგის სწორედ ასე დასათაურების აუცილებლობასაც: „იუნესკომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული დამწერლობა უნიკალურია“.

დიალოგი გამოქვეყნებულია 9 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე.

ჟურნალისტ მანანა ნოზაძეს ესაუბრება საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ავთანდილ არაბული, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა იმ პროცესში, ასეთი წარმატებით რომ დაგვირგვინდა.

პროცესს იგი შეადარებდა სტრასბურგის სამართლოში პროცედურების ხანგრძლივობას: იუნესკოშიც უამრავი ნომინაციაა წარდგენილი და ათასიდან, ალბათ, ათიოდე თუ მტიციდება. ჩვენც რიგს ველოდებითო.

და აი, ბოლოსდაბოლოს, განიხილავდნენ და... კიდევ მიანიჭებდნენ საძიებელ სტატუსს ჩვენს დამწერლობას.

ამის მომზადებას კი დასჭირდებოდა საკმაო გარჯა, რაკილა დოკუმენტურად ეს ნომინაცია საკმაოდ რთული გასაფორმებელი იყო.

ავთანდილ არაბული დიდი პატივისცემით მოიხსენიებს საქართველოს კულტურის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს, როგორც „არაჩვეულებრივ სპეციალისტებს“, ამ საქმეში ჩვენი სამეცნიერო დანებსებულებების წარმომადგენლებს რომ ჩართავდნენ, მათ შორის ენათმეცნიერების ინსტიტუტსაც – აქტიურად, რათა სრულყოფილად დასაბუთებულიყო, რომ ქართული დამწერლობა მსოფლიო დამწერლობათა შორის უნიკალურია.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი აღტაცებას გამოთქვამს ამ საქმის წარმართვით:

– ფაქტია, რომ დოკუმენტი უნაკლოდ მომზადდა.

და პოპულარული სახით აცნობს მკითხველს ამ წარმატების მნიშვნელობასაც და ქართული ანბანის სამივე სახეობის თავისებურებასა და უნიკალურობასაც.

და მკითხველისთვისაც არაერთი რამ აღმოჩნდება საგულისხმოც და თავმოსანონებელიც.

და ნეტა ის პასაჟი არა გვჭრიდეს ყურს, როდესაც ენათმეცნიერი ახსენებს ქართული ასომთავრული ანბანის შექმნას უხსოვარ დროში, მაგრამ დასძენს, რომ:

– მეხუთე საუკუნიდან უკვე მოგვეპოვება ასომთავრული ძეგლების მყარი დოკუმენტაცია, როგორც ეპიგრაფიკული, ისე საარქივო მასალა.

მეხუთე საუკუნეც თავისთავად რაოდენ მნიშვნელოვანია და დიდ სიძველეზეც მეტყველებს, მაგრამ როდესაც „ასომთავრული ძეგლების მყარ დოკუმენტაციას“ ვირწმუნებით, რატომ გვრჩება მხედველობიდან პავლე ინგოროყვას მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა: „ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისაა (I საუკუნე ახალი წელთაღრიცხვისა)“?

ეს ნაშრომი ცალკე წიგნაკად მხოლოდ 2015 წელს გამოიცემოდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით და ერთვოდა მარიამ ნინიძისა და ვლადიმერ ჭელიძის ერთობლივი გამოკვლევა, რომელიც ადასტურებდა პავლე ინგოროყვას აღმოჩენის სისწორესა და დამაჯერებლობას მისი ისტორიოგრაფიული კვლევების კვალზე შემდგარი: „ქართული დამწერლობის მოდელი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ქართული წარწერები“.

ცალკე წიგნაკი ცალკე წიგნაკად, მაგრამ ეს ნარკვევი ხელმისაწვდომი გახლდათ მკვლევართათვის 1978 წელს გამოცემულ პავლე ინგოროყვას თხზულებათა IV ტომის მეოხებითაც, უფრო ადრე კი 1941 წელს გამოჩნდებოდა: „ენიკის მოამბის“ მე-10 ნომერში.

პავლე ინგოროყვა შეისწავლიდა მცხეთა-არმაზის გათხრების წყალობით მოპოვებულ I საუკუნის ვერცხლის ლანგარსა და სტელას, გახსნიდა მათზე გამოსახულ ლიგატურებს და

ხელშესახებს გახდიდა და დოკუმენტურად დაადასტურებდა ხუთი ასომთავრული ასო-ნიშნის არსებობას.

სწორედაც დოკუმენტურად დაადასტურებდა.

დღესდღეობით არსებობს ორგვარი დამოკიდებულება ამ მართლაც სენსაციური აღმოჩენის მიმართ:

ერთი მხრივ – მეცნიერული, სავსებით დამაჯერებლად და არგუმენტირებულად გაზიარება პავლე ინგოროყვას დასკვნებისა.

და მეორე მხრივ – არამეცნიერული, ზერეღე და ტენდენციური, რაც გამოიხატება დაუსაბუთებელ იგნორირებაში.

2015 წლის გამოცემის ანოტაციის ბოლოს აღნიშნულია:

„დღეს, როდესაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ იუნესკოში წარდგენილია მასალები ქართული დამწერლობის სამივე სახეობისათვის მსოფლიო მნიშვნელობის არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად, პავლე ინგოროყვას ამ სენსაციურ აღმოჩენას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება“.

არამცთუ იმ დოკუმენტაციაში არ ჩართეს ეს სენსაციური მონაპოვარი, კვლავაც მონდობებით ჩქმალავენ.

არადა:

მეხუთე საუკუნე თუ გვეამაყება, პირველი საუკუნე უფრო საამაყო არ უნდა იყოს?

სიამაყესაც თავი დავანებოთ:

რატომ გადმოგაქვს მეხუთე საუკუნეში ის, რაც ქრონოლოგიურად გაცილებით ადრინდელია და პირველი საუკუნით თარიღდება?

რა უფლებით ვკვეცავთ ხელოვნურად ამდენს საუკუნეს?

საერთაშორისო ასპარეზზე გავდივართ და... ოღონდაც პავლე ინგოროყვას პიროვნება და მეცნიერული ღვაწლი მივჩქმალთ, ამდენ საუკუნეს დაუნანებლად ვატანთ ქარს?

არ მითხრათ ახლა: ხუთად ხუთი ასოა მცხეთა-არმაზის ვერცხლის ლანგარსა და სტელაზე ამოტვიფრულიო.

მთელს ანბანს ხომ არ ჩამოწერდნენ გვერდით დემონსტრირებისათვის – მარტო ეს ხუთი ასონიშანი კი არ ვიცით, ანბანი მთლიანადაც მოგვეპოვებაო?! რაც დასჭირდათ, კიდეც გამოიყენეს.

ბოლნისის ტაძარზე გამოსახული წარწერის გვერდით რა – მთელი ასომთავრულის ჩამონათვალია?

\* \* \*

და გწყდება კიდევ ერთხელ გული, რომ არაფრისდიდებით არ შეიძლებოდა ამისთანა მარჯვე შემთხვევის ხელიდან გაშვება და იმ „უნაკლოდ მომზადებულ დოკუმენტში“ აუცილებლად უნდა

აღნიშნულიყო ეს ქრონოლოგიური მიჯნა ჩვენი ასომთავრული ანბანის დოკუმენტური დადასტურებისა – პავლე ინგოროყვას აღმოჩენის კვალობაზე:

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე.

თუმც ახლაც შეიძლება მივანოდოთ იუნესკოს ეს დამატებითი ცნობები – მითუმეტეს ჩვენი ანბანის სამივე სახეობის მსოფლიო აღიარების შემდეგ მეტი საშუალება გვიჩნდება ურთიერთობის გასაგრძელებლად და გასაღრმავებლად.

ბოლოს და ბოლოს, ქართული ანბანი ეროვნული კუთვნილებაა და არა უწყებრივი მოვლენა.

### დათო მაღრაძე. პოეტი. მოგზაური

(დესპანი ქართული კულტურისა)

იმ არაერთი სტატიიდან, რაც დათო მაღრაძის პოეზიაზე დანერილა ჩვენში თუ უცხოეთში, არც ერთი არ დასათაურებულა ამგვარად: „დათო მაღრაძე. პოეტი. მოგზაური“ – იმ ყოფით-სიმბოლური ორიენტირებით, ყველაზე უკეთ რაც მიგვანიშნებს მისი და მისი ლირიკული გმირის პიროვნულ ბუნებასა და ცხოვრების სტილზე.

თუმც... რაც არ მომხდარა აქამდე, ახლა მაინც რა დაგვიდგება წინ.

და ბარემ შეირჩეს ეს სახელწოდება მის ლირიკულ თავისებურებათა ირგვლივ დატრიალებულ ფიქრთა შემკრებად.

ეს უკვე მეორედ ჩვენს ლიტერატურაში.

აკი, არსებობს თხზულება ასეთივე დასათაურებით: პავლე ინგოროყვას „ჩახრუხაძე. პოეტი. მოგზაური“.

მარტოდენ მეხოტბედ მოიხსენიებოდა ეს პოეტი ჩვენს მეცნიერებაში, თამარ მეფის შემამკობლად და ორიგინალური სალექსო საზომის დამამკვიდრებლად, რუსთველსაც რომ წაუცდებოდა ხელი ამ პოეტური მეტრისაკენ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ სტროფში, მაგრამ მკითხველის თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა მისი

დაუმცხრალი ჟინი მოგზაურობისა, სულიერ განცდათა შესატყვისი, ერთ ადგილას რომ არ აჩერებდა და ქალაქიდან ქალაქსა და ქვეყნიდან ქვეყანაში რომ გადავიდოდა, აღმოჩნდებოდა, რომ თითქმის შემოსწერდა კიდეც იმჟამინდელ მსოფლიოს.

პავლე ინგოროყვა ხელიდან როგორ გაუშვებდა ამისთანა ხელსაყრელ შემთხვევას და, კვალში რომ ჩაუდგებოდა წინარენესანსული ხანის პოეტსა და მოგზაურს, ამ მარშრუტის აღდგენა წაადგებოდა იმ ეპოქის ცივილიზებული სამყაროს ზოგადი სურათის წარმოსახვისათვის. და კიდეც ხელშესახებად განაცდევინებდა მკითხველს იმ საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობას, თუ რა ფონზე მიიკვლევდა გზას საქართველოს სახელმწიფო თავისი ადგილის დასამკვიდრებლად საკაცობრიო ცხოვრებაში.

განა ნაკლებ ხელსაყრელი შემთხვევა იქნება, კვალში რომ ჩავუდგეთ დათო მაღრაძეს?

მის მიერ შემოწერილი მარშრუტის აღდგენაც განა ნაკლებ წაგვადგება ჩვენი ეპოქის ცივილიზებული სამყაროს ზოგადი სურათის წარმოსახვისთვის?

და კიდევ შეიძლება ხელშესახებად განიცადოს მკითხველმა ის საზოგადოებრივ-კულტურული რეალობა, თუ რა ფონზე მიიკვლევს გზას ჩვენი სახელმწიფო თავისი ადგილის დასამკვიდრებლად საკაცობრიო ცხოვრებაში.

ჩახრუხაძის ბიოგრაფიის ეს ხანა ბელეტრისტის ხელში მღელვარებებით აღსავსე სამოგზაურო რომანად გარდაისახებოდა, წარმოსახვისათვის საკვებს ეს პოეტური მემუარები საკმარისზე მეტსაც რომ მისცემდა და გაიშლებოდა ისეთი თხრობა, ყველა ასაკის მკითხველს რომ გაიტაცებდა და თავ-თავის საზრდოს შესძენდა შემეცნების თვალსაზრისითაც, თორემ თხრობის მიმზიდველობა ხომ – თავისთავად.

პავლე ინგოროყვა კი მეცნიერის თვალთახედვით გაიაზრებდა და გაჰყვებოდა გმირის კვალს, ტრუბადურისა და მოგზაური რაინდის, თუმცა იმ სტილური ექსპრესიით, ამ ფანტასტიკურ მოგზაურობას მწერლური ძალმოსილებით რომ განგვაცდევინებდა: სპარსეთიდან აღმოსავლეთ ირანსა და ინდოეთში, იქიდან ჩინეთსა და ხატაეთში, მერე ხაზარეთსა და რუსეთში, შემდგომ შავი ზღვის გავლით კონსტანტინეპოლში, სრულად რომ მოივლიდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსაც: საბერძნეთსა და იტალიას, გადავიდოდა არაბთა დასავლეთ სახალიფოში (ანდალუსია, ჩრდილო აფრიკა, მავრიტანია), მავრიტანიიდან ეგვიპტეში, ეგვიპტიდან იემენში, იემენიდან მექაში... იქ ერთხანს ამირას კარზეც დარჩებოდა... მერე კი გზა შინისაკენ – ნეჯდი, აჰვაზი, ბალდადი და...

ჩახრუხაძეს გახელეებული და უიღბლო სიყვარული დააქანებდა მსოფლიო გზებზე, ამასობაში ისეთი შთაბეჭდილებებით რომ დაიტვირთებოდა, ვინ იცის, რამდენ ეპიკურ თხზულებასაც რომ გასწვდებოდა, მაგრამ მათგან ერთადერთი შემოგვრჩებოდა, საბედნიეროდ, სწორედ ის, რომელიც ამ ფანტასტიკურ მოგზაურობას აღწერდა და ღრმა ხელოვნებით განგვაცდევინებდა და გვაახლოებდა იმ მიღმა სამყაროსთან, რომელთან უამრავი ძაფის გაუბმელადაც ვერასოდეს გვექნებოდა სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

პოეტი თავის ძაფებს აბამდა.

გახელეებული და უიღბლო სიყვარული ეგებ რეალობაც გახლდათ, მაგრამ ეგებ მხატვრული ხერხიც, რათა მისი მოშველიებით გაჭრილიყო შორეულ სივრცეებში და ყმანვილური ოცნება ასე აეხდინა ?

მთავარია – სავსებით შეგნებულად თუ თავისდაუნებურად შემოივლიდა, შემოსწერდა კულტურულ არეალს და სხვათა შთაგონებდა – სიტყვითაც და საქმითაც – ამ კვალს გაყოლოდნენ და ყველას თავ-თავისი სავალი გაეჭრა; თავ-თავისი ვალი მოუხადა, თავ-თავისი ძაფი განემტკიცებინა. ბუნებრივ, თანდაყოლილ სწრაფვას დაე გადაჯაჭვოდა გაცნობიერებული მიზანიც სხვათა ცხოვრებისა და წეს-ჩვეულებათა ზიარებისა და იმ გამოცდილებით აღვსებისა, შენი ქვეყნისა და პირადად შენს ადგილსაც თვალნათლივ რომ გადაგიშლიდა საერთაშორისო ასპარეზზე.

პირველბიძგი რაც უნდა ყოფილიყო, გახელეებული მიჯნურობა თუ ყმანვილური ოცნება თუ კიდევ სხვა რამ, საბოლოოდ ყველა გულისთქმა აქ უნდა შეკრულიყო – სულიერ-კულტურულ თუ ეკონომიკურ-პოლიტიკურ დაახლოებათა ძიება-განმტკიცებაში, პოეტებს მაინც განსაკუთრებული მისია რომ დაკისრებოდათ, როგორც ამ სწრაფვის დამაგვირგვინებელთა და მომავლარაყებელთ.

უპირველესად კი:

ეროვნულ განცდათა შემანარჩუნებელთ.

თორემ გასვლა შენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ თავის თავში გულისხმობდა საფრთხესაც – არ მოგჩვენებოდა პროვინციად შენი პირველაკვანი, არ მიგეჩნია შემბოჭველად შენი მიწა და ფესვები, არ აგეთვალწუნებინა ეროვნული შეგნება, როგორც რალაც ხუნდები შენს სულსა და თავისუფლებაზე, და არ ჩაგეგონებინა საკუთარი თავისთვის, რომ – ამ ხუნდების დამსხვრევის წყალობით – ან უკვე მსოფლიო მოქალაქე ხარ და არა ეთნოგრაფიული გარემოს სამუდამო ტყვე.

ეს განცდა ძალიან დარევედა ხელს ჩვენი ქვეყნიდან გაჭრილ ახალგაზრდობას საუკუნის ნი-

ნათ, სოციალისტურ-უტოპიური იდეებით აღგზნებულები მსოფლიო მოქალაქეთა წარმოსახვით რიგში რომ ეწერებოდა და ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაქელათ და აბუჩად აეგდოთ თავიანთი წარმომავლობა, რათა არ დაბრალდებოდით ეროვნული მისწრაფებანი და რაღაც მიწის ნაგლეჯის – საქართველოდ სახელდებულის – გაუგებარი ერთგულება.

ეს განცდა ძალიან დარევდა ხელს უკვე ჩვენს თვალწინაც საქართველოდან გაჭრილ ახალგაზრდობასაც, ამჯერად ლიბერალურ-უტოპიური იდეებით აღგზნებულნი რომ ეწერებიან მსოფლიო მოქალაქეთა წარმოსახვით რიგში და ცდილობენ, რაც შეიძლება ნაქელონ და აბუჩად აიგდონ თავიანთი წარმომავლობა, რათა არ დაბრალდეთ ეროვნული მისწრაფებანი და რაღაც მიწის ნაგლეჯის გაუგებარი ერთგულება.

\* \* \*

არაფერია ახალი მზისქვეშეთში.

და კვლავინდებურად თავიანთი მისია აქვთ პოეტებსაც, მისია, რომელიც, ვითარებისდა კვალობაზე, ხან მკვეთრად იჩენს ხოლმე თავს და ხანაც თვალს მიეფარება, ამჟამად სწორედ სიმკვეთრეს რომ მოითხოვს მათგან, დაბეჯითებას, წამდაუნუმ შესხენებას მოვალეობისა უკიდურესად გამწვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეში; იმ ჭეშმარიტების შეგონებას, რომ პატრიოტზე დიდი კოსმოპოლიტი არ არსებობს და ვერც იარსებებს და მსოფლიო მოქალაქე ისაა და მხოლოდ ის, თავისი ქვეყნის წინსვლისათვის ვისაც გადაუდია თავი.

რასაც ირწმუნება ვაჟა-ფშაველას პოლიტიკური ესეი „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“;

რასაც ირწმუნება მიხაკო წერეთლის მონოგრაფია „ერი და კაცობრიობა“;

და რასაც ირწმუნება ბუნებრივი მდინარება ჩვენი ცხოვრებისა, შემღვრეული ნაკადებიც უხვად რომ ერთვის და... ვაითუ, ისე იძალონ ამ ნაკადებმა, ბუნებრიობა ხელოვნურობას დაერქვას, თვითონ ბუნებრიობა კი სადღაც გაირიყოს, გაირიყოს და... სულაც ხელში ჩაგვეფშვნას.

თუ რაიმემ, პოეტურმა სიტყვამ არ უნდა დაგანებოს სასონარკვეთილება და აბსტრაქტულ იდეათა დამამკვიდრებლების წინაშე მორჩილება.

გვახსოვს საუკუნის წინანდელი ახალმონესენი, რომელთა მიერ აბურდულ ქვეყანასაც ძლივს დავაყენეთ საშველი.

ფერი უცვლიათ და ის ახალმონესენი ახლა სხვა ნიღბით მოგველენიან.

და ამიტომაც:

დროზე თუ არ ვუსაშველეთ და ვუნამლეთ ქვეყანას, მათ ანაბურდევს როდისღა მივხედავთ?!

\* \* \*

სწორედ ამ სატიკვარს უტრიალებს დათო მაღრაძის ახალი პოეტური კრებულიც „უსადაურო“ („საარი“, 2016) გამჭვირვალე ქვეტექსტებითა და მინიშნებებით, მხატვრულ შთამბეჭდაობასთან ერთად საზოგადოებრივი სიმძაფრითაც რომ განმსჭვალულა და განგამის ზარივით ამიტომაც ხმიანებს.

კრებული მომცროა, რაც ნიშანდობლივია დათო მაღრაძის შემოქმედებითი ნაჭურისა და სტილისათვის – მხოლოდ აუცილებლობის დროს ამოთქვას სათქმელი და არა საკმაოდ დახვეწილი პოეტური ტექნიკის დემონსტრირებისთვის, უმეტესწილად, ერთფეროვნების დაღს რომ ასვამს ხელხვავიან და არცთუ უნიჭო ლირიკოსთა ბომბორა ნიგნებს, ერთსა და იმავეს დაუსრულებელ განმეორებაში ჩაფლულთ რომ ავინყდებათ, ხელხვავიანობა გამართლებულია – და აუცილებელიც კი – პროზაიკოსთათვის, კრიტიკოსთათვის, დრამატურგთათვის, მაგრამ არაფრისდიდებით – პოეტთათვის, რაკილა პოეზია სულ სხვა განზომილებაა, სულ სხვა რიგის მოვლენა, და ამიტომაცაა, პანია კრებულები დიდტანიან რომანებსაც რომ გადაწონის.

გალაკტიონ ტაბიძისა და მსგავს გამონაკლისთა არსებობა მხოლოდ ადასტურებს ამ წესს, გალაკტიონის, ამ ოცნებასაც რომ ასდევნებოდა და პირველ პოეტურ კრებულს (თავისებურ ლირიკულ რომანს!) სულაც პოეტი-მოგზა-

ურის სულითა და ხატით გაჟღენთდა: სიკვდილივით მარადია სურვილი მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისაო.

და დათო მალრადის პანია წიგნიც იმ შინაგანი სივრცითაა განათებული, ასე აუცილებელი რომ გამხდარა საბედისწერო მოსახვევში მდგარი ერისათვის, კიდევ ერთხელ რომ უნდა დააღწიოს თავი ხიფათს და ბუნებრივი და სრულყოფილი მონაწილე შეიქნას საკაცობრიო ცხოვრებისა და არა ვილაცის კუდიმდევარი.

კრებულის სახელწოდებამ ჩაგაფიქრათ?

ამ სიტყვის – უსადაურო – ნეოლოგიზტურმა აღნაგობამ?

მისმა ორმაგმა დატვირთულობამ?

ეს სიტყვა „უსათაუროს“ ასოციაციას რომ იწვევს, ასეც განზრახული იყო, ერთმანეთს ფსიქოლოგიური ეფექტით – ანუ მონაცვლეობით – რომ უნდა წაეფაროს უსადაურობა და უსათაურობა და ამ ორმაგობით უფრო ხელშესახებად განგაცდევინოს მცირერიცხოვანი ხალხის შვილის ყოფა, მოქცეული მსოფლიო მღელვარებებში, საკუთარი სახის, თავისი ფესვების შენარჩუნებას რომ ესწრაფვის სწორედაც უსადაურობის ზღურბლზე მდგარი, და თუ ამ ზღურბლიდან არ შემოტრიალდება, დავინწყებისათვის, უსათაურობისათვის იქნება განწირული.

დათო მალრადეს საერთოდ არა სჩვევია სიტყვათ თამაში თუ ლირიკული ეკვილიბრისტიკა-აბრუნდები, თუმც ხანდახან მის დრამატულ განცდებში, უკიდურესად გამძაფრებულ მღელვარებაში პოეტურ ღიმილად იელვებს ხოლმე სიტყვის ათამაშება, თუნდ ამ კრებულის ფინალური სტრიქონებისა არ იყოს, პანია ლექსისა „ნიუსი“:

**ყველა ნიუსზე ცხელი ნიუსი, –**

**...რაც პოეტისთვის ორჯერ ორია...**

**წინ მიუძღვება ვერგილიუსი**

**ალიგიერის ალეგორიას.**

ეს მახვილგონივრულად მიგნებული სიტყვათთამაში – „ალიგიერის ალეგორია“ – თანაც „ნიუსის“ ფონზე, როგორც სწორედაც ყველა ნიუსზე ცხელი, გახაზავს ჭეშმარიტ პოეტურ ლი-

რებულებათა მარადიულობას, დანტეს ლანდი ძალდაუტანებლად რომ განზოგადდება პოეზიის სიმბოლოდ, რომელთან მისაახლოებლადაც არ მოვისაკლისებთ ვერგილიუსებს, რომელნიც არა მარტო ალიგიერებს მიუძღვიან საიქიოს გზებზე, არამედ მათ ალეგორიებსაც – მკითხველის გულისა და გონებისაკენ.

ხოლო კრებულის სახელწოდებად იმ ლექსის სათაურია გამოტანილი, თავის თავში რომ იკრებს იმ განტოტვილ განწყობილებებს, უსათუოდ რომ უნდა დატრიალდეს ერთი ღერძის გარშემო, როგორც იმ მთავარი ძარღვის ათასფერადი წახნაგები, პოეტური მისიის სულისკვეთებას რომ განსაზღვრავს.

ნიშანდობლივია და დამაფიქრველი, რომ იქ, დასავლეთში, მისი ლექსების წამკითხველ რედაქტორს თავისთავად უნდა დაცდეს ის სიტყვები: თქვენს ქვეყანაში გადარჩა რაღაც, ამიერიდან ვერ დაგეხსნებითო, – ლექსის კომპოზიცია რომ უნდა აიხვიოს და პოეტსა თუ ლირიკულ გამირსაც კიდევ ერთხელ და ძალუმად განაცდევინოს მშობლიური მიწის სუნთქვა: ამ ქვეყანაში ყოველთვის რაღაც, ყოველთვის რაღაც უნდა გადარჩესო.

რა უნდა გადარჩეს და: თავზე მალლა დგომა.

რა უნდა გადარჩეს და: ხალხური პოეზია, ამ სტრიქონმა რომ უნდა მოიცვას სიმბოლურად – ნეტავ იმ ეკლესიას, სადაც ჯერ პირჯვარს დაინერ, ქალავო.

რა უნდა გადარჩეს და: ძმაცაცის გახუნებული ფოტო და... გულთან მიტანა ყველა ტრაგედიის და გასაჭირისა.

ბევრ რამეს იტევს ეს გახუნებული ფოტო, ხსოვნაში მიკარგული, მაგრამ იმ ანდამატური ძალის შემანარჩუნებელი, უსადაურობას რომ გაგიქარწყლებს და შენს მიწის ნაგლეჯზე მიკრულს მთელ სამყაროს შემოგატარებს.

ეს მიწის ნაგლეჯი იმ წუთას შესაძლოა, ის ვინრო ქუჩაც იყოს, მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქოლგით განათებული, ახალნაწვიმარის სურნელადენილი და გარითმული თმით აჟრჟოლებული. აღსაწერია და, უსათუოდ აღსაწერიც, ნის-

ლიანი ქუჩის ქირი და ლხინი, თუკი შესაფერი-სად გაერკვევი, არადა, გარკვევა ისაა და პოეტური ფუნჯის მარჯვე მიმოსმა, სტრიქონები ხსნასა და რეკვიემს თუ გაუიგივდება.

შემოვლილია უცხო მთა-ბარი, საითაც ბედს გადაუქანებინარ?

ქოლგის ქვეშ თავშეფარებულს ხომ შეგიძლია უსმინო წვიმის საბეჭდ მანქანას, რათა წვიმამ შენი კარნახით წეროს პატარა ქუჩის დიდი ამბავი:

**ვინ ესალბუნა ფრთანატკენ წეროს,  
არ დარჩეს გვაღვას დაუსტამბავი.**

და წვიმა შეიცვლის რიტმს, გადაიფარებს სამბას რუმბათი?

შენ კიდევ შენი: შეგიძლია უერთგულო ამ უბნის ინტიმს, რაკილა გრძნობ, რომ ამ ქოლგის გადგას გუმბათი.

და თუ მიწამდე ვარდნაც უნდა გამოსცადო, მთამსვლელი მოწყდე მწვერვალებიდან, რას ინაღვლი, თუკი ქოლგა მოგვევლინება – და უსათუოდ მოგვევლინება – მხსნელ პარაშუტად.

ღრმად ინტიმური განცდები, გულისგულში სათუთად ნატარები ქოლგის თეთრი მუხლების შეგრძნება ის ღრმად პიროვნული ხილვაა, ფინალში ერთბაშად რომ უნდა განზოგადდეს და გარეგნულად მოკვეთილი, ნოველური ფინალი კანონზომიერების ლოგიკით დაუკავშირდეს მარად მფეთქავ განწყობილებებს:

**წვიმს და ვეხები  
სავსე მკერდს მკერდით  
და ვთლი სალამურს ლერწმის ღეროდან,  
...შენ დიდი ქვეყნის შვილივით წერდი,  
რადგან ამ ვიწრო ქუჩის გჯეროდა.**

ესეც ის პოეტური ფორმულა, როგორ ვეზიაროთ უსაზღვრო სივრცეებს:

ვიწრო ქუჩისა, ამ ვიწრო ქუჩისა უნდა გვჯეროდეს.

ეს „ვიწრო ქუჩა“ იგივეა, რაც უოლტ უიტმენისთვის პომანოკის სანაპირო, რომელზე დაგდებულიც, გაგანია მზის ქვეშ, გულში იხუტებს მთელ სამყაროს, მის ყველა კუთხე-კუნჭულს რომ წვდება.

დიდი ამბიდან დეტალი არ ჩანს?

პოეტი მოგვაგონებს, რომ:

სამაგიეროდ – დეტალიდან ჩანს დიდი ამბავი.

და იმ ეპოქიდან სტრიქონი რჩება, იმ ეპოქაში დაუსტამბავი სტრიქონი, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი, რაკილა გზამკვლევა სწორედ მან უნდა იტვირთოს დროების სულში შესაღწევად.

პოეტური ფორმულები, პარადოქსული, მოულოდნელი, შთამბეჭდავი თქმები საერთოდაც ნიშანდობლივია დათო მალრადის პოეზიისთვის, პოეტის მრწამსს კრებულის გამხსნელ ლექსში ასე რომ აცხადებს:

**და ცარიელი კვლავ გიხმობს ნიშა,  
ფრონტის წინა ხაზს გაშორებს წამი,  
კლასში თუ გოგოს აძლევდი ნიშანს,  
ახლა სამშობლოს ანიშნებ ამით...  
რომ ჰქონდეს გზაზე შენი იმედი,  
გზაზე, რომელიც მტრებმა შეთოფეს,  
სიკვდილსაც, სახით მოზენივით,  
შეხვდები, როგორც  
ძლეულ მეტოქეს.**

სიკვდილსაც მხოლოდ ასე უნდა გახედო – ლაღად და არტისტულად, რადგანაც ლექსი გეგულება კიდობნის სამყად მყუდრო ნაპირის წარღვნის სპექტაკლზე.

ეს უკვე ამარკორდისაკენ გადაგინაცვლებია, ფელინური ასოციაციებითა და ალუზიებით სავსე პოეტური ხილვებისაკენ, რომელიც იმ მახვილგონივრული და ექსპრესიული სტრიქონებით უნდა გაცისკროვნდეს, ამ კრებულისა და საერთოდ ამ პოეტური სამყაროს გულისგულს რომ შეადგენს:

**აქაურს მაინც არა აქვს ფასი,  
აქაური ხომ სხვათაშორისობს...  
იალქანს კვალით იცნობენ მაშინ,  
მიეფარება როცა ჰორიზონტს.**

იალქანის... კვალი?

თანაც... უკვე თვალმიფარებულის?

ყოფით რეალობაში ეს ყოვლად შეუძლებელი ხილვაა, მაგრამ პოეტური წარმოსახვა ამ პარადოქსსაც აქცევს ხელშესახებად, სიმახვილესა და სიღრმესთან შერწყმულ სილამაზედ.



მხატვრულ რეალობაში ეს უკვე მკითხველისთვისაც ადვილი აღსაქმელია და იმ ღრმადპიროვნული ინტიმით განმსჭვალული, ფესვებისაკენ რომ ეწევა პოეტის ფანტაზიას ყოველნუთიერ – აბა, მისი ოდისეა და... უამისოდ? ჰორიზონტს მიფარებული იალქნის კვალის, მკვეთრისა და სახიერის გარეშე?..

და კიდევ იმ თოლიებისა, ლექსიდან ლექსშიც რომ ფრენენ – ხან ფრთების სიმფონიად და ბოსფორის მარაოდაც.

სიმფონიის ხსენებამ კი ძალდაუტანებლად უნდა ნამოტივიტივოს რქანითელი ვენახების ხატი, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ იმ შეგრძნებითა და რწმენით, თავ თავის დროზე გრიგოლ რობაქიძესა და ოთარ ჩხეიძესაც რომ დაუფლებოდათ და თვალდათვალ შეჰყურებდნენ, როგორ ჩამდგარიყო მზის სხივი მტევანში – არა ყოფით, არამედ სწორედაც სიმბოლურ-ალეგორიული ციკლურობით, მარადისობასთან შერწყმული ნამიერებით.

ეს ხდება მაშინ, როდესაც ქვეყნის ცხოვრებას საკუთარ ბიოგრაფიასავით განიცდი, ერთიმეორეში რომ გადახლართულა, და ჩაილდჰაროლდით გზებზე გაკრული უეცრად ბავშვობისაკენ რომ იზამ პირს, ლაღად და დანდობილად, რაკილა მისი კარის შემღები პაროლი, ჯადოსნური პალენდრომი წარუშლელად აღბეჭდვია გონებაში: აი ია.

და უკვე შეგიძლია, მთვარის ოლარებს აღუთქვა, რათა არ დარჩე იმად, რადაც იქეცი, თორემ ის კარი სამუდამოდ გამოიკეტება.

ახლა კი:

**ყრმობის ენაზე რაც ვერ ითარგმნა,  
ჩამოგვერთმევა საბაჟო პუნქტში,  
რომ მიადგება გემი ითაკას  
და ყველა ხვალე  
გახდება გუშინ.**

სიყმანვილის შენარჩუნების მადლი და ძალაა, უფლისაკენ რომ გიკვალავს გზებს და გრძნობ, რომ მას მერე, რაც ფეხქვეშ მინაც კი შეიძლება გამოგეცალოს, როგორც ტალღები მოციქულ პეტრეს, და შენს უბანში უცხო კაცივით მდგა-

რმა მღელვარედ ეძებო მშობლიური მზერა, სულიერი თვალთახედვის გაფხავება ახლებურად წარმოგისახავს ხილულსა თუ უხილავს და, თუკი აქამდე ჯვარცმაში გნამდა, დღეს აღდგომაში ინამებ უფალს.

და იტალიაც – პოეტის ხილული თუ უხილავი ოდისეას ჟამს, რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპაზე (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი) რომ აღარა ითქვას რა, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში, თურქეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამორჩეული ნავსაყუდელი – ამ ხატით უნდა შემოცურდეს ლირიკულ ხილვებში: ბავშვის სრბოლაში არეკლილი ღვთის გადაელვებით:

**– შენ, იტალია!**

**ხელთა გაქვს საშვი,**

**მშვენიერების უკვდავ ფორმულით, –**

**ქუჩაში მორბის ფენშველი ბავშვი**

**და ძაფით თითზე მზე აქვს მობმული...**

ამ გადაელვებამ კი ძალდაუტანებლად შეიძლება გამოიხმოს ლაზარეს სახება, ოთხი დღის მკვდრისა, და იესოს ღვთიური სიტყვა: გამოვედ გარე! – სამყაროს ერთბაშად გადამყვანი უდროობაში, იმ სხვა განზომილებაში, სარკოფაგიდან მიცვალებულიც რომ უნდა გამოიხმოს მზის სინათლეზე.

ქართველი მკითხველის აღქმაში ლაზარესა და მისი აღდგინების ხსენებამ თავისთავად უნდა გამოიწვიოს მესიანისტური სულით განმსჭვალული ჰიმნი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ იმ სიმბოლურ-ალეგორიული გაიგივების წყალობით: ქართული ენა – ლაზარე, – და იმ რწმენით, რომ ჩვენი მშობლიური მეტყველებაც ისევე მომცველი მთელი სამყაროსი, როგორც ყველა ენა, თავთავისებურად უნიკალური და ამიტომაც უსათუოდ მოსაფრთხილებელი და გადასარჩენი, თორემ იმ დიდ ჭიდილში, რაც ამჟამინდელ მსოფლიოში სუფევს და საშიშროების წინაშე დგას ეროვნული თავისებურებანი, ქართულ ენასაც ლამის ყულფში გაუყვია თავი...

\* \* \*

კვლავინდებურად თავიანთი მისია აქვთ პოეტებსაცო...

კიდევ უფრო გამკვეთრებულიც უკიდურესად გამძაფრებულ სინამდვილეში.

დიდი ქვეყნის შვილებსაც და კიდევ უფრო მეტად მათ, დიდი ქვეყნის შვილებივით რომ უნდა წერონ და... კიდევ – და ყოველთვისაც – დანერვენ, თუკი თავიანთი ვინრო ქუჩის რწმენას შეინარჩუნებენ.

გულისჭიდილისას წამიერად შესაძლოა უსადაურონიც გახდნენ და კიდევ უფრო მეტი სიმწვა-ვითაც აღიქვან წარსულგადავინწყებული ადამიანის ტრაგედია, რათა მეტი თავდაჯერებით გამო-სცილდნენ იმ შემბოჭველ ხუნდებს – რატომღაც თავისუფლებასთან გაიგივებულს – და ეზიარონ ჭეშმარიტ თავისუფლებას: ჰორიზონტს მიფარე-ბული იალქნის კვალივით გამძლეს, თუ პოეზიაში ჰპოვებს ეს ხილვა თუ ხატი თავშესაფარს.

პოეტადაც, მოგზაურადაც რჩებოდა ჩახრუ-ხაძე, მოდებული იმჟამინდელ მსოფლიოს.

პოეტადაც, მოგზაურადაც გამოკვეთილა დათო მალრადე, მოდებული ამჟამინდელ მსო-ფლიოს, ქართული კულტურის დესპანად რომ მონათლავდა იტალიის ელჩი ანტონიო ბარტო-ლი წინანდლის პოეტურ ზეიმზე, რომელიც იმ დღეს თავისებურ ანარეკლად თუ სიმბოლოდ წა-რმოდგებოდა ქართველი პოეტისათვის მინიჭე-ბული ამ ზნეობრივი ტიტულისა – „უსადაუროს“ პრეზენტაცია სწორედაც შესაფერის ფონზე

რომ მოგვევლინებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაანდერძევსა და უცხოელ პოეტთა გარემოცვა-ში. დათო მალრადე მთარგმნელის რანგშიც რომ გამოჩნდებოდა და ჩვენს თვალსაწიერში შემო-უძღვებოდა თანამედროვე შემოქმედთ – დავი-დე რონდონი იქნებოდა, იტალიიდან, მეჰმედ ალთუნი, თურქეთიდან, დენიელ ოზი, ისრაელი-დან, ვალერი პოპოვი თუ კირა გროზნაია, რუსე-თიდან – ნუნუ გელაძესთან ერთად, მის კეთილ მეგზურთან იტალიურ კულტურულ სივრცეში, ქართული წიგნის, ქართული სიტყვის მოამა-გე-მოჭირნახულესთან.

პოეტი-მოგზაურის სახება ასეც უნდა ჩავგრ-ჩენოდა ცნობიერებაში.

სახება ქართული კულტურის დესპანისა, რო-მელიც სიტყვითაც და ცხოვრების სტილითაც ადასტურებს, რომ მსოფლიო მოქალაქეობის მო-საპოვებლად არამცთუ არ უნდა გადაჭრა მშო-ბლიური ფესვები, არამედ სწორედაც მას უნდა იყო მოჭიდებული ხილული თუ უხილავი ოდის-ეის ჟამს, თორემ მეტად მყიფე, მოჩვენებითი აღმოჩნდება მსოფლიო მოქალაქეობის ყინი, შენ თვალწინვე გამქრალი – უკვალოდ და ურარაოდ, და მერეღა ინანებ ფუჭად განვლილი ცხოვრე-ბის გამო, ინანებ იმ ჭეშმარიტებას მიხვედრილი, რომ: დიდი ქვეყნის შვილებივით ისინი წერდნენ, იმ ვინრო ქუჩებისა ვისაც სჯეროდათ!..

### პრემიერბულები და ლაურეატები

კურტ ვონეგუტი ისე გარდაიცვალა, ნობე-ლის პრემია არ ღირსებია.

ამაოდ ელოდა მის მინიჭებას პიტერ აკროი-დი, ვიდრე ხელს ჩაიქნევდა.

ამ პრემიის გარეშეა დარჩენილი ერიკ-ემანუ-ელ შმიტი.

წელს ხელი მოეცარებოდა მარგარეტ ეტვუდს.

მოეცარებოდა ადონისსაც (სირია) – მის გა-მარჯვებას მთელი არაბული სამყარო რომ მო-ელოდა, როგორც აღიარებული პოეტის, დიდის

რანგში რომ აჰყავთ, და ეიმედებოდათ კიდევ, რომ 1988 წლის ტრიუმფი განმეორდებოდა, რო-დესაც არაბული სამყაროდან ნაჯიბ მაჰფუზს (ეგვიპტე) ერგებოდა ეს ჯილდო.

ჩვენ გივი მარგველაშვილის უდავო წარმატე-ბისა გვწამდა, ქართული ლიტერატურის ინსტი-ტუტი რომ წარადგენდა...

და აი, უეცრად გვამცნობდნენ, რომ ლიტე-რატურის დარგში 2016 წლის ნობელის პრე-მია წილად ერგო... ბობ დილანს – სიმღერების

ტექსტებისათვის. მოულოდნელი უპირველესად თვითონ გამარჯვებულისათვის აღმოჩნდებოდა, ვერაფრისდიდებით რომ ვერ დაიჯერებდა, აქამდე თუ ატყორცნიდნენ იმ ტექსტებს – და არა ლექსებს... და გაოცებას ამით გამოხატავდა: ვერ ვიჯერებდი, მეგონა, ვილაც უშნოდ დამცინოდაო.

არა, მას არავინ გახუმრებია, რასაც ადასტურებს გამარჯვებულის დიპლომი და ის კოლოსალური თანხა, ჯილდოდ რომ გადასცემენ, მაგრამ განათლებულ საზოგადოებას კი დასცინა უშნოდ ნობელის პრემიების კომიტეტმა.

და ეს უკვე მერამდენედ!..

ძალიან დასცეს ამ პრემიის ღირსება, ყოველ შემთხვევაში ლიტერატურის დარგში ამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, უმთავრესად პოლიტიკურ კონიუნქტურას რომ დაუქვემდებარეს გადწყვეტილებანი და სასიამოვნო გამონაკლისად რჩება ამდენი ხნის განმავლობაში მარი გუსტავ ლე-კლეზიოსა და პატრიკ მოდიანოს სახელები, უსაყვედურო რომ არის მათთვის ეს ჯილდო.

სხვა წლების გამარჯვებულები კი...

მათზე შეიძლება განმეორდეს ის ხუმრობა, გივი ძნელაძემ რუსთაველის პრემიამინიჭებულ ერთ ქართველ მწერალს რომ უთხრა:

– ეს ჯილდო მიღებით კი მიიღე, მაგრამ რად გინდა – ლაურეატი მაინც ვერ გახდით.

იმათაც – ნობელის პრემია კი მიიღეს, მაგრამ ლაურეატები ვერ გახდნენ.

თუმც თავიანთი კი გაინაღდეს და... შენ აქილიკე, რამდენიც გენებოს.

თავის დროზე ორჰან ფამუქმა მარჯვედ რომ აუღო ალლო პრემიების კომიტეტის მიდრეკილებას პოლიტიკური კონიუნქტურისაკენ, კიდევ ითამაშა მათ გრძნობებსა და მსოფლგანცდაზე... ეს თამაში სამშობლოს დატოვებად დაუჯდებოდა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადახვეწად, მაგრამ წინასწარვე მოეხსენებოდა, რასაც სწირავდა მის მოხვეჭას.

და წელს იმ ადამიანთა რიგს, ნობელის პრემია რომ მოიპოვეს, მაგრამ ლაურეატები ვერ გახდნენ, შეემატებოდა ბობ დილანიც თავისი ყოვ-

ლად უმნიფარი ლექსებით, თუკი ლექსებად ვალიარებთ, და არცთუ ურიგო ტექსტებით, თუკი ამ ჟანრობრივ განსაზღვრებაში ჩავტოვებთ.

არანაკლები სასიმლოეო ტექსტები მოგვეპოვება ქართველებსაც – აღარაფერს ვამბობ სიმლოერებად გამოყენებულ ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშებზე – და... მაშ, ჩვენს მეტექსტეთა საწობელპრემიო აღზევებასაც უნდა ველოდეთ!..

ეჰ, ვისაც მართლა ველოდით და ვინც მართლა დაიმსახურა ოდესღაც ეს მართლაც უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო, მას გადაუკეტეს ის ტრიბუნა, სად წარდგომაც დაშვებოდა მასაც და ნობელის კომიტეტსაც, და სასიამოვნო განცდასაც გაგვიჩნდა, შესაძლოა, სასიკეთო შემოტრიალება ახლა მაინც მოხდეს მათ ცხოვრებაშიო.

როგორც ჩანს, ჯერაც არალიტერატურული გადწყვეტილებების მოწმენი უნდა შევიქნათ ხოლმე, ზოგჯერ რომ ვერც ავხსნით მოტივს, წლეგანდელი შემთხვევისა არ იყოს – ბობ დილანის დაჯილდოებაზე გაგვიძნელდება თქმა: პოლიტიკურმა კონიუნქტურამ გამოიწვიაო!.. აბა, მაშ რამ? თუმც იმდენი საფიქრალ-სატკივარი გვაქვს, ამაზე რაღად ვიტყვით თავი.

ხოლო გივი მარგველაშვილი – გერმანულენოვანი ქართველი მწერალი – არა მარტო საქართველოში აღიარეს, არამედ გერმანიაშიც, აღმატებული ეპითეტები რომ არ ენანებათ მისთვის, როგორც გამორჩეული ლიტერატურული მოვლენისათვის, დიდი სტილისტისა და მხატვრული მოაზროვნისათვის, რომელმაც უმძაფრესი ძალითა და ხელოვნებით გამოხატა ადამიანის ხვედრი ტოტალიტარიზმის ჟამს საერთოდ და საქართველოს დრამატული ბედისწერა გადარჩენის ზღურბლზე.

ჯერ მარტო მისი „მუცალი“ რად ღირს, ამოზრდილი ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურზე“ და თავბრუდამხვევი სტილური ძალმოსილებითა და ფოიერვერკით, ან „კაპიტანი ვაკუში“, ავტობიოგრაფიულ რომანთა წყება... და პიესები და მინიატურები და ლექსები... ყველა ჟანრში გამორჩეულ წარმატებას რომ მიაღწევდა, ისევე

როგორც ფილოსოფიური და ენათმეცნიერული შტუდიებით მოსინჯავდა სრულიად ახალ გზებს ამ მეცნიერულ საუფლოებში.

ადონისს რომ გადაესწრო მისთვის ან მარგარეტ ეტვუდს, ასე ძალიანაც არ დაგვწყდებოდა გული, რაკილა ისინი... გარდა პრემირებულებისა, ლაურეატებიც გახდებოდნენ, მაგრამ ახლა?..

რას ვიზამთ – ჯერჯერობით კვლავაც კონიუნქტურა ნთქავს ლიტერატურულ გადანყვეტილებებს ნობელის პრემიის კომიტეტშიც და უკეთეს ჟამს თუ დაველოდებით... მაგრამ არ მოვა ეს ჟამი ხელის გაუნძრევლად, მთავარია გული არ გავიტეხოთ, და კიდევ – გვწამდეს, რომ გივი მარგველაშვილს ნამდვილად ეკუთვნოდა ნობელის ჯილდო და ლაურეატობაც დაშვენდებოდა...

და გვჯეროდეს ისიც, რომ ამ პრემიის ღირსი ქართველი მწერალი ოთხი-ხუთი გვეგულება კიდევ – ნობელიანტობის უკეთეს გამოვლინებას

ვგულისხმობ, თორემ ბობ დილანის სასიმღერო ტექსტებს თუ ავიღებთ საზომად, ასეთ დროს ნობელის ჯილდოს ქართველ მსურველთა დათვლას ველარც ავუვალთ!..

\* \* \*

ისე ნობელის კომიტეტს რომ ვედავებით, ნეტა, ჩვენ მაინც ვისწავლოთ ჩვენი ღირსეული მწერლების დაფასება, ნამდვილი ლიტერატურული მონაპოვრისათვის შესაფერისი ჯილდოს გაღება, თორემ, აბა, ჩვენთან ტრიალებს თუ ტრიალებს კონიუნქტურული გადანყვეტილებანი იმ ნამდვილის მისაჩქმალად და მისაყრუებლად, ლიტერატურული გემოვნების აბურჩად ასაგდებად და საზოგადოებრივი აზრის დასაბნევადა...

რას ვიზამთ?.. მაინც როდემდე შევეგუებით ამ უგვან ვითარებას?..

რას და...

როდემდე და...



# დანიშა სუმბაძე

## ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაბღებად

(ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“  
გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში)\*

### კაცობრიობის „თავზარდამცემი საიდუმლო“

1990 წელს, საქართველოში, ეროვნული მოძრაობის გულანთებულ საყოველთაო ვითარებაში ჟურნალ „განთიადში“ იბეჭდება საკმაოდ ვრცელი წერილი საქართველოს სამფეოვანი ეროვნული დროშის ფერთა სიმბოლიკაზე ბიბლიური რეალიების წარმოუდგენელ კონტექსტში, რომელზედაც აქ საუბრის ადგილი არ არის, და იკვეთება სრულიად მოულოდნელი და ნაძალადევი ტენდენცია ავტორისა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, რაოდენ არამეცნიერული და რაოდენ ალოგიკურიც არ უნდა იყოს, საქართველოს ისტორიულ დროშებში აღმოაჩინოს ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის, დროშა. ეს სურვილი საერთოდ ქართულ ცნობიერებაში შეუძლებელია, იყოს ან საქართველოს ეროვნული მოძრაობის სულისკვეთებიდან მომდინარე, ან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიზნისათვის რაიმე საჭი-

როებით ამოსანევი, ან საერთოდ რაიმე თვალსაზრისით ბუნებრივი და მიმდინარე პროცესების კონტექსტში თავისთავადი და ლოგიკური. საოცარია და ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული წერილის ავტორს დავით წინასწარმეტყველის დროშასთან ერთად აინტერესებს ქართველ ბაგრატიონთა წარმომავლობის საკითხი ბაგრატიონთა ებრაელობის ნიშნით. აინტერესებს არა რაიმე მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ დაინტერესებით, რომ ეს ასე იყოს. აი, რას წერს იგი, ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ: „ისტორიული ტრადიცია არ ღებულობს **მატიანეში წერილობით დაფიქსირებულ** ცნობას ბაგრატიონების ნათესაობისას ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან, ქალდეველებთან და მიაწერს მას ლეგენდის სფეროს, რადგან მისთვის ეს ნიშნავს ქართველი ბაგრატიონების ებრაელებისაგან წარმომავლობას... რომელი ვირწმუნოთ? საქართველოს მეფეთა და კათოლიკოს პატრიარქთა სიგელ-გუჯრები, საბრძოლო დროშები და ჰერალდიკა, თუ ისტორიულ

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №4, 5, 6, 2015 წ.

ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულება, რომ საქართველოს მეფეებმა განდიდების მიზნით დაიჩემეს ბიბლიური დავითის, მეფისა და წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობა...?“ როგორც ვხედავთ, მოხმობილ ციტატაში საქმე გვაქვს საქართველოს საპატრიარქოს კონსულტანტის, ბ-ნ გაიოზ მამალაძის წინამორბედთან მონარქიის საკითხებში.

ჩვენ საგანგებო გამოკვლევა მივუძღვევით ამ „მატიანეში დაფიქსირებულ ცნობას ბაგრატიონების ნათესაობისას ბიბლიურ წინასწარმეტყველებთან“. ეს გამოკვლევა გახლავთ: „გიორგი მთანმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“. შევეცადეთ, გვეჩვენებინა და დაგვესაბუთებინა, რომ „მატიანეში“, ანუ საქართველოს ისტორიის ყველაზე ადრინდელ ჟამთააღმწერლობაში, „ქართლის ცხოვრებაში“, მოცემულია ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია: ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობისა და დავით წინასწარმეტყველისაგან არწარმომავლობისა. თვითეულ ვერსიას თავ-თავისი ახსნა აქვს, რაზედაც ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით. აქ ჩვენ მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ მოხმობილი მკვლევრის გამძაფრებულ მონადინებასა და ტენდენციას, რომ ბიბლიური წინასწარმეტყველები გამოაცხადოს ქალდეველებად და ქალდეველები გენეტიკურად გაუიგივოს ბიბლიურ წინასწარმეტყველებს, რაც თანამედროვე, საქმეში ჩაუხედავი ცნობიერებისათვის საფუძველი იქნება ებრაელების გამოცხადებისა ქართველებად, ხოლო ქართველებისა – ებრაელებად. ცხადია, ეს გახლავთ მიზანმიმართული საინფორმაციო ომი ქართველი ერის წინააღმდეგ, მისი საკუთრივი თვითმყოფადი ფენომენის არსებობის წინააღმდეგ.

თითქმის საკვირველია, რომ 1990 წელს, ქართული ეროვნული დროშების ამ საზეიმო ფრიალში, როცა მართლაც ზენიტშია ეროვნული მოძრაობა საქართველოში, და პროცესები ისე მიიმართება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების სათავეში ეროვნული მოძ-

რაობის ლიდერი **ზვიად გამსახურდია** მოდის, საზოგადოებისთვის უცნობი თეოლოგი და ბიბლისტი, ამასთან ქართველი ავტორი, იწყებს აბსურდულ მტკიცებას იმისას, რომ მთელი ებრაელი წინასწარმეტყველები ბიბლიისა არიან ქალდეველები, ანუ ქართველები, ხოლო მთელი საქართველოს მეფენი მე-6 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე, ანუ: ქართველ ბაგრატიონთა მთელი ამ ხანგრძლივი დინასტიის წარმომადგენლები არიან ებრაელთა დიდი მეფის – დავით წინასწარმეტყველის გენეტიკური შთამომავლები, და ე. ი. ებრაელები. **როგორ ხდება შემოჭრა ქართულ ცნობიერებაში ამ ეროვნული დროშებით ებრაელთა დიდი მეფის – დავით წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის ფენომენისა და ამოტივტივება საქართველოს მეფეთა სრულიად მივიწყებული ტიტულისა – „დავითიანის“?** ჩვენ ხომ დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისაკენ მივისწრაფვით ამ დროს? როგორ ხდება, რომ მსოფლიოს ახალი ნესრიგი, რომელიც ეროვნული მოძრაობით იწყებს საქართველოში შემოსვლას, და ამავდროულად, თურმე ერების ფენომენს ებრძვის და მსოფლიო ერების მოსპობისაკენ მიჰყავს, საქართველოს ეროვნულ დროშებთან ერთად შემოაფრიალებს ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის სახელსაც? როგორ ხდება, რომ ქართველი მკვლევარი ზედმეტი მონდომებით ცდილობს დავით წინასწარმეტყველი ამოიკითხოს იქ, სადაც ის არ არის, და მზად არის ისტორიული ქართული დროშის გაგებაში დავით აღმაშენებელი ამოაგდოს, ოღონდაც დავით წინასწარმეტყველი ჩასვას?

„ქართული ისტორიული ლიტერატურა ქართული დროშების სახელს – „დავითიანი“ მიაწერს დავით აღმაშენებელს – წერს მკვლევარი, – მაგრამ დავაკვირდეთ: „აბდულ-მესიანის“ ავტორი წერდა ასე: „გორგასლიანი, დავითიანი, დროშა იხილეს მსრველი მტერთათვის“, მემატინე, ჟამთააღმწერელი კი პირიქით წერს: „დავითიანი და გორგასლიანი“; ვახტანგ გორგასალი ხომ დავით აღმაშენებელზე ბევრად ადრე მეფობდა?

ხომ არ ნიშნავს ქართული დროშების სახელი „დავითიანი“ დავით წინასწარმეტყველისაგან ნამემკვიდრე დროშას? ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ კულტურის მატერიალურ ძეგლებში შავი ფერი ქართულ დროშებში დადასტურებულია ხელნაწერი ფსალმუნის მინიატიურებში (საქ. სსრ მუზეუმის ხელნაწერი H 1665; იგივე, ს. ბარნაველი, „ქართული დროშები“, გვ. 17)“, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ – ნესტან დარეჯანს შავი მოსასხამი, ანუ შავი რიდე აქვს მოსხმული.“ ამაზე იტყოდნენ ჩვენი წინაპრები: „დიდება შენდა, ღმერთო“. ეგეთი ძალადობა როგორ შეიძლება ქართველი ხალხის გონებაზე?! საქართველოს დროშებს რომ „გორგასლიან-დავითიან-თამარიანი“ ერქვათ, ამაში ხომ მთელი ისტორია დევს ქართველი ერისა?! „გორგასლიან-დავითიან-თამარიანი“ ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიიდან თავისი დიდი მეფე – დავით აღმაშენებელი გამოტოვა და ებრაელთა დიდი მეფე იგულისხმა? ან მათე მახარობელმა რომ დაიწყო თავისი სახარება სიტყვებით: „ნიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრაამისა“ – დავითი რა, აბრაამზე წინ დაიბადა?! მეტს აღარაფერს ვიტყვი ამ ავტორზე (იხ. ც. ინკირველი „ქრისტიანული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“. საქართველოს ეროვნული დროშის ფერთა სიმბოლიზმისათვის“, ჟურნ.: „განთიადი“, №6, 1990 წ. გვ. 125, გვ. 130). იოლი არ არის პოლიტიკური დავალების შესრულება! თურმე რისთვის დაუტყრიალენია ამ ქალბატონ მკვლევარს მთელი ეს „მეცნიერული“ ალიაქოთი; თურმე რისთვის აფეთქებულა ქართული ეროვნული სული; თურმე რისთვის მოგვიწადინებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლით?! თურმე იმისათვის, რომ საქართველოს ისტორიულ ეროვნულ დროშად დამოუკიდებელ საქართველოში ებრაელთა დიდი მეფის, დავითის დროშა ამოგვეჩიქნა დავით აღმაშენებლის დროშაში და დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოდ ებრაელთა მეფის დროშა აგვეფრიალებინა! ხედავთ? როგორი ინფორმაციული ომით შემოდის მსოფლიო საქართველოში და

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით გაოგნებულ ქართველობას საით მიაქანებს?! საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირიდან ეროვნული მოძრაობის გზით და ხალხის მიერ გაუცნობიერებელი ინფორმაციული ომის გზით დავით წინასწარმეტყველის დროშის ჩაჩრა ქართველი ხალხის ხელში ერთდროულად ხდება! მსოფლიოს საიდუმლო მთავრობას, რომელიც მართავს ე. წ. „სიონისტურ პერესტროიკას“, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლას და შემდეგ უკვე პოსტსაბჭოთა პროცესებს, ეს უკვე გათვლილი აქვს. ეს ჩვენ, ქართველმა ხალხმა, არ ვიცით, რა ხდება ჩვენს თავს. წარმოდგენა არა გვაქვს იმაზედ, რომ საბჭოთა კავშირის „სიონისტურ-მასონური პერესტროიკა“, რომელიც ჩვენ ეროვნული მოძრაობის უფლებას მოგვანიჭებს, მსოფლიოს ახალი წესრიგის ის საფეხურია, რომლითაც კაცობრიობა, ანუ საბჭოთა კავშირის ხალხებიცა, ამერიკის შეერთებული შტატებიცა და ევროკავშირის ხალხებიც სიონისტურ, ანუ ებრაულ მსოფლიო იმპერიაში უნდა იქნან შესახლებულნი...

მაგრამ მთავარი კიდე არ გვითქვამს. დავით აღმაშენებლის დროშის გადაკეთება დავით წინასწარმეტყველის დროშად, 90-იან წლებში, სავარაუდოდ, დაკვეთილი „მეცნიერული“ გამოკვლევა უნდა იყოს, ჩვენთვის უცნობი სამსახურების მიერ, და აქ, მთავარი მაინც თარიღია: 90-იანი წლებისთვის, როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფო მანქანა უკვე ამუშავებულია ამ მიმართულებით; მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა უკვე დაძრულია საქართველოს დროშისა და სამეფო ტახტისკენ, და, რაღა თქმა უნდა, საქართველოს მეფეთა „დავითიანობის“ საქმე დროშით არ მთავრდება.

აგერ უკვე 21-ე საუკუნეში, იმდენად ძლიერდება ქართული ცნობიერების ინტერესი ქალდეველთა ფენომენის მიმართ, რომ ცნობილი პოეტის – ვაჟა ფრისელის თაოსნობით იქმნება ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საზოგადოებრივი აკადემია: „ქალდეა“, და არსდება ამავე სახელწოდების გაზეთიც, რომელშიც, სიამოვნებით ვთანხმდები,

გამოქვეყნდეს ჩემი მოხსენება: „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, ნაკითხული ინგლისურ ენაზე, 2001 წელს, პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში, ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე. აქვე, გაზეთ „ქალდეაში“, ჩემი მოხსენების გვერდით, უფრო ზუსტად, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ქვეყნდება ვრცელი ნაწილი ე.წ. პოლიტიკური პატიმრის, ცნობილი იურისტის, ბ-ნ ალექსანდრე ვახანიას წიგნისა: „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“, „ქრისტეს სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“. შეუძლებელია, ამ უჩვეულო მოვლენას არ მიაქციო ყურადღება! კაცი, რომელიც ციხეში ზის პოლიტიკური პატიმრის სტატუსით და ციხიდან გარეთ, საზოგადოებაში თავისი წიგნის საპრეზენტაციოდ ნადიმებს მართავს; კაცი, რომელიც, ციხეში დამწყვდეული, ზუსტად იმ საკითხებზე აღაპარაკდება, რომლებზედაც ჩვენ სამი ათეული წელია ვმუშაობთ და არავინ ყურადღებას არ გვაქცევს, მითუმეტეს ყურადღებას არ გვაქცევს საქართველოს ეკლესია, უცებ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის მეცნიერული ინტერესების ცენტრში ექცევა და საქართველოს ეკლესია სინოდის შემწეობით იღებს დადგენილებას საქართველოს ისტორიის ტაბუდადებულ პრობლემებზე მუშაობის აუცილებლობისათვის. სახეზე გვაქვს წლების განმავლობაში მიმდინარე უწყვეტი სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც ინფორმაციული ომი ქართველი ერის წინააღმდეგ, რომელშიც გაუცნობიერებლად არის ჩართული საქართველოს ეკლესია. მოვლენებს გადავასწრებ, და შევნიშნავ, რომ უკვე გვიან, 2010 წელს, როდესაც ამ ანტიქართული პოლიტიკის საფუძვლებჩამყრელ საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, დასჭირდება საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ქ-ნ ნინო ბურჯანაძის გასაუფასურებელი დახასიათება, პირდაპირ იტყვის თავისი პირით: „ნინო კარგად მოიქცა, რომ სააკაშვილის გუნდიდან წამოვიდა, მაგრამ ის ხომ მონაწილეობდა პარლამენტში ქართველი ერის ბედის საწინააღმდეგო გადწყვეტილებებში, რომელთა ჩამოთვლა შორს

ნაგვიყვანდაო“ (იხ. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, №10 (806), ჟურნალისტ თეა ასათიანის მიერ აღებული ინტერვიუ ბ-ნ ედუარდ შევარდნაძესთან, 2010 წლის 8-14 მარტი). ეს ხალხი – ბ-ნი შევარდნაძეც, ქ-ნი ბურჯანაძეც და ბ-ნი სააკაშვილიც უწყვეტად იდგნენ კელაპტრებით ხელში საქართველოს პატრიარქის გვერდით ბრწყინვალე წირვებზე, და უწყვეტად იყვნენ უზრუნველყოფილი ლოცვა-კურთხევით იმ „ქართველი ერის ბედის საწინააღმდეგო გადწყვეტილებებისა“ და ერთიანი პოლიტიკისათვის, რომელსაც საქართველო მიჰყავდა ბიბლიური დავითის დროშით ევროკავშირში და ნატოში განვერიანებისაკენ. ეროვნული მოძრაობის ლიდერთა თავიდან მოშორების შემდეგ, სხვა იდეალი საქართველოს პოლიტიკას უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, არ ჰქონია.

„გორგასლიან-დავითიან-თამარიანში“ ებრაელთა ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის, აღმოჩენას ქ-ნ ცირა ინსკირველის მიერ, აგვირგვინებს ჩვენ მიერ უკვე ხსენებულის, ბ-ნ ალექსანდრე ვახანიასეული მთელი რიგი „აღმოჩენები“, საგანგებოდ გამოგონილი ბ-ნი ვახანიას ზემოხსენებული წიგნისათვის დღევანდელი ქართული საზოგადოების გასაბაიბურებლად.

1) ბ-ნ ვახანიას განმარტებით, პავლე მოციქული რომაელთადმი მიწერილ ეპისტოლეში გვაუწყებს, რომ: **„ქალდეველებმა საკუთარი „ნანერნი“ (ბიბლია) და ენა (ქალდეური ენა), ღმერთის სიტყვების შესანახად მიანდეს ებრაელებს (რომ. 3,2). საკუთარ „ნანერნში“ (მოძღვრებაში, ბიბლიაში), უპირატესობა ებრაელებს დაუთმეს“.** (მითითებულია პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთადმი, თავი მესამე, მუხლი მეორე! – დ. ს.).

2) ბ-ნ ვახანიას მიხედვით, ქალდეველებმა ვარსკვლავთმრიცხველური წინასწარმეტყველებით იცოდნენ, რომ მომავალი კაცობრიობისა განპირობებულია და ეკუთვნის ებრაელ ერს. თურმე ამის გამო, თავის დროზე, ფანატიკოსმა ქალდეველმა მოგვებმა მოაწყვეს „ბაბილონის ტყვეობა“, რათა დაეთმოთ თავიანთი უპირატესობა ებრაელთადმი და გადაეცათ თავიანთი საიდუმლო



ცოდნა და „ნანერნი“, ანუ ბიბლია ებრაელთათვის. თურმე ქალდეველთა მოდგმა თვითონ დაემონა ებრაელებს და თვითონ გახდა ტყვე ისრაელისა.

– „ბიბლიური პირველისტორია ღია ტექსტით მოგვითხრობს, – წერს ქ-ნ ინწკირველის გზაკვალზე დაყენებული ბ-ნი ალექსანდრე ვახანია, – რომ ქალდეველები იყვნენ ვარსკვლავთმეტყველები, მისნები და ვარსკვლავთმეცნიერებით იცოდნენ, რომ მომავალი განპირობებულია. განპირობებული მომავალი კი ებრაელ ხალხს ეკუთვნოდა. ამიტომ ქალდეველი ხელმწიფის, ნაბუქოდონოსორის, ზეობაში, როცა ხელმწიფეს ეუნყა ეს ღვთისაგან, ბაბილონელ მოგვთა ფანატიკურმა მოდგმამ მოაწყო ე.წ. „ბაბილონის ტყვეობა“ – ებრაელთა გამორჩეული შვილები ძალმომრეობით წაიყვანა ბაბილონში; ასაჭურისებს მათ (ეს. 39,7) და ასწავლის ქალდეველთა „ნანერნსა“ და ენას (სწავლად მათდა ნანერნი და ენაი ქალდეველთაი; დან. 1,4)... ქალდეველებმა საკუთარი „ნანერნი“ (ბიბლია) და ენა (ქალდეური ენა) ღმრთის სიტყვების შესანახად მიანდეს ებრაელებს (რომ. 3,2)“...

...თეოლოგის და ისტორიკოსის, არქიმანდრიტ **პეტრე სოლიარსკის** ცნობით, **ქალდეველთა** კასტური ოლიგარქია მოიცავდა ბაბილონის (შუმერის) და ეგვიპტის ქურუმებს. კასტის ცოცხალი მემკვიდრე, **ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს**, გახდა იაკობის ტყვე („გთნდა, უფალო, ქვეყანაი შენი, მოაქციე ტყვეი იაკობისი“, ფსალ. 84,2) (ციტატები ბ-ნ ალ. ვახანიას წიგნიდან მოგვყავს გაზეთ „ქალდეაში“ გამოქვეყნებული ტექსტიდან, №4, 2011 წ.).

მკითხველისთვის ნამდვილად ძნელი დასაჯერებელი იქნება, ალბათ, მოვახსენოთ, რომ ბ-ნ ვახანიას მიერ გადმოცემული მთელი ამ დეტექტივის დასტურად ვახანიას მიერვე ბიბლიიდან, პავლე მოციქულის ეპისტოლედან და დავითის ფსალმუნიდან მოხმობილ ციტატებში, არაფერი მსგავსი არ წერია. და ყველაფერი უკუღმაა განმარტებული. სწორია მხოლოდ არქიმანდრიტ **პეტრე სოლიარსკის** აზრი, რომ ქალდეველთა

ერთადერთი ცოცხალი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ამასაც ესაჭიროება ერთგვარი დაზუსტება, რადგან ამერიკაში კომპაქტურად დასახლებული მილიონახევრიანი ემიგრაცია არსებობს ქალდეველებისა ერაყიდან, მაგრამ მათ არაფერი იციან ქართველი ხალხის შესახებ, ისევე როგორც ქართველებმა არ იციან არაფერი მათ შესახებ. ჩემი სამეცნიერო მივლინების დროს აშშ-ებში, საშუალება მომეცა რამდენიმე დღე გამეტარებინა მათთან სტუმრობაში. ეს ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ – „თბილისის უნივერსიტეტი“ და გაზეთ-ალმანახ „ერის ღირსებაშია“ გამოქვეყნებული 2006 წლის №7-ში.

შევეცდები განვმარტო ინწკირველ-ვახანიას გამოგონილი ქალდეურ-ებრაული დეტექტივი არგუმენტებული პავლე მოციქულის ეპისტოლეებიდან მოტანილი ციტატებითა და ბიბლიური ეპიზოდების საკუთარი ვერსიებით. როგორც მოგახსენეთ, ქ-ნი ინწკირველის მეცნიერული მიმართულების მიმდევარი და გამღრმავებელი, ბ-ნი ალექსანდრე ვახანია, რომელიც ციხეში ბიბლიესტი და ქალდეოლოგი გახდა, განგვიმარტავს, რომ „ქალდეველებმა თავიანთი საკუთარი ნანერნი (ბიბლია) და ენა ღმრთის სიტყვების შესანახად მიანდეს ებრაელებს, და თავიანთი უპირატესობა ებრაელებს დაუთმეს“. ბ-ნი ვახანია ამ დებულების დასამტკიცებლად, რომელიც მას ეკუთვნის, მიგვითითებს ფრაგმენტებზე პავლე მოციქულის ეპისტოლედან, რომელიც შეუძლებელია, გადაუმონმებლად დავიჯეროთ.

რას წერს სინამდვილეში პავლე მოციქული ბ-ნ ვახანიას მიერ ხმობილ ციტატებში, რომლითაც ბ-ნ ვახანიას აზრით, რომაელთადმი მიწერილ ეპისტოლეში პავლე მოციქული გვაუწყებს, რომ ქალდეველებმა უპირატესობა დაუთმეს ებრაელებს, რამდენადაც მათ „საკუთარი ნანერნი (ბიბლია) და ენა მიანდეს ებრაელებს ღმრთის სიტყვების შესანახად“. წარმოუდგენელია, საკუთარ თავს ნება მისცე ამ დიდი მოციქულის მსჯელობის ასეთი დასახიჩრებისა და თანაც იმ

მიზნით, რომ დაამახინჯო შენი საკუთარი ქვეყნის ისტორია, იმისთვის რომ ღირსება და პატივი ახადო შენს საკუთარ წინაპრებს, იმისათვის რომ ვილაცხას წაემლიქვნელო.

ეპისტოლეში, საიდანაც ბ-ნი ვახანია თავისი აზრის დასადასტურებელ ციტატას იხმობს, პავლე მოციქული სინამდვილეში განმარტავს ებრაელი ერის, როგორც რჯულის მფლობელი ერისა და ყველა სხვა ხალხების, როგორც რჯულის არმქონე ხალხების ურთიერთმიმართებას, ანუ ღვთის რჩეული ხალხისა და წარმართი ხალხების ურთიერთმიმართებას და ამბობს, რომ რჯული ადამიანებს მოსასმენად კი არ ეძლევათ, არამედ განსახორციელებლად. რჯულის მქონე ხალხის რჯულისმქონეობის მადასტურებელი ნიშანია მათი წინადაცვეთილობა, მაგრამ ეს წინადაცვეთაც, თუ იგი თავისი სულიერი შინაარსის მომცველი არ არის და ფორმალურია, მაშინ მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ის ხალხები, რომლებიც რჯულისმფლობელნი არ არიან და არც წინადაცვეთილნი, მაგრამ რჯულისა და წინადაცვეთის გარეშე იმ წესების დამცველნი არიან და იმ სულიერი შინაარსის განმახორციელებელნი, რაც რჯულში და წინადაცვეთის საიდუმლოშია ჩადებული, უფრო მეტად არიან იუდეველნი, ვინემ ის ხორციელად ებრაელნი, რომელნიც შინაგანად, სულიერად არ არიან აღმასრულებელნი რჯულისა და წინადაცვეთის:

– მაშ, რა მნიშვნელობა და რა უპირატესობა აქვს იუდეველობას და რჯულის მფლობელ ხალხს?! – კითხულობს პავლე მოციქული და თვითონვე პასუხობს: – იუდეველობას, ანუ რჩეული ერის წარმომადგენლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს არის ხალხი, რომელსაც ღვთის გამოცხადებრივი სიტყვა მიეცა. ღვთის სიტყვა მიეცათ რჯულის სახით, მაგრამ ეს უდიდესი უპირატესობა მათ დაკარგეს, რადგან რჯულის არმქონე ხალხები, ანუ წარმართები, თავიანთი სულიერებითა და რწმენით მისწვდნენ ქრისტეს, ხოლო ისრაელი – ვერ მისწვდა. მაშინ, როდესაც ქრისტე გვირგვინია რჯულისა და ისრაელი ვერ მისწვდა თავად გვირგვინს თავისივე რჯულისას.

ეს გახლავთ მოკლე შინაარსი პავლე მოციქულის მიერ რომაელთადმი მიწერილი ეპისტოლესი. მიუხედავად იმისა, რომ პავლე მოციქული, როგორც სისხლი და ხორცი თავისი მშობლიური ხალხისა, თავგანწირვით ცდილობს თავის მსჯელობაში, შეუნარჩუნოს თავის ხალხს ძველი აღთქმისეული ერთგულება მამაპაპეული ღმერთისაგან, და ებრაელი ხალხის მიერ ჩადენილ ცოდვაში ღვთის წინაშე, დაინახოს რაღაც დადებითი, კერძოდ, ახსნას, ეს ცოდვა, როგორც საჭირო მოვლენა, როგორც საფუძველი და გზა ღმრთის სინმინდისა და ჭეშმარიტების განდიდებისა, ანუ ქვეტექსტით, გახსნას ჯვარცმა, როგორც გზა ღმრთის გაცხადებისა და განდიდების, გვერდს ვერ უვლის ვერც იმ ჭეშმარიტებას, რომ რჩეულობის სტატუსი, ანუ იუდეველობის უპირატესობა ხალხთა შორის ისრაელმა დაკარგა და ეს უპირატესობა გადასახლდა იმ ადამიანთა გულებში, რომელთაც რწმენით აღიარეს ქრისტე – გვირგვინი თავად იუდეველთა რჯულის! საზგასმით არის აღსანიშნავი ისიც, რომ იქვე პავლე მოციქული, ვერშეუღწეული იუდეველთა უპირატესობას ყველა სხვა ხალხებს შორის, გააცხადებს, რომ ყოველმხრივ დიდი უპირატესობა აქვს იუდეველობას, რადგან იუდეველთ მიახლო უფალმა-ღმერთმა თავისი გამოცხადებრივი სიტყვა. იქვე, სულ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, მართალია, დიდ განზოგადებაში, მაგრამ მაინც იტყვის: „გვაქვს კი რაიმე უპირატესობა? არავითარი!...“ მოვიყვანთ პავლე მოციქულისეული წერილის ჩვენ მიერ გადმოცემული ამ მოკლე შინაარსის, ანუ წერილის ლოგიკური სიუჟეტის მადასტურებელ ციტატებს:

„წინადაცვეთილობა სარგოა, თუ რჯულს ასრულებ; ხოლო თუ რჯულს გადადიხარ, შენი წინადაცვეთილობა წინადაუცვეთლობად იქცევა. და თუ წინადაუცვეთელი რჯულის მართლწესებს იცავს, განა მისი წინადაუცვეთლობა წინადაცვეთილობად არ შეერაცხება?(რომ. 2,26).

„ვინაიდან იუდეველი ის კი არაა, ვინც გარეგნულადაა იუდეველი; არც ისაა წინადაცვეთა, რომელიც გარეგნულია და ხორციელი. არამედ იუდეველი ისაა, ვინც შინაგანადაა იუდეველი და

წინადაცვეთაც ისაა, რომელიც გულისა და სულისმიერია და არა ასოსმიერი. და კაცთაგან კი არ იქების, არამედ ღმრთისაგან (რომ. 2,28-29).

„მაშ, რა უპირატესობა ახლავს იუდეველობას, და რა სარგებელი წინადაცვეთას?“ (რომ. 3,1).

„დიდი უპირატესობა ყოველმხრივ; უწინარეს ყოვლისა, კი იმდენად, რამდენადაც მათ მინდობილი ჰქონდათ ღმრთის სიტყვა“ (რომ. 3,2) (შდრ.: ჩემეულ თარგმანს ბერძნულიდან:

„მაშ, რაღა უპირატესობა იუდეველისა და რა სარგებელია წინადაცვეთის“.

„მრავალი და უპირველესად ის, რომ მათ მინდობილი ჰქონდათ ღვთის სიტყვა“. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „მინდობილობის“ მოცემულობას წარსულ დროში, რაც კარგად არის გამოკვეთილი ებრაულიდან შესრულებულ ინგლისურ თარგმანში).

მოვიყვანთ ებრაულიდან თარგმნილ ინგლისურ ტექსტს: **What advantage than has the Jew, or what is the profit of circumcision? (3,1) Much in every way! Chiefly because to them were committed the oracles of God (3,2).** არავითარი ხსენება და ჭაჭანება აქ ქალდეველებისა არ არის, ლაპარაკია „სიტყვისა“ და „მოძღვრების“ მინდობაზე ღვთისაგან და არა ქალდეველთაგან. არავითარი „დათმობა თავიანთი უპირატესობისა ქალდეველთაგან ებრაელთათვის აქ არ არსებობს. მთელ ამ ეპისტოლეში, თავიდან ბოლომდე, როდესაც პავლე მოციქულს წარმართების სიმბოლოდ კონკრეტული რომელიმე ხალხის დასახელება სურს, ის მოიხსენიებს „ელინებს“. „მერედა რა? გვაქვს კი რაიმე უპირატესობა? არავითარი: ვინაიდან, უკვე დავამტკიცეთ, რომ ყველანი, იუდეველებიცა და ბერძნებიც, ცოდვის ქვეშა ვართ“ (რომ. 3,9).

„წარმართნი, რომელნიც არ ეძებდნენ სიმართლეს, ეწიენ სიმართლეს, სიმართლეს რწმენის მიერ, ხოლო ისრაელი, რომელიც ეძებდა სიმართლის რჯულს, სიმართლის რჯულს ვერ მისწვდა. რატომ? იმიტომ რომ ეძებდნენ არა რწმენის მიერ, არამედ რჯულის საქმეთა მიერ (რომ. 9,30-32) „...იმიტომ, რომ **რჯულის დასასრული**

**ქრისტეა** ყველა მორწმუნის სიმართლისათვის“ (რომ. 10,4)... „რასაც ეძებდა ისრაელი, მას ვერ ეწია; ხოლო რჩეულნი ეწიენ“ (რომ. 11,7).

ყურადღება მივაქციოთ პავლე მოციქულის ამ ბოლო ტერმინსაც! „რჩეულთ“ მოციქული უწოდებს უკვე იმ ხალხებს, რომელნიც ეზიარნენ ქრისტეს!

ასე რომ ბ-ნი ვახანია სრულიად შეგნებულად ამახინჯებს პავლე მოციქულის ტექსტს იმისათვის, რომ შექმნას რაღაც წარმოუდგენელი დეტექტივი ებრაელთა უპირატესობისა ქალდეველებთან მიმართებაში.

ბ-ნი ვახანიას განმარტებით, თურმე „ბაბილონის ტყვეობა“ ისტორიულად იმიტომ შედგა, იმიტომ დალაშქრეს ბაბილონელებმა ისრაელიანები, და იმისთვის დაანგრიეს სოლომონის ტაძარი, იმისთვის წაიყვანეს ებრაელები ბაბილონში, წაასხეს ტყვედ მთელი ერი, რომ ამოერჩიათ მათგან ნიჭიერნი და თავიანთი დანერგილი სიბრძნე გადაეცათ მათი გზით ებრაელი ხალხისთვის, როგორც მსოფლიოს მომავალი მპყრობელებისათვის.

არის ასეთი ქართული ანდაზა: „ურია წყალს მიჰქონდა და ჩემი გზაც აქეთ არისო“. „ბაბილონის ტყვეობა“, ეს განუმეორებელი ტრაგედია ებრაელი ხალხის ღირსების აყრისა, საგანი ყველა წინასწარმეტყველის გოდებისა, მხოლოდ ებრაულ გონებას შეუძლია შეატრიალოს მისთვის სასარგებლო მოვლენად, ამასთან მხოლოდ უმეცართა მოსატყუებლად და შეცდომაში შესაყვანად. ბიბლია გამჭვირვალედ განმარტავს მიზეზს ებრაელი ხალხის ტყვეობაში ჩავარდნისას. როდესაც დაასრულა სოლომონმა უფლის სახლის შენება, გამოეცხადა მას უფალი და უთხრა:“ თუ განმიდგებით თქვენ და თქვენი შვილები, არ დაიცავთ ჩემს ბრძანებებს და წესებს, მე რომ მოგეცით, შეუდგებით უცხო ღმერთებს და თავყვანს სცემთ მათ, გაწყვეთ ისრაელს იმ მიწის პირისაგან, რომელიც მას მივეცი, მოვიშორებ სახლს, რომელიც ჩემს სახელზე ვაკურთხე, და საიგავოდ და დასაცინად შეიქმნება ისრაელი ხალხთა შორის“... (3 მეფ. 9,6-7).

შემთხვევითი არ არის რომ დავით აღმაშენებელი თავის „გალობანი სინანულისაში“ ისრაელის მეფეთ მოიხსენიებს ცოდვილებად თავიანთი ხალხის წინაშე. ბიბლიის „მეფეთა წიგნებით“ ეს უდიდესი მეფენი ებრაელი ხალხისა, დავითი და სოლომონი, განსაკუთრებით სოლომონი, იმდენად ცოდვილი არიან უფლის წინაშე, რომ მთელი ერი ისჯება მათი ცოდვებისათვის.

„სიბერის ხანს მიდრიკეს სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისაკენ...“ (3 მეფ. 11,4).

„უკუღმართად იქცეოდა უფლის თვალში იეჰოიაკიმი, როგორც მისი მამა-პაპა იქცეოდა...“ (4 მეფ 23,37) ...მიუსევდა ხოლმე მას უფალი ქალდეველთა, არამელთა, მოაბელთა, და ყამონიანთა ბრბოებს, შეუსევდა ხოლმე რათა დაეღუპა იგი უფლის სიტყვისამებრ... **უფლის ნებით ხდებოდა ეს იუდეაში...**“ (4 მეფ. 24,2).

ახლა უკვე კონკრეტულად, როგორ არის აღწერილი ბიბლიაში, თავად ებრაელთა მიერ, ანუ ებრაული ცნობიერებითა და შეგნებით, ებრაელი ერის დატყვევება ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთზე გადაბმულია მეფეთა ცოდვები და უფლისმიერ მოვლენილი სასჯელნი მტერთა შემოსევების სახით:

„უკუღმართად იქცეოდა იეჰოიაკიმი უფლის თვალში, ისევე როგორც მამამისი იქცეოდა. ამ დროს დაიძრნენ ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის მოლაშქრენი იერუსალიმისაკენ და შემოადგნენ ქალაქს. მოადგა ბაბილონის მეფეც, ნაბუქოდონოსორიც, ქალაქს, როცა მის მოლაშქრეებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული ქალაქი... გაზიდა. იქიდან უფლის სახლის მთელი საგანძური და მეფის სახლის საგანძური... აჰყარა მთელი იერუსალიმი, ყველა დიდებული, ყველა მამაცი მებრძოლი – ათი ათასი კაცი იყო აყრილი, ყველა ხელოსანი, და მშენებელი, არავინ დარჩენილა ქვეყნის ერის გარდა...ნაასხა ბაბილონის მეფემ ბაბილონში დასასახლებლად (4 მეფ. 24,14-16).

იუდას მეფე მთელი თავისი დედაბუდით წაასხა ბაბილონში და მის ადგილზე, მეფის ბიძა:

ციდკიაჰუ დატოვა მეფედ. მეორედ დალაშქრა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი. ციდკიაჰუ, რომელიც გადაუდგა ბაბილონის მეფეს, გაიქცა, დაიჭირეს გაქცეული ციდკიაჰუ ქალდეველებმა, მიჰგვარეს მეფეს, თვალწინ დაუკლეს შვილები, დათხარეს თვალები, სპილენძის ბორკილები დაადეს და მიიყვანეს ბაბილონს....

ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორის, მეფობის მე-19 წელს, მისი ქონდაქართუხუცესი, ნებუზარდანი, ბაბილონის მეფის მორჩილი, მოადგა იერუსალიმს: გადაწვა უფლის სახლი და მეფის სახლი, იერუსალიმის ყველა სახლი, ყველა დიდი სახლი ცეცხლს მისცა... დაანგრია კედლები იერუსალიმის ირგვლივ...ქალაქში დარჩენილი მოსახლეობა და ისინი, ვინც ბაბილონის მეფეს ჩაბარდნენ, ჭრელ ხალხთან ერთად აჰყარა... **წაწილი ქვეყნის ხალხისა მევენახეებად და მხვნელმთესველებად დატოვა...**“ (4 მეფ. 25,9-12).

დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში აღწერილია ბაბილონში ჩამოყვანილ იუდეველ ტყვეთა გამოყენების ისტორია სამეფო კარის ე. წ. ინტელექტუალური მსახურებისათვის, რაც ზემოხსენებული „მითით“ ქალდეველთა მიერ ქალდეური სიბრძნის ებრაელთათვის გადაცემის რიტუალი ყოფილა, განხორციელებული ფანატიკოსი ქალდეველი მოგვების ვარსკვლავთმეტყველური წინასწარმეტყველების შედეგად, რომლითაც კაცობრიობის მომავალი თურმე განპირობებულია ეკუთვნის ებრაელ ხალხს. უფრო მეტიც: მთელი ბაბილონის ტყვეობა შემდგარა ქალდეველი მოგვების წინასწარმეტყველების შედეგად, იმისათვის, რომ გონიერი ებრაელები წამოეყვანათ ბაბილონში ქალდეურ სიბრძნეში გასაწრთვლად მთელი ამ დეტექტივის შესაქმნელად გამოყენებულია დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში ასახული ინფორმაცია, რომლითაც მეფე ნაბუქოდონოსორმა, რომელმაც იერუსალიმიდან წამოღებული ძვირფასი ჭურჭლეული თავისი ღმერთის საგანძურში შეიტანა და ტრადიციისამებრ, ნადავლი თავის ღმერთს მიართვა, საჭურისთა მთავარს დავალება მისცა: „მიეგვარა მისთვის ისრაელიანთაგან, სამეფო მოდგმიდან

და დიდებულთაგან უნაკლო, შესახედავად მშვენიერი, ყველა სიბრძნეში დახელოვნებული, ნიჭიერი და სწავლის უნარიანი ყმანვილები, რომელთაც შეეძლებოდათ მეფის კარზე სამსახურის განევა და ქალდეველთა მნიგნობრობისა და ენის შესწავლა“ (დან. 1,3-4).

ბაბილონის მეფეთ, სხვა ქვეყნების არაერთი მეფე და დიდებული ჰყავდათ თავიანთ სამეფო კარზე ტყვეებად, როგორც ამას მეფეთა მეოთხე წიგნი გვაუწყებს ბიბლიისა, და გვაუწყებს იმასაც, რომ სამეფო დიდსულოვნების ეთიკა, მეფობისა და დიდებულების პატივის ნიშნად, მათ, ე. ი. ბაბილონელებს განაწყობდა მეფეთა და დიდებულთადმი შესაფერისი და ღირსეული სამსახური დაენესებინათ, ამასთან საჭირო და სასარგებლო საკუთარი სამეფო კარისათვის. რაც შეეხება ქალდეველთა წიგნების გამოყენებას ებრაელთა მიერ ეს უკვე დასრულებულია ბაბილონის ტყვეობის დროს. ებრაელებს უკვე თავისი ოქროს ხანა გავლილი აქვთ. ქალდეველთა სიბრძნის მითვისება იწყება უკვე აბრაამიდან და მითვისებული გადაეცემათ თაობებს. და არა მხოლოდ ქალდეველთაგან. სპეციალისტების მიერ დადგენილია მოსე წინასწარმეტყველის ათი მცნების გადმოსესხება ეგვიპტელთა წმინდა წიგნიდან, რომელსაც “მკვდართა წიგნი” ჰქვია (ჯონათან ბლეკი: „მსოფლიოს საიდუმლო ისტორია“).

ჩვენ მიერ ზემოთ ხმობილ ქართულ ხალხურ გამონათქვამში: „ურია წყალს მიჰქონდა და ჩემი გზაც აქეთ არიო“, – საოცარი სიღრმით არის დაჭერილი ებრაელი ხალხის უჩვეულო და, შეიძლება ითქვას, გენიალური უნარი, ნებისმიერი უბედურება შეატრიალოს თავის სასარგებლოდ. იგივე მეორე მსოფლიო ომიც, ომი, რომელიც უდიდესი ტრაგედია იყო ებრაელი ხალხისთვის, ომი, რომლითაც ებრაელი ხალხის მსოფლიო დევნამ კულმინაციას მიაღწია, დამთავრდა ებრაელი ხალხის გამარჯვებით, რადგან ამ ომით ებრაელმა ხალხმა შეცვალა მსოფლიო – შეცვალა მსოფლიოს დამოკიდებულება ებრაელთა მიმართ.

ებრაელთა მდეველი და მძულვარე მსოფლიოდან მივიღეთ ებრაელთა ქომაგი და ებრაელთა

წამებულ ბედზე გადაფარებული, ყოველგვარ ანტისემიტიზმზე აღშფოთებული მსოფლიო. ეს, ცხადია, არ ეხება საქართველოს, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა და სადაც მათ ყოველთვის ჰქონდათ სიყვარული, და საერთოდ აზრადაც არ მოსვლია ქართველობას, რაიმე ტკივილის მიყენება მათთვის. გვიყვარდნენ ისინი და გვიყვარან. მაგრამ დადგა ჟამი, როდესაც კაცობრიობამ დაიწყო თვითგამორკვევა საიდუმლოებით მოცული ამ ორი სუბიექტის ურთიერთმიმართებისა: კაცობრიობისა და ებრაელი ერის. როგორ მოხდა, რომ ეს ბიბლიური ხალხი, ერთდროულად, იყო დევნილიც, მთელ მსოფლიოში კარს მიღმა გადგებული, და ამავდროულად, კაცობრიობის მასწავლებელი და ცხოვრების სახელმძღვანელოდ მიმცემი წმინდა წიგნისა, ბიბლიისა. თვით ქრისტიანობის გამარჯვებითაც ხომ ებრაელი ხალხის ბიბლიური ისტორია იქცა სახელმძღვანელოდ კაცობრიული აზროვნებისა? თვით ქრისტეს მოვლინებაც კი შეძლეს ებრაელებმა რომ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. დიდი ილია ჭავჭავაძე და დიდი აკაკი წერეთელი, ეს ორი დიდი მგოსანი და ორი დიდი მოძღვარი ქართველი ერისა, ებრაელი ხალხის მიმართ ორი სრულიად სხვადასხვა პოზიციით წარუდგებიან მშობელ ხალხს. საოცარია დამოკიდებულება **აკაკი წერეთლისა** ებრაელთადმი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არასოდეს გამხდარა ეს დამოკიდებულება რაიმე განხილვისა და შემეცნების საგანი. შესანიშნავი საქმე განახორციელა ცნობილმა ისტორიკოსმა და მწერალმა, ბ-ნმა **ზურაბ რატიანმა**, როდესაც ცალკე პატარა წიგნად გამოსცა ქართული ესეისტიკის ორი ბრწყინვალე ნიმუში: **ილია ჭავჭავაძის „დავით აღმაშენებელი“** და **აკაკი წერეთლის „თამარ მეფე“**. თამარ მეფისადმი მიძღვნილ წერილში, სადაც თავისთავად დედაკაცის, დედის, ქალის ფენომენზე უხდება აკაკის საუბარი, იგი ებრაელ ხალხს უწოდებს ყველა ხალხის მოძულე ერს, და ბიბლიურ პოზიციას ქალისადმი, პატრიარქალურსა და მძვინვარეს, ქალის დამაკნინებელს და კაცობრიული ცოდვის სათა-

ვედ დამწესებელს უწოდებს „მანანალა აზრს“. აკაკი წერეთლის ამ დამოკიდებულებას ებრაული ბიბლიური ცნობიერებისადმი და მის განსჯას ბიბლიური ხედვისას დედური სანყისისადმი, ჩვენ უკვე შევეხეთ ჩვენს ნაშრომში: „თამარ მეფის წმ. სამების მეოთხე წევრად გამოცხადების გაგებისათვის“ (იხ. კრებული: „ბიზანტინოლოგია – 2010) და აკაკის ამ აზრს მივეცი თუდიდესი შეფასება. აკაკი წერეთლის ამ თვალსაზრისს თეოლოგიური აზრის ისტორიაში უდავოდ უდიდესი და მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება, ილია ჭავჭავაძის განსჯას და დამოკიდებულებას ებრაელი ხალხის ფენომენისადმი, რასაც ჩვენ უკვე შევეხეთ ზემოთ, წინამდებარე შრომის შესაბამის პრობლემებთან კავშირში, ილიასეული თვალსაზრისი სრულიად განსხვავებულია. ილია ჭავჭავაძეში, მისი ლექსით: „პოეტი“, იმდენად იგრძნობა სიმპათია მოსე წინასწარმეტყველის, როგორც ერის წინამძღოლის იდეალური წარმომადგენლის მიმართ, იმდენად აიგივებს კიდევ ილია თავის თავს, როგორც წინამძღოლს ქართველი ერისას მოსესთან, რომ მისთვის, ქართული ეროვნული მოძრაობის ფუძემდებლისა და წინამძღოლისათვის ბიბლიისადმი, ანუ პირველ რიგში მოსეს წიგნებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ადგილი, თითქოს, აღარ რჩება: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მინიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვეუძღვე წინა ერსა“-ო. ამგვარი ბიბლიური სულისკვეთებით გადმოსცემს ილია ჭავჭავაძე თავის მისიას. სწორედ ამ დიად ქართულ გრძნობაში, ილია ჭავჭავაძისეულ ქართულ ცნობიერებაში იბადება პირველად ფუნდამენტური მნიშვნელობის კითხვა: რატომ იდევენებიან ეს საწყალი და წამებული ებრაელები მთელ მსოფლიოში?! რა დააშავეს ისეთი, რომ დედამიწის ყველა კონტინენტისთვის არიან მიუღებელნი?! და დასასრულ, მიუხედავად თავისი ღრმად ადამიანური და სრულიად მოყვრული თანადგომისა, რომელიც გამოხატულია მის წერილში „ებრაელთა შესახებ“, ბრძენი პატრონი თავისი ერისა გამაფრთხილებელ

დასკვნასთან მიდის, ისეთ საყოველთაოდ მნიშვნელოვან დასკვნასთან, რომელსაც არც ერთი გონიერი ერი მხედველობიდან არ გაუშვებდა. ქართველ ერს არასოდეს მიუქცევია რაიმე საგანგებო ყურადღება ილია ჭავჭავაძის არც ამ წერილისთვის და არც ამ დასკვნისთვის, გარდა იმისა, რომ წერილი ილიას გამომცემელ ფილოლოგ მეცნიერთა მიერ მის ნაშრომთა ტომეულებში იქნა შეტანილი და მისი, ამ წერილის, არსებობა ქართული ცნობიერების ისტორიისათვის უზრუნველყოფილ იქნა.

ებრაელი ერის ფენომენი ნამდვილად არ არის სათანადოდ შესწავლილი, ისევე, როგორც სათანადოდ არ არის შესწავლილი ებრაელი ერის ბიბლიური ისტორია. ილია ჭავჭავაძის მსჯელობა ებრაელი ერის შესახებ, ებრაელი ერის მიზანსწრაფვაზე მსოფლიო ბატონობისაკენ, ერთგვარი ილუსტრაციაა ამ ერის, როგორც ფენომენური მოვლენის შეუსწავლელი მსოფლიოს ხალხებისაგან. ილია ჭავჭავაძის წერილი დაწერილია მე-19 საუკუნის დასასრულს, ფაქტიურად იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საძირკვლებს იყრის მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა, როდესაც იწყება აღმავლობა ებრაელი ერის ბიბლიური მიზანსწრაფვისა მსოფლიოზე გაბატონებისთვის. ილია ჭავჭავაძეს ეს ინფორმაცია ჯერ არა აქვს და იგი საოცარი წინასწარმეტყველებით ჩააგლებს იმ უმნიშვნელოვანეს აზრს ებრაელთა შესახებ, რომელიც, როგორც ჩანს, თერგდალეულ პეტერბურგელთან უნდა შემოღწეულიყო ევროპიდან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არავის ისეთ სიღრმეებში არ გაუშიფრავს ებრაული ფენომენი, როგორც ეს რუსულმა თეოლოგიურმა და ანალიტიკურმა გონებამ შეძლო. ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართველ კაცს, ამ მიმართულებით მძაფრი ინტერესი არც ჰქონია. ქართულ ცნობიერებაში მთელი ქრისტიანული ისტორიის მანძილზე ეს ქართულ-ებრაული ფენომენური ურთიერთმიმართების პრობლემა ინფორმაციულად იყო დამარხული. აკაკი წერეთლის აზროვნებაში, მის ეროვნულ ხედვაში, შესაძლოა,

ეს სრულიად სტიქიურად და ბუნებრივად იჩენს თავს, როგორც ალტერნატიული, ღრმად ქართული, სრულიად გენიალურად თავისთავადი, ანტიბიბლიური, როგორც ანტიებრაული პოზიცია. ილია ჭავჭავაძე, რომელსაც შეეძლო პროფესიონალის დონეზე ეკონომიკისა და ფინანსების ეროვნულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაშიც შეედინა ერის სიცოცხლეზე ფიქრით, აღმოაჩინს, რომ ებრაელი ხალხი მთელ მსოფლიოში იდევნება არა თავისი რელიგიური ფანატიზმის ან გენეტიკური ფანატიზმის გამო, არამედ იმ უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკის გამო, რომელიც მას გზად და საშუალებად გაუხდია მსოფლიო კაპიტალის ხელში ჩასაგდებად, გავლენის მოსახდენად ქვეყანათა და მეფეთა ბედზე, და მსოფლიო ბატონობის განსახორციელებლად ამ უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკის გზით. აი, ეს უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკა მიაჩნია ილია ჭავჭავაძეს დამაფიქრებლად მთელი კაცობრიობისათვის, როგორც მე-19 საუკუნის მსოფლიო მოქალაქესაც და ქართველი ერის უგვირგვინო მეფესაც. ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებას ხდენილ მსოფლიოში, შეუმეცნებელნი ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებისაც და იმ მსოფლიო რეალობისაც, რომელშიც ვცხოვრობთ. და საოცარი რამ ხდება: დღევანდელი საფრანგეთის ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსი, საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერი, ქ-ნი მარინ ლე პენი პირდაპირ აცხადებს ღიად და მთელი მსოფლიოს გასაგონად: „დღევანდელი მსოფლიოს ვაჭრობისა და ეკონომიკის საერთაშორისო კანონები უსამართლოა!“ ასეთი სიზუსტით ახდენა ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველური გაფრთხილებისა მართლაც საოცრება!

ახლა დავუბრუნდეთ ბ-ნ ვახანიას იმ „დეტექტივს“, რომელიც გაზეთ „ქალდეაში“ გამოქვეყნდა გვერდიგვერდ ჩემი შრომისა: „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, და რომელშიც ქართული საზოგადოებისთვის პირველად, ამონეულია ცნობილი გერმანელი ფი-

ლოსოფოსის შელინგის, დიდი თეოსოფოსის, ქ-ნ ელენა ბლავაცკაიასა და საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, კირიონ მეორის (1918), ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილის, თვალსაზრისები ქალდეველთა ფენომენის შესახებ. ჯერ მომყავს ციტატა ჩემი ზემოხსენებული შრომიდან (შრომა წარმოადგენს ჩემს მოხსენებას ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე და წაკითხულ იქნა პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში გამართულ სხდომაზე, 2001 წლის 20 აგვისტოს):

„ფილოსოფოსი შელინგი აცხადებდა, რომ ებრაული მონოთეიზმი ტრანსფორმაცია უნდა იყოს წინარე ცივილიზაციის ებოთერული, არაპატრიარქალური მონოთეიზმისა. ეს ვარაუდები, ცხადია, საჭიროებდნენ დასტურად მოხმობას ნივთიერი წერილობითი ძეგლებისას, რომელნიც დროის მსახვრალი ხელითაც და ადამიანთა ხელშეწყობითაც განადგურდნენ და აღარ არსებობენ...“

„მთელი ქალდეური საკრალური ლიტერატურა უვიცთა თვალთაგან დაიკარგა ისევე უკვალოდ, როგორც ჩაძირული ატლანტიდა“, – ბრძანებს მსოფლიოს თეოსოფიური მოძრაობის ფუძემდებელი, დიდი ქალბატონი, **ელენე ბლავაცკაია** თავის ნიგნში: „საიდუმლო დოქტრინა“, და თავის მხრივ, უფრო დეტალურად განმარტავს ამ ჩაძირვის ტრაგედიას: ქალდეური ცივილიზაცია მართლაც ჩაძირული იყო მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ჩვენი წელთაღრიცხვის მე-19 საუკუნემდე. **მე-19 საუკუნეში „ქალდეური გენეზისის“ ლურსმული დაფების აღმოჩენით კი დასრულდაო გზა-კვალის არევა 1500 წლის განმავლობაში მთელი ცივილიზებული ერებისათვის, რომელთათვისაც ბიბლიური, ანუ ებრაელთმიერი ნასესხობანი ქალდეველებისაგან, მიჩნეული იყო უშუალო და ღვთაებრივ გამოცხადებად თავად ებრაელებისა“.**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, კირიონ მეორე, საძაგლიშვილი, პროფესიით ისტორიკოსი-არქეოლოგი, 1918 წელს მოკლულ იქნა. მის პირად არქივში დღემდე გამოუქვეყნებ-

ლი და მიუკვლეველი დარჩა წერილი: **Значение раскопок в Халдее для начальной истории Картвел (Грузин)...**

სრულიად დამოუკიდებლად ელენე ბლავაცკაიასაგან, პირდაპირ აგრძელებს ამ წერილით ელენე ბლავაცკაიას სიტყვებს ორთოდოქსალური ქრისტიანობის ეს ქართველი წარმომადგენელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, კირიონ მეორე: **„Придав значение божественного откровения исключительно своей национальной культуре, евреи, как народ богоизбранный, навязали всему миру свою национальную историю, которая у них слилась с историей религии.**

Раскопки доказали что в Месопотамии за VII-VIII тысяч лет до Рождения Христа жили Кальды, которые первые в мире выработали свою высокую национальную культуру, сделавшуюся источником и образцом для культур последующих народов.

До сих пор существовало превратное понятие о еврейской культуре. Более 2000 лет евреи держали в религиозно-историческом порабощении почти весь мир, сумев навязать человечеству негласно присвоенные ими от других... народов и склоненные на свой лад религиозные верования“.

„მინდა... განვაცხადო, რომ ქალდეური საკრალური ლიტერატურა არ ჩაძირულა, როგორც ატლანტიდა და გადარჩენილია ყველაზე დიდი და ყველაზე საკრალური თხზულება ქალდეველი ხალხისა. ეს გახლავთ ქალდეური ენა; ეს გახლავთ გადარჩენილი შთამომავლობა ქალდეველი ხალხისა, რომელიც ერთ მილიონამდეა დარჩენილი და მიმოფანტული მთელ დღევანდელ მსოფლიოში... ისინი ისევე წარმოადგენენ იმ უძველეს ცივილიზაციას შუმერულ-ქალდეური ქვეყნისას, როგორც ჩვენ, ქართველები, ცოცხალი ხატი და მკვიდრი ცოცხალი განგრძობანი ვართ ქალდეურზე უფრო ძველი კოლხურ-მოსხური ცივილიზაციისა, არგონავტების დროინდელი მეფე აიეტისა და კოლხი მედეას მოდ-

გმის“ (დენიზა სუმბაძე, „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, 2001 წელი, პარიზი).

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა ევროპული, ანუ შელინგისეული, ფუნდამენტალურ-თეოსოფიური, ანუ ელენა ბლავაცკაიასეული და ქართულ-ეკლესიური, ანუ კათალიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისეული პოზიციები ქალდეური ფენომენისა და ებრაული ფენომენის პრინციპული ურთიერთმიმართებისა. **თანამედროვე ტერმინოლოგიით საქმე გვაქვს ერთი ხალხის ინტელექტუალური საკუთრების მითვისებასთან მეორე ხალხის მიერ არაეთიკური გზებით და დამალვა-მითვისების ფაქტისა საინფორმაციო ომების გზით და არა ბაბილონის ტყვეობის მონყობა ებრაელთადმი უპირატესობის დასათმობად.** საქართველოს ეკლესიას არანაირი ყურადღება და ინტერესი არ გამოუჩენია კირიონ კათალიკოსის ამ უმნიშვნელოვანესი წერილის მიმართ.

როდესაც ევროპელმა არქეოლოგებმა ნივთიერად გახსნეს საიდუმლო ებრაელთა მიერ მთელი ბიბლიური თეოლოგიის წამოღებისა და მითვისებისა ქალდეველთაგან, როგორც ჩანს, საჭირო გახდა ახალი „მითების“ შექმნა ამ დანაშაულის გადასაფარად და გასაბათილებლად. ამ „მითებმა“ სრულიად ჩვენდა მოულოდნელად პოლიტიკატიმარ ვახანიას ციხეში ამოყვეს თავი, თანაც ჩვენეულ შრომაში წარმოჩენილი ქალდეური ღირსების ჩასაქრობად და საგანგებო გაზეთის: „ქალდის“ ფურცლებზე გამოსამზეურებლად. შეგახსენებთ მთელ იმ ლოგიკურ სიუჟეტს, რომელიც ბ-ნმა ვახანიამ მოგვანოდა ციხიდან ქალდეურ-ებრაული თეოლოგიური ურთიერთმიმართების განსამარტებლად:

ქალდეველები ვარსკვლავთმეტყველები იყვნენ და ვარსკვლავთმეტყველური წინასწარმეტყველებით იცოდნენ, რომ კაცობრიობის მომავალი განპირობებულია და რომ ამ განპირობებულობის მიხედვით კაცობრიობის მომავალი ეკუთვნის ებრაელ ხალხს. ამიტომ ფანატიკოსმა ქალდეველმა მოგვებმა მეფე ნაბუქოდონოსო-



რის ზეობაში მოაწყვეს „ბაბილონის ტყვეობა“, წამოიყვანეს ებრაელთა ქვეყნიდან რჩეული ებრაელები, განსწავლეს ქალდეურ ენაზე და გადასცეს მათ ქალდეური სიბრძნეც და ენაც, რათა შემდგომში, როგორც კაცობრიობის მომავლის მფლობელებს, შეენახათ ეს სიბრძნე, როგორც სიტყვა და მოძღვრება ღვთისა, განკუთვნილი მთელი კაცობრიობისათვის ებრაელთა გზით.

ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ დღევანდელი ქართველი ხალხი გამოთავყვანებული და გაუნათლებელი ხალხია და მისი დაქირავება ფულით და მის ტვინში დამქირავებლისგან ნებისმიერი ინფორმაციის ჩათესვა ისეთივე მარტივი შესაძლებლობაა, როგორც დაქირავება ვიღაც უბირი სუროგატი დედისა ამერიკელი გენებისათვის, და ყოველივე ამის გამოცხადება ევროამერიკული ზეჰუმანისტური ეთიკის გამოვლენად. ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ეკლესიას ვახანიას ჭკუაზე წაიყვანს და რაზეც გინდა იმაზე მოაწერინებს ხელს. ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ ის, რასაც ქალბატონი დენიზა სუმბაძე წერს, თავად საქართველოს ეკლესიის მიერ იქნება გაუფასურებული, რადგან ვახანიას დეტექტივის უკან საქართველოს ხელისუფლება დგას და დამკვეთი ამ დეტექტივისა საქართველოს ხელისუფლება გახლავთ, ხოლო ქ-ნ დენიზა სუმბაძის უკან დგას მხოლოდ თითო-ორი მეცნიერი, რომლებსაც როცა უნდა მაშინ გააჩუმებს სახელმწიფო ეკლესიისავე მხარდაჭერით! საპირისპიროდ ბ-ნ ვახანიას აღმოჩენებისა, ვითომ ქალდეველმა მოგვებმა ებრაელთა მსოფლიო ბატონობა იწინასწარმეტყველეს და ამიტომ მთელი ქალდეური სიბრძნე და ნაწერნი მათ გადასცეს და მათ დაუთმეს. ვითომ ბაბილონის მიერ მთელი ებრაელი ერის ტყვედ წასხმა ამისთვის მოაწყვეს. ქ-ნ დენიზა სუმბაძის აზრით, ბაბილონის ტყვეობა იყო რევანში ქალდეური დიდი უპირატესობის გრძნობისა ებრაელთა მიმართ. ბ-ნი ვახანია არაფერს ამბობს სოლომონის ტაძარზე, რომელიც

მთლიანად გაძარცვეს ბაბილონელებმა, თავიანთი წესისამებრ მთელი ნადავლი საკუთარ ტაძრებში საკუთარ ღმერთებს მიაერთვეს და რაც მთავარია, ებრაელებთან თავიანთი რელიგიური დაპირისპირების ნიშნად, ბაბილონელებმა მათ, დავითისა და სოლომონის უდიდესი ღვანლით ნაგები, ებრაელთა ღმერთის საღვთისმსახურო ისტორიული ტაძარი დაუნგრეს. ბაბილონელმა, ანუ ქალდეველმა მოგვებმა ებრაელთა მომავალი კი არ იწინასწარმეტყველეს, არამედ ქრისტეს მოვლინება იწინასწარმეტყველეს, რაც ნამდვილად არ ნიშნავდა ებრაელთა უპირობო მომავალს. ქრისტეს ვერმინვდომით მათ დაკარგეს ისიც, რაც ჰქონდათ და რაც მიეცათ ღვთისაგან: შესაძლებლობა, შანსი ქრისტეს აღიარებისა საკუთარი სჯულის დასასრულად და დაგვირგვინებად, როგორც ამას პავლე მოციქული განმარტავს. ქალდეველთა სიბრძნის მემკვიდრენი და ჭეშმარიტი მფლობელები რომ ყოფილიყვნენ ებრაელები, მაშინ ჯვარზე კი არ გააკრავდნენ ქრისტეს, არამედ თვითონ იქნებოდნენ „მესიის მახვილნი“.

ბ-ნი ვახანიას დეტექტივები ძალზედ თვალში საცემად ჩვენი თვალსაზრისების წინააღმდეგ არის მიმართული. დიას! ჩვენ ნამდვილად ვფიქრობთ, რომ ქართული ცნობიერება ქალდეურის მემკვიდრე ცნობიერებაა. სწორედ ქართული ცნობიერებით და სწორედ ქ-ნ დენიზა სუმბაძის გამოკვლევებში გაიშიფრა ის, რომ ქრისტიანობა ზოგადქალდეური მოვლენაა. რომ ქრისტეს მოვლინებაც და ქრისტიანული მოძღვრების დაბადებაც, ეს იყო ქალდეური ცნობიერების ვულკანური ამოხეთქვა იუდეაში, და ქალდეური ცნობიერების საკაცობრიო გამარჯვება. ქ-ნ დენიზა სუმბაძის თეოლოგიურ კვლევაში გაიშიფრა ისიც, რომ ქრისტესობის მახარობლებიცა და ქრისტესჯვარცმის ჭირისუფლებიც ქალდეველი მოგვები არიან: პირველნი „აღმოსავლეთიდან“ ჩასულნი იერუსალიმის ბეთლემს, ხოლო მეორენი, ჩასულნი იერუსალიმს – მცხეთიდან... (იხ. გაზეთი: „ივერია“, 2003 წლის დეკემბერი, ნიუ-იორკი; ჟურნალი: „ლიტერატურა

და ხელოვნება“, რედაქტორი ვაჟა ოთარაშვილი, 2005 წ. №2; დენიზა სუმბაძე: „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, 2012 წელი, თსუ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი).

ბ-ნ ვახანიას პატიმრობის მიზეზი ჩვენთვის ცნობილი არ არის. მისი მსჯელობიდან კი გვიჩნდება აზრი, რომ მას პატიმრობასთან ერთად ქალდელოგობა ჰქონდა ხელისუფლებისაგან მისჯილი.

გთხოვთ, კარგად ჩავუკვირდეთ, რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს პატიმრობაში მყოფი მეცნიერის მიერ თავისი ქვეყნის ღირსების საწინააღმდეგო ისტორიული დეტექტივების შექმნას. განმეორებით ვიხმობ ზემოთ უკვე მოხმობილ ამონარიდს ბ-ნი ვახანიას წიგნიდან, რომლითაც ავტორი უცერემონიოდ გვაუწყებს, რომ ქალდეველებმა უპირატესობა დაუთმეს ებრაელებს, იმიტომ რომ მათივე წინასწარმეტყველური ცოდნით კაცობრიობის მომავალი უპირობოდ უნდა მიკუთვნებოდა ებრაელ ხალხს.

ბ-ნი ვახანია ასე გვმოდღვრავს:

„თეოლოგისა და ისტორიკოსის, **არქიმანდრიტ პეტრე სოლიარსკის** ცნობით, ქალდეველთა კასტური ოლიგარქია მოიცავდა ბაბილონის (შუმერის) და ეგვიპტის ქურუმებს... კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე (გთნდა, უფალო, ქვეყანაი შენი, მოაქციე ტყვეი იაკობისი“, ფსალ. 84,2) (გაზ.: „ქალდეა“, №4, 2011 წელი, რედაქტორი აკადემია „ქალდეის“ პრეზიდენტი, პოეტი ვაჟა ეგრისელი).

ბ-ნ ვახანიას მთელი ეს პოზიციები, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ქ-ნ ინწკირველის პოზიციების მიმდევრობა და მათი განგრძობაა. ასე რომ ამ პოზიციების დანერგვაზე ქართულ ცნობიერებაში საკმაოდ ადრე დაიწყო ზრუნვა საქართველოში გარკვეული ძალების მიერ, იქიდან მოყოლებული, როცა ცირა ინწკირველმა ქართული ეროვნული მოძრაობის შუაგულში, საქარ-

თველოს დროშის ისტორიულ სახელწოდებაში: „გორგასლიან-დავითიანში“, დავით ებრაელთა მეფის ამოკითხვა მოინდომა ქართველთა მეფის – დავით აღმაშენებლის სანაცვლოდ.

მკითხველის ყურადღება მინდა ამ განმეორებით მოხმობილ ფრაგმენტში ავტორის კიდევ ერთ მსჯელობაზე მივაპყრო და შეკითხვა ისე დავსვა. ციტატის დასაწყისში ხომ გვითხრა ბ-ნმა ვახანიამ, რომ ბაბილონელი ქურუმების წინასწარმეტყველებით მოენყო „ბაბილონის ტყვეობა“, ბაბილონელებმა თავის, საიდუმლო ნაწერთა გადასაცემად დაატყვევესო ებრაელები? ციტატის დასასრულს, იაკობს, ანუ ებრაელებს, დაუტყვევებიათ ქალდეველები. უფრო ზუსტად: „ქალდეველთა კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე!“ – წერს ბ-ნი ვახანია. ვახანიას ამ წარმოდგენელ, უაზრო მსჯელობას თან ერთვის ციტატა ფსალმუნიდან, როგორც დადასტურება მისივე გამოგონილი უაზრო და ცრუ ნათქვამისა, რომ ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს და გახდა იაკობის ტყვე:

„გთნდა, უფალო, ქვეყანაი შენი, მოაქციე ტყვეი იაკობისი“. ამ დალოცვილ ვახანიას არც ქართული სცოდნია და არც აზრის გაგების უნარი ჰქონია. ფსალმუნში, როგორც ცნობილია, ყველა საგალობელი უფლისადმი დავითს არ ეკუთვნის, მაგრამ ყველა დავითისეული სულისკვეთებისაა, რელიგიურადაც და ეროვნულადაც. ეს სტრიქონი სრულიად ამკარად ბაბილონის ტყვეობის დასასრულს ეხება და ამდენად დავით წინასწარმეტყველისაც ვერ იქნება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ უფლისადმი ვედრებაში მადლიერებაა გამოხატული იმის გამო, რომ უფალმა მოაქცია, ანუ უკან დააბრუნა მისი ხალხი, იაკობის ხალხი, იაკობის ტყვეები. უფლისეულ ქვეყანაში იგულისხმება „ისრაელი“, საიდანაც ბაბილონელებმა წაიყვანეს ტყვედ ისრაელიანები, ანუ იაკობის შთამომავ-

ლები. უყვარდა უფალს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი. „იაკობის ტყვეები“ ეს ებრაელი ხალხია, დამატყვევებლები იაკობის ხალხისა, ანუ იაკობის ტყვეებისა, ბაბილონელები, იგივე ქალდეველები არიან და არა იაკობი – ქალდეველებისა. „გთნდა, უფალო! ქუეყანაი შენი...“ – მიმართავს საგალობლის ავტორი უფალს: „გესათნოებოდა რა, გიყვარდა რა, შენი ქვეყანა...“ როგორც ცნობილია, ბიბლიაში, არაერთგზის მიმართავს უფალი ებრაელ ხალხს, როგორც თავის საკუთარ ხალხს, თავის ამორჩეულ ხალხს, და აქედან გამომდინარე, ქვეყანაც მისი საკუთარი ხალხისა, მისი ქვეყანაა. აქ „ქვეყანა“, ფაქტიურად „ხალხსაც“ ნიშნავს, რამდენადაც „ქვეყანაში“ ყოველთვის იგულისხმება მიწა-წყალი თავისი ხალხით.

ფსალმუნი ასე იწყება: „გესათნოებოდა რა შენი ქვეყანა, უფალო, დააბრუნე(კიდევ უკან) ტყვეობაში მყოფი მოდგმა იაკობისა“... (შემდეგ ასე გრძელდება ეს ფსალმუნი: „აპატიე დანაშაული შენს ხალხს, დაფარე ყველა მისი ცოდვა...“ და ა. შ.).

ბ-ნ ვახანიას გაგებით ამ სტრიქონში ნათქვამია, რომ „ქალდეველთა კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე“. ჯერ ერთი რატომ არის და ვისთვის არის თავზარდამცემი საიდუმლო ის, რომ ქალდეველთა ერთადერთი ცოცხალი მემკვიდრე ქართველი ხალხია, ავტორის მსჯელობაში გაურკვეველია, და მეორეც, რატომ უნდა დამონებოდა ამისათვის ქალდეველთა მოდგმა ებრაელებს, და რატომ უნდა გამხდარიყო იაკობის ტყვე? არანაირი ლოგიკა ამ მსჯელობაში არ არსებობს. ერთადერთი, რაც ამ გაუგებრობის კორიანტელში იკითხება, ეს არის ავტორის დაინტერესება, ამოიკითხოს ქალდეურისა და ებრაულის ისტორიულ ურთიერთმიმართებაში ებრაულის უპირატესობა, ქალდეველთა

მხრიდან აღიარება ებრაელთა უპირატესობისა, დათმობა ებრაელთათვის თავიანთი მონაპოვარი სიბრძნისა, ნაწერებისა, ენისა, საკაცობრიო მისიისა და ფაქტიურად ყველაფრისა...

ყოვლად გასაოცარი თანაც ის არის, რომ ყველაფერ ამას, რასაც ბ-ნი ვახანია იგონებს, ანუ „თითხნის“, ასაღებს როგორც ინტერპრეტაციას ბიბლიური პასაჟებისას, რომლებშიც, როგორც დავინახეთ, რბილად რომ ვთქვათ, არაფერი მსგავსი არ წერია. პირდაპირ რომ შევაფასოთ, საშინელი ავანტიურიზმია ჩადენილი, მაგრამ არა მხოლოდ უმეცრებითა და უნებურად, აშკარად გამიზნული ტენდენციით, და ცხადია, ისმის კითხვა: რა ძალა ადგას ამ უბედურ ვახანიას და რისთვის იგდებს ხათაბალაში თავს? ან თვითონ, ან მისი დამკვეთი?! ცირა ინწკირველი, გაიოზ მამალაძე, ალექსანდრე ვახანია! ეს ის თანავარსკვლავედი გახლავთ ქართული მეცნიერებისა, რომელთა კომპეტენცია მისაღებია დღევანდელი ქართული ეკლესიის სახელმწიფოებრივ-მსოფლმხედველობრივი მართვისათვის... მისაღები არ აღმოჩნდა ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, სიმონ ჯანაშის კომპეტენციები...

გარდა იმისა, რომ ბ-ნ ვახანიას წიგნის გამოსვლა ქართულმა საზოგადოებამ ნადიმით აღნიშნა და წიგნი „ბესტსელერად“ გამოცხადდა, ქრონოლოგიურად საინტერესო თანხვედრით, პირდაპირ კვალდაკვალ ვახანიას წიგნით ზეიმისა, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ისტორიის ტაბუდადებულ პრობლემებზე მუშაობის გააქტიურების საჭიროებისაც, რაც შთაბეჭდილებას ქმნის, რომ წმინდა სინოდიცა და ბ-ნი ვახანიაც ერთიანი მოვლენის წარმომადგენლები და შემადგენელი ნაწილები არიან.

ჩვენ სამი ათეული წლის განმავლობაში ამ პრობლემებზე მუშაობით ვერასოდეს ვერ მოვიპოვეთ ეკლესიის ყურადღება... ვერც ერთი ჩვენი კვლევითი თვალსაზრისით.



## აკთანდიდ ნიკოლოზიშვილი

### ლაზეთის თემა რამაზ სურმანიძის შემოქმედებაში

თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის რამაზ სურმანიძე (დაიბადა 1933 წელს) ფაქტობრივად ერთადერთია, რომლის შემოქმედებაშიც ლაზურ თემას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას მისი რომანები: „ლაზეთის ლეგენდა“ და „ემრულა“ და მოთხრობა „ნახტომი ტიბაშზე“. მისი ამ ნაწარმოებებისადმი ინტერესს არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მათი ავტორი, უწინარესად, მკვლევარია, ე. წ. „ოსმალოს საქართველოს“ შესახებ დანერგილი მრავალი ისტორიული გამოკვლევის ავტორი, და ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის სხვა მხარეებთან ერთად, ლაზეთის ისტორიაციის საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად.

ასე რომ, რ. სურმანიძის ხსენებული ნაწარმოებები არა მარტო ავტორისეული ფანტაზიით წარმოსახულ მხატვრულ ტექსტებს წარმოადგენს, არამედ დოკუმენტური სიმართლითაც აცოცხლებს ლაზეთის ისტორიული წარსულის ცალკეულ ეპიზოდებს.

დასახელებულ ნაწარმოებთაგან ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ ყოვლისა, „ლაზეთის ლეგენდა“ (2009 წ.) იქცევს, რომელშიც XIX საუკუნის 50-იანი წლების ლაზეთსა და დასავლეთ საქართველოში არსებუ-

ლი ვითარებაა ასახული. როგორც ნაწარმოების ტექსტში ჩართული ავტორისეული განმარტებებიდანაც ვგებულობთ, რომანის სიუჟეტი ნამდვილ ამბავთა მხატვრულ ხორცშესხმას წარმოადგენს, მთავარი პერსონაჟები კი რეალურად არსებული პიროვნებები არიან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ქვემოთ შევეცდები მკითხველის ყურადღება, უწინარესად, რომანის იმ ეპიზოდებს მივაპყრო, სადაც ხსენებული პერიოდის ლაზეთისა და ჩვენი ლაზი მოძმეების ყოფა-ცხოვრების ცალკეული მხარეებია წარმოსახული ისტორიული სიმართლით.

„ლაზეთის ლეგენდის“ შესაქმნელად შემოქმედებითი იმპულსი ავტორისათვის დოკუმენტურად ცნობილ შემდეგ ამბავს მიუცია: ჭიათურის მახლობლად მდებარე სოფელ კაცხის ეკლესიის შესაკეთებლად XIX საუკუნის 60-იან წლებში იქაურ თავადს – გიორგი აბაშიძეს ლაზეთიდან ქვითხუროები – სამი ლაზი ძმა მოუწვევია, რომელთაგანაც ერთი – იუსუფ დურმიში შემდგომში გაქრისტიანებულია, იქაურ ქალიშვილზე დაქორწინებულია, საცხოვრებლად იქვე დარჩენილა. დასაფლავებული ყოფილა კაცხის სასაფლაოზე.

როგორც ისტორიული დოკუმენტებით დგინდება, იოსებ დურმიშიძედ გვარ-სახელმწიფე-

ლი იუსუფ დურმიში აკადემიკოს სერგი დურმიშვიდის პირდაპირი წინაპარი – დიდი ბაბუა (ბაბუის მამა) ყოფილა.

ამ ამბის შეტყობას რამაზ სურმანიძეზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ მას საგულდაგულოდ მოუძიებია ხსენებული პიროვნების შესახებ არსებული დოკუმენტური მასალები და მისი და მასთან დაკავშირებული ადამიანების ცხოვრებისეული ისტორია სიუჟეტური დრამატიზმით მოგვითხრო შესაბამისი პერიოდის ლაზეთსა და დასავლეთ საქართველოში არსებულ რეალობასთან მიმართებით.

ლაზეთიდან ეკლესიის სარესტავრაციოდ საგანგებოდ მოწვეული ლაზი ძმების თავგადასავალს კიდევ უფრო დრამატულს ხდის ის ფაქტი, რომ მათი დედა მონათა ბაზარზე გასაყიდად ბავშვობაში გატაცებული და ამ ტრაგიკულ მოვლენას ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩენილი ქართველი ქალი ელენე იყო, სოფელ კაცხის მკვიდრი. ელენემ მთელი შემდგომდროინდელი ცხოვრება ლაზეთში გაატარა და ერთხელაც არ მისცემია სამშობლოში ჩამოსვლის საშუალება; კაცხელ ასულზე მისი ვაჟის დაქორწინების შემდეგ, მოხუცებულობის ჟამს, მას არა მარტო იმის შესაძლებლობა მიეცა, მშობლიურ სოფელს სამოცნლიანი განშორების შემდეგ სტუმრად რომ წვეოდა, არამედ მარადიული განსასვენებელიც იქვე ეპოვა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რამაზ სურმანიძის რომანზე საუბრის დროს მკითხველის ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, ლაზეთთან და ლაზებთან დაკავშირებულ ეპიზოდებს მიჰდა მივაპყრო. ნაწარმოებში საკმაოდ მრავლად არსებული ამგვარი პასაჟები კი არა მარტო იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ მათი მეშვეობით ავტორი მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანვდის ლაზური ყოფის შესახებ, არამედ იმ მხრივაც, რომ მათი მეშვეობით ისტორიული სიმართლით წარმოაჩენს ლაზების, როგორც ქართველური ეთნოსის სისხლხორცეული ნაწილის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმონმებ შესაბამის ადგილებს ტექსტიდან. როგორც ცნობილია, XV-XVI საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ მის მიერ მისაკუთრებულ ლაზეთში მიზანმიმართულად დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის გამაჰმადიანება. მიუხედავად იმისა, რომ ძალდატანებით განხორციელებული ამ მოვლენის შედეგად ლაზების უმეტესობა მაშინ იძულებული გახდა ქრისტიანულ სარწმუნოებას განდგომოდა და გამაჰმადიანებულიყო, მათი მცირე ნაწილი ფარულად მაინც ახერხებდა წინაპართა სარწმუნოების შენარჩუნებას.

ეს ამბავი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ რ. სურმანიძის რომანში ისტორიულად ცნობილ ამ მოვლენასაც აქვს ყურადღება მიქცეული და ავტორი იმ ლაზების შესახებაც გვანვდის გარკვეულ ინფორმაციას, რომლებიც ხელისუფლების მიერ გატარებულ მკაცრ სადამსჯელო ღონისძიებათა მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ ქრისტიანული რწმენის შენარჩუნებას.

მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი, იუსუფის ბიძა – ჯემალი, თანამემამულე ლაზების დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, „ქრისტიანულ სალოცავებს დიდი მონინებითა და პატივისცემით ეპყრობოდა. მართალია, წირვა-ლოცვის წესები აღარ ესმოდა, რადგანაც მღვდელი არასოდეს უნახავს, მაგრამ ღმერთი სწამდა და ისიც კარგად უწყოდა, როგორ დასაჯა ღმერთმა მისი ბაბუა – ალი-მემედი“ (სურმანიძე, 2010: 17). ბაბუის დასჯის მიზეზი კი ის ბარბაროსული დამოკიდებულება გამხდარა, რაც მას ოსმალთა რისხვას გადარჩენილი ქრისტიანული სინმინდებისადმი გამოუჩენია.

კერძოდ, ოსმალეთის ხელისუფლების ემისართა ბრძანების განსაკუთრებული სისასტიკით შემსრულებელ ალი-მამედს ჯერ მის ოჯახში წინაპრების მიერ ფარულად შენახული ხატები გამოუტანია და დაუნვია კოცონზე, შემდეგ კი ეკლესიაში არსებული ხატებისთვისაც მიუყვია ხელი და სამრეკლოს ზარი მიწაზე დაუნარცხებია. ამ ამბით შემფოთებული ბებია მეუღლეს

ფეხებში ჩავარდნია, გამხეცებული ქმარი როგორმე რომ შეეჩერებინა, მაგრამ ვერაფრით მოუხერხებია. ამ ბარბაროსული ქმედებიდან ერთი თვის შემდეგ ალი-მემედს დამბლა დასცემია და ტანჯვაში დაუღევია ცოდვილი სული.

რომანში რეალური სინამდვილე შელამაზებული არ არის და ლაზური ყოფის ის მხარეებიცაა საკმაოდ ფართოდ წარმოსახული, რაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ყოველდღიურ ცხოვრებაში დაამკვიდრა ახალმა სარწმუნოებამ.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ ინტერესს, პირველ ყოვლისა, ნაწარმოების ის ეპიზოდები აღძრავს, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ლაზი იუსუფისა და იმერელი სალომეს რომანტიკული სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს. მართალია, ქალ-ვაჟს თავდავინყებით უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ოჯახის შექმნით ამ სიყვარულის დაგვირგვინების გზაზე მათ არა მარტო მშობლებისაგან შეხვდათ თითქმის დაუძლეველი წინააღმდეგობა, არამედ საამისო ძალის პოვნა საკუთარ თავშიც საკმაოდ გაუჭირდათ. ამ ნაბიჯის გადადგმა უწინარესად, მაინც სალომეს გაუძნელდა, მღვდლის ოჯახში აღზრდილ ქალიშვილს, რომელიც ადრე გაფიქრებულა კი ვერ გაიფიქრებდა, რომ მუსლიმი კაცის მეუღლე გახდებოდა.

მას საკმაოდ კარგად აქვს გაცნობიერებული ის სირთულეები და წინააღმდეგობანი, რომელიც ამ ნაბიჯის გადასადგმელ გზაზე ელოებოდა წინ ლამის დაუძლეველ ბარიერად. გარდა რელიგიურ რწმენათა განსხვავებულობისა, ხსენებულ სირთულეთა წარმოქმნის საფუძველს მაჰმადიანური რწმენის შედეგად დამკვიდრებული ადათ-წესებიცა და არსებითად განსხვავებული ტრადიციებიც წარმოადგენდა.

მაგალითად, იუსუფთან ერთ-ერთი საუბრის დროს სალომე მათ შორის არსებულ ამ წინააღმდეგობებს ასეთ შეფასებას აძლევს: „ჩვენ სულ სხვადასხვა სამყაროს შვილები ვართ, იუსუფ. ჩვენი ადათ-წესები, ჩვენი სარწმუნოება იმდენად დაცილებულია ერთმანეთს, რომ ნა-

რმოუდგენელია იმის აღსრულება, რასაც შენ ფიქრობ“ (სურმანიძე, 2010: 90).

ამ კრიტიკული სიტუაციიდან იუსუფმა ის გამოსავალი მოძებნა, რომ მისი წინაპრებისთვის ძალდატანებით ნაზიარებ რელიგიას განუდგა და ქრისტიანად მოინათლა. ამ გადანყვებილების მიღება მას არა მარტო სალომესადმი თავდავინყებულმა სიყვარულმა შთააგონა, არამედ მისი თანამემამულე ლაზების ისტორიულ ხსოვნას შემორჩენილი იმ ამბის გაცნობიერებამაც, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მათი წინაპრების ქრისტიანულ აღმსარებლობას შეეხებოდა.

მაგალითად, ბავშვობის მოგონებებში ჩაძირული იუსუფი ხშირად იხსენებდა ხოლმე ბებულის ნათქვამს იმის შესახებ, რომ მათი ლაზი წინაპრებიც ადრე თურმე თავიანთ მშობლიურ ენაზე სწირავდნენ „ქართულ-ლაზურად... ახლაც ჯამე-მედრესეში ღმერთის მორწმუნეთ რა გამოლევს, ხოჯა იქაც ასეთსავე სიტყვებით, ღმერთისადმი რწმენის, ქვეყნის ერთგულების, ოჯახის სინმინდისაკენ მოუწოდებს თავის მრევლს, მაგრამ... მაგრამ სიტყვები ყველას არ გაეგება, მხოლოდ ერთეულებს ესმით არაბული დოგმები; და თუ წინადადების ბოლოს გაისმის ერთსულოვანი „ამინ!“ – ეს, როგორც ჩანს, რწმენისადმი ბრმა ერთგულებაა. მორწმუნეებმა კარგად არც კი იციან, რას ეთანხმებიან. რა იქნებოდა, ჩვენთანაც ჩვენს მშობლიურ ქართულზე, ლაზურზე რომ სწირავდნენ? აქ, ამ საქრისტიანო სამყაროში, ასეთი აზრები არა მარტო იუსუფს, არამედ მის ძმებსაც გაუჩნდათ, მაგრამ ხმამაღლა ერთმანეთისთვისაც არ გაუზიარებიათ“ (სურმანიძე, 2010: 85).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, აქვე ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იუსუფის რელიგიურ თვალთახედვაში არსებითი გარდატეხის მომხდენი ეს მოვლენა ანტიმაჰმადიანურ ქადაგებაში არ გადაიზრდება. მწერალი არც იმ ჰუმანისტურ იდეათა იგნორირებას ახდენს, რაც, თავის მხრივ, ამ სარწმუნოებრივ აღმსარებლობასაც უდევს მკვიდრ საფუძველად.

მაგალითად, მუსლიმანური რწმენის ერთგულად მიმდევარი ლაზი მორწმუნენი, მათ შორის იუსუფის მამაც, თავიანთ შვილებს ხშირად ამ სიტყვებით არიგებდნენ: „ჩვენს დროში რჯული და რწმენა შეილახა. შენ მოვალე ხარ, არ შებლალო წინაპართა ადათ-წესები. ილოცე, არ დალიო, სხვისი ცოლისაკენ, როგორი მიმზიდველიც არ უნდა იყოს ის, მით უმეტეს, თუ სტუმრად ხარ, თვალი არ გაგექცეს; როცა შენ დანაყრებული ხარ, არ დაივიწყო, რომ ამ დროს დედამინაზე ძალიან ბევრი მშვიერი და უმწეო-უპოვარი დადის. შეძლებისდაგვარად დაეხმარე მათ, საკუთარი სინდის-ნამუსის, ოჯახის ღირსების დასაცავად კი ყოველთვის მზად იყავი; თუნდ ამას შენი სიცოცხლე შეენიროს“ (სურმანიძე, 2010: 96).

„ლაზეთის ლეგენდა“ საინტერესო ნაწარმოებს იმ მხრივაც წარმოადგენს, რომ რეალურ მოვლენათა დოკუმენტური სიმართლით ამსახველ ამ რომანში კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ის უმნიშვნელოვანესი როლი, რომელიც ლაზეთს აქვს შესრულებული საქართველოს ისტორიაში. მაგალითად, ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის – მოძღვარ პეტრეს მართებული ხაზგასმით, ჩვენი ქვეყნის მონაპირე მხარეების – ლაზეთისა და აჭარის მოსახლეობას, მიუხედავად მათი გამუსლიმებისა, უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის ფიზიკურად გადარჩენის საქმეში.

მართალია, ოსმალეთის მხრიდან მოძალებულმა მრავალრიცხოვანმა მტერმა ჩვენი ქვეყნის ეს მხარეები საუკუნეების განმავლობაში მონყვიტა ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმსაც და წინაპართა რელიგიასაც, მაგრამ იმით, რომ მომხდურთა პირველ დარტყმებს ისინი ლებულობდნენ თავიანთ თავზე, საქართველოს დანარჩენი ნაწილები, პირველ ყოვლისა კი – გურია, სამეგრელო და იმერეთი, გადარჩინეს სარწმუნოებრივი და ეროვნული ცნობიერების ხელყოფას.

მამა პეტრეს მტკიცებით, ლაზეთმა და აჭარლებმა, მართალია, წინაპართა რელიგია დაკარგეს, მაგრამ მტრებთან თავგანწირული ბრძო-

ლების შედეგად „ენა, მამული და მიწა-წყალი შეინარჩუნეს“. ქართველი მოძღვარი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ „ნამდინარევეს კვლავ გაივლის მდინარე“ და ჩვენი ქვეყნის იმ მხარეების მოსახლეობა, საიდანაც „ერთ დროს“ შემოსულმა ანდრია და მატათა მოციქულებმა ქართველი ხალხი ქრისტიანობას აზიარეს, ისევ დაუბრუნდება ძველ რწმენას (სურმანიძე, 2010: 109).

1988 წლის 31 აგვისტოს საქართველოსა და თურქეთს შორის სარფის სასაზღვრო კარის გახსნის შემდეგ, რის შედეგადაც ქართველებსა და თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებს ერთმანეთთან თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა მიეცათ, რეალური საფუძველი შეიქმნა მშობლიურ წიაღს იძულებით მონყვეტილ ჩვენს თანამემამულეებთან ეროვნული ერთობის აღსადგენად.

რ. სურმანიძე „ლაზეთის ლეგენდისთვის“ თანდართულ ეპილოგში აქაურ ლაზთა წინაპართა რელიგიაზე დაბრუნებასთან დაკავშირებითაც გვანვდის უაღრესად საინტერესო ინფორმაციას: კერძოდ, 2003 წლის 20 აგვისტოს სარფელი ლაზების თხოვნით სარფში მიწვეულმა წმიდა სინოდის წევრებმა იქ მცხოვრები 200 სარფელი მონათლეს მდინარე ყანლიდერეში (თურქულად სისხლიან მდინარეს ნიშნავს). მათ შორის ყველაზე პატარა ოთხი თვისა ყოფილა, ყველაზე უფროსი კი 63 წლისა.

მწერლის ინფორმაციით, მონათლულებს მაშინ ეს ამბავიც არ უკმარებიათ და მათი მხარის ავბედითი ისტორიის ამსახველი სახელის მქონე მდინარისთვისაც შეუცვლიათ სახელი და მარიამის ლალი დაურქმევიათ (სურმანიძე, 2010, 184).

სარფელი ლაზების მიერ მიღებული ეს გადანყვეტილება თაობიდან თაობას საუკუნეთა განმავლობაში გადაცემული ფარული ოცნების რეალურად ახდენას რომ ნიშნავდა, ამ თვალსაზრისს მწერალი „ლაზეთის ლეგენდის“ მკითხველს ეპილოგში მოცემული იმ ინფორმაციითაც განუმტკიცებს, სადაც სარფის ზემოთ წამომართულ „ოკანდელეს მთაზე შეფრენილ“ პატარა საყდარში სტუმრობის ამბავია მოთხრობილი.

V-VI (ზოგიერთების აზრით, XVII) საუკუნეებში აგებულ ამ პატარა და უაღრესად ძნელად მისასვლელ საყდარში აღმოჩენილმა ნაფრესკალებმა და კედლებს შემორჩენილმა სანთლის ნალენებმა მწერალი კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა იმაში, რომ წინაპართა რელიგიური რწმენისაგან იძულებითი მონყვეტის მიუხედავად, „სარფელები მინყივ-დაბადებიდან თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ საყდარში და თავისი თუ თავისიანების სულის საოხად სანთელს ანთებდნენ“.

ოკანდელეს მთაზე აგებული ეს საყდარი იმ მიდამოებში ერთადერთი ქრისტიანული სალოცავი არ ყოფილა და მეორე ეკლესია ადრინდელ საუკუნეებში ამ მთის გაღმა მხარეს წამომართულ ბორცვზეც არსებულა, იმ ადგილზე, სადაც ამჟამად ცხრამეტრიანი ჯვარია აღმართული.

ისტორიული წარსულის დოკუმენტური სიმართლით ამსახველი თავისი რომანით რ. სურმანიძე კიდევ უფრო მეტად განგვიმტკიცებს იმ თვალსაზრისს, რომ ოსმალეთის დაქვემდებარებაში ხუთსაუკუნოვანი ცხოვრების მიუხედავად, მტერმა ლაზთა უდიდესი ნაწილის ეროვნული ცნობიერების დათრგუნვა და გადაგვარება მაინც ვერ შეძლო. ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ნაწარმოების ის ეპიზოდები, სადაც რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების ომის დროს ლაზეთში, აჭარასა და გურიაში მიმდინარე ამბებია აღწერილი.

ორი დიდი დამპყრობლის იმდროინდელ საომარ დაპირისპირებაში, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს მათ მიერ ჩვენი ქვეყნის ამ მხარეების მიტაცება და დაპატრონება წარმოადგენდა, ხსენებული რეგიონების წარმომადგენლები შეერთებული ძალებით ცდილობდნენ თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვასა და მტრების კირთებისაგან თავის დახსნას. მათ ამგვარ ერთობას, რომელიც ნაწარმოებში რამდენადმე რომანტიზებული ფორმითაა წარმოსახული, ხელს ვერ უშლიდა ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნისა და გადარჩენის პერსპექტიული გზა ამ ერთობის ცალკეულ მონაწილეებს ერ-

თმანეთისგან არსებითად განსხვავებული თვალთახედვითაც კი ჰქონდათ წარმოდგენილი.

მაგალითად, მათი ერთი ნაწილი, იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად მომხდურ მტრებს დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდებოდა, ხსნას ოსმალეთთან ურთიერთობაში ეძებდა, ნაწილი მხსნელად და მფარველად რუსეთს მიიჩნევდა, ნაწილი კი, მიუხედავად ჩვენი სისუსტისა, მაინც ფიქრობდა, რომ არც ერთი მათგანის იმედი არ უნდა გვექონოდა და შეერთებული ძალებით უნდა გვებრძოლა იმისთვის, „ჩვენი მიწიდან ყველა ჯურის მოთრეულს ფეხი რომ აღეკვეთა“ (სურმანიძე, 2010: 129).

დამპყრობთა წინააღმდეგ მიმართული ერთიანი საბრძოლო სტრატეგიის შესამუშავებლად ქობულეთში, თავდგირიძეთა სასახლეში, შეკრებილი აჭარელთა თავკაცი ქორ-ხუსეინ-ბეგ ხიმშიაშვილი, გურული თავადი დათა გურიელი და ლაზების მეთაური ხაფიზ-ფაშა ტრაპიზონელი ზვანბაია, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული პრობლემისადმი ერთმანეთისგან განსხვავებული დამოკიდებულებისა, იმაში იყვნენ ერთსულოვანი, რომ ჩვენ, ყველანი, „ერთი უძველესი ქვეყნის შვილები ვართ და თუ გადაგვარჩენს, მხოლოდ ერთად ყოფნა“ – გაერთიანებული ძალებით ბრძოლა ორივე დამპყრობლის წინააღმდეგ.

როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ნათლად ჩანს, მათი ეს რომანტიკული მიზანი რეალურადაც ისხამს ხორცს და აჭარელთა, ლაზთა, გურულთა, იმერელთა და ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებიდან შეკრებილ ქართველ პატრიოტთა სახალხო ლაშქარი შეერთებული ძალით ებრძვის მტერს. ამ რომანტიზებული ამბის მოთხრობის დროს მწერალი იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს პატრიოტული აღტყინებით, რომ ქართველ მამულიშვილთა ამ ლაშქრის შემადგენლობაში მომხდურთა წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი ლაზი ქალების რაზმიც იმყოფებოდა.

მხატვრული ნაწარმოებისათვის ერთი შეხედვით ნაკლებად შესატყვისი ამგვარი პუბლიცისტურ-მეცნიერული პასაჟებით, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება რომანში, მწერალი არა



მარტო ისტორიულ მოვლენათა წარმოსახვას სძენს კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს, არამედ ამ მოვლენათა რეალურობის დამადასტურებელ მასალებსაც გვანვდის დოკუმენტური სიზუსტით.

გარდა „ლაზეთის ლეგენდისა“, ლაზეთის პრობლემა რამაზ სურმანიძემ მის ერთ-ერთ მოთხრობაშიც გაიაზრა საკმაოდ ორიგინალური კუთხით. მხედველობაში მაქვს „ნახტომი ტიბაშზე“ (1994 წ.), რომელშიც სოფელ სარფში გავლებული სახელმწიფო საზღვრის შედეგად ერთმანეთისგან იძულებით გამიჯნული ერთი და იმავე ოჯახის წევრების პიროვნული ტრაგედიაა წარმოსახული.

როგორც ცნობილია, მიუხედავად ყარსის ხელშეკრულების ძალით 1921 წელს თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადგენილი სასაზღვრო მიჯნისა, „თავდაპირველად საზღვარი მნიშვნელოვან დისკომფორტს არ ქმნიდა. სარფელებს საზღვარს იქით თუ აქით დარჩენილი მიწებით სარგებლობას არავინ უშლიდა. უფრო მეტად „საბჭოთა სარფელებს“ ჰქონდათ მიწები გაღმა სარფშიც და მაკრიალისკენაც...

საკმაოდ მარტივი იყო ოფიციალური გადასვლა. ამისთვის საჭირო იყო „ზასტავაში“, ანუ საგუშაგოზე მისვლა და „პროპუსკის“, ანუ საშვის აღება. „პროპუსკს“ ადვილად იძლეოდნენ (ფარდულში ერთი ქალი იჯდა, „პროპუსკს“ იმის შესაბამისად მოგცემდა, რამდენი დღით მიდიოდი...). ანალოგიური პროცედურა იყო თურქეთის მხრიდან. არც გადასვლისას ქმნიდა განსაკუთრებულ დაბრკოლებას რომელიმე მხარე... ამდენად, თავისუფალი სასაზღვრო რეჟიმის დროს საზღვარზე მოძრაობა საკმაოდ ინტენსიური უნდა ყოფილიყო“ (სარფი, 2015: 215-216).

სამწუხაროდ, ასეთი თავისუფლება გასული საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე გაგრძელდა, 1937 წელს კი საზღვარი უკვე უმკაცრესად ჩაიკეტა და საბოლოოდ შეწყდა ყოველგვარი მიმოსვლა.

რ. სურმანიძის ხსენებული მოთხრობისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მისი შექმნის უმთავრეს საფუძვლად, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს ტრაგიკული მოვლენაა

ქცეული. ნათქვამის ნათელსაყოფად მოკლედ გავიხსენოთ ნაწარმოების სიუჟეტური ქარგა:

სოფელ სარფში სახელმწიფო სასაზღვრო მიჯნად ქცეული პატარა მდინარის – ტიბაშის გაღმა მხარეს მცხოვრები ნანუჩა ერთ საღამოს გამოღმა მხარეს მცხოვრებ ბიძასთან საოჯახო საქმეში ხელშესაწყობად გადმოვიდა. ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ნანუჩა და ბიძამისი ოფიციალურად სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ, ერთმანეთთან ურთიერთობას მაინც ახერხებდნენ ყოველგვარი განსაკუთრებული სირთულის გარეშე.

ეს ყველაფერი სიმართლეს რომ წარმოადგენს, ამას ცნობილი ისტორიკოსის – **გუბაზ ვანილიშის** მიერ ამასთან დაკავშირებით მოწოდებული ეს ინფორმაციაც ნათლად ადასტურებს: „1937 წლამდე საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლა შედარებით თავისუფალი იყო. სხვათა შორის, 1937 წელს დეიდაჩემი, ჩვენი სარფიდან იქ, თურქეთში, გათხოვდა. საქართველოს სარფში მცხოვრებ ლაზებს თურქეთის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები ჰქონდათ, საიდანაც წლის მოსავალს იღებდნენ, ხოლო მიწის დამუშავების მიზნით, თითქმის ყოველდღე უწევდათ საზღვრის გადაკვეთა“ (ვანილიში, 2005: 155).

ასე მოხდა იმჯერადაც – 1937 წლის თებერვლის ერთ საღამოს, ბიძასთან მიმავალი ნანუჩა სასაზღვრო მიჯნად ქცეულ მდინარეს „ზემოდან გადაევილო... ეს ნახტომი პირველი არ იყო. ბიჭმა აღმართი აირბინა და ლაზური სახლის ეზოს ჭიშკარი შეაღო“ (სურმანიძე, 2004: 224). მაგრამ მეორე დღის დილას, როცა ბიჭს უკან, საკუთარ სახლში, დაბრუნება უნდოდა, მდგომარეობა უკვე რადიკალურად შეცვლილი დახვდა: მდინარის ნაპირას მდგარმა იარაღსხმულმა რუსმა მესაზღვრემ მას ამის უფლება აღარ მისცა. იმ დროიდან მოყოლებული, საზღვარი უკვე ისე მტკიცედ ჩაიკეტა, რომ ნანუჩამ საკუთარ სახლში დაბრუნება ვეღარ შეძლო და მთელი ცხოვრება აქეთა მხარეს გაატარა.

მოთხრობის მომდევნო ეპიზოდში მოქმედება უკვე 1988 წლის 31 აგვისტოს ხდება – სარფის

სასაზღვრო კარის გახსნის დღეს. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი საბჭოთა კავშირში ნანუჩას იძულებითი ცხოვრების შესახებ კონკრეტულად არაფერს გვიყვება, ნანარმოების ფინალური ეპიზოდებიდან მისი ცხოვრების ამ პერიოდზე მაინც გვექმნება გარკვეული წარმოდგენა. კერძოდ, სამამულო ომში ყოფნის დროს მან ორივე ფეხი დაკარგა და სამუდამო ინვალიდად ქცეულმა და ლოგინს მიჯაჭვულმა ორმოც წელიწადზე მეტი დრო აივანზე, ეზოში ჩაუსვლელად, გაატარა.

მისი ტრაგიკული პიროვნული ცხოვრების ეს სამწუხარო რეალობა ნანუჩამ 1988 წლის 31 აგვისტოს შეცვალა – სასაზღვრო მიჯნის დაწესების შედეგად მშობლიური სოფლის ორად გამყოფ პატარა მდინარე ტიბაშზე ორი ქვეყნის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხიდის გახსნის დღეს. სავარძელში ჩამჯდარი და საზეიმოდ მორთული ნანუჩა მახლობელმა ადამიანებმა ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამართულ თავყრილობაზე დასასწრებად დაბლა ჩაიყვანეს. სახალხო ზეიმად ქცეულ ამ მოვლენას უამრავი ადამიანი ესწრებოდა ორივე მხარიდან. საზღვრის იქითა და აქეთა მხარეს მცხოვრები ახლობლები აღფრთოვანებული ეხვეოდნენ ერთმანეთს და ამ დღის დადგომას ულოცავდნენ.

ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის სიუჟეტურ გვირგვინად მწერალმა ნანუჩასა და საზღვრის იქითა მხარეს დარჩენილი და ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში პირადად უნახავი დის ერთმანეთთან შეხვედრით განპირობებული ემოციის გამოხატვა აქცია. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს მოთხრობიდან:

„ყველამ ნახა თავისიანი და შეხვედრის პირველი განცდებიც, თითქოს, ერთგვარად დაცხრა.

– ნანუჩა! – გაისმა ამ დროს... გაღმა სარფიდან შავკაბიანი ქალი მორბოდა. იგი ხიდთან მიიჭრა და სავარძელში მჯდომ ძმას გადაეხვია.

– აქა ვარ, საქინე, რა გაკვილებს, გოგო?! – აქვითინდა კაცი და წყლიანი თვალებით მიაშტერდა თმაგაჭალარავებულ დას.

– შენ გგონია, ვერ გხედავდი? იქაც გხედავდი აივანზე, ბიჭებმა ეს შენი სკამი რომ წამოიღეს, მეც გამოვიქეცი.

– ამას თუ მოვესწრებოდი, აღარ მეგონა.

– ხომ ხედავ, მოვესწართ, მარა რაღაი?.. საქინეს მზერა შორს გაექცა, ერთხანს იყურა. – ჩვენებსაც მოსწრებოდათ აი დღე, რა იქნებოდა“ (სურმანიძე, 2004: 228).

ლაზებთან დაკავშირებით რამაზ სურმანიძის მიერ შექმნილ ნანარმოებთაგან აქ რომანი „ემრულაც“ მინდა გავიხსენო, რომელშიც მხატვრულ-დოკუმენტური ფორმითაა ნაამბობი XIX საუკუნის 70-იან წლებში ე. წ. ოსმალის საქართველოს მკვიდრთა ბრძოლა დედასამშობლოსთან შემოსაერთებლად და სოციალური უსამართლობის აღმოსაფხვრელად. როგორც ავტორისეული მონათხრობიდან ნათლად ჩანს, იმერხეველ ემრულა მაღაყმაძის თავკაცობით შექმნილ სახალხო ლაშქარში აჭარაში, შავშეთში, იმერხევსა და ოსმალეთის დაქვემდებარებაში შემავალ სხვა ქართულ მხარეებში მცხოვრებ ქართველებთან ერთად ჩვენი ლაზი მოძმეებიც იყვნენ გაერთიანებული და ერთობლივად იბრძოდნენ ამ დიდი მიზნის მისაღწევად.

# ბურაბ ყორანაშვილი

## ალექსეი თარია – აფხაზი ჩაადაევი

ჩინებულ მეცნიერს (ეთნოლოგოსი და ხელოვნებათმცოდნე) სვეტლანა ჩერვონაიას, მეცნიერებისა და ჭეშმარიტების სიყვარულით რომ დანარჩენ რუს მეცნიერთაგან არის გამორჩეული, თავის 1993 წელს გამოქვეყნებულ წიგნში – „აფხაზეთი 1992: პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა“ მოყვანილი ჰქონდა ვინმე ალიკას თუ ალის (?) სიტყვები: „იმათ, ვინც უმაღლესი საბჭოს თავზე ზოლებიანი დროშა გამოკიდეს, ჩემთვის არაფერი უკითხავთ. მე აფხაზი ვარ და, ალბათ, მაქვს კიდეც საიმისო მიზეზები, რალაცით ნაწყენი ვიყო ქართველებზე, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ დღეს მხოლოდ ახალ საქართველოსთან ერთად შევძლებთ თავი დავაღწიოთ კომუნისტურ საჩიხეს“. ამ სიტყვებმა პირადად ჩემზე გამოაგნებელი (დადებითი აზრით) შთაბეჭდილება მოახდინა.

მსგავსი განცდა კიდეც უფრო გამიძლიერდა, როდესაც „რინასა“ და „ცისკარში“ გამოქვეყნებული მშვენიერი პუბლიცისტური ნაშრომით შევიტყვეთ იდუმალი ალიკას თუ ალის ვინაობა. ეს ყოფილა ალექსეი თარია, რომელიც დღესაც სალ-სალამათია და ამჟამად ბათუმში ცხოვრობს.

ალექსეი თარია თანამედროვე აფხაზთა შორის გამორჩეული პიროვნება გახლავთ. რასაკვირველია, ეს არ მომხდარა მისი თანამდებობის, ბიზნესის და სიმდიდრის (ფინანსური) გამოისობით. მისეული გამორჩეულობა, იშვიათობა სულიერ სიმდიდრეში მდგომარეობს. იგი თავისი პიროვნული განსაკუთრებულობით გაემიჯნა თანამედროვე აფხაზთა აბსოლუტურ უმ-

რავლესობას, ბრმად რომ მიყვებიან ამბიციურ და ავანტიურისტულ პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც, უპირველესად, დღევანდელი რუსული იმპერიალისტური მისწრაფებების გამტარებლები არიან. ისინი არ არიან დაკავებული კითხვებით, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე აფხაზობა სინამდვილეში, თავიანთი ისტორიითა და კულტურით, რაში მდგომარეობს მისი ნამდვილი ინტერესი და მისთ.

სათანადო ინტელექტის გარდა, ალექსეი თარიას – აფხაზი ჩაადაევის პიროვნებაში გვხვბლავს მაღალი მორალურობა. კერძოდ, გამძაფრებული პასუხისმგებლობა აფხაზი ხალხის, მისი მომავლის წინაშე, ეს გარემოება კი საფუძვლად დაედო მისეულ ცხოვრების არჩევანს, გზას. ცხადია, ასეთი რამ იოლად არ დაუჯდებოდა მას და ისევე, როგორც თავის დროზე ცნობილ რუს მოაზროვნესა და პუბლიცისტს, პიოტრ ჩაადაევს (1794-1856), მასაც უთუოდ ბევრი მტერი ეყოლება აფხაზ ხალხში. რა თქმა უნდა, მისთვის მიუღებელი აღმოჩნდება ალექსეი თარიასეული კატეგორიული განცხადება: „მე არასოდეს მსმენია აფხაზი ეროვნების ისტორიკოსის, ან ფილოსოფოსის შესახებ, რომელსაც კაცთმოძულე კომუნისტური იდეოლოგიისა და მორალისაგან თავისუფალი, ანალიტიკური აზროვნების უნარი შესწევს. ვფიქრობ, ასეთი არცაა აფხაზეთში“. აქედან გამომდინარე, აფხაზეთი – „გარესამყაროსაგან ეკლიანი მავთულხლართებით გამიჯნული, საკუთარ წუმპეში იძირება როგორც პირდაპირი, ფიზიკური გაგებით, ისე კულტურული,

ეკონომიკური, პოლიტიკური თვალსაზრისით“. თუმცა „ეს ყველაფერი მათ (აფხაზებს – გ. ყ.) სულაც არ უშლის ხელს, საკუთარ თავზე არა-ადეკვატურად მაღალი წარმოდგენა ჰქონდეთ“.

პიოტრ ჩაადაევი რომ თავი დავანებოთ, მსგავსი სოციალური კრიტიციზმი დამახასიათებელი იყო ქართველთა ერთ-ერთი დიდი წინაპრის – ილიასთვისაც. გავიხსენოთ მისი მწარე, მაგრამ დიდად საფუძვლიანი ლექსები: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა“, „ბედნიერი ერი“. ბოლოს და ბოლოს, „კაცია ადამიანში?!“ ხომ გამათრახებული არის არა ოდენ ქართველი თავადაზნაურობა, არამედ მეტ-ნაკლებად მთელი ქართველობა, მაგრამ ბევრი ქართველისათვის გამაღიზიანებელი (დღესაც კი!) სტრიქონები დაიწერა არა ნიშნის მოგებით, არამედ დიდი ტკივილითა და სიყვარულით მშობელი ხალხის, ერისადმი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თანამედროვე აფხაზი ე. წ. კულტურული ელიტისათვის აფხაზობის რამდენადმე ადეკვატური გაგება-გაცნობიერება გამორიცხულია გონებრივი ჰორიზონტის გამოისობითაც. მათგან განსხვავებით, ალექსეი თარია გახაზავს: „ცოცხათი მაინც ადეკვატურად რომ აღვიქვათ საკუთარი თავი, საკუთარი ხალხის ისტორია, მინიმუმ, უნდა შეგვეძლოს ისტორიული პარალელების გავლება“. ე.ი. შესაბამისი რეალობა განხილულ უნდა იყოს ფართო ისტორიულ და თანამედროვე ქრილში.

თუმცა ჩვენი კრიტიკულად განწყობილი აფხაზი გარკვეულ დისტანცირებას ახდენს აფხაზური ეთნოსისაგან, როდესაც იგი, გულისხმობს რა თავის ზრდასრულ, მსოფლმხედველობრივად და პოლიტიკურად მონიფულ ასაკს (შეგახსენებთ, რომ იგი დაბადებულია 1948 წელს), წერს: „მაშინ უკვე თითქმის დაკარგული მქონდა ნაციონალური იდენტობის განცდა, ხოლო აზროვნების ფორმითა და მეთოდებით, ჩემს ირგვლივ არსებული სამყაროს, მოვლენების, სახეების აღქმითა და ასახვის უნარით – მე უფრო რუსი ვიყავი (და ვფიქრობ, დავრჩი დღესაც), რადგან დავიბადე (და უკვე მოვხუცდი)

რუსული კულტურის, რუსული ცივილიზაციის საზღვრებში...“ მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას მაინც წამოსცდა ფრაზა „დანახულითა და ცოდვით სავსე ჩემი სამშობლო“, რომელშიც, ცხადია, არა რუსეთი, არამედ აფხაზეთი იგულისხმება. (იხ. აგრეთვე, ჩვენი წერილის დასაწყისში მოტანილი მისეული ფრაზა).

აქ უნებურად გვახსენდება ქართველთა მოძულეობით გამორჩეული რუსი იური ვორონოვი (პროფესიით არქეოლოგოსი). მაგრამ, მისგან განსხვავებით, ალექსეი თარია შორს დგას რუსული იმპერიული მენტალობისაგან. ასე რომ, მას არც ამჯერად, ისევე, როგორც აფხაზობისადმი მიმართებაში, არ ღალატობს კრიტიციზტული მიდგომა, აზროვნება საერთოდ. იგი „უფროსი ძმის“ მიმართ, რომელთანაც აფხაზების, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობა გულშია ჩახუტებული, აღნიშნავს: „ეს ხალხი ყოველდღიურ ცხოვრებაში აშკარად წარმართები (ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით) არიან“. მეტიც, მისეულ პუბლიცისტურ თხზულებაში ვკითხულობთ: „საოცარია, რამდენი რამ შემორჩა თითქმის უცვლელად რუსი ხალხის მენტალიტეტსა და ფსიქოლოგიაში მე-16 საუკუნის ოპრიჩინისაგან“. რასაკვირველია, ამგვარ რამეზე თანამედროვე აფხაზობას, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკოსებისა და ისტორიკოსების ჩათვლით, წარმოდგენა არა აქვს. ჩანს, მათ მენტალიტეტში საკითხის ამგვარ ხედვას ტაბუ აქვს დადებული.

მათგან განსხვავებით, ალექსეი თარიას გააჩნია პრეტენზია რუსული ისტორიოსოფიის (ისტორიის ფილოსოფიის) ცოდნაზე. მაგრამ მე პირადად ძალზე მეჭვება, რომ რუსებს ჰქონდეთ ისეთი ცოდნა, რაც ცოდნის ამ დარგს – ისტორიოსოფიას შეეფერება და რაციონალისტური, მეცნიერული თუ ფილოსოფიური, პასუხი გააჩნდეთ მათი გამოჩენილი პოეტის, ფიოდორ ტიუტჩევის ყბადაღებულ განცხადებაზე „Умом Россию не понять...“ თუმცა, კაცმა რომ სიმართლე თქვას, არც ჩვენ, ქართველები, გამოვიჩვევით აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი ცოდნით.

ალექსეი თარიას, ვითარცა ასე თუ ისე აფხაზის, დომინანტურ მისწრაფებას წარმოადგენდა და წარმოადგენს ორიენტაცია დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე. ამ მხრივ, მასა და აფხაზთა, ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას, შორის დიდი განსხვავებულობაა. ესენი ბრმად მიყვებიან თავიანთ „ყოჩებს“, ორიენტირებულთ, ვიმეორებთ, თანამედროვე იმპერიალისტურ რუსეთზე. თუმცა მავანთ მაინც აქვთ ილუზია მასთან უმჭიდროეს კავშირში დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისა. ამდენად, დღევანდელი აფხაზობა იმეორებს საკუთარი ბოლშევიკ-კომუნისტების (ნესტორ ლაკობას, ეფრემ ეშბას და სხვათა) უგუნურობას. ჩანს, მწარე ისტორიამ დღევანდელ აფხაზობას ჭკუა ვერ ასწავლა!

დიდად სამწუხაროდ, ქართველებსა და აფხაზებს შორის ღრმა დაპირისპირებულობამ იჩინა თავი, რომელიც 1992-93 წლის ომში გადაიზარდა. ამ ომში კი, ალექსეი თარიას უთუოდ სწორი აზრით, „აპრიორი, ვერავინ იქნებოდა გამარჯვებული ან დამარცხებული, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით მესამე მხარეს“. ცხადია, ნაგულისხმევია დღევანდელი, პუტინისტური რუსეთი, რომელიც დამახასიათებელი პოლიტიკური რეჟიმითა და შოვინიზმით დიდი გამოწვევა გახლავთ საერთოდ თანამედროვე მონინავე მსოფლიოსათვის.

ქართველობასა და აფხაზობას უთუოდ გვექონდა საფუძვლიანი და სწორი ისტორიული ალტერნატივა – ერთად გვებრძოლა დემოკრატიული საზოგადოების ასაშენებლად. ამგვარ შესაძლებლობას მშვენივრად აცნობიერებდა აფხაზი ჩაადაევი, რაზედაც უკვე გვექონდა ლაპარაკი წერილის დასაწყისში.

თავის წერილში იგი, ასწორებს რა ქალბატონ სვეტლანა ჩერვონაიას წიგნის შესაბამის პასაჟს, ასე აღნიშნავს: „მე არ მქონია ქართვე-

ლებზე რაიმეს გამო განაწყენების მიზეზი, რადგან საკმაოდ კარგად ვიყავი ინფორმირებული და ვიცოდი, რა სარჩული ედო ჩემს სამშობლოში (!) მიმდინარე მოვლენებს“. თუმცა ამას იგი, ვფიქრობთ, უფრო დელიკატურობის გამოისობით აკეთებს. ფრიად სამწუხაროდ, ჩვენც, ქართველებსაც, გვაქვს დაშვებული აფხაზთა მიმართ შეცდომები, რითაც კარგად ისარგებლა მესამე ძალამ – რუსეთმა.

საერთოდ, ჩვენ, ორივე ხალხს, გვმართებს ღრმად დაფიქრება იმაზე, თუ რა მოხდა ჩვენს შორის, განსაკუთრებით, 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში. უპირველესად, რასაკვირველია, ამის თაობაზე უნდა იფიქრონ ჩვენი, ორივე ხალხის, ინტელექტუალებმა (ნამდვილად) და ამისთვის მშვენიერ მაგალითს გვაძლევს აფხაზი ჩაადაევი.

თავის თხრობას ალექსეი თარია ამთავრებს ოპტიმისტურ ნოტზე: „სიცოცხლისთვის კი ბოლომდე უნდა იბრძოლო...“ ამასთანავე, სამართლიანობისათვის, ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა ყოველთვის აუცილებელია ადამიანთათვის, რომლებსთვისაც Homo Sapiens-ობა დიდად ამაღლებულ შინაარსს შეიცავს და რომლებიც თავიანთი არსებობით ცდილობენ გაამართლონ ეს დანიშნულება.

დაბოლოს, მწყინს, ნამდვილად მწყინს, რომ ალექსეი თარიას თხზულების სათაურში სიტყვები „გედის სიმღერა“ ფიგურირებს. ძალიან მსურს, ბოლოში გამოყენებული ოპტიმისტური პათოსის მიხედვით, მან კვლავაც იბრძოლოს სამართლიანობის, ჭეშმარიტების, ისტორიული პროგრესის დასამკვიდრებლად, თუნდაც ამგვარ მისწრაფებაში „შემლილის აპოლოგიის“ დაწერა მოუხდეს (პიოტრ ჩაადაევის მსგავსად). მიუხედავად ყველაფრისა, მტკიცედ მჯერა, რომ აფხაზთა შორის მას სხვებზე მიბაძავენ.



# დიანა ზოიძე

## შოთა ზოიძის „ქართული მუხამბაზები“

შოთა ზოიძე ქართული სიტყვის თანამედროვე გამოჩენილ ოსტატთა რიგებში ჩანს. მიუხედავად ამისა, პოეტისა და ესეისტის შემოქმედება, რომელიც დღესდღეობით ხუთ ტომს შეადგენს, მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. უახლოეს წარსულში მისი შემოქმედების არაერთი მნიშვნელოვანი შეფასება ვიხილეთ.

ქართული პოეზიის დედოფალმა – ანა კალანდაძემ, გენიალურმა ლადო გუდიაშვილმა, გამოჩენილმა მწერლებმა და კრიტიკოსებმა: ჯანსუღ ლვინჯილიამ, თამაზ ჭილაძემ, ოტია იოსელიანმა, რევაზ მიშველაძემ, ნოდარ ტაბიძემ, ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, იური ბიბილეიშვილმა, თემურ ამყოლაძემ, ნოდარ ჯალაღონიამ, ზაალ ებანოიძემ, მურმან ჯგუბურიამ, ანგანსვენებულებმა: პარმენ ლორიამ, მამია ვარშანიძემ, ზურაბ ზოიძემ, ცნობილმა თვალსაჩინო მკვლევარმა აზიზ ახვლედიანმა უაღრეს პოზიტიურ მოვლენად აღიქვეს შოთა ზოიძის პოეზია. გამოჩენილმა გურამ ასათიანმა თავის დროზე შოთა ზოიძის ლექსებს სასიამოვნო მოულოდნელობა უწოდა. სიმართლე თუ გინდათ, ყველა მათგანი რომ შევკრიბოთ და წიგნად ვაქციოთ, მონოგრაფიულ გამოკვლევას გადაწონის.

შოთა ზოიძის პირველი ლექსი „გოდება“, რომელიც ლიტერატურულ ჟურნალში შემოკლე-

ბული ვარიანტით დაიბეჭდა, დათარიღებულია 1959 წლით. ადრე მხოლოდ ამ ლექსის ნაწყვეტი გამოქვეყნდა. ამის მიზეზი დროის ფაქტორი და ცენზურის კონიუნქტურა იყო. ზუსტად ორმოცდაათი წლის შემდეგ (2009 წ.) ეს ლექსი სრულყოფილად გამოაქვეყნა „მწერლის გაზეთმა“. ამით ავტორმა ხარკი გადაუხადა სიჭაბუკის დროინდელ წყენას. ჩვენი აზრით, ეს ლექსი შოთა ზოიძის მძაფრად კონდენსირებული პოეზიის ოქროს გასაღებია.

შოთა ზოიძე კვალში ჩაუდგა XX საუკუნის შემოქმედებითი ინტელიგენციის 60-იანელების თაობას. იქიდან მოყოლებული საყვარელ პოეტს ხელი არ გაქცევია მდარე ლიტერატურული პროდუქციისაკენ, რასაც საკუთარ თარგზე ჭრიდა (ლირიკა, სონეტები, მუხამბაზები, ესეები, გამოკვლევები), ყველაფერს ნიჭიერების დამლა აქვს დასმული.

ერთ საყურადღებო ფაქტს უნდა გავუსვა ხაზი – ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, თელავში მოღვაწე მწერლების ნაწარმოებები ნაკლებად ჩანდა დედაქალაქის ლიტერატურულ წრეებში. ამის გამო არაერთი დამსახურებული საყვედური მომისმენია და წამიკითხავს ლიტერატურულ პრესაში. ეს ბარიერი, ვფიქრობთ, ყველაზე ადრე გადალახა შოთა ზოიძემ. 1980 და 90-იან წლებში გაარ-

ღვია ჯადოსნური წრე და დედაქალაქის ფლაგმან ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა მისი ჩინებული ლექსები: „მამა“, „ქართული ზღაპარი“, „იაკობ ცურტაველი, შუმანიკი, ვარსკენი და სხვები“, „XX საუკუნე“, „ლოცვები საქართველოსთვის“, „შაშვი“, „სანამუსო პერანგი“, „აკაკი“, „არმაზის მსხვერვა“, „ელდორადო“, „ქორნილი“, „სიყვარულის ნელინადი“, „როცა სამშობლომ მიცნო“, „წერილი სამეგრელოს“, „წუთისოფელი“, „ქალი“, „ნოეს მტრედი“, „ძვლებით სავსე ტომარა“, „ორი ლექსი წინანდალზე“, „მცხეთაში“, „სამხრეთული მელოდია“, „ნოსტალგია“, „მე ვარ მახარობელი“, „როცა მე აღარ ვიქნები“, „მარტი“, „ღამე“, „ტრიპტიკი“ და პოემა „წითელი თოვლი“. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი მისი ესეები „პლანეტარული ოთარ ჭილაძე“, „ანინა და ნანინა“, „დინას ჭალა და ცალყურა დოქი“ ნამდვილი ბუმი იყო, რომლებმაც შეძრეს მკითხველი. ეს ის ქმნილებებია, რომლებიც ამშვენებენ ჩვენი პოეტური ანთოლოგიების გვერდებს და არ საჭიროებენ შეღავათსა და საშვს შორეულ მომავალში, იმიტომ, რომ ყველა მათგანი მაღალი და ღვთიური პოეზიის დამლითაა აღბეჭდილი. ამის გამოსობითაა, რომ შოთა ზოიძე ლიტერატურულ სამყაროში ერთ-ერთი მაღალრეიტინგულ და აკადემიურ პოეტადაა მიჩნეული.

განსაკუთრებით საყურადღებოა შოთა ზოიძის შემოქმედებაში 90-იანი წლების შემდგომი პერიოდი. ფაქტობრივად, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო „უსანქციო სონეტები“, რომლებსაც ოთხი გაშლილი გვერდი დაუთმო „ლიტერატურულმა საქართველომ“. ეს სონეტები სახელმწიფო პრემიით აღინიშნა, რასაც „ქართული მუხამბაზები“ მოყვა. ისინიც „ლიტერატურულ საქართველოში“ გაიცნო მკითხველმა.

სონეტი ლექსის ერთ-ერთი სახეობაა, როგორც მუხამბაზი. მასზე შეჭიდებას ბედავენ შემოქმედებითი ცხოვრების ზენიტზე მდგარი პოეტები. ჯანსუღ ღვინჯილიას თქმით – „შოთა ზოიძე მთელი ცხოვრება ემზადებოდა სონეტების დასაწერად“. მართალია ბრძანდება გამოჩენილი მწერალი და კრიტიკოსი, რადგან პოეტის „უსან-

ქციო სონეტები“, „მცირე სონეტებიც“ პროფესიონალი ოსტატის ხელითაა შექმნილი და საყურადღებოა ვერსიფიკაციული თვალსაზრისით.

ცალკე განსჯისა და ხმაურის საბაზი გახდა შოთა ზოიძის „ქართული მუხამბაზები“. მათ გამოჩენილი პოეტი სონეტების დასრულების შემდეგ ქმნიდა. მისი პოეტური რეფლექსი მუხამბაზებში სრულიად ალტერნატიულ ესთეტიკას და მეტაფორულ ვექტორს გვათავაზობს. „წინა საუკუნისათვის დამახასიათებელია ქართული კონვენციური ლექსი. რასაკვირველია, სონეტისა და მუხამბაზის ფორმაც ბუნებრივია, თუნდაც XX საუკუნის ქართული ლექსისათვის, მაგრამ არა ტრადიციული“ (თ. ამყოლაძე). ერთი სიტყვით, მუხამბაზი კონვენციურ ლექსთან დამოკიდებულებაში ნამდვილად ტრადიციულია, მაგრამ ლექსთა წყობის თავისებური სახეობაა. ლიტერატურის მკვლევრების აზრით „მუხამბაზი“ არაბულ-სპარსულ კულტურასთანაა კავშირში და არაბულ-სპარსული ლექსთწყობიდან მომდინარეობს.

ქართულ პოეზიაში მუხამბაზის დამამკვიდრებლად ბესიკს მიიჩნევენ („ტანო, ტატანო“, „სევდის ლამქარი“, „ბულბული მოდის მნუხარებით“), საყურადღებოა საიათნოვას მუხამბაზები („ხარ ტურფა“, „გახდება ზარი“), მკითხველი იცნობს ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის მუხამბაზურ ლექსებს. ისინი ზოგჯერ არღვევენ მის დაკანონებულ ფორმებს. მსგავსი მაგალითები დაიძებნება მე-20 საუკუნის პოეტების მუხამბაზებშიც.

მუხამბაზისათვის დამახასიათებელი სიზუსტის დაცვა აუცილებელი პრინციპია, რადგან მას ლექსთწყობის საკუთარი ნიშნები გააჩნია. მისი არქიტექტონიკის გამართვა, კანონიკურობა სიფრთხილით მიდგომას საჭიროებს. ამ მხრივ შოთა ზოიძის „ქართული მუხამბაზები“ საყურადღებოა, როგორც შინაარსის, ასე ლექსთწყობის ფორმის კანონიკურობის დაცვით.

მუხამბაზი სახობო-სამიჯნურო ლექსია. „ქართულ მუხამბაზებს“ მედიტაციური განწყობილება და გამოკვეთილი ეროვნული წიაღსვლე-

ბი ახასიათებს. როგორც კრიტიკოსი თ. ამყო-  
ლაძე წერს, „მუსამბაზი, საზოგადოდ, თითქმის  
მხოლოდ სამიჯნურო, ანაკრეონტული ლექსია,  
მაგრამ მისთვის არც საზოგადოებრივი, საქვეყ-  
ნო ტკივილის გამოხატვაა უცხო“.

დავაკვირდეთ, შოთა ზოიძის მუსამბაზების  
ციკლს ჰქვია „ქართული მუსამბაზები“. ე.ი. ქა-  
რთული კონვენციური ლექსის სახეობაა, მაგ-  
რამ ისინი სხვა რომელიმე უცხოური ლექსის  
(სპარსულ-არაბულ) წყობასთანაა გათანაბრე-  
ბული.

შოთა ზოიძის ქართული მუსამბაზების ციკ-  
ლი (სულ 25) იწყება ერთგვარი პროლოგით,  
როგორც „მცირე სონეტები“. მსგავსი გასაღები  
აქვს „უსანქციო სონეტებსაც“.

„უსანქციო სონეტებში“ მიღწეული მხატვრუ-  
ლი ოსტატობა პოეტმა „ქართული მუსამბაზები-  
თაც“ დაგვიდასტურა. თვალსაჩინოა მინანქრუ-  
ლი მეტაფორები და ნატიფი ეპითეტები. ყველა  
ეპითეტი და მეტაფორა ავტორის ფაქიზი სულის  
ანაბეჭდია. აი, თუნდაც:

„მე კიდევ ერთი უკეთესი ადგილი ვიცი,  
ჭვავის ყანაში ბატკანივით კუნტრუშებს კვიცი,  
გნოლივით გოგო ვერ აკავებს კბილებით სიცილს,  
კვიცივით ბიჭმა საიდუმლო გოგოსი იცის,..  
სურათი ესე ნაიშლება ოდესმე ნუთუ?!“

ან კიდევ:

„ნუხელ მესიზმრა – თვალეხი ამოგიკოცნეს  
ანგელოსებმა, გათენებავ და სიცოცხლეც,  
ავდგები და შენს ეკლესიაში ვილოცებ  
და წარმოგიდგენ, როგორც ვენერა მილოსელს,  
ყოველთვის შენსკენ მოვდივარ უარყოფიდან“.

„წერილი ყველას“ საინტერესოა თავისი არ-  
ქიტექტონიკით, მინორულ-მაჟორული ტონის  
მონაცვლეობით. ხსენებული მუსამბაზი, რო-  
გორც დანარჩენი, ხუთსტროფიანია და ყოველი  
სტროფი ხუთი ტაქსისგან შედგება, რომელშიც  
პირველი სტროფის ტაქსები ერთი გარეგანი რი-  
თმითაა შეკრული და მასთან რიტმითაცაა დაკა-  
ვშირებული.

ყველა მუსამბაზში დაცულია სტროფთა ხუ-  
თტაქსიანობა, რითმის სქემატური კომბინაცია.  
აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მარცვალთა რაო-  
დენობით განსხვავდება ბესიკური წყობის მუსა-  
მბაზური ლექსის მარცვალთა რაოდენობისგან:

„ჯვარცმული, ყველამ კარგად ვიცით, ბეთლემში იშვა,  
კი-მეთქი, გეტყვი, მაგრამ ეს თქმა არაფერს ნიშნავს,  
მზე ჩადის, თითქოს, ზეციერი თბოსადგურს თიშავს,  
ჯერ კიდევ პირში სული გიდგას და არა გიშავს,  
დროა ისეთი, უარესის ელოდე ნიშნს“.

საითაც ნახვალ, მიადგები უდაბურ კუნძულს,  
შიმშილისაგან ჩვილის დედას გაუშრა ძუძუ,  
ერგევა ხალხი შარა-შარა მგელივით ძუნძულს,  
ხოფის ბაზარზე ჭინჭებს ყიდის მავანი ბინძურს,  
დროა ისეთი, უარესის ელოდე ნიშნს“.

ზოგიერთ შემთხვევაში პოეტი იყენებს არა-  
ზუსტ რითმას, სადაც შეთანხმებულია როგორც  
თანხმოვან, ასევე ხმოვან ბგერათა ძირითადი  
ნაწილი (დისონანსი), ე. ი. რითმაში ბგერათა გა-  
მეორებას კანონზომიერი ხასიათი არ აქვს:

„შარშან, ბულვარში ძველი თეატრი დავწვით,  
მაგრამ არ ვიცით, რას ავაშენებთ ანი,  
ისევ ისე წვიმს, ისევ მათოვს და მანვიმს,  
ვიდრე ჩემი დრო ახალ რომანებს დაწერს,  
მე ქართლის ჭირი გულზე ლოდივით მანვეს“.

შოთა ზოიძის „ქართული მუსამბაზები“ აგე-  
ბულებით, ტექნიკური სრულყოფით, მოულოდ-  
ნელობებით იქცევენ ყურადღებას. გარკვეულ  
შემთხვევაში პოეტი მიმართავს ვარირების მო-  
მენტსაც (ვარიაცია), შეუმჩნეველად, სათქმელი,  
რომ არ გაექცეს რაღაც აბსტრაქტულობისა თუ  
გაუმჭირვალობისაკენ.

შოთა ზოიძის ქართული მუსამბაზების არ-  
ქიტექტონიკა ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭა-  
ვადის მუსამბაზური ლექსებისაგან განსხვავე-  
ბით, წარმოადგენს ახალ კომპოზიციურ ჯაჭვს,  
რომელთან მიმართებაშიც უნდა იქნას გააზრე-  
ბული ამ საუკუნის მუსამბაზის როგორც არქი-  
ტექტურისა, ისევე სოციალურ პრობლემათა გა-  
მომსახველობითი სტრუქტურა.



## 80 – ჯემალ ინჯია – 80



ჯემალ ინჯია – ეს სახელი და გვარი უდავოდ დაბრუნდა ქართულ კლასიკურ ლიტერატურას.

ჯემალ ინჯია – მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ესადაგებოდეს პოეტი ცხოვრების წესით საკუთარ გულწრფელ და ანკარა პოეზიას.

ჯემალ ინჯია – ვალმოხდილი მამულიშვილი ქვეყნის, კუთხისა და ქალაქის წინაშე... მიუხედავად იმისა, რომ დღემდე მშობლიური ქართლის ერთგული მკვიდრია, აზასდროს ყოფილა ერთი კუთხის პოეტი, იგი მთელი საქართველოს პოეტია! ის თითოეული ქართველის გადმოსახედიდან წეწს, განსაკუთრებულად კი, ჩვენი კუთხის, აჭარის ისტორიული

ბელუკუელმართობა და სატკივარი მიაქვს გულთან. და ჩვენც, განსაკუთრებით გვეძვირფასება კაცია, რომელმაც თავისი წილი მზე, თავისი წილი ცა, თავისი ტკბილქართული სტრიქონები უწილადა აჭარის მკითხველს. იგი, დროის სიმკვირისა და გზის სიდიდის მიუხედავად, წელიწადში თრჯერ სტუმრობს აჭარას, რომელსაც მალამოდ ედება მისი ქართული, მართალი სიტყვა.

ჯემალ ინჯია – 80 წლის ახალგაზრდა, რომელიც უდავოდ თანამედროვე პოეტია, მომავლის პოეტია, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი ქართველი მკითხველისთვის, რადგან ასე მონდენილად, ზუსტად, მძაფრად და ლამაზად მხოლოდ მას შეუძლია ააჟღეროს პოეზიის ქნარი.

ღმერთმა დალოცოს და ადღეგბქელოს საქართველოს ლექსის მესანძარე, პოეზიის მეცხოვრე, ჯემალ ინჯია!

აჭარის მწვერალთა სახლი  
შუბრნალ „ჭოჩოხის“ კავალქცია

 **ქართობი 1** 2017

---